საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
# საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
№3 (94)
2 – 8 თებერვალი, 2011
ფასი 1 ლარი
info@geworld.net

## სახიფათო მასხარა


The American Conservative
COMEHOME AMERICA.US
Home | Contact Us | Archive | Logout | Subscribe | Blogs | Donate | Advertise | Search
Daniel Larison — EUNOMIA
n. the principle of good order
Saakashvili's Reckless Moves
Daniel Larison January 27th, 2011 Share
If there were still any doubt that Mikheil Saakashvili is a dangerous buffoon, this (via Antiwar News) ought to dispel it:
Mikheil Saakashvili, the President of Georgia, told The Independent yesterday that attacks like Monday's suicide bombing at a Moscow airport were "payback" for Russia's policies in the North Caucasus, as he

2

„თუ ვინმეს ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილი სახიფათო მასხარაა, ამ ცნობამ მათი ეჭვები უნდა გაფანტოს: „გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა THE INDEPENDENT-ს განუცხადა, რომ იმ ტიპის ტერაქტები, როგორიც ორშაბათს მოსკოვის აეროპორტში თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქებით მოხდა, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული პოლიტიკისთვის გადახდილი „სამაგიერო“ იყო“.

## დასავლეთმა საქართველოს პატრიარქს ლიადაც შეუტია?

4



თომას დე ვაალი:
„პატრიარქმა პოლიტიკაშიც შეაბიჯა, მაგალითად, მან საქართველოს განათლების სადავო მინისტრი დიმიტრი შაშკინი გააკრიტიკა... და პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღეს აღმოაჩინა, რომ ჰყავს ერთი პოტენციური კრიტიკოსი, რომელიც თვით კრიტიკაზე მაღლა დგას“.

## მამა ნახე — კოტე ნახე, გოკა ისე გამონახე!

12





## უმახათო პოეტი

ციალა არდაშელია:
**ყივჩაღმა ოთარაშვილმა ანტიმეგრული დაკვეთა ბრწყინვალედ შეასრულა**



3

ონჯლორაე ვაირჩუნო, ამხანაგ ვაჟა?!

## რა უქნა წუხელ მეზობელმა №1-მა მეზობელ №2-ს?!

5

## რაში გვჭირდება მიხეილ სააკაშვილი?!

6

## ნურავის ჰგონია, რომ საქართველოში არ მოქმედებს თურქეთის, ირანის, იმავე აშშ-ის აგენტურა

10

## HUMAN RIGHTS WATCH საქართველოს ხელისუფლებას დევნილთა დევნაში ადანაშაულებს

15

# ნახევარი მილიარდი... კანალიზაციაში

**ოცი საუკუნეა, რომის იმპერატორ ვესპასიანედან მოყოლებული, კაცობრიობამ იცის, რომ ფულს სუნი არ აქვს.
ხაზინის შემოსავლის გასაზრდელად ვესპასიანემ გადასახადი დაუწესა მარმარილოთი გაწყობილ საზოგადოებრივ ტუალეტებს, სადაც გაქსუებული რომაელები ისე, როგორც რომის ცნობილ აბანოში — კარაკალას თერმებში, ერთმანეთის მოსანახულებლად, სასაუბროდ და დროის მოსაკლავად დადიოდნენ.
სარგებლობ კომფორტით? გადაიხადე ფული!..**

**ჩვენი მთავრობა ტუალეტებისა და კანალიზაციის სისტემის სარეაბილიტაციოდ აზიის განვითარების ბანკიდან იღებს ნახევარ-მილიარდიან საგარეო ვალს,** — იტყობინებიან საინფორმაციო სააგენტოები.

დადგა კანალიზაციის რიგი, რადგან დანარჩენი ყველაფერი განვითარებული გვაქვს და საქმე — აწყობილი. მაძღარი ქვეყნის მაძღარ მოქალაქეებს კი, ბუნებრივია, პირველ რიგში, სჭირდებათ არა ფაბრიკა-ქარხნები და სამუშაო ადგილები, არამედ, რა თქმა უნდა, გამართული საკანალიზაციო ინფრასტრუქტურა. ამიტომაც გავყავით თავი აზიის განვითარების ბანკის ვალების ყულფში, თანაც არაერთხელ.

**ქობულეთ-ბათუმის შემოვლითი გზის ქობულეთის მონაკვეთის მშენებლობისთვის 118 მილიონი დოლარი დავიდეთ ვალად, თბილისის მეტროპოლიტენის სადგურ „უნივერსიტეტის“ მშენებლობისთვის — 30 მილიონი, თბილისის მერია 250 მილიონ დოლარს აიკიდებს, „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ — 300 მილიონს.** ეს არის ამ ძვირფასი ბანკისგან სხვადასხვა დროს აღებული კრედიტების მცირე ნუსხა. უფრო მეტიც, აზიის განვითარების ბანკის დირექტორთა საბჭომ, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს 300 მილიონი დოლარის სესხი უკვე დაუმტკიცა. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ ამ ბანკის პირველი ტრანში გულისხმობს **„ფეხით მოსიარულეთა და ველოსიპედისტთათვის გამოყოფილი გზების მოწყობას ქალაქებში, მათ შორის, მესტიაში...“** მესტიაში — ველოსიპედებით! საქონლისთვის შემოვლით გზას როდის და ვისი ფულით გაიყვანენ?

**თუ ძროხებს ასწავლიან ველოსიპედებით გადაადგილებას ყუათიანი ბალახით მდიდარი საძოვრების მიმართულებით?**

**ხუმრობა იქით იყოს, მაგრამ ეს უზარმაზარი ვალი არც ერთ ისეთ დარგში არ არის ჩადებული, რომ, მოგება თუ არა, ახალი შემოსავალი მაინც მისცეს საქართველოს ბიუჯეტს.**

**ვინმე სერიოზულად ხომ არ ფიქრობს „საკანალიზაციო ფულით“ ხაზინის შევსებას? თუმცა ვინ იცის, ესენი ამასაც მოახერხებენ... ხალხის ხარჯზე.**

ვესპასიანეს დროს საზოგადოებრივი ტუალეტების ლათინური სახელწოდება, დღეს ქართულად გადმოღებული, იყო საშარდე.

ორგანიზმის ეს გამონაყოფი, როგორც რამდენიმე დღის წინათ სააკაშვილის ერთ-ერთმა ოდიოზურმა პასუხმა დაგვარწმუნა, სახელმწიფო პოლიტიკაში დაპირისპირების საგანი გახდა.

**„აზიელთა“ ფულით რეაბილიტირებული კანალიზაცია, იმედი ვიქონიოთ, თბილისის გმირთა მოედანზეც დაარეგულირებს საჯარო პაექრობის საგნადქცეულ პრობლემას და ჩვენი ვეტერანები თავისუფლად შეძლებენ ამ ტერიტორიაზე შიმშილობის აქციების გამართვას.**

საქმე დაიძრა! **„აზიის განვითარების ბანკთან მოლაპარაკებები უკვე დასრულებულია და თანხის ხარჯვა მომავალი თვეებიდან დაიწყება“,** — განაცხადა გახარებულმა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა.

იმედია, ბატონმა გილაურმა იცის — ნებისმიერი, მეტ-ნაკლებად გონიერი ხელისუფლება, რომელიც საშვილიშვილო საგარეო ვალს იღებს, ცდილობს, რომ სესხად აღებული ფული მოახმაროს წარმოების, მცირე ბიზნესისა და ა.შ. განსავითარებლად იაფი სესხების პროგრამას, მნიშვნელოვანი საწარმოო სექტორების ამუშავებას, სოფლის მეურნეობას, ერთი სიტყვით, ისეთ საქმეს, რასაც ექნება პირდაპირი მოგება და გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექტი. მაგრამ, ცხადია, რომ **ეს საგარეო ვალიც ჩვენმა გონიერმა ხელისუფლებამ ფისკალური იმპულსის ეფექტის, „კეთილდღეობის ილუზიის“ შესაქმნელად აიღო.**

თუკი ასეთი სოლიდური საგარეო ვალი მოხმარდება მხოლოდ იმას, რომ, ვთქვათ, ლესიჭინეში ან შატილში იქნება 24-საათიანი წყალმომარაგება და ულტრათანამედროვე კანალიზაცია, ეს, რა თქმა უნდა, ცუდი არ არის. მაგრამ ჩნდება ლოგიკური კითხვა: **რა მოხდება, როდესაც ფისკალური იმპულსისა და კეთილდღეობის ილუზია ჩაივლის? რა მოხდება, როცა წყალი დღე და ღამე იჩხრიალებს და კანალიზაციის მილიც გამართულად იმუშავებს, ანუ ფული „ატკატებიანად“ შეიჭმევა** (გნებავთ, კანალიზაციაში ჩაიყრება)?! საინტერესოა, რა უნდა ჭამოს უმუშევარმა, მაგრამ 24-საათიანი წყლითა და კანალიზაციით უზრუნველყოფილმა ვანომ და ნარგიზამ ლესიჭინესა და შატილში?! ჭამას რომ თავი დავანებოთ, ეს ვალი ვინ და რა სახსრებით უნდა გადაიხადოს?

**ფული უსუნოა, მაგრამ, როგორც „ექსპერტები ამბობენ“, იპრიტის ეფექტს შეიძენს მაშინ, როცა კანალიზაციაში გადაყრილი კრედიტების გასტუმრების დრო დადგება და ყველას ერთიანად დაგვწამლავს — გამცემსაც, ამღებსაც და... ვინც არაფერ შუაში ვართ.**

**არმაზ სანებლიძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# სახიფათო მასხარა

**მიხეილ სააკაშვილი სახიფათო მასხარაა — ასეთია მთავარი გზავნილი დენიელ ლარისონის წერილის, რომელიც მან The American Conservative-ში ახლახან გამოაქვეყნა („სააკაშვილის წინდაუხედავი ნაბიჯები“). წერილის ავტორი ცნობილი ექსპერტია, ანგარიშგასაწევი ავტორიტეტია საერთაშორისო ურთიერთობათა საკითხებში, ამ სფეროში მომუშავე მიმომხილველები ხშირად იმოწმებენ მისი პუბლიკაციების უკომპრომისო დასკვნებს. 2003 წელს იგი ქრისტიანად მოინათლა. მიჰყავს ბლოგი Eunomia ჟურნალ The American Conservative-ში, ხოლო The Week-ის საიტზე საკუთარი საავტორო სვეტისთვის წერს პრობლემურ თემატიკაზე.**



ანალიტიკოსი კრიტიკულად აფასებს მიხეილ სააკაშვილის რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკას, მიაჩნია, რომ მისი „საბრძოლო რიტორიკა“ **„ფრიად საშიშია და საქართველოს ყველა შანსს უკარგავს, თვალსაწიერ მომავალში ნორმალური ურთიერთობა აღადგინოს თავის დიდ მეზობელთან“.** სააკაშვილის პოლიტიკის პათოსი აუცილებლად შესაცვლელია **„თვით საქართველოსთვის, ასევე ამერიკისა და რუსეთის ინტერესებისათვის“,** მით უფრო, რომ **ვაშინგტონს ყველა საფუძველი აქვს, ისურვოს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის სასწრაფოდ აღდგენა“.** ამასთან, მისი აზრით, **აშშ-ის ინტერესი კავკასიის რეგიონში უმნიშვნელოა, ხოლო რაც არის, არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებს“.**

ჩვენ რატომ ვურახუნებთ თავს კავკასიონის პიტალოს, გაუგებარია.

ეტყობა ამ გაუგებარმა და ალოგიკურმა სიტუაციამ, რომელიც ამოვარდნილია საერთაშორისო ურთიერთობათა აღიარებული პრაქტიკიდან, დენიელ ლარისონსაც დაარღვევინა სხვა ქვეყნის მეთაურისადმი დამოკიდებულების ეთიკური ჩარჩოები და ათქმევინა, რომ: **„თუ ვინმეს ჯერ კიდევ ეჭვი ეპარება იმაში, რომ მიხეილ სააკაშვილი სახიფათო მასხარაა, ამ ცნობამ მათი ეჭვები უნდა გაფანტოს: „გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა THE INDEPENDENT-ს განუცხადა, რომ იმ ტიპის ტერაქტები, როგორიც ორშაბათს მოსკოვის აეროპორტში თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქებით მოხდა, ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული პოლიტიკისთვის გადახდილი „სამაგიერო“ იყო. მან ეს ქვეყანა ასევე შეადარა „ნიანგს, რომელიც მზადაა, გადაგყლაპოს“.**

ჯერ ეს „შედარება“ ვნახოთ, რომელიც თავდაყირა აყენებს მთელს ბიოლოგიურ და გეოგრაფიულ მეცნიერებას, რომლის ანბანს ბავშვებს იმ დროში ასწავლიდნენ, როცა ხელისუფლება პატარებს საჩუქრად არ ურიგებდა პერსონალურ „ლეპტოპებს“... რადგან არ არსებობდა.

სააკაშვილის „ახალი აზროვნების“ მიხედვით, ეს რეპტილია ჭაობებში ბინადრობს, სადაც პირდაბჩენილი (?!) ელოდება მსხვერპლს. ამის გამგონ ნიანგებს სიცილის ცრემლები წამოსცვივდათ თვალთაგან, ისეთივე, როგორც ბატონ მიხეილს, როცა ღატაკი პენსიონერების ბინაში ინება მისვლა. თქვენ რომ ხელოვნური გგონიათ, ამაზე უფრო ბუნებრივს ვერსად ნახავთო, — აგვიხსნა გასული კვირის „ტელემარათონის“ მსვლელობისას.

ღამეც ვტირიო.

დღე რომ ტიროდა, ვნახეთ.

ნიანგიც ტიროდა სიცილის ცრემლებით: ნეტა ისე არ მომკლა, არ მანახა, მსხვერპლი თავისი ნებით რომ ჩაუძვრება პირდაფჩენილ ნიანგს ხახაში, და შემდეგ თუნდაც ვერონიკა ქობალიას ჩანთად მაქციაო.

ალბათ, მხოლოდ მიხეილ სააკაშვილს აქვს ნანახი ისეთი ჭაობი და ჭყანტობი, რომლებიც მრავალცენტნერიანი ნიანგების სამყოფელია. ან, ეგებ, უკვე დაჭაობდა მდინარე ნილოსი პრეზიდენტ მუბარაქის 30-წლიანი მმართველობის ეპოქაში?..

ნილოსის ნიანგი...

„თანამედროვე ნიანგები ტროპიკებისა და სუბტროპიკების სხვადასხვა მტკნარ წყალსატევებში ცხოვრობენ. ზოგიერთი სახეობა ზღვაში ჩამდინარე ტროპიკული მდინარეების შესართავებში გვხვდება...“ ასე წერია, პატარებო, **საბავშვო ენციკლოპედიის რუსული გამოცემის, მეოთხე ტომის 245-ე გვერდზე.**

ჭაობში — არაო.

**უფროსებისთვის:** „**ნიანგი** — სპარსთა ენაა **ნიანგ**, ქართულად **ხვითქი** და ბერძნულად **კორკოდილო** ჰქვიან“ (*სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გვ. 592*).

გლობალური დათბობა, ეტყობა, ბუნების გვირგვინის ტვინზეც მოქმედებს...

საბუნებისმეტყველო წიაღსვლა ამით ამოვწუროთ და სუბტროპიკული (რომელიც მიხეილ სააკაშვილს ტროპიკები ჰგონია) საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ უდაბურებაში გადავინაცვლოთ, სადაც პოლიტიკის სამუმი იმის მიხედვით „უბერავს“, „საიდანაც ქარი ქროდა“.

ზემოდან, რა თქმა უნდა.

ზემოდან დანაბერს კი დენიელ ლარისონი ასე განსაზღვრავს: **„სააკაშვილმა ეს საჯარო განცხადება გააკეთა სულ რაღაც რამდენიმე თვეში მას შემდეგ, რაც საქართველომ ჩრდილოეთ კავკასიის მცხოვრებთათვის სავიზო რეჟიმი გააუქმა.** იმ ფონზე, როცა რუსეთს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით რეგიონში სერიოზული პრობლემები უჩნდება, **ეს ნაბიჯი აშკარად პროვოკაციას ჰგავდა“.**

## სააკაშვილის უგნურება, შესაძლოა, რუსეთის მთავრობისთვის იმის საბაბად იქცეს, რომ საქართველო დომოდედოვოს აფეთქებასთან კავშირში დაადანაშაულოს




ლარისონის ეს პოზიცია სრულად ესადაგება სხვა ცნობილი ექსპერტების, მათ შორის, ანალიტიკოს თომას დე ვაალის მოსაზრებას, რომელიც მან ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე, ლარსის საკონტროლო-გამშვები პუნქტის გახსნის შემდეგ გამოთქვა: „საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიასთან დაახლოების ახალი პოლიტიკა აამოქმედა, რომელიც, რუსების აზრით, **ამ რეგიონის დანარჩენი რუსეთისგან გამოყოფის სტრატეგიაა“.**

რაც უფრო ღრმად შედიხარ რუსულ-ქართული ურთიერთობათა გაუდაბურებულ ტყეში, სულ უფრო მეტ ხეპრულ ხეს შეხვდები — ნაცნობი სახეები, ტირაჟირებული უგნურება.

„სააკაშვილის უხეში განცხადება „სამაგიეროს გადახდის“ თაობაზე, — წერს დენიელ ლარისონი, — რაც ვიზების გაუქმების პროვოკაციული გადაწყვეტილებიდან და მოსკოვის სასტიკი ტერაქტიდან რამდენიმე დღეში გაკეთდა, თითქოს საგანგებოდ იმისკენაა მიმართული, რომ მოსკოვს გაუჩნდეს საბაბი, კიდევ უფრო გააუარესოს საქართველოსთან ურთიერთობა და თბილისთან კიდევ უფრო ნაკლებად მოქნილად იმოქმედოს. ყველაფერი შეიძლება უარესი სცენარითაც განვითარდეს: **სააკაშვილის უგნურება, შესაძლოა, რუსეთის მთავრობისთვის იმის საბაბად იქცეს, რომ საქართველო დომოდედოვოს აფეთქებასთან კავშირში დაადანაშაულოს“.**



ამასობაში საქართველოში მსოფლიოში საუკეთესო თოვლი მოვიდა და, სანამ ზამთრის სეზონი ისევე სწრაფად დამთავრებულა, როგორც ბათუმური ზაფხულისა, მოვასწროთ და ვთხოვოთ სამეცნიერო რეგალიების მქონე დიპლომატებსა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტებს მოკლე კომენტარი The American Conservative-ის პუბლიკაციაზე.

### წინდახედული მიდგომა გვჭირდება

**ირაკლი მენაღარიშვილი, საერთაშორისო ექსპერტი, სტრატეგიულ გამოკვლევათა ცენტრის დირექტორი:**

— აქ მხოლოდ ერთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: ადამიანი, რომელიც ეხება ისეთ მტკივნეულ თემას, როგორიც არის ტერორიზმი, მით უფრო, მეზობელ ქვეყანაში, უნდა იყოს ბევრად უფრო წინდახედული, მიუხედავად იმისა, ეს ქვეყანა მის სამშობლოსთან ომის მდგომარეობაშია თუ მეგობარი სახელმწიფოა. ეს არის უმთავრესი, რაც ამ პუბლიკაციიდან ჩანს.

ტერორიზმი ის ბოროტებაა, რომელიც მიუღებელია ყველგან და ყველა ფორმით, ჩრდილოეთ კავკასიაში განხორციელებული პოლიტიკა ხელს რომ უწყობს ასეთი მოვლენების განვითარებას, ამაში ეჭვი არავის ეპარება. მაგრამ, არა მგონია, ამ თემის პედალირება ამჟამად სარგებლობის მომტანი იყოს საქართველოსთვის.

### „ჭკუით, ქართველებო!“

**გია მეფარიშვილი, პროფესორი:**

— დენიელ ლარისონის წერილმა შეუძლებელია, არ ჩაგვაფიქროს. 2011 წლის 25 იანვარს მოსკოვში, დომოდედოვოს აეროპორტში, მომხდარმა ტერაქტმა ყველა შეძრა და, მათ შორის, საქართველოშიც. დაიღუპა 35 და დაიჭრა ასზე მეტი ადამიანი.

ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდნენ აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანები, მათ შორის, ქალები და მოზარდები. განუზომელია ის მორალური ტრავმა, რომელიც მსოფლიოს ყველა მოქალაქემ მიიღო ამ ბარბაროსული აქტის შედეგად. ტერორიზმს არავითარი გამართლება არ შეიძლება ჰქონდეს და იგი ყველგან და ყოველთვის უნდა იქნას დაგმობილი.

რამდენად მიზანშეწონილია ახლა მოსკოვში მომხდარი ტერორისტული აქტის გამომწვევ პოლიტიკურ მიზეზებზე საუბარი? არ დაგვავიწყდეს, რომ საქმე ეხება სახელმწიფოს, რომელთანაც უაღრესად გართულებული ურთიერთობა გვაქვს (თუ გვაქვს ისინი საერთოდ?) და მოუზომავმა სიტყვამ, ცხელ გულზე ნათქვამმა, ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა შეიძლება კიდევ უფრო დაძაბოს, თუმცა მეტი რა...

ასე რომ, ბატონი ჭაბუასი არ იყოს, „ჭკუით, ქართველებო!“

**არმაზ სანებლიძე**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# უმახათო პოეტი

**მწერალთა კავშირის გარშემო ატეხილმა სკანდალმა ლამის პარანოიის პიკს მიაღწიოს. ურთიერთბრალდებების სერიამ, რომელმაც მწერლებს შორის დედის გინებისა და მკვდარ-ცოცხლის შვიდ ბრუნვაში ტრიალის ფონზე ჩაიარა, ჭორ-მართალი ერთმანეთში არია და საზოგადოებისთვის კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა, რეალურად რა იყო ის განხეთქილების ვაშლი, რომელმაც მაჩაბლის ცამეტ ნომერში საუკუნის ვაი-ვიში გამოიწვია?.. ამ და სხვა მნიშვნელოვან დეტალებში გასარკვევად „საქართველო და მსოფლიო" მწერლებს: ციალა არდაშელიასა და ზურაბ თორიას დაუკავშირდა და, უწინარესად, იმ ბრალდებაზე ესაუბრა, რომელიც მათ მწერალთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილეს — ვაჟა ოთარაშვილს პროზის ანთოლოგიაში მათი მოთხრობების შეუტანლობის გამო წაუყენეს.**



## ციალა არდაშელია:

## ყივჩაღმა ოთარაშვილმა ანტიმეგრული დაკვეთა ბრწყინვალედ შეასრულა

**— ქალბატონო ციალა, „იმედის" სპეციალურ რეპორტაჟში თქვენ ბრძანეთ, რომ ვაჟა ოთარაშვილმა მის მიერ შედგენილ ანთოლოგიაში თქვენი მოთხრობა არ შეიტანა, მიზეზად კი ის დაასახელეთ, რომ მასში რამდენიმე მეგრული სიტყვაა გამოყენებული. თქვენი აზრით, მარტო ეს იყო მიზეზი? როგორ ფიქრობთ, რა აქვს ვაჟა ოთარაშვილს მეგრელებისა და მეგრულის საწინააღმდეგო?**

— საზოგადოების ნაწილმა, რომელიც, ასე თუ ისე, იცნობს მწერალთა კავშირში მიმდინარე პროცესებს, კარგად იცის, ვინ არის და რასაც წარმოადგენს ვაჟა ოთარაშვილი. მაგრამ **ის, რაც ოთარაშვილმა მეგრელებზე და მეგრულ ენაზე იკადრა, ვფიქრობ, მარტო ერთი პიროვნების, ამ შემთხვევაში, ოთარაშვილის მოფიქრებული არ არის, ეს გაცილებით უფრო რთული პრობლემაა, რომლის უკანაც ადამიანთა გარკვეული ჯგუფი დგას,** ხოლო ვინ არიან ისინი და კონკრეტულად რა მიზნები ამოძრავებთ, ამაზე საუბარი დღესდღეობით არ მიმაჩნია მიზანშეწონილად... მოვა დრო, ეს ვნებათაღელვა ჩაცხრება და ყველაფერზე დაუფარავად ვისაუბრებ...

**— ის მაინც გვითხარით, მართლა თქვა თუ არა ოთარაშვილმა, ანთოლოგიაში მეგრულს არ გავაჭაჭანებო.**

— დიახ, ზუსტად ასე თქვა, სიტყვასიტყვით, თანაც ამ ნათქვამში იმხელა ირონია, ზიზღი და ცინიზმი იყო, რომ, უბრალოდ, ამის წარმოდგენაც კი ძნელია. მოკლედ, ეს იყო ბინძური პროვოკაცია, რომელიც აშკარად ვიღაცამ დაუკვეთა; ყივჩაღმა ოთარაშვილმა კი, თავის მხრივ, ეს ანტიმეგრული დაკვეთა ბრწყინვალედ, მე ვიტყოდი, ფრიადზე შეასრულა...

**— კი მაგრამ, თუ ეს მართლა ვიღაცის დაკვეთა იყო, რა მიზანს მიაღწია დამკვეთმა ან თუნდაც ოთარაშვილმა?**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს ძალიან რთული საკითხია და ახლა ამაზე დეტალურად საუბარს არ ვაპირებ. რაც შეეხება პირადად ოთარაშვილს, მე მას პირშიც ვუთხარი, ყივჩაღი ხარ-მეთქი და, თუ საჭირო გახდება, მომავალშიც გავიმეორებ. **ეს კაცი არ არის ქართველი, ის არის ყიზილბაში და თანაც ასპროცენტიანი. სწორედ მისნაირ ადამიანებზე ბრძანებს გრიგოლ აბაშიძეც ერთგან, ქართული გვარის მატარებელი და ქართულად მოლაპარაკე ყველა ქართველი არ არისო;** თუმცა, ოთარაშვილის შემთხვევაში, ამას დამტკიცებაც არ სჭირდება, იმიტომ, რომ მან უკვე თვითონ დაგვარწმუნა თავისი გამონათქვამებით ამ ჭეშმარიტებაში.

**— საინტერესოა, მწერალთა კავშირში ვინმე თუ იზიარებს ოთარაშვილის პოზიცი-**

ბაც არ უნდა იყოსო, მიმაჩნია, რომ არის წარმოუდგენელი სირცხვილი არამხოლოდ თვითონ ოთარაშვილისთვის, არამედ სრულიად ქართველი ერისთვის, ვინაიდან ერთია, როცა ასეთ რამეს ამბობს რიგითი მოქალაქე, რომელსაც შეიძლება არ ესმოდეს, რას ლაპარაკობს, და მეორეა, როცა ამას მწერალი აცხადებს, კაცი, რომლის უპირველესი ფუნქციაც, თავისი მოწოდებიდან გამომდინარე, ერის სულიერი გაერთიანება და ერთ მუშტად შეკვრა უნდა იყოს და არა დაქსაქსვა და დაქუცმაცება. **არ ვიცი, ამას რა დავარქვა და რა ახსნა მოვუძებნო, ვერც ის გამიგია, რამ გააგიჟა ეს კაცი, მაგრამ ერთი რამ ფაქტია: რაც მან იკადრა, ეს არის საზიზღრობა!**

**— ბევრს ჰგონია, რომ ოთარაშვილის ნათქვამი „ანთოლოგიაში მეგრულს არ გავაჭაჭანებო" მიზნად გარკვეულ პროვოკაციას ისახავდა, რასაც თავისი დამკვეთიც ჰყავდა. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— არის გარკვეული ლოგიკა და საფუძველი ამ მოსაზრებაში; მაგრამ გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს იმდენად საჩოთირო, მე ვიტყოდი, გულისამრევი თემაა, რომ ამაზე საუბარიც არ მინდა. გარდა ამისა, ჩვენ, მწერლებს, პატრიარქმა მოგვიწოდა, შეგვეწყვიტა ეს კონფლიქტი და მე, უბრალოდ, არ მინდა, უწმინდესის მოწოდებას გადავუხვიო; ესეც რომ არ იყოს, არც ის მიმაჩნია საჭიროდ, რომ პასუხი გავცე ისეთი ადამიანის, მაპატიეთ და, მონაჩმახს, როგორიც ოთარაშვილია; **ეს არის კაცი, რომელმაც, ყველა სიკეთესთან ერთად, მწერალთა კავშირს ბოლშევიკური ორგანიზაცია უწოდა, მაშინ, როცა სულ რამდენიმე თვის წინათ სრულიად საპირისპიროს გაიძახოდა და ვითომ მკერდით იცავდა იმავე მწერალთა კავშირსა და მის უფლებებს.** რა უნდა ელაპარაკო ასეთ ადამიანს. ყველამ იცის, ის ვინც არის, ამის შემდეგ კი უფრო ნათელი გახდა ყველაფერი...

**— ისე, ოთარაშვილს მარტო მეგრულზე აქვს გართულება თუ სვანურზე ან სხვა ქართულ კილოკავზეც იგივე აზრისა ბრძანდება?**

— არ ვიცი, მას რაზე აქვს გართულება და რაზე არა. და საერთოდ, არც ამათი ანთოლოგია მინდა, არც ამათი მწერლობა და არც ამათი სამსახური. მინდა, დავივიწყო ეს ამბავი, იმიტომ, რომ, როგორც გითხარით, ეს არის სირცხვილი და თავის მოჭრა ჩვენი. ასეთი რამ არ უნდა განმეორდეს არასოდეს. მაგრამ, სანამ მწერალთა კავშირში ვაჟა ოთარაშვილისნაირი ადამიანები იქნებიან, გამორიცხული არაფერია.



## ონჯღორე ვაიჩქუნო, ამხანაგ ვაჟა?!*

*არ გრცხვენია, ამხანაგო ვაჟა?!

## ვაჟა ოთარაშვილი:

## თავის მართლებას და ვინმესთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ!

**ციალა არდაშელიასა და ზურაბ თორიასთან საუბრის შემდეგ „საქართველო და მსოფლიო" კომენტარისთვის ვაჟა ოთარაშვილსა და პოეტ ვახტანგ ხარჩილავას დაუკავშირდა.**

**ვაჟა ოთარაშვილი:**

— თავის მართლებასა და მით უფრო ვინმესთვის ბოდიშის მოხდას არ ვაპირებ, მაგრამ მინდა, გითხრათ, რომ სასაცილოა ის ბრალდება, თითქოს მე რაღაც გართულება მქონდეს მეგრულ ენაზე. ეს აფსურდია, უბრალოდ, **როცა ანთოლოგია გამოსაცემად მზადდებოდა, ვთქვი, რომ ნებისმიერი სიტყვა, იქნებოდა ეს მეგრული, სვანური თუ წოვა-თუშური, ყოფილიყო ცალკე განმარტებული, როგორც ეს აკადემიურ ლიტერატურულ გამოცემას შეეფერება; ან ის ფრაზები ყოფილიყო ქართულად და დაბლა ყოფილიყო მეგრულად... ეს იყო ჩემი პოზიცია და დღესაც ამ აზრზე ვარ,** რომ ნებისმიერი აკადემიური გამოცემა უნდა იცავდეს ლიტერატურულ-ენობრივ ნორმებს, დიალექტები კი უნდა იყოს განმარტებული სქოლიოში. მე მგონი, ამაში ვინმე რამე ანტიმეგრულს არ უნდა ხედავდეს და, საერთოდ, მსგავსი თემებით არ უნდა ხდებოდეს მანიპულირება, იმიტომ, რომ ეს არის აბსურდი და ამ აბსურდით ისევ და ისევ საზოგადოება შედის შეცდომაში...

**ვახტანგ ხარჩილავა:**

— ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, ადამიანს მწერალი ერქვას და ასეთ სისულელეს ამბობდეს. არ ვიცი და ვერ გამიგია, რამ შეიძლება ქართველ კაცს და მით უმეტეს მწერალს ასეთი საზიზღრობა ათქმევინოს... თვით აკაკი წერეთელი ბრძანებს, მეგრული ენა არის თვალმარგალიტების სალარო ქართულისთვის და ამ სალაროს ყველა უნდა მივუბრუნდეთ, მივუტრიალდეთო. გასაგებია, რომ ვაჟა ოთარაშვილიც მწერალი და პოეტია, მაგრამ, თუ აკაკი ამას ამბობდა, ვინ არის ოთარაშვილი, რომ წამოჭიმულა და უტიფრად იძახის, მეგრულს არ გავაჭაჭანებო. ეს არის ანტიქართული, ანტიეროვნული განცხადება; ანტისახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანის სულისკვეთება ჩანს ამ სიბინძურეში... სხვა რა უნდა ვთქვა იმაზე, რომ კაცი ასეთ სისაძაგლეს ამბობს, რითაც აკნინებს და შეურაცხყოფს არა მარტო მეგრულ ენას და სამეგრელოს, არამედ მთელს ერსა და საქართველოს. ისე, ზოგადად, ანტიმეგრული კამპანია არ დაწყებულა გუშინ და გუშინწინ. ეს გაცილებით უფრო დიდი ხნისწინანდელი ამბავია და ვეჭობ, რომ ოთარაშვილის გამონათქვამიც ამ კამპანიის გაგრძელება და გამოძახილია. **თუ ეს მართლა ასეა, მაშინ, ამ კაცის სახით, საქმე ძალიან დიდ უბედურებასთან გვქონია და, უბრალოდ, არ შეიძლება, ასეთი ადამიანი იყოს მწერალთა კავშირის გამომცემლობის სათავეში.** ეს უზნეობაა და ამაზე ხმა უნდა ალიმაღლოს, პირველ რიგში, იმ ხალხმა, ვგულისხმობ მწერლებს, რომლებმაც ყველაზე კარგად იციან, რა ხდება და რა ანტიეროვნული ძალებიც ტრიალებს ჩვენ გარშემო...

## ზურაბ თორია:

## არც ამათი ანთოლოგია მინდა, არც ამათი მწერლობა და არც ამათი სამსახური

**ას ანთოლოგიაში მეგრული სიტყვების გაჭაჭანება-არგაჭაჭანებასთან დაკავშირებით...**

— არავინ, არც ერთი მწერალი, არც ერთი წევრი ამას არ ეთანხმება; პირიქით, ყველა ამბობს, რომ ეს არის არანორმალური და არაჯანსაღი დამოკიდებულება.

**— როგორც გავიგე, მწერალთა კავშირს შენობას ისევ ართმევენ. როგორ ფიქრობთ, ოთარაშვილის ნათქვამზე ატეხილ სკანდალთან ამას რაიმე კავშირი აქვს?**

— რა თქმა უნდა, აქვს. მეტსაც გეტყვით, **ეს ბინძური პროვოკაცია ოთარაშვილმა სწორედ იმისთვის მოაწყო, რომ მწერალთა კავშირისთვის სახლი წაერთმიათ.**

არა, არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ყველაფერი მას თავისი სიბრიყვით მოსვლოდა, თუმცა ეს ნაკლებად სარწმუნოა, რეალური კი ის არის, რაც მოგახსენეთ. მაგრამ ვიმეორებ: მიზეზთა და მიზეზთა გამო ახლა ამაზე ვრცლად საუბარს არ ვაპირებ; **ხოლო, თუ ძალიან გაინტერესებთ, ვინ არის პატივცემული ოთარაშვილი, რა ძალები დგას მის უკან და რა აქვს მას მეგრული ენის საწინააღმდეგო, რომ ჩაწყნარდება ეს ამბები, მობრძანდით და მზად ვარ, ამაზე დეტალურად ვისაუბრო...**

**ზურაბ თორია:**

— ის, რაც ვაჟა ოთარაშვილმა ბრძანა, ანთოლოგიაში მეგრული სიტყვების ჭაჭანე-

**P.S. როგორც ყველა სკანდალურ ამბავს, მწერალთა კავშირში განვითარებულ მოვლენებსაც, ბუნებრივია, საზოგადოებაში დიდი მითქმა-მოთქმა და დაპირისპირების მიზეზებზე ვერსიების ცვენა მოჰყვა. ითქვა, რომ მწერლებმა ფული ვერ გაიყვეს და ერთმანეთს ამის გამო დაერივნენო, რომ ვიღაცას პირველობის სურვილი მოზღვავებია და მწერალთა კავშირის თავმჯდომარეობაზე გამოუთქვამს პრეტენზიაო. მაგრამ სინამდვილეში სიმართლე არც ერთია და არც — მეორე. როგორც ჩანს, რეალურად დაპირისპირება იმან გამოიწვია, რომ მსოფლიოში რკინის მადნის მოპოვება შემცირდა, რამაც თავისთავად ფოლადის ფასიც გაზარდა და საბოლოოდ მთელს დუნიაზე მახათის დეფიციტი გამოიწვია...**

**ჯაბა ჟვანია**

2 — 8 თებერვალი, 2011 წელი. №03 (94)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

## გაჟურნაზეებული



**დიკ მარტი, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომისიის ხელმძღვანელი:**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გადაწყვეტა ვერ შეძლო... ეს სასწაული იქნებოდა, ამ სფეროში კი საოცრებები არ ხდება. ჩვენ ვიპოვეთ საჭირო განწყობა. პრობლემა რთულია, თუმცა ჩვენ ვიპოვეთ გზა, როგორ გავაგრძელოთ ამ საკითხის განხილვა. ჩვენ აღარ გვეყოლება მომხსენებლები მხოლოდ 2008 წლის კონფლიქტის საკითხებზე. ამიერიდან გვეყოლება მომხსენებლები ქვეყნების — რუსეთისა და საქართველოს შესახებ, რომლებიც სიტუაციას დააკვირდებიან...

*„პირველი“*



**ირაკლი სესიაშვილი, ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში:**

ურთიერთობის დათბობა სახელმწიფოსთან, რომელიც პრინციპულ წინააღმდეგობაშია დასავლეთთან და რომლის შიგნით სამოქალაქო დაპირისპირების დიდი მუხტი არსებობს, საქართველოს კარგს არაფერს მოუტანს. არ არის გამორიცხული, გარკვეული არეულობის შემთხვევაში, რისი ალბათობაც მაღალია, საქართველოს საზღვრებს ლტოლვილთა ნაკადი მოაწყდეს. ფაქტობრივად, უვიზო რეჟიმში მყოფი ირანიდან დაძრულ ამ ნაკადს ვერანაირად შევაჩერებთ.

*„პირველი“*



**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი:**

როდესაც აფხაზეთის ომის დროს სააკაშვილი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში ლაღობდა, ესენი, იმ გარდაცვლილ ბიჭებთან ერთად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად იბრძოდნენ — ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას იცავდნენ. როდესაც გამოდიხარ და უწმაწურ სიტყვებამდე დაგყავს ეს ყველაფერი, შეურაცხყოფ აფხაზეთში ნაბრძოლებსაც და სრულიად საზოგადოებასაც, ეს არის თავხედობის მწვერვალი, რაც, უპირველესად, სააკაშვილის აღზრდის პრობლემაა და ამის მაგის აღმზრდელებს უნდა რცხვენოდეთ.

*„ყველა სიახლე“*



**მარიამ ლორთქიფანიძე, პროფესორი:**

გავიხსენოთ, რამდენი უცხოელი ცხოვრობს საქართველოში და თითქმის ყველასთან გართულებული გვაქვს ურთიერთობა, ებრაელების გარდა. ყველა რაღაცას გვედავება. რა საჭიროა კიდევ სხვა ეთნიკური ელემენტის დამატება? მესმის, რომ სოფლის მეურნეობა ჩვენთან ჩავარდნილია და ბურები კარგი მეურნეები არიან, მაგრამ შეუქმნან ქართველებს პირობები, დაასახლონ დაცარიელებულ მიწებზე, რომელიც ბევრი გვაქვს. დაეხმაროს სახელმწიფო, აზრი რომ ჰქონდეს აქ სოფლის მეურნეობის წარმოებას.

საერთოდ, რა საჭიროა აქ უცხოელების ჩამოსახლება, არ მესმის. მით უმეტეს, რომ დემოგრაფიული ბალანსი ქვეყანაში ჩვენს საწინააღმდეგოდ იცვლება. 10-20 წლის შემდეგ ძალიან ცოტა ქართველი დარჩება საქართველოში.

*„ყველა სიახლე“*

# დასავლეთმა საქართველოს პატრიარქს ღიადაც შეუტია?



**შარშან, 29 დეკემბერს, როდესაც მომავალი წლის პოლიტიკურ პროგნოზს ვადგენდით, გამოვთქვი მოკრძალებული ვარაუდი, რომ წლის დასაწყისიდანვე გარკვეული ძალების მიერ საქართველოს საპატრიარქოს წინააღმდეგ სერიოზული შეტევა განხორციელდებოდა. 27 იანვარს „The National Interest“-ში გამოქვეყნდა წერილი, რომელიც გარკვეული რაკურსით შეიძლება განვიხილოთ, როგორც მკაფიო სიგნალი იმისა, რომ მზადება ამ სავარაუდო შეტევისთვის გადამწყვეტ სტადიაში შედის.**

> **თომას დე ვაალი:**
> **„პატრიარქმა პოლიტიკაშიც შეაბიჯა, მაგალითად, მან საქართველოს განათლების სადავო მინისტრი დიმიტრი შაშკინი გააკრიტიკა... და პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღეს აღმოაჩინა, რომ ჰყავს ერთი პოტენციური კრიტიკოსი, რომელიც თვით კრიტიკაზე მაღლა დგას“**

ერთი ციტატა, რომელიც წერილის შინაარსზე საკმაოდ მყარ შთაბეჭდილებას ქმნის: **„პატრიარქმა პოლიტიკაშიც შეაბიჯა, მაგალითად, მან საქართველოს განათლების სადავო მინისტრი დიმიტრი შაშკინი გააკრიტიკა. რუსეთში, მიუხედავად მთელი მისი ძლევამოსილებისა, წარმოუდგენელია, რომ პატრიარქი მმართველ ელიტას საკვანძო პოლიტიკურ საკითხთან დაკავშირებით დაუპირისპირდეს. საქართველოში ახლა ეს შესაძლებელია და პრეზიდენტმა სააკაშვილმა დღეს აღმოაჩინა, რომ ჰყავს ერთი პოტენციური კრიტიკოსი, რომელიც თვით კრიტიკაზე მაღლა დგას“** (აქ და შემდგომ „foreignpress.ge“-ს თარგმანი).

ერთი შეხედვით, ეს მხოლოდ ერთი პუბლიკაციაა, თუმცა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ მისი ავტორი **„კარნეგის ფონდის“** ექსპერტი, „Institute for War & Peace Reporting“-ის ყოფილი დირექტორი თომას დე ვაალია. **ამ ავტორის პუბლიკაციებსა და სააკაშვილის ქმედებებს შორის უცნაური ურთიერთკავშირი არაერთგზის დაფიქსირდა.** მათ შორის გასული წლის სექტემბერში, როდესაც სააკაშვილის გამოსვლას გაეროში („ერთიანი კავკასიის“ იდეის გახმოვანებით) წინ უძღოდა დე ვაალის პუბლიკაცია „Foreign Policy“-ში; კავშირი ამ ორი ადამიანის მიერ გაჟღერებულ იდეებს შორის თვალშისაცემი იყო **(თემა ვრცლად განხილულია „საქართველო და მსოფლიოს“ 22 და 29 სექტემბრის ნომრებში).**

რა თქმა უნდა, ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ დე ვაალის ტექსტები სააკაშვილის შთაგონების წყაროა, ან კიდევ იმას, რომ **დე ვაალი პირველი ახმიანებს მსოფლიო პოლიტიკის მაღალ წრეებში გაჟღერებულ იდეებს,** თუმცა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას: დე ვაალის ბოლო წერილი **„პატრიარქების გაზაფხული“** თითქოს ისეა შედგენილი, რომ სააკაშვილზე გარკვეული ზემოქმედება მოახდინოს: მაგალითად, წერილის დასაწყისშივე აღნიშნულია, რომ **პატრიარქის „გამაოგნებელი რეიტინგი“ ბევრად აღემატება სააკაშვილის რეიტინგს. შემდეგ ნათქვამია, რომ პოლიტიკურ ლიდერებს ამ „ძლევამოსილ სიმბოლოსთან“** (პატრიარქებთან საქართველოსა და რუსეთში. — ავტ.) **„ასოცირება სჭირდებათ“, ხოლო პატრიარქები „ამ ვითარებას თავისი პოლიტიკური მიზნების გასატარებლად იყენებენ“.** ამ ორ ფრაზას შორის ჩართულია უცნაური პასაჟი: **„სააკაშვილი ტემპერამენტითა და შეხედულებებით შორსაა ორთოდოქსული ღვთისმოსაობისგან, მაგრამ ამასწინათ საჯაროდ გამოხატა პიეტეტი პატრიარქისადმი და მანამდე შვილის ნათლობაზე თანხმობა განაცხადა“** („No comment“, რომ იტყვიან).

დე ვაალი აღნიშნავს, რომ საქართველოსა და რუსეთის პატრიარქების **„სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ერთი რამ, რაც მათ გააკეთეს, ერთმანეთთან კარგი ურთიერთობების დაცვაა“,** თუმცა ორი პატრიარქისა და ორი ეკლესიის ურთიერთობის განხილვის შემდეგ მოდის შემდეგი ფრაზა: **„მოსკოვის პატრიარქი „ახლო საზღვარგარეთში“, ალბათ, რუსეთის რბილი ძალის ყველაზე ეფექტური ინსტრუმენტია“.** მთელი რიგი ადამიანებისთვის როგორც დასავლეთში, ისე საქართველოში (მათ შორის, სავარაუდოდ, ხელისუფლებაში) ეს საფრთხეზე მიმანიშნებელი სიგნალია.

მარტივად რომ ვთქვათ, **პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის გამო კუთხეში მიმწყვდეულ და, შესაბამისად, ძლიერ განერვიულებულ სააკაშვილს თითქოს ყურში ჩასჩურჩულებენ, რომ არსებობს ადამიანი, რომელსაც მასზე დიდი რეიტინგი და ავტორიტეტი გააჩნია, რომ ის პოლიტიკაში ერევა, რომ ის მჭიდრო ურთიერთობებს ინარჩუნებს რუსეთის ინტერესების მთავარ გამტარებელთან და, ამასთანავე, კრიტიკაზე მაღლა დგას.** არადა, სააკაშვილი მკვეთრ და ნაკლებად ადეკვატურ ქმედებას მაშინაც იწყებდა, როდესაც წარმოსახვითი საფრთხე მისი ხელისუფლებისთვის გაცილებით ნაკლები იყო. საინტერესოა, ხომ არ არის ეს მიზანმიმართული პროვოკაცია?

**რა თქმა უნდა, გამორიცხული არაა, რომ საქმე მხოლოდ დამთხვევასთან გვქონდეს და დე ვაალის პუბლიკაცია პატრიარქთან დაპირისპირებული ძალებისთვის არანაირ შენიღბულ გზავნილებს არ შეიცავდეს და არც სააკაშვილის „ამხედრებას“ ისახავდეს მიზნად, თუმცა გარკვეული სიფრთხილე, ალბათ, მაინც გვმართებს; სიფრთხილეს, როგორც ცნობილია, თავი არ სტკივა.**

**დიმიტრი მონიავა**

## მოკლედ

### თეთრ სახლს ახალი პრეს-მდივანი ჰყავს

**თეთრი სახლის ახალი პრეს-მდივანი ყოველკვირეულ გაზეთ „Time“-ის მოსკოვის ბიუროს ყოფილი კორესპონდენტი, 45 წლის ჯეი კარნი იქნება.** ამ საკადრო ცვლილებას აშშ-ის პრეზიდენტი უკვე დაეთანხმა, ოფიციალურად კი ამის თაობაზე უახლოეს მომავალში გამოცხადდება. ამერიკის ლიდერის ახლანდელი ოფიციალური წარმომადგენელი რობერტ გიბსი თანამდებობას თებერვლის შუა რიცხვებში დატოვებს და ობამას წინასაარჩევნო კამპანიით დაკავდება. კარნი ამ ეტაპზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტის — ჯოზეფ ბაიდენის აპარატში საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორია. თეთრ სახლში იგი 2009 წლიდან მუშაობს, მანამდე კი მრავალი წლის მანძილზე ჟურნალისტად მუშაობდა. აქამდე მას ობამასთან პირადი ურთიერთობა პრაქტიკულად არ ჰქონია.

### ბელარუსი შეცდომებს აღიარებს

**დეკემბერში მინსკში გამართულ საპროტესტო აქციებზე დაკავებულ ოპოზიციის მომხრეთა ადმინისტრაციული საქმეების განხილვისას რამდენიმე სასამართლო შეცდომა დაუშვეს.** ამის თაობაზე ქვეყნის გენერალურმა პროკურორმა გრიგორი ვასილევიჩმა განაცხადა. მისი თქმით, ოპოზიციონერებს ზოგიერთი ადმინისტრაციული სასჯელი უკანონოდ დაეკისრათ, თუმცა პროკურორმა დაკონკრეტებისგან თავი შეიკავა. მისი მტკიცებით, შეცდომები ბევრი არ იყო, სულ — ხუთიდან შვიდამდე. საუბარია 19 დეკემბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყანაში დაწყებულ მასობრივ გამოსვლებზე და ხელისუფლების მხრიდან 600-ზე მეტი ადამიანის დაკავებაზე, რომელთა უმეტესობის ქმედება ხელისუფლებამ ადმინისტრაციულ დარღვევად შეაფასა.

### დომოდედოვოს „ქვის“ ბომბი

**დომოდედოვოს აეროპორტში აფეთქებული ბომბი, სავარაუდოდ, გრანიტის ნამსხვრევებისგან იყო შედგენილი.** ამგვარი ასაფეთქებელი მოწყობილობები ყველაზე მეტად პალესტინელი ტერორისტებისთვისაა დამახასიათებელი. ამ ტიპის „თვითმკვლელის ქამარს“ მეტალის მაძიებელი ჩარჩოები ვერ აფიქსირებს. გარდა ამისა, გრანიტის ნამსხვრევს მძლავრი გამანადგურებელი მოქმედება ახასიათებს, დაზარალებულთა სხეულებიდან მისი ამოცლა თითქმის შეუძლებელია. რუსეთის ტერიტორიაზე ამგვარი ბომბები ამ დრომდე არავის გამოუყენებია. თავდაპირველად თვითმკვლელის ბომბი მეტალის ელემენტებისგან შედგენილად ჩაითვალა, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ დაზარალებულების სხეულში აღმოჩენილი მეტალის ნამსხვრევები საბარგული ურიკების ნამსხვრევები იყო.

### აშშ-ის ახალი რეკორდი

**კონგრესის საბიუჯეტო სამმართველოს გათვლით, აშშ-ის ბიუჯეტის დეფიციტი 2011 წელს ახალ რეკორდს დაამყარებს და 1,5 ტრილიონ დოლარს შეადგენს.** ამის უმთავრესი მიზეზი უმნიშვნელო ეკონომიკური ზრდა, სახელმწიფო დანახარჯების ზრდა და საგადასახადო შეღავათების ახალი დონე გახდა. ამრიგად, გასულ წელთან შედარებით, ბიუჯეტის დეფიციტი 200 მილიარდი დოლარით გაიზრდება. მიმდინარე ფინანსური წელი 30 სექტემბერს დასრულდება და ბიუჯეტის დეფიციტი ამ წელს საერთო შიდა პროდუქტის 9,8%-ს შეადგენს. უკანასკნელად ამგვარი თანაფარდობა მეორე მსოფლიო ომის დროს დაფიქსირდა. საბიუჯეტო სამმართველომ ანგარიში პრეზიდენტ ობამას კონგრესში გამოსვლიდან ერთ დღეში გამოაქვეყნა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რა უქნა წუხელ მშობელმა №1*-მა მშობელ №2*-ს?!

**1 თებერვლიდან აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალურ დოკუმენტებში სიტყვები „დედა“ და „მამა“ გაქრება. მათ შეცვლის ტერმინები: „მშობელი №1“ და „მშობელი №2“. ამ ცვლილებების მიზეზი გახშირებული ერთსქესიანი ქორწინებებია.**




**ვერაფრით მიხვდებით, რომელია დედა და რომელი — მამა. ამიტომ, უპრიანია, დავნომროთ — №1 და №2**

**„ბავშვი დაჩაგრულად არ უნდა გრძნობდეს თავს იმის გამო, რომ მშობლები, მაგალითად, „მამა“ და „მამა“ არიან“,** — ასე მიაჩნიათ სექსუალურ უმცირესობათა ამერიკელ წარმომადგენლებს.

დღევანდელი მდგომარეობით, ერთსქესიან ამერიკულ ოჯახებში ნახევარ მილიონზე მეტი ბავშვი იზრდება. სტატისტიკის მიხედვით, ყოველი მესამე ქალური და ყოველი მეოთხე მამაკაცური წყვილი აშშ-ში ერთ ბავშვს მაინც ზრდის.

დიდებული იდეაა, რას იტყვით? აზრი, რომ დემოკრატია არ იქნება ჰომოსექსუალთა ქორწინების დაშვების გარეშე, საინტერესოა, რამდენად გახდება ჩვენთან აქტუალური. **ამერიკის შეერთებული შტატები ხომ ჩვენი უფროსი ძმადნაფიცი და სტრატეგიული პარტნიორია, ჩვენი ხელისუფლება გამუდმებით ამერიკისკენ და მისი იდეოლოგიისკენ მიილტვის და, ალბათ, ჩვენთანაც მოინდომებენ მსგავსი შესწორებების შეტანას დოკუმენტებში.**

**რეზო ამაშუკელი, პოეტი:**

— ჩემთვის ყოველნაირად მიუღებელია ეს ცვლილება. რანაირად შეიძლება იყოს მისაღები, როცა პედოფილიამ და ჰომოსექსუალიზმმა წალეკა ამერიკა. მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ და მძულს ასეთი რაღაცები. ქართველი ხალხი მსგავს რაღაცებს ვერასდროს შეეგუება. **თუ აქამდე „მშობელი №1“ და „მშობელი №2“-ია, მალე იქნება „მშობელი №3“. არაფერია გამორიცხული. ამას სპეციალურად ნერგავენ აქ თავისუფლების ინსტიტუტიდან დაწყებული, ნოდიები, ჯგერენაიები, ლადარიები და ეს უბინძურესი ტელევიზიები, განსაკუთრებით ტელეკომპანია „იმედი“.**

ქართულ კულტურას, მართლმადიდებლობას, ტრადიციებს ებრძვიან, რომ წაშალონ ყველაფერი. უამრავ სასტუმროს, იცით, რატომ აშენებენ ჩვენთან? რომ ჩამოიყვანონ უცხოელები და ქართველები აღარ დავრჩეთ აქ. ჩვენი განადგურება უნდათ, ქართველი ერის და თვითმყოფადობის. ჩვენი სულიერი მოტეხვა, ჩვენს სულში შეძრომა სურთ. და ამას ვინ აკეთებს, იცით? მახინჯი სულისა და გარეგნობის ადამიანები — ბოკერიები და მისთანანი. როდესაც რწმენა არ გააჩნია კაცს, ის ყველაფერს იკადრებს. **გინახავთ ვინმეს ბოკერია ეკლესიაში ერთხელ მაინც? რატომ უნდა მოთხოვო ბენდუქიძეს, ასეთი გარეგნობის კაცს, რომ არ გარყვნას ქვეყანა და იფიქროს საქართველოს ბედზე?** გარეგნობა შეიძლება არაფერ შუაშია, ვგიჟდები, როდესაც პეტროსიანს ვუსმენ. მთავარი გარეგნობა არაა, არამედ ის, რამდენად სუფთა სული გაქვს.

ამ ბოლო დროს თითქოს ერთგვარ მოდად იქცა ჩვენში ღიად საუბარი ჰომოსექსუალებზე. „მერიოტშიც“ რომ მკვლელობა მოხდა, არ მგონია, რასაც ოფიციალურად აცხადებდნენ, ის ვერსია სწორი იყოს, სხვა ამბავია მანდ. გამოდიან და აღარც რცხვენიათ. ყველა გაირყვნა და გადაჯიშდა. **ქართველი მომღერლები შემძულდნენ, ხელისუფლების მაღალ ეშელონებზე რომ აღარაფერი ვთქვა, სადაც ბევრი პედერასტია. ისეთ დღეში არიან ჩვენი ქართველი მომღერლები, ლამის შიშვლები გამოვიდნენ და სასირცხვოთი ჩამოეკიდონ მიკროფონებზე.**

ჯერ კიდევ 10 წლის წინათ ვწერდი ამაზე, რომ მოსალოდნელი იყო მსგავსი რამ ჩვენს რეალობაში, მაგრამ არავინ მისმენდა, მზად არ იყო ქართული საზოგადოება ამისთვის. ამ პრობლემას მარტო ერთი და ორი ადამიანის გამოკითხვა არ უშველის. ყველანი უნდა დავდგეთ ამის წინააღმდეგ. პირველ რიგში, პასუხი ჟურნალისტებს მოეთხოვებათ, რომლებიც უცებ იტაცებენ მსოფლიო ტენდენციებს და ცდილობენ, ერთგვარ მოდად აქციონ ჩვენთან. **ტელევიზიით მიდის ყველანაირი სიბინძურის პროპაგანდა. საამაყო მწერლებად ზაზა ბურჭულაძე და ერეკლე დეისაძე რომ გვეყოლება და მათ ნაწარმოებებს ბაკურ სულაკაური დაბეჭდავს, ეს იდიოტი, მეტი რაღა უნდა ვილაპარაკო?** შვილიშვილები, შვილთაშვილები მყავს და ჯერჯერობით, სანამ ცოცხალი ვარ, ისე გავზრდი, როგორც ნამდვილ ქართველს შეეფერება. ცოტა თუ არ გამოფხიზლდა ჩვენი საზოგადოება და ხმა არ აღიმაღლა ამ პრობლემის წინააღმდეგ, ერთსქესიანი ქორწინებები აღარავის გააკვირვებს და მითუმეტეს — სიტყვების — „დედა“ და „მამა“ — ამოღება ხმარებიდან.

ჩემი უპირველესი სურვილია, ქართველმა ერმა თავისი თვითმყოფადობა, ეროვნული სული შეინარჩუნოს და სხვა ერებში არ აითქვიფოს. თუ საქართველოს გადარჩენა უწერია, უპირველესად, ზნეობაზე უნდა ვილაპარაკოთ და არა დღესასწაულებსა და ტაშფანდურზე. როგორც ჩანს, ვიღაც-ვიღაცებს უნდათ, რომ ქართული სული ჩაკლან, მაგრამ არ გამოუვათ!

**რევაზ მიშველაძე, მწერალი:**

— ჩემი ასაკის კაცისთვის აბსოლუტურად გაუგებარია ასეთი აუხსნელი დათბობა საზოგადოებისა და კანონისა ერთსქესიანი ქორწინებების მიმართ. ახლა არ ვიცი, როგორ ჰქვია, მაგრამ ჩემს ახალგაზრდობაში ყოველგვარ გადახრას ნორმალური სქესობრივი ურთიერთობიდან გაუკუღმართებული ცხოვრება ერქვა, ესეც — №1 და №2 მშობლების ჩაწერაც დოკუმენტებში — გაუკუღმართებული ცხოვრების დაკანონება იქნება.

ერთ პერიოდში ამერიკაში კანონი ჰომოსექსუალებს ჯარში სამსახურს უკრძალავდა. ამ ბოლო დროს ამერიკამ ეს კანონი გააუქმა, ახლა ასე აღარაა. **გაუკუღმართება ნორმალური სამემკვიდრეო, საშთამომავლო, ეროვნული ცხოვრებისა მაშინ დაიწყო, როდესაც საბუთებში ჯერ ეროვნება და შემდგომ მამის სახელი წაგვიშალეს.** არ ვიცი, ვის რაში უშლიდა ხელს მამის სახელი. აი, მამის სახელის წაშლის გაგრძელებაა, რასაც თქვენ მეუბნებით. **არ გამიკვირდება, რომ საქართველოს ხელისუფლებამაც შემოიღოს მსგავსი საშინელება კანონში.**

ასე რომ, თუ არ გამოვფხიზლდით, ჩვენ მივექანებით ადამიანის სახის წაშლის იმ გლობალური, სოროსული ოკეანისკენ, რომელიც ჯერ პატარა ერებს ჩაყლაპავს და მერე მთლიანად მსოფლიოს დაანგრევს, ცივილიზაციას მოსპობს.

**ლილი მიროტაძე**

* მშობელი №1 — (ამერიკ.) მამა (სავარაუდოდ);
* მშობელი №2 — (ამერიკ.) დედა (პოზას გააჩნია).

# «კვალიფიკაციის ასამაღლებლად» ამჯერად გელა ბეჟუაშვილი გაუშვეს



**პრეზიდენტის პრესსპიკერის — მანანა მანჯგალაძის განცხადებით, ბეჟუაშვილი აშშ–ში კვალიფიკაციის ასამაღლებლად იმყოფება და სასწავლო კურსების დასრულების შემდეგ დაკავებულ თანამდებობაზე მუშაობას განაგრძობს. „სასწავლო კურსები, მაქსიმუმ, 1,5 თვეს გასტანს“, — დასძინა მანჯგალაძემ.**

აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ გასულ კვირას პრესაში ბეჟუაშვილის თანამდებობიდან გადადგომის შესახებ სხვადასხვა ინფორმაციები გავრცელდა, თუმცა რა მიზეზით გადაწყვიტა საგარეო დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა პოსტის დატოვება, უცნობია.

ჯერჯერობით არც ის არის ცნობილი, ვინ დაიკავებს მის ადგილს.

შეგახსენებთ, რომ **„კვალიფიკაციის ასამაღლებლად“ საზღვარგარეთ რამდენიმე დღის წინათ კიდევ ერთი თანამდებობის პირი, საპატრულო პოლიციის ხელმძღვანელი გოგა გრიგალაშვილი გაუშვეს.** საქინფორმის ინფორმაციით, გრიგალაშვილს დაკავებული თანამდებობიდან გადადგომა აქვს დაგეგმილი. მის ადგილს კი, სავარაუდოდ, თბილისისა და მცხეთა–მთიანეთის მთავარი სამმართველოს უფროსი გიორგი გეგეჭკორი დაიკავებს, რომელიც ამჟამად სწორედ მის მოვალეობას ასრულებს.

საქინფორმი ჯერ კიდევ გუშინ წერდა იმის შესახებ, რომ მმართველ გუნდში სერიოზული შიდა დაპირისპირებაა. ბეჟუაშვილისა და გრიგალაშვილის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციებთან ერთად თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რამდენიმე კვირის წინათ შს მინისტრის – ვანო მერაბიშვილის დაცვის წევრებმა პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი გივი თარგამაძე სცემეს, არ არის გამორიცხული, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები ერთმანეთს მართლაც სერიოზულად დაუპირისპირდნენ.



*საქინფორმი*

## მოკლედ

### რუსეთი ახალი დიალოგის მომხრეა

**რუსეთი თეირანსა და საერთაშორისო შუამავლების ექვსეულს (რუსეთი, ჩინეთი, აშშ, საფრანგეთი, ბრიტანეთი, საფრანგეთი) შორის ირანის ბირთვულ პრობლემასთან დაკავშირებით მოლაპარაკებების გაგრძელების მომხრეა.** ამის შესახებ მოსკოვში რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა. გასულ კვირას ირანისა და „ექვსეულის“ შეხვედრა სტამბოლში გაიმართა. ორდღიან შეხვედრას ევროკავშირის საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენელი კეტრინ ეშტონიც ესწრებოდა. შეხვედრაზე ირანის ბირთვული პროგრამის დარეგულირების საკითხი განიხილებოდა, მაგრამ, როგორც ამ შეხვედრის შეჯამებისას ეშტონმა განაცხადა, მხარეებმა რაიმე შედეგს ვერ მიაღწიეს.

### აშშ საფრთხეებზე აღარ გამოაცხადებს

**აშშ-ის ნაციონალური უშიშროების სამინისტრო უარს იტყვის ქვეყანაში მოქმედი იმ სისტემის გამოყენებაზე, რომლის პირობებშიც ტერორისტული საფრთხეების შესახებ წინასწარ ცხადდებოდა.** აქამდე მოქმედი სისტემის შესაბამისად, ფერად შკალაზე ხუთი ფერიდან თითოეული ტერორისტული საფრთხის დონეზე მიუთითებდა. ეს სისტემა აშშ-ში 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ შემოიღეს. მას შემდეგ ამერიკის აეროპორტებში აცხადებენ ფერს, რომელსაც მოცემულ მომენტში შეესაბამება ტერორისტული საფრთხე, ხალხმრავალ ადგილებსა და მაგისტრალებზე ამ ფერებს სპეციალური ფარები ასახავს. კანონმდებლები მიიჩნევენ, რომ სისტემა 11 სექტემბრის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე თვის მანძილზე იყო ეფექტური.

### ჰიტლერის უკანასკნელი მცველი ავადაა

**ადოლფ ჰიტლერის პირად მცველთაგან ერთადერთმა ამ დრომდე ცოცხალმა როხუს მიშმა განაცხადა, რომ ჯანმრთელობის გაუარესების გამო უამრავი თაყვანისმცემლის წერილებს პასუხს ველარ გასცემს.** მიში ამჟამად 93 წლისაა და მას ამ დრომდე უამრავი ადამიანი სთხოვს ავტოგრაფის გაგზავნას. ადრე იგი უკლებლივ ყველა თაყვანისმცემელს უგზავნიდა ესესელის ფორმაში გადაღებულ საკუთარ ფოტოს. ჰიტლერის მცველს, როგორც თავად ამბობს, შეურაცხმყოფელი ან მუქარის შემცველი წერილები არასდროს მიუღია. მეორე მსოფლიო ომის დროს მიში, ჰიტლერის პირადი დაცვის გარდა, მისი შტაბ-ბინის ტელეფონისტის ფუნქციასაც ასრულებდა და ხანდახან კურიერისასაც. ფიურერის თვითმკვლელობის შემდეგ, იგი საბჭოთა ჯარისკაცებმა ტყვედ აიყვანეს და ცხრა წელი ციხეებში გაატარა.

### კაპიტანმა აღიარა

**თანამდებობიდან გადაყენებულმა ბუნდესვერის გემის „გორხ ფოკის“ პირველი რანგის მეთაურმა ნორბერტ შატცმა აღიარა, რომ გემზე კურსანტებს დამამცირებლად მიმართავდა და სახალხოდ უწოდებდა მათ „არასრულყოფილ ადამიანურ მასალას“.**

შესაბამისი განცხადება 53 წლის შატცმა ვიცე-ადმირალ აქსელ შიმპთან სატელეფონო საუბრისას გერმანიაში გაჩაღებული სკანდალის მიზეზებზე საუბრისას გააკეთა. 2010 წლის ნოემბერში ზემოხსენებული გემის კურსანტებმა აჯანყება სცადეს. შატცი კურსანტებს „არასრულფასოვან ადამიანურ მასალას“ მას შემდეგ უწოდებდა, რაც 25 წლის ზემდეგი ზარა ლენა ზელე გემის ანძიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაიმტვრა.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

## გამოხმაურებები



**ილია მეორე,**
**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი:**

მე განსაკუთრებით მინდა, რომ ჩვენ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონისათვის ვილოცოთ. ღმერთმა გვაპატიოს ჩვენც და იმათაც ის შეცოდება, რომელიც ერთმანეთს გავუკეთეთ. მინდა, შევთხოვო უფალს, რომ მალე შესდგეს ჩემი ჩასვლა აფხაზეთში. ილოცეთ ამისთვის! აფხაზები ჩვენი ძმები არიან ისევე, როგორც ჩვენ ვართ მათი ძმები. ილოცეთ არამარტო აფხაზებისთვის, არამედ ბერძნებისთვის, რუსებისთვის, სომხებისთვის, აზერბაიჯანელებისთვის და ეს მადლი ჩვენვე დაგვიბრუნდება.

*„პირველი“*



**მიხეილ სააკაშვილი,**
**საქართველოს პრეზიდენტი:**

რამდენიმე ხნის წინ თქვენთვის ნაცნობი ერთ-ერთი ტელევიზიის მფლობელი გამოგვეცხადა, რომელიც სულ გვლანძღავდა, ჩვენს შესახებ ტყუილებს ავრცელებდა და გვითხრა, რომ ჰქონდა პირობები. მას ბიზნესები უნდოდა. მას მისცეს ფურცელი სასურველი ბიზნესების ჩამოსაწერად და ორივე გვერდი გაავსო. ცუდია, რომ ის ფურცელი შენახული არ გვაქვს, რადგან მაშინვე დავხიე და გადავაგდე. ვუთხარი, რომ დაევიწყებინა და წასულიყო.

*„პირველი“*



**ედუარდ შევარდნაძე,**
**ექს-პრეზიდენტი:**

ოცნების უფლება ყველას აქვს, მათ შორის, პრეზიდენტს. ოცნებაში სააკაშვილს შეუძლია, დაბრუნდეს აფხაზეთში. მაგრამ, თუ ამ ოცნების რეალურად ქცევა უნდა, მაშინ რუსეთთან საუბარი უნდა შეძლოს. რეალობაში აფხაზეთის უკან დღეს რუსეთი დგას და, თუ რუსეთმა არ მოისურვა, მხოლოდ ოცნება ვეღარ გვიშველის.

*„ასავალ-დასავალი“*



**შალვა ნათელაშვილი,**
**ლეიბორისტული პარტიის თავმჯდომარე:**

სააკაშვილს დევნილებისთვის დევნილის სტატუსის გაუქმება სჭირდება იმისთვის, რომ საბოლოოდ დაგვაკარგვინოს აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი. თუ დევნილები არ გყავს, დაკარგულ ტერიტორიებზე პრეტენზიას ვეღარ გამოთქვამ, ხოლო თუ იმ დევნილს უკვე აქვს მუდმივი საცხოვრებელი და ნაკვეთი, იურიდიულად აღარ არის ლტოლვილი და დევნილი! აი, ეს გათვლა აქვს სააკაშვილს!

*„ასავალ-დასავალი“*



**ბიძინა გიორგობიანი,**
**კონსერვატიული პარტიის საერთაშორისო მდივანი:**

ობამას და სააკაშვილის შეხვედრა, სავარაუდოდ, მიმდინარე სამხედრო საკითხებს შეეხებოდა. შეხვედრა იყო ხანმოკლე და როგორც ფოტოებიდანაც ჩანს, სააკაშვილი ისმენდა ინსტრუქციას პოზაში:"როგორც გენებოთ, ბატონო!". აშშ ყველა თავის სატრაპს უჭერს მხარს, ვიდრე იმ ქვეყნის მოსახლეობა არ მივა ისეთ მდგომარეობამდე, როგორიც შეიქმნა ყირგიზეთში ან ტუნისში.

*„ყველა სიახლე“*



**შალვა ხაჭაპურიძე,**
**ადვოკატი:**

სხვათაშორის, მინდა, ამ „ავერსმა“ და „პე-ეს-პემ“ კარგად იცოდნენ: დადგება დრო, როცა მაგათ თავიანთი წამლებიც ვეღარ უშველის, ისეთ დღეში ჩააგდებს ხალხი, იმიტომ, რომ სხვა ვაი-ბიზნესმენებთან ერთად აძლიერებენ ამ კრიმინალურ რეჟიმს!

*„ასავალ-დასავალი“*



**გიორგი ახვლედიანი,**
**საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე:**

არსებობს კიდევ უფრო დიდი საშიშროება, რომელიც დევნილებს ელით. მათ ყველანაირი ეკონომიკური დახმარება შეეწყდებათ. კერძოდ, ისინი დაკარგავენ 22-ლარიან კომპენსაციას, 100 კვტ ელექტროენერგიას და 1 კბ.მ შეშას თვეში.

*„პირველი“*

# რაში გვჭირდება მიხეილ სააკაშვილი?!

**ძნელი დასადგენია, რა ესიზმრება მიხეილ სააკაშვილს, თუმცა გამორიცხული ნამდვილად არაა, რომ გასულ კვირას მას კოშმარები აწუხებდა: ალმოდებული ქალაქები პირამიდების ფონზე და დემონსტრანტების ზღვა, რომელიც სწრაფად ფარავს კოლონიური არქიტექტურის უბადლო ნიმუშებით დამშვენებულ ვიწრო ქუჩებს; მარჯვნივ — სფინქსის ღიმილი, მარცხნივ — ფარაონის მუმია; მოკლედ ყველაფერი ის, რასაც ადრე საშინელებათა ფილმებში თუ ვნახავდით, დღეს კი ტუნისში, ეგვიპტეში, არაბული სამყაროს სხვა ქვეყნებში გადაღებულ რეპორტაჟებში გვიჩვენებენ. საერთოდ, გასული კვირიდან მოყოლებული არც ერთ დიქტატორს მშვიდად აღარ სძინავს.**



### რატომ იღიმის სფინქსი?

კაცმა რომ თქვას, ტუნისელებსა და ეგვიპტელებს, ჩვენთან შედარებით, ნორმალური მდგომარეობა აქვთ: **ტუნისში უმუშევრობა 14%-ია, სიღარიბის ზღვარს მიღმა მოსახლეობის 3,8% ცხოვრობს. ეგვიპტეში შესაბამისი მაჩვენებლებია: 9,6% და 20%. ტუნისში, ამასთანავე, მეტ-ნაკლებად გამართულად ფუნქციონირებდა მრავალპარტიული სისტემა, ხოლო პრეზიდენტი ზინ აბიდინ ბენ ალი შეძლებისდაგვარად ერიდებოდა რეპრესიებს ოპოზიციის წინააღმდეგ.** ეგვიპტეში ამ კუთხით საქმე ცოტა რთულადაა, თუმცა იქ (ისევე, როგორც ტუნისში) რეალურ ეკონომიკურ პროგრესს ჰქონდა ადგილი.

**რა თქმა უნდა, ამ ქვეყნებში უამრავი უსამართლობა ხდებოდა, რამაც ბუნტის ობიექტური წინაპირობები შექმნა, თუმცა სააკაშვილის ხელისუფლების ფონზე, ორივე რეჟიმი შეიძლება არც თუ უიმედოდ მოგვეჩვენოს. ამასთან, ერთიც და მეორეც ვაშინგტონის მიმართ ხაზგასმით ლოიალური იყო.**

უკანასკნელმა გარემოებამ ქართულ საზოგადოებაში ერთგვარი გაურკვევლობა წარმოქმნა, ხოლო ხელისუფლებაში, სავარაუდოდ, შფოთის მიზეზი გახდა. ალმოჩნდა, რომ **შტატებისადმი მორჩილება სკამების შენარჩუნებისთვის საკმარისი არ არის. აქ შეიძლება დაიწეროს უამრავი ლამაზი სიტყვა ხალხის არჩევანსა და თავისუფლების ჩირაღდანზე, თუმცა, ალბათ, აჯობებს, ყურადღება პროცესის გეოპოლიტიკურ სარჩულზე გავამახვილოთ. წინაპირობები ძირგამომპალი დიქტატურების დამხობისთვის ნამდვილად არსებობს, თუმცა „უკმაყოფილების ბომბის“ აფეთქებაში მნიშვნელოვანი როლი მძლავრმა საგარეოპოლიტიკურმა იმპულსმა შეასრულა.**

ვაშინგტონის სიმპათია რევოლუციონერთა მიმართ თვალშისაცემია: ის, ხელისუფლებებს ძალის არგამოყენებისკენ, ოპოზიციას კი „ბანკეტის გაგრძელებისკენ“ (ირიბად) მოუწოდებს. ასეთი ქმედება, თითქოს ლოგიკას მოკლებული ჩანს, რადგან ლოიალური რეჟიმების დამხობა და დესტაბილიზაცია რეგიონში უფრო ძლიერს ხდის რადიკალურ, ფუნდამენტალისტურ ძალებს, რომლებიც რეგიონულ და გლობალურ უსაფრთხოებას ნამდვილად ვერ გაამყარებენ. **ჯინი, რომელსაც ობამას ადმინისტრაცია ბოთლიდან უშვებს, სულაც არ ჰგავს კეთილ ჯინს მულტფილმიდან „ალადინი“, ის გაცილებით არასიმპათიური არსებაა. რისთვის აკეთებს ამას ვაშინგტონი?**

**იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩამოშორება ხელისუფლებისგან სარგებელს მოუტანს „დიდი დესტაბილიზაციის“ სავარაუდო გეგმას, ვაშინგტონი ქართულ ოპოზიციას „მწვანეს“, ალბათ, ისევე უპრობლემოდ აუნთებს, როგორც ტუნისურს**

შესაძლოა, ამ რებუსის ამოხსნაში სხვა ქვეყანაში განვითარებული მოვლენები დაგვეხმაროს. სამხრეთ სუდანის მოსახლეობამ ახლახან ჩატარებულ რეფერენდუმზე ხმა დამოუკიდებლობას მისცა. რეფერენდუმამდე ცოტა ხნით ადრე ბარაკ ობამამ გამოაქვეყნა სტატია „New York Times“-ში, სადაც წერდა: **„ეს შესაძლებლობაა სამხრეთ სუდანის მოსახლეობისთვის. ხმის წარმატებული მიცემა გახდება საბაბი დღესასწაულისთვის და შთაგონებით აღსავსე ნაბიჯი აფრიკის გრძელ გზაზე, დემოკრატიისა და სამართლიანობისაკენ“.** საინტერესოა, არის თუ არა ეს ირიბი მოწოდება და მინიშნება სასურველ შედეგზე? რატომ გააკეთა ეს პრეზიდენტმა ობამამ?

სუდანის ნავთობის 3/4 სამხრეთშია, ჩინეთის სანავთობო იმპროტში მას ბოლო წლებში 6-10% ეკავა და, ექსპერტების შეფასებით, მომავალ ათწლეულში შეიძლებოდა 20%-მდე მიეღწია. სუდანში მოპოვებული ნავთობის 60% ჩინელების საკუთრება ხდება, მათ გაიყვანეს 1500-კილომეტრიანი ნავთობსადენი სამხრეთის საბადოებიდან ჩრდილოეთის პორტებამდე. სამხრეთ სუდანის გამოყოფის შემდეგ ეს იდილია შეიძლება დასრულდეს, მითუმეტეს, გამორიცხული არაა, რომ სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის „შთაგონებით აღსავსე“ კრიზისი და ომიც კი დაიწყოს, მითუმეტეს, რომ ნავთობით მდიდარი ტერიტორიების ნაწილი სადავოა.

**ამ კონტექსტში შეგვიძლია ჩრდილოეთ აფრიკაც განვიხილოთ, რადგან ის ენერგომატარებლების უმნიშვნელოვანესი მიმწოდებელია ევროპისთვის. მაგრამ სჯობს, ყურადღება სხვა ფაქტორს მივაქციოთ: ეგვიპტე, უპირველეს ყოვლისა, სუეცის არხია, მთავარი არტერია, რომელიც ევროპასა და აზიას (შესაბამისად, ჩინეთს) ერთმანეთთან აკავშირებს; ამასთან, ამ გზით ევროპა სპარსეთის ყურედან ნავთობს იღებს. ამ მაგისტრალზე მცირეოდენი შეფერხებაც კი აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ეკონომიკაში თორმეტბალიან მიწისძვრას გამოიწვევს (შემოვლითი გზა აფრიკის გარშემო 8-ჯერ უფრო გრძელია).**

სუეცის სამხრეთით (ყოველწლიურად ამ გზას 25000-ზე მეტი გემი მიუყვება) ბაბ-ელ-მანდების სრუტე და ადენის ყურეა, შესაბამისად, ერთის მხრივ, — სომალი, მეორეს მხრივ კი — იემენი. სომალელი მეკობრეების ამბავი ცნობილია, იემენი კი სულ უფრო არასტაბილური ხდება, სხვათა შორის, ტუნისის რევოლუციის შემდეგ მასშტაბური საპროტესტო გამოსვლები იქაც დაიწყო, თუმცა ისინი ეგვიპტეში განვითარებულმა მოვლენებმა დაჩრდილეს. ცენტრალური ხელისუფლება ტერიტორიის 35%-ს თუ აკონტროლებს, დანარჩენს — სეპარატისტი-მეამბოხეები სამხრეთში და შიიტი რადიკალები — ჩრდილოეთში. 23-მილიონიანი მოსახლეობის ხელთ 60 მილიონი ერთეული ცეცხლსასროლი იარაღია. შესაბამისად, ჩვენ სახეზე გვაქვს კრიზისის საფრთხე კომუნიკაციებზე (მაროკოში ჯერჯერობით სიმშვიდეა, ეს ქვეყანა აშშ-ის ერთგული მოკავშირეა, მაგრამ რა ვიცით, რა ხდება, მაინც არაბული სამყაროა და ჰიბრალტარის სრუტეც იქ- ▶

**წინაპირობები ძირგამომპალი დიქტატურების დამხობისთვის ნამდვილად არსებობს, თუმცა «უკმაყოფილების ბომბის» აფეთქებაში მნიშვნელოვანი როლი მძლავრმა საგარეოპოლიტიკურმა იმპულსმა შეასრულა**

საქართველო

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# დღეს სააკაშვილის ხელისუფლება ვერ ასრულებს ფუნქციას, რომელიც ბუშის ადმინისტრაციამ დააკისრა: ხისტი დაპირისპირება რუსეთთან, კონტექსტიდან სულ უფრო ამოვარდნილი ხდება

◀ ვეა), რომელიც ევროპისა და ჩინეთისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, თანაც ეს მხოლოდ ჟურნალია, კინო კიდევ უფრო საინტერესო იქნება.

## ნადირობა წითელ დრაკონზე

როდესაც ადმირალ ისიროკუ იამამოტოს ამცნეს, რომ შეტევა პერლ-ჰარბორზე იაპონიის იმპერიის სრული გამარჯვებით დაგვირგვინდა, მან სევდიანად თქვა: **„ვშიშობ, რომ ჩვენ მხოლოდ მძინარე გოლიათი გავაღვიძეთ“,** ამ ისტორიის გაგრძელება ცნობილია: პერლ-ჰარბორმა ამერიკელები ერთ მუშტად შეკრა, შტატების უზარმაზარი პოტენციალი იაპონიას დაატყდა, ხოლო კრიზისისგან გამოფიტული აშშ ომის დასრულებისთვის ზესახელმწიფოდ, მსოფლიო ეკონომიკის ლიდერად გადაიქცა.

ახლა კი ერთი შტრიხი ამ ბატალური ტილოსთვის: **1941 წლის 25 ივლისს შტატებმა იაპონიის წინააღმდეგ სანავთობო ემბარგო შემოიღეს, რომელსაც ბრიტანეთი და ჰოლანდია (მაშინ ინდონეზიის საბადოებს ფლობდა) შეუერთდა. ის გაუქმდებოდა მხოლოდ მაშინ, თუ იაპონელები ვაშინგტონის პირობებს შეასრულებდნენ, რაც კაპიტულაციის ტოლფასი იყო. ამომავალი მზის ქვეყანას ნავთობის იმპორტის 75% მოაკლდა. 7 დეკემბერს კი პერლ-ჰარბორის თავზე იაპონური თვითმფრინავები გამოჩნდა; ამასთან, იაპონური სამხედრო მანქანა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ნავთობით მდიდარი ტერიტორიებისკენ დაიძრა. ტოკიოს სხვა რეაქცია, ალბათ, ნაკლებად სავარაუდო იყო.**

**დღევანდელი მზარდი ქაოსი არაბულ სამყაროში ბუნებრივად მოახდენს გავლენას სანავთობო მონარქიებზე სპარსეთის ყურეში.** ჩინეთს ნავთობის დაახლოებით 55% სპარსეთის ყურეს ქვეყნებიდან (30% აფრიკიდან) შემოაქვს. თანაც, ჩინეთის დამოკიდებულება ნავთობის იმპორტზე იზრდება. შარშან იანვარ-ნოემბერში იქ წინა წელთან შედარებით 19,8%-ით მეტი ნავთობი შეიტანეს. **2011-ში დამოკიდებულება იმპორტირებულ ნავთობზე 55%-ს მიაღწევს. რუსეთს დღეისთვის ამ მოთხოვნის მხოლოდ 10%-ის დაკმაყოფილება შეუძლია, დამატებითი ნავთობსადენები ჯერ არ აშენებულა. სპარსეთის ყურის ნავთობი კრიტიკულად მნიშვნელოვანია ევროპისთვისაც, შტატებისთვის კი, ფართოდ გავრცელებული მოსაზრების მიუხედავად, ის შეუცვლელი არ არის. ის ყველაზე ნაკლებად დაზარალდება სპარსეთის ყურის სრული პარალიზება რომც მოხდეს.**

ფაქტია, ჩინეთის ეკონომიკური ძლიერება სულ უფრო იზრდება, ხოლო შეერთებული შტატებისა — კლებულობს. პეკინის სამხედრო პოტენციალი, უპირველესად, ბირთვულ და საზღვაო კომპონენტში ჯერაც ჩამოუვარდება ამერიკულს, თუმცა დისტანცია თანდათან მცირდება. მართალია, არაბულ სამყაროში ყოვლისმომცველი კრიზისის მოწყობა იმისთვის, რომ ჩინეთს პრობლემები შეექმნას, შეიძლება ნაკლებად ლოგიკურ და ძვირადღირებულ (უსაფრთხოების თვალსაზრისით) ავანტიურად მოგვეჩვენოს. მაგრამ ეს ჰიპოტეტური სტრატეგია არა მხოლოდ ჩინეთის წინააღმდეგ არის მიმართული, მას, სავარაუდოდ რამდენიმე მიზანი აქვს, რომელიც ერთმანეთს ებმის. ციტატა წერილიდან „Back in the USSR?“ („საქართველო და მსოფლიო“, 01.07.2009): **„მთავარი ამოცანები, რომლებიც აშშ-ის ხელისუფლების წინაშე დგას: ა) საფინანსო სისტემის გადატვირთვა, ვალების იმ წარმოუდგენლად დიდი წნეხის ლიკვიდაცია, რომელიც აშშ-ის ეკონომიკის ყველა სუბიექტს (მომხმარებლებს, ბანკებს, კორპორაციებს, ფონდებს, მთავრობას) დაუგროვდა; ყოველ შემთხვევაში, მისი შემცირება იმ ნიშნულამდე, რომელიც სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას შესაძლებელს გახდის; ბ) ეროვნული ეკონომიკის ბირთვის შენარჩუნება; მისი ეფექტური ფუნქციონირების უზრუნველყოფა; გ) შტატების მიერ გლობალური ლიდერის პოზიციის შენარჩუნება და გამყარება.**

პირველი ორი პუნქტი, სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, ჰიპერინფლაციის მექანიზმის ამოქმედებას მოითხოვს. მაგრამ მისი წინდაუხედავი ამუშავება მესამე ამოცანის გადაწყვეტას ხელს შეუშლის. თუ სხვა ეკონომიკური ცენტრები სტაბილურობას შეინარჩუნებს, ქვეყანა საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების სისტემიდან ამოვარდება. შესაბამისად, ჰიპერინფლაცია ისეთ პირობებში უნდა დაიწყოს, რომ დოლარსა და მის სამშობლოს, იზოლირების ნაცვლად, გავლენის გაზრდა მოუტანოს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ ერთი პირობის შესრულების შემთხვევაში: **თუ გარდამავალ პერიოდში შტატებში მდგომარეობა ცუდი იქნება, სხვაგან იგი გაცილებით უარესი უნდა იყოს. აქედან გამომდინარეობს კონკურენტების (ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები, ჩინეთი, რუსეთი, ლათინური ამერიკისა და აზიის ლიდერები) ეკონომიკების დესტაბილიზაციის აუცილებლობა, მეტიც — უშუალოდ ჰიპერინფლაციის დაწყების წინ ისეთი ვითარების შექმნა, როდესაც კაპიტალი ქაოსმოდებული მსოფლიოდან შეერთებულ შტატებში „გაიქცევა“.**

„კონკურენტი ეკონომიკების დესტაბილიზაცია რამდენიმე ხერხითაა შესაძლებელი, იდეალურ შემთხვევაში მათი კომბინაციით: ენერგომომარაგების კრიზისი, გადაზიდვების შეფერხება, შიდა არეულობა, ომი და ა.შ.“

**დღევანდელი კრიზისი, შესაძლოა, ევრაზიისთვის ცეცხლის მოკიდების ერთ-ერთი სერიოზული მცდელობაა. ეს არ ნიშნავს, რომ ხვალ არაბულ სამყაროში სრული ქაოსი დაისადგურებს, რაც გლობალურ დესტაბილიზაციას გამოიწვევს, თუმცა პროცესები შეიძლება მიანიშნებდეს, რომ აშშ იძულებული გახდა, ზემოგანხილული საშიში სტრატეგია აემოქმედებინა.**

წერილის ეს ნაწილი ისტორიული ჩანართით დავიწყეთ და ასევე დავასრულოთ, ოღონდ ამჯერად არა ნავთობს, არამედ ევროპა-აზიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან კომუნიკაციებს შევეხოთ. 1956 წელს ეგვიპტის პრეზიდენტმა ნასერმა სუეცის არხის ნაციონალიზაცია გამოაცხადა. ინგლისმა და საფრანგეთმა არხის ზონაში ჯარები გადმოსხეს, ვაშინგტონმა კი მოულოდნელად უნისონში მოსკოვთან (!) ეს ქმედება დაგმო და ჯარების გაყვანა აიძულა. სუეცზე კონტროლის დაკარგვის დღეს საბოლოოდ დასრულდა დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის, როგორც ზესახელმწიფოების, ისტორია; ორივე (განსაკუთრებით ბრიტანეთი) აშშ-ის სატელიტად გადაიქცა.

## რაში გვჭირდება სააკაშვილი?

**ამ სიშორიდან კავკასიაში გადავინაცვლოთ; „ამერიკის ხმის“ ცნობით, 29 იანვარს, „სახელმწიფო დეპარტამენტმა გააფთხილა აშშ-ის მოქალაქეები აზერბაიჯანში ტერაქტების საფრთხის შესახებ, ბაქოში აშშ-ის საელჩოს შეტყობინებაში ნათქვამია, რომ „ინფორმაცია ტერორისტული საფრთხის შესახებ ამერიკულ ობიექტებზე თავდასხმის პოტენციურ საფრთხეზე მიანიშნებს“.**

საელჩომ მოუწოდა აშშ-ის მოქალაქეებს, განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინონ (ფრიად საგულისხმო სიგნალი ჩანს). ამასთან, ბოლო მოვლენები გვიბიძგებს, განვიხილოთ დესტაბილიზაციის შესაძლებლობა არა მხოლოდ იქ, სადაც „სანავთობო საუნჯე“ მდებარეობს, არამედ ნავთობის ტრანსპორტირების გზებზეც. აზერბაიჯანის შემთხვევაში ეს საქართველოა.

დღეს სააკაშვილის ხელისუფლება ვერ ასრულებს ფუნქციას, რომელიც ბუშის ადმინისტრაციამ დააკისრა: ხისტი დაპირისპირება რუსეთთან, კონტექსტიდან სულ უფრო ამოვარდნილი ხდება; ვერაფერს ვიზამთ, „გადატვირთვაა“. სხვათა შორის, ზემოთ განხილული პროცესებისგან, „დიდი ევრაზიული დესტაბილიზაციისგან“ მოგებული შეიძლება არა მხოლოდ აშშ, არამედ რუსეთიც დარჩეს; მისი, როგორც ენერგომატარებლების მომწოდებლის და ევროპა-აზიის დამაკავშირებელი „ხიდის“ როლი მნიშვნელოვნად გაიზრდება, თუმცა უსაფრთხოების ნაკლებობასთან დაკავშირებული რისკები მისთვისაც საგრძნობი იქნება. **ეს არ ნიშნავს, რომ აშშ რუსეთის ინტერესებზე ზრუნავს, მაგრამ, ვინაიდან ამ ეტაპზე მისთვის პრიორიტეტული საკუთარი აღორძინების საფინანსო-ეკონომიკური ასპექტებია და, ამასთანავე, ის რუსეთს პერსპექტივაში განიხილავს როგორც ჩინეთის დამაბალანსებელ ძალას კონტინენტზე, ერთგვარ „ევრაზიულ ტანკს“ თავისი საწვავით (სხვა საკითხია, დათანხმდება თუ არა რუსეთი ამ როლის შესრულებას), ქიშპობა მოსკოვთან მეორე პლანზე გადადის.**

ეს საგარეოპოლიტიკური ასპექტია; მდგომარეობა ქვეყნის შიგნით კიდევ უფრო პრობლემურია. **ხელისუფლებას არ შეუძლია ტერიტორიული მთლიანობა აღადგინოს და რამდენადმე გონივრული ეკონომიკური პოლიტიკა გაატაროს** (საგულისხმო იყო სააკაშვილის აღიარება, რომ მთავრობას ინფლაციასთან გამკლავება არ ძალუძს), **ფასები ისე სწრაფად იზრდება, რომ ნებისმიერი ტუნისი მონაგონია.**

ამასთანავე, იმ ხალხის დაკვეთა, რომელიც ყბადაღებულ „წვიმაში“ იდგა (მათ, ვინც იცოდა, რითაც დასრულდებოდა ეს ვოდევილი, მსგავსი ილუზიები არ ჰქონია), ქვეყანაში სამართლიანობის დამკვიდრება იყო. სამივე მიმართულებით სააკაშვილმა მარცხი განიცადა. შესაბამისად, მან ვერ შეასრულა (ვერ ასრულებს) დაკვეთა, რომელიც როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ მისცეს. ბუნებრივად იბადება კითხვა: რაღა საჭიროა ის? აი, ასე, ემოციების გარეშე, მარტივად და პრაგმატულად ჩამოვაყალიბოთ:

**რაში გვჭირდება სააკაშვილი? იმ შემთხვევაში, თუ მისი ჩამოშორება ხელისუფლებისგან სარგებელს მოუტანს „დიდი დესტაბილიზაციის“ სავარაუდო გეგმას, ვაშინგტონი ქართულ ოპოზიციას „მწვანეს“, ალბათ, ისევე უპრობლემოდ აუნთებს, როგორც ტუნისურს, მითუმეტეს, რომ საბაბი რადიკალური საპროტესტო გამოსვლებისთვის საკმარისზე მეტია, მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილის ზღვარზეა და უკიდურესად გამწარებული.**

ასე რომ, ნამდვილად ვერ გამოვრიცხავთ, რომ ბოლო დროს მიხეილ სააკაშვილს ესიზმრება ალმოდებული ქალაქები პირამიდების ფონზე, რომელთაც მრავლისმნახველი სფინქსი უღიმის.

**დიმიტრი მონიავა**

## დღევანდელი მზარდი ქაოსი არაბულ სამყაროში ბუნებრივად მოახდენს გავლენას სანავთობო მონარქიებზე სპარსეთის ყურეში

## გამოხმაურებები



**ირაკლი ალასანია,**
**„თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერი:**

საზოგადოებამ ძალიან ადეკვატურად შეაფასა სააკაშვილის გამოსვლა. მის გამოსვლაში მხოლოდ ხელისუფლებაში დარჩენის სურვილი ჩანდა. მიხეილ სააკაშვილს აქვს მოკლე პოლიტიკური მეხსიერება. ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ სააკაშვილმა გამოამჟღავნა — არანაირი ეკონომიკური და ფინანსურ-პოლიტიკური ხედვა არ აქვს პრობლემების გადასაჭრელად. ესაა ხელისუფლების უპასუხისმგებლო პოლიტიკის შედეგი. სააკაშვილსა და მის გუნდს არანაირი ნოვატორული, პოლიტიკური და პროფესიული რესურსი არ დარჩა, რომ ქვეყნის მართვა გააგრძელოს.

*„რეზონანსი“*



**დავით უსუფაშვილი,**
**რესპუბლიკური პარტიის ლიდერი:**

თავისთავად ის ფაქტი, რომ პოლიტიკურმა ოპოზიციამ მიხეილ სააკაშვილთან შვიდწლიანი ბრძოლა წააგო და მე ვიტყოდი, წააგო პირწმინდად, არ ნიშნავს, რომ სააკაშვილმა მოიგო. ანუ ეს არ ნიშნავს, რომ ოპოზიციის პოლიტიკური ბრძოლის წაგებით სააკაშვილმა და მისმა გუნდმა თავისი თავი, ანუ თავის ჭკუაზე მოწყობილი ქვეყანა გაიყვანეს ფონს. ოპოზიციის დამარცხება იმ მეთოდებით, რა მეთოდებითაც მოხდა, — ღია ძალადობით დაწყებული, ქუჩაში ცემა-ტყეპითა და სამართალდამცავი ორგანოების ჩართვით, ფინანსური წნეხები, ვიღაცის მოსყიდვა, ვიღაცის შეშინება, ვიღაცებში კონფლიქტების გაჩენა — უამრავი მეთოდი იყო გამოყენებული სახელისუფლო გუნდის მხრიდან იმისთვის, რომ ოპოზიცია დაემარცხებინათ.

*„ახალი თაობა“*



**ირაკლი წერეთელი,**
**ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის თავმჯდომარე:**

რაც სააკაშვილმა ინავარდა, არ უნავარდია ლაშა-გიორგის, თუმცა მას ჰქონდა ამის უფლება, რადგან მის დროს საქართველო ძლევამოსილი და გაბრწყინებული იყო. საქართველოში პრეზიდენტი უნდა იყოს ასკეტური ცხოვრების ადამიანი იმიტომ, რომ უმრავლესობას უჭირს. სვანეთში მინდოდა წასვლა და ვერ წავედი. წერეთელი რომ სვანეთში ვერ წავა, უმრავლესობა რა დღეში იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ? სვანეთი კი არა, ესენი დედამიწის ნებისმიერ კუთხეში არ იკლებენ არაფერს. ესენი ღმერთმა დასაჯა და სვანეთში თოვლი არ მოვიდა! ზამთარში მთაში თოვლი რომ არ მოდის, ეს ღვთის რისხვაა!

*„ქართული სიტყვა“*



**ნოდარ ჯავახიშვილი,**
**ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტი:**

გასული წლის 9 თვის განმავლობაში საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან გადარიცხულია თანხები გაჭირვებული ქვეყნების დასახმარებლად, რისი მიზეზიც თურმე სტიქიური უბედურებები და ბუნებრივი კატაკლიზმები გახდა. არადა, შარშან ქართული სოფლები გვალვამ დააქცია და მათ დასახმარებლად ერთი თეთრი არავის გადაურიცხავს. ამ დროს საქართველოს ხელისუფლება თურმე მოლდოვაში, ერთ-ერთ სტიქიურად დაზარალებულ სოფელს აშენებს და საამისოდ ნახევარი მილიონია გამოყოფილი. იმედია, ამ ფულით ისეთ საქათმეებს არ შესთავაზებენ მოლდოველებს, როგორიც ქართველ ლტოლვილებს აუშენეს.

*„კვირის პალიტრა“*



**ნინო ბურჯანაძე,**
**„დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოს“ ლიდერი:**

სააკაშვილი თავს იწონებს ობამასთან შეხვედრით, რომელიც რეალურად, არ შემდგარა. ეს გავიგე ერთ-ერთ ადამიანთან შეხვედრისას, რომელსაც ძალიან სერიოზული ინფორმაცია აქვს ვაშინგტონის კულუარებიდან. მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არანაირი რეალური შეხვედრა პრეზიდენტ ობამასთან არ ყოფილა. ეს გახლდათ, პრაქტიკულად, დაკრძალვაზე თუ პანაშვიდზე შეხვედრა და როგორც სჩვევია ხოლმე ჩვენს პრეზიდენტს, მივარდა ამერიკის პრეზიდენტს და რამდენიმე სიტყვით გაესაუბრა და ეს ჩაგვითვალეს განსაკუთრებულ მიღწევად.

*„რეზონანსი“*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# თინა ტიგიევი: მზად ვარ, ჯოჯოხეთშიც ვიცხოვრო, ოღონდ ამ ხელისუფლებას გავეცალო

**ხელისუფლების მიერ დევნილთა მიმართ ბოლო დროს განხორციელებულ ტერორსა და სადამსჯელო ღონისძიებებზე „საქართველო და მსოფლიოს" ესაუბრება „ლტოლვილთა სამოქალაქო მოძრაობის" წარმომადგენელი, 1993 წელს სამაჩაბლოდან დევნილი და სუბელიანის უწყების მიერ ხელმეორედ რეპრესირებული, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი თინა ტიგიევი.**



— ქალბატონო თინა, იმის მიუხედავად, რომ დევნილების მიმართ ბოლო დროს განხორციელებული ძალადობა, რომლის სათავეშიც სუბელიანის უწყება დგას, დღითიდღე სულ უფრო მეტი ადამიანის ყურადღებას იპყრობს, ქვეყანაში არსებული საინფორმაციო ვაკუუმის გამო, საზოგადოების გარკვეული ნაწილისთვის მაინც უცნობია, რა მდგომარეობაში იმყოფებიან ღია ცის ქვეშ დარჩენილი დევნილები. პირადად თქვენ და თქვენი ოჯახი რა პირობებში ცხოვრობთ, რა შემოსავალი გაქვთ და რით არსებობთ?

— არ მინდა, ვინმემ გადაჭარბებაში ჩამომართვას და ისე გამოვიდეს, თითქოს თავს ვისაწყლებდე, მაგრამ რა ყოფაშიც დღეს მე და ჩემი ოჯახი ვცხოვრობთ, არანაირი საარსებო და, მით უმეტეს, ადამიანური პირობები ამაზე არ ითქმის, — **არ გამაჩნია სახლი, კარი, თავშესაფარი, თუნდაც დროებითი; არც სამსახური, არც რაიმე შემოსავალი და დახმარება, გათბობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, მთელი ზამთარი საყინულეში ვზივართ**. ექიმთან მისვლასა და წამლების შეძენას კი, იმის მიუხედავად, რომ, დიდი ხანია, ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემები მაქვს და მკურნალობა მჭირდება, დღემდე ვერ ვახერხებ. ის კი არა, **იმის საშუალებაც არ გვაქვს, რომ საჭმელი ვიყიდოთ და, შეიძლება არ დაიჯეროთ, მაგრამ პური რომ პურია, ხანდახან ისიც კი გვენატრება**. მოკლედ, უკიდურეს მდგომარეობამდე ვართ მისული, რა ვქნა, ვის მივმართო, არ ვიცი. **ხელისუფლებამ, ბოდიში და, ფეხებზე დაგვიკიდა, დღეებს გვითვლიან, როდის ამოგვძვრება სული და დავიხოცებით...**

**— თქვენ თქვით, რომ დახმარება არ გაქვთ, გაგიუქმეს თუ არასოდეს გქონიათ?**

— 1993 წელს, როცა თბილისში ჩამოვედით, დახმარებაც მქონდა და სოციალურად დაუცველის სტატუსიც, ვცხოვრობდით კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობაში და, მართალია, მაშინაც ძალიან გვიჭირდა, მაგრამ ასე თუ ისე, თავი მაინც გაგვქონდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ კი აღმოვჩნდით უმძიმეს მდგომარეობაში — დევნილთა დახმარების სიიდანაც ამოგვიღეს და შემწეობაც გაგვიუქმეს.

**ყველაზე მეტად რამაც გამაოცა, ის იყო, რომ მოვიდა ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელი და წარბშეუხრელად გამოგვიცხადა: აქაურობა უნდა დატოვოთ, წადით და იქ იცხოვრეთ, სადაც ჩაწერილი ხართო. მე ვუთხარი, ჩაწერა მელვრეკისში მაქვს, მაგრამ იქ როგორ ვიცხოვრო, როცა სოფელი შუაგულ კონფლიქტის ზონაშია-მეთქი. იცით, რა მიპასუხა? — რაც გინდათ, ქენით და სადაც გინდათ, წადით, მაგრამ ხვალიდან აქ აღარ დაგინახოთო. ხვდებით, ეს რას ნიშნავს? პირდაპირ სასაკლაოში მგზავნიდნენ. ეს თვითონაც კარგად იცოდნენ, მაგრამ ფეხებზე ეკიდათ, იმიტომ, რომ, რაც მეტ ადამიანს ამოსძვრება სული და რაც მეტი დევნილი დაიხოცება, მით ნაკლები პრობლემა იარსებებს და ნაკლები დაბრკოლება შეექმნებათ.**

ღმერთმა მაპატიოს, ამას რომ ვამბობ, მაგრამ მე დევნილი ვარ და იმას, რასაც ესენი ჩემი ოჯახის მიმართ აკეთებენ, სხვა ახსნა, უბრალოდ, არ აქვს. ამაში სუბელიანმა და მისმა პირსისხლიანმა, ურიცხვნებო ჯალათებმაც არაერთხელ დაგვარწმუნეს და მომავალშიც დაგვარწმუნებენ, თუ საზოგადოების რისხვამ, საკუთარმა ცოდვებმა ან რამე სხვა უბედურებამ არ უწიათ და არ ჩაძაღლდნენ ეს არაკაცები...

## სუბელიანის ჯალათები ისევ მოგვადგნენ, შემოგვიმტვრიეს კარი და ქუჩაში ისე გამოგვყარეს, თითქოს ადამიანები კი არა, ვირთაგვები ვყოფილიყავით

**— კიბერნეტიკის ინსტიტუტის შენობიდან გამოძევების შემდეგ სად ცხოვრობდით?**

— თავიდან წასასვლელი არსად მქონდა, მაგრამ მერე ახლობლებმა და ნათესავებმა ცოტა ფული შემიგროვეს და ბინა ვიქირავე. ერთხანს იქ ვცხოვრობდი და ვიყავი ასე, მათხოვარივით ხელგაწვდილი, სხვისი დახმარების შემყურე. **შემდეგ კი მიცკევიჩის ქ. №29-ში მცხოვრებმა ჩემმა ცხინვალელმა მეზობელმა შემიკედლა და საბოლოოდ მასთან დავსახლდი. მეგონა, იქ მაინც არავინ შეგვაწუხებდა და მშვიდად ვიქნებოდით, მაგრამ ვინ დაგვაყენა?! სუბელიანის ჯალათები ისევ მოგვადგნენ, შემოგვიმტვრიეს კარი და ქუჩაში ისე გამოგვყარეს, თითქოს ადამიანები კი არა, ვირთაგვები ვყოფილიყავით.** მაშინ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამ ქვეყანაში ცხოვრება არ ღირს და, სიმართლე გითხრათ, ვინანე კიდეც, რომ თავის დროზე ცხინვალიდან აქ ჩამოვედი...

**— მიცკევიჩის ქ. №29-დან როდის გამოგასახლეს და კონკრეტულად რა ფორმით განხორციელდა ეს გამოსახლება?**

— ეს იყო 22 იანვარს, დილის 7 საათზე, როცა ჯერ კიდევ ბნელოდა და ყველას გვეძინა. ჩვენ არანაირი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გამოსახლება იგეგმებოდა, არ გვქონდა და, შესაბამისად, ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა თითოეული ჩვენგანისთვის, რომ თავიდან ვერც კი მივხვდით, რა ხდებოდა... **დაახლოებით ორასამდე პოლიციელმა შენობას ალყა შემოარტყა, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, შემოგვილეწეს კარი და გვიბრძანეს, სასწრაფოდ ოთახები დაცალეთო.** ეს იყო ნამდვილი შოკი, რაღაც წარმოუდგენელი სტრესი, რომლის სიტყვებით გადმოცემა, უბრალოდ, შეუძლებელია; თქვენ წარმოიდგინეთ, წესიერად საწოლიდან ადგომაც კი არ დაგვაცალეს, არც ტანსაცმელი ჩაგვალაგებინეს და არც სხვა ნივთები. მიუსიეს თავიანთი მოყვანილი მუშები ჩვენს „ავლადიდებას" და სულ რაღაც ნახევარ საათში, რაც გაგვაჩნდა, ქუჩაში დაგვიყარეს; შემდეგ კი, იმავე მუშებმა, მოხვეტეს და ეს ჩვენი ნივთები რაღაც ნაგვის მანქანის მსგავს სატვირთოში ჩატენეს. ასეთივე სატვირთოებში შეყარეს თვითონ დევნილებიც და, მერე ვინ საით წაიყვანეს, ღმერთმა იცის.

მოკლედ, **აი, ასეთი შავბნელი დილა გაგვითენა იმ დღეს კობა სუბელიანმა, რომელიც არაკაცი და არაადამიანია და, როგორც ჩანს, ქართველობის ნატამალიც არ გააჩნია... ეს არის სინდის-ნამუსისგან გარეცხილი, ფულზე გაყიდული და ფულის გულისთვის ყველაფერზე წამსვლელი, კორუმპირებული არამზადა. ამიტომ, კაცმა რომ თქვას, მისგან არცაა გასაკვირი მსგავსი საქციელი. მაგრამ უბედურება სწორედ ის არის, რომ ასეთ არამზადებს აბარიათ ქვეყნის მართვის სადავეები.** ამიტომ ვნანობ, რომ 1993 წელს საცხოვრებლად აქ ჩამოვედი.

**— ამას უკვე მერამდენედ იმეორებთ და, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, სად უნდა წასულიყავით საცხოვრებლად, თუ არა თბილისში?**

— სად და უნდა დავრჩენილიყავი ცხინვალში, ამეწია ორივე ხელი და დახმარება მეთხოვა კოკოითისთვის. თუ დამინდობდნენ და დამტოვებდნენ, სხვა თუ არაფერი, ახლა თავშესაფარი მექნებოდა, თუ არა და ამაზე უარეს მდგომარეობაში მაინც არ ვიქნებოდი! ეძახათ მერე ამათ, რამდენიც უნდათ, მოღალატე და ერის გამყიდველი, სუბელიანსა და მისი კაციჭამია ჯალათებზე უარესი მოღალატე ხომ არ ვიქნებოდი?!

**— ანუ, დღეს რომ საშუალება გქონდეთ, წახვიდოდით და იცხოვრებდით ცხინვალში?**

— **მე და ჩემი ოჯახი ისე გაგვამწარეს, ისე გაგვაუბედურეს და იქამდე მიგვიყვანეს, რომ ცხინვალში კი არა, მზად ვარ, ჯოჯოხეთშიც ვიცხოვრო, ოღონდ აქაურობას მოვშორდე და ამ ფაშისტებს, კაცისმკვლელებს გავეცალო.** ვიმეორებ, უკიდურეს მდგომარეობამდე ვართ მისული, სული გვძვრება და ლამის შიმშილით დავიხოცოთ, ყურადღებას კი არავინ გვაქცევს, ყველას ფეხებზე ვკიდივართ, რადგან ადამიანებად აღარ გვთვლიან. ეს უკვე აღარ არის ქვეყანა; ეს არის შპს „მიხეილ სააკაშვილი" და შპს „ნაცმოძრაობა", რომელსაც ისე მართავენ და ატრიალებენ ეს ქართველთმოძულე მანიაკები, როგორც თვითონ მოესურვებათ და მოეპრიანებათ...

**— ისე, ხელისუფლების თავგასულობა გარკვეულწილად თქვენი — დევნილების ბრალიცაა. დღეს თქვენც არ ხართ ერთმანეთის მიმართ საკმარისად სოლიდარულები, რაც სუბელიანის უწყებას, ბუნებრივია, უადვილებს თავის „საქმიანობას"...**

— იცით რა, სოლიდარობა და ერთმანეთის თანადგომა დღეს არამარტო დევნილებს, არამედ სრულიად ქართველ ერს აკლია. ასე რომ არ იყოს, ესენი ხელისუფლებაში კი არ ითარეშებდნენ, არამედ ციხეში იჯდებოდნენ და თითოეულს, სულ ცოტა ოც-ოცი წელი მაინც ექნებოდა მისჯილი; მაგრამ ჩვენ ამის თავი არ გვაქვს და, რასაც ვიმკით, ალბათ, ვიმსახურებთ კიდეც...

**— მაშ, რას ურჩევთ იმ დევნილებს, რომლებსაც ქუჩაში გამოსვლა არ სურთ და მოვლენებს შორიდან აკვირდებიან?**

— პრობლემა მარტო მე არ მაქვს, ყველას გვიჭირს და ყველას გვჭირდება ელემენტარული საარსებო პირობები — თავშესაფარი. ასე რომ, არავის არაფერს არ ვურჩევ და არც მოვუწოდებ. უბრალოდ, კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ, **სანამ ეს ხელისუფლება არ ჩაძაღლდება და სანამ დევნილთა სამინისტროს სათავეში ისეთი არაკაცი იქნება, როგორიც ეს ვიგინდარა სუბელიანია, არაფერი ჩვენ არ გვეშველება;** ეს არის ჭირი და უბედურება, რომელიც ან უნდა მოვიშოროთ და სანაგვეში გადავაგდოთ, ან ისე დაგვღრღნის და მოგვინელებს, რომ საბოლოოდ ლტოლვილთა ჭაჭანება აღარ იქნება ამ ქვეყანაში. ამისთვის არის ის დასმული მინისტრის სკამზე და, თუ ვინმე ხელს არ შეუშლის, ისევე განახორციელებს დასახულ მიზანსა და ამოცანას, როგორც აქამდე ახორციელებდა და ახორციელებს თავისი პირსისხლიანი ჯალათების მეშვეობით...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

## მოკლედ

### ვიკინგების განძი

**ესტონეთში განძთა მაძიებელმა ვიკინგების განძს მიაგნო და სახელმწიფოსგან საჩუქრად ასი ათასი ევრო მიიღო.** ყოფილ კოლმეურნეობის მინდორზე ძვირფასი სამარხი ესტონელმა ერკიმ 2010 წლის 16 აგვისტოს აღმოაჩინა. მასში 1329 ერთეული ვერცხლის მონეტა და ვერცხლის 9 ნივთი იყო, რომლებიც, სავარაუდოდ, 1060 წელს ჩაფლეს მიწაში ვიკინგებმა. იქვე აღმოაჩინეს თიხის ქოთნის ნარჩენები, რის საფუძველზეც არქეოლოგები ვარაუდობენ, რომ განძი მთლიანადაა ნაპოვნი. მონეტების დიდი ნაწილი თანამედროვე გერმანიის ტერიტორიაზეა გამოჭედილი, დანარჩენები კი ინგლისის, დანიის, შვედეთის, იტალიისა და უნგრეთის მონეტებია. განძის მაძიებელმა და მიწის მეპატრონემ გადაწყვიტეს, აღმოჩენა არ დაემალათ და განძი სახელმწიფოსთვის გადაეცათ.

### კაპიტალიზმის აღარ სჯერათ

**მსოფლიოს 10 ქვეყანაში ჩატარებული სოციალური კვლევის შედეგად გაირკვა, რომ გერმანიის მოსახლეობის მხოლოდ 46 პროცენტი უჭერს მხარს კაპიტალიზმს.** გამოკითხულთა 42 პროცენტის აზრით, კაპიტალისტური სისტემა ცუდად მუშაობს, მაგრამ მისი შენარჩუნება საჭიროა, ვინაიდან სხვა ალტერნატივა არ არსებობს. გამოკითხულთა 12 პროცენტი კი კატეგორიულად ეწინააღმდეგება კაპიტალიზმს, რომელიც, მათი აზრით, არაფრად ვარგა და დაუყოვნებლივ უნდა შეიცვალოს. კვლევამ საკმაოდ პარადოქსული ტენდენციები გამოავლინა. მაგალითად, კაპიტალიზმს ყველაზე მეტი მომხრე კომუნისტურ ჩინეთში აღმოაჩნდა, ყველაზე მწვავე მოწინააღმდეგეები კი — საფრანგეთში, იქ მოსახლეობის 33 პროცენტი მასზე უარის თქმას მოითხოვს.

### ბაიდენი კვლავ ობამას მეწყვილეა

**აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა ჯოზეფ ბაიდენმა განაცხადა, რომ 2012 წელს ქვეყნის ამჟამინდელ პრეზიდენტთან — ბარაკ ობამასთან ერთად მონაწილეობას მიიღებს საპრეზიდენტო არჩევნებში.** როგორც ცნობილი გახდა, ობამამ ბაიდენს ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ შესთავაზა, საპრეზიდენტო კამპანიისას კვლავ მისი მეწყვილე ყოფილიყო. 2007 წელს ბაიდენი აშშ-ის დემოკრატიული პარტიის შიდა არჩევნებზე ობამას მოწინააღმდეგე იყო. მოგვიანებით ობამამ მისი კანდიდატურა ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობაზე წამოაყენა და დემოკრატიული პარტიის მხარდაჭერა მიიღო. ობამამ და ბაიდენმა 2008 წლის 4 ნოემბერს საყოველთაო არჩევნებზე გამარჯვება მოიპოვეს. მათ სასარგებლოდ ხმა ამერიკელ ამომრჩეველთა 51%-მა მისცა.

### მუსლიმანების რაოდენობა გაორმაგდა

**ამერიკელების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში მუსლიმანთა რაოდენობა გაორმაგდა და 1,1 მილიარდიდან მსოფლიოს მოსახლეობის მეოთხედს მიაღწია.**

მუსლიმანი მოსახლეობის რაოდენობით პაკისტანი ინდონეზიას უსწრებს. იქ ამჟამად 256 მილიონი მუსლიმანია, აშშ-ში — 6,2 მილიონი, ავღანეთში კი — თითქმის 50 მილიონი. აქტიურად მატულობს მუსლიმანი მოსახლეობა ისრაელშიც და რამდენიმე წელიწადში მოსახლეობის მეოთხედს გაუტოლდება. ნიგერიაში მუსლიმანების რაოდენობა ქრისტიანებისას 2030 წელს გადააჭარბებს. მიუხედავად ამისა, უახლოესი 20 წლის განმავლობაში ქრისტიანობა მსოფლიოში უდიდეს რელიგიად დარჩება.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# სოლიდარული გაძევება და თანაგრძნობით აღსავსე რეჟიმის ხელკეტი

## ასზე მეტი დევნილი, გერმანიის გარდა, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ისთვის აპირებს პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნას

**25 დეკემბერს პრეზიდენტ სააკაშვილის 3-საათიან სატელევიზიო მონოლოგს საზოგადოება ხითხითით შეხვდა. მისი ფრთიანი ფრაზებიდან განსაკუთრებით ცინიკური იყო შემდეგი ტირადა: „არც ერთ ადამიანთან არ მაქვს ისეთი სრული სოლიდარობისა და სრული გაიგივების განცდა, როგორიც დევნილებთან. სანამ ერთი ადამიანი მაინც არის დევნილი, საქართველო სრულფასოვან და ბედნიერ ქვეყნად ვერ ჩაითვლება. პირადად მე ვარ უბედური, ყოველდღე იმ აზრით ვიღვიძებ, რომ ვარ გამწარებული, გაბრაზებული და თავს ვგრძნობ სახლიდან გამოგდებულად“, — 2008 წლის აგვისტოს მოვლენების მთავარმა შემოქმედმა „ცრემლმომდგარმა“ და „გულაჩუყებულმა“ ბრძანა ეს სიტყვები. ორიოდე დღით ადრე ამ სიტყვების გაჟღერებამდე მისი ბრძანებით თბილისში პოლიციამ ჭიტლაყით გამოყარა ათასობით დევნილი ქუჩაში და ფოცხო-ეწერის უპერსპექტივო გზას გაუყენა.**





საინტერესოა, სად იყო პრეზიდენტის მწუხარება მაშინ, როცა პოლიცია 7-გრადუსიან ყინვაში ერეკებოდა დევნილებს? სად იყო „გამარჯვებული მთავარსარდლის“ თანაგრძნობა, მწუხარება და გულისტკივილი მაშინ, როცა დასაპურებლად ბალახის ჭამა რომ შესთავაზეს დევნილ ნანა ფიფიას, რომელმაც შეურაცხყოფილმა და სასოწარკვეთილმა ბენზინი გადაისხა და თავი დაიწვა? **25 იანვარს პრეზიდენტმა ბრძანა: „სანამ ერთი ადამიანი მაინც არის დევნილი, საქართველო სრულფასოვან და ბედნიერ ქვეყნად ვერ ჩაითვლება“.**

**26 იანვარს კი 80-მა უიმედო და გამწარებულმა დევნილმა გერმანიის საელჩოს მიმართა პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით.**

არც აქ გამოუჩენია პრეზიდენტს ის მზრუნველობა და გულისტკივილი, ასე ღრმად რომ ჩააქსოვა თავის სატელევიზიო გამოსვლაში. დემაგოგი ოპოზიციონერი რომ ვიყო, ვიტყოდი — ქვეყნიდან თუ ყველა დევნილი წავა და სხვაგან იპოვის თავშესაფარს, პრეზიდენტი მათ სულაც არ გამოეკიდება. პირიქით, ამით ბევრი პრობლემა მოუგვარდება. **სახელმწიფოს არ დაუსაბუთებია იმ შენობების გამოთავისუფლების საჭიროება, რომლებშიც დევნილები ცხოვრობდნენ, თუმცა თბილისში არსებული 22 „დროებითი თავშესაფრიდან“ დევნილები უკვე გამოყარეს...**

დემაგოგია რა შუაშია?! ეს ხომ წმინდა წყლის სიმართლეა!!!

ოფიციალურ განცხადებაში დევნილები, რომლებიც გერმანიისგან პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვენ, ხაზგასმით აღნიშნავენ: **„პოლიციის ძალით განხორციელდა ჩვენი იძულებითი წესით გამოსახლება დროებითი თავშესაფრიდან ისე, რომ სახელმწიფო ორგანოებს არ დავუკმაყოფილებივართ საქართველოს კანონმდებლობითა და საერთაშორისო ვალდებულებებით, ჩვენთვის გათვალისწინებული ფულადი კომპენსაციით ან იმგვარი საცხოვრისით, რომელიც არ გააუარესებს და გაუსაძლისს არ გახდის ჩვენს მდგომარეობას“.**

ერთ-ერთი დევნილი ნანა კვირტაია, რომელიც გერმანიას თავშესაფარს თხოვს, აცხადებს: **„ხელისუფლებამ იმ დონემდე მიგვიყვანა, რომ სამშობლოს დატოვებაზე დავიწყეთ ფიქრი. რაც გაგვიკეთეს, ვანდალიზმია. 2008 წლიდან ვცხოვრობდი ზუბალაშვილის ქ. №42-ში. 2 შვილის დედა ვარ, ქუჩაში გამოგვყარეს და სადღაც ფოცხო-ეწერში გვიპირებენ გადასახლებას. ეგ ადგილები თვალითაც არ მინახავს და არც იქ წასვლის სურვილი მაქვს“.**

**„საქართველოში თავს ვგრძნობ დამცირებულად და უსახლკაროდ. საერთოდ არ ვჭირდებით არაფერში ჩვენს პრეზიდენტს და მინდა, საარსებო წყარო სხვა ქვეყანაში მოვძებნო, “** — დასძენს გაგრიდან დევნილი მერი მალანია, რომელსაც **სახელმწიფოსგან დღემდე არც ფულადი კომპენსაცია მიუღია და არც საცხოვრებელი ფართი.**

„ლტოლვილთა სამოქალაქო საზოგადოების“ წარმომადგენელთა ინფორმაციით, კიდევ 100-მდე დევნილი აპირებს თავშესაფრის თხოვნით მიმართოს დიდი ბრიტანეთის, ამერიკის შეერთებული შტატების და საფრანგეთის საელჩოებს.

სავარაუდოდ, დევნილთა ეს სასოწარკვეთილი ნაბიჯი შედეგს არ გამოიღებს, რადგან იქ, „ჩვენს მეგობარ“ დასავლეთში, არავინ შეიწუხებს თავს ადამიანებისთვის, ვინც საკუთარ სამშობლოში საკუთარ ხელისუფლებს შაურადაც არ უღირს. **ასე თუ გაგრძელდა, კიდევ არაერთ დევნილს მოუწევს ნანა ფიფიას ბედის გაზიარება. კიდევ ბევრი მათგანი შეუერთდება უცხო ქვეყნისთვის თავშესაფრის ამაოდ მთხოვნელთა რიგებს...** ხოლო „დემოკრატიის შუქურა“ პრეზიდენტი სააკაშვილი კიდევ არაერთ სატელევიზიო გამოსვლაში თვალცრემლიანი ყალბი „გულისტკივილით“ იტყვის: **„მე ყველაზე მეტად სოლიდარობისა და სრული გაიგივების განცდა მაქვს დევნილებთან“!**

**სახელმწიფოს არ დაუსაბუთებია იმ შენობების გამოთავისუფლების საჭიროება, რომლებშიც დევნილები ცხოვრობდნენ**

**თეო ტაბატაძე**










## მოკლედ

### განვანათლოთ ამერიკა

**პრეზიდენტმა ობამამ აშშ-ის კონგრესისადმი თავის ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესს ამერიკული კომპანიებისთვის საგადასახადო სისტემის გამარტივება და მისი უფრო სამართლიანად გადაქცევა სთხოვა.** მისი თქმით, აშშ-ის უახლოესი მომავლის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა განათლების სისტემაში რეფორმის გატარება იქნება. „დაფიქრდით, უახლოეს ათწლეულში სამუშაო ადგილების დაახლოებით ნახევარი შეიქმნება სპეციალისტებისთვის, რომლებსაც ექნებათ სკოლის განათლებაზე მეტი განათლება, ანუ საშუალო-სპეციალური განათლება. და ეს მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდობის თითქმის მეოთხედს ასეთი განათლება არ ექნება. მათემატიკისა და სხვა დისციპლინების სწავლების დონე ამერიკაში იმაზე დაბალია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში“, – აღნიშნა მან.

### გადატვირთვა რუსეთთან – აშშ-ის დიდი მიღწევა

**აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესისადმი მიმართვისას ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შესახებ ისაუბრა და რუსეთთან ურთიერთობების გადატვირთვას აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ბოლო წლების მნიშვნელოვანი მიღწევა უწოდა.**

„ჩვენ რუსეთთან ურთიერთობაში გადატვირთვის პოლიტიკა განვახორციელეთ, აზიის ქვეყნებთან კავშირი გავამყარეთ და პარტნიორობა დავიწყეთ ისეთ ქვეყნებთან, როგორიც ინდოეთია“, – აღნიშნა ობამამ. მისივე თქმით, დიპლომატიური ძალისხმევის წყალობით, აშშ-მა ირანს საკუთარი მოვალეობების შესრულება აიძულა, — „ირანის მთავრობამ ყველაზე მკაცრი სანქციები იწვნია, რაც კი აქამდე დაწესებულა“.

### „იქადაგეთ ბლოგებზე!“

**ვატიკანის ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა მიმართვის ტექსტი, სადაც მსოფლიო ურთიერთობის დღესთან დაკავშირებით რომის პაპმა სოციალური ქსელებით ურთიერთობა დალოცა.**

ბენედიქტ XVI-ს კონკრეტული სოციალური ქსელი არ დაუსახელებია, მაგრამ აღნიშნა, რომ სოციალურ ქსელებში ურთიერთობა ახალი ნაცნობების შეძენის, ცოდნის ურთიერთგაზიარებისა და კულტურათა შორის დიალოგის საშუალებას იძლევა. მომხმარებლებს მოუწოდა, რეალურ დახასიათებასთან შეუსაბამო ინფორმაცია არ გაავრცელონ საკუთარ თავზე. მანამდე პაპმა მიმართა ყველა კათოლიკე მღვდელს და მორწმუნეს და ინტერნეტის ეკლესიის პოპულარიზაციისთვის გამოყენებისკენ მოუწოდა.

### ტუნისში ახალი მთავრობაა

**ტუნისში ნაციონალური ერთობის ხელისუფლების ახალი შემადგენლობა ჩამოყალიბდა. ამის შესახებ ტელეეთერით განაცხადა კაბინეტის ხელმძღვანელმა მუჰამედ განუშიმ, რომელმაც თანამდებობა შეინარჩუნა.**

კაბინეტი დატოვეს საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და შინაგან საქმეთა მინისტრებმა. მათ ადგილას დაინიშნენ ადამიანები, რომლებიც გაქცეულ დიქტატორთან — ზინ ალ-აბიდინ ბენ ალისთან და მის პარტიასთან კავშირში არ ყოფილან. ახალი კოალიციური მთავრობის შექმნამდე ქვეყნის ყველა ლეგალური პოლიტიკური ძალა ორი დღის განმავლობაში ატარებდა კონსულტაციებს იმ მასობრივი მანიფესტაციების ფონზე, რომელთა მოთხოვნა ბენ ალის პოლიტიკური მემკვიდრეობის სრული ლიკვიდაცია იყო.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

**ანზორ მაისურაძე:**

# ნურავის ჰგონია, რომ საქართველოში არ მოქმედებს თურქეთის, ირანის, იმავე აშშ-ის აგენტურა

**ინტერვიუ მეორე**

**„საქართველო და მსოფლიოს" წლევანდელ მეორე ნომერში გამოქვეყნებული საუბარი უშიშროების ყოფილ მინისტრთან — ანზორ მაისურაძესთან მთავრდებოდა იმით, რომ სუკის ერთ-ერთი ინფორმატორი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასთან აუდიენციაზე მივიდა. რესპონდენტმა მისი ვინაობა არ გაამჟღავნა, მხოლოდ დაადასტურა, რომ ის კაცი დღესაც ცოცხალია.**

**დღევანდელი პუბლიკაცია ამ პასაჟიდან იწყება.**

— პრეზიდენტთან ვიზიტის შემდეგ გამოჩნდა ეს კაცი გამსახურდიას ხელისუფლებაში ან ედუარდ შევარდნაძის პერიოდში თუ მიიქცია ყურადღება?

— (*ეცინება*) საკმაოდ ცნობილი კაცი იყო, ახლა თავისთვის არის, არ ჩანს.

მაგრამ აგენტურის თემა ზვიად გამსახურდიასთან ურთიერთობაში ამ ერთი შემთხვევით არ ამოწურულა. ხშირად მეძახდა.

**— რატომ?**

— საიდუმლო სამსახური სახელმწიფოს მეთაურისთვის არის ქვეყნის მართვის ერთ-ერთი ბერკეტი, რომელიც საშუალებას აძლევს, უკეთ გაერკვეს არსებულ პრობლემებში, რათა სწორად წარმართოს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკა. ამიტომ უნდა ფლობდეს მთელ ინფორმაციას. მაგრამ **ყველამ, გინდ პრეზიდენტი იყოს, გინდ თანამდებობის პირი, ვისაც აქვს უფლება, გაეცნოს ამ საიდუმლო ინფორმაციას — საიდუმლოება აუცილებლად უნდა დაიცვას!**

**— და უთხარით ამის შესახებ პრეზიდენტს?**

— ეს ჩემი მოვალეობა იყო.

**— აღარ დაბრუნებია ამ პრობლემას?**

— როგორ არა.

ერთხელ პრეზიდენტმა 30 კაცის სია გადმომცა და მითხრა, რომ ისინი კრემლის და კაგებეს აგენტები არიანო.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ არასწორი ინფორმაცია გაქვთ, — ვუპასუხე.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ისინი არ არიან „კრემლის აგენტები".

— იცი, რას გეტყვი? — მეუბნება, — ახლა მე გამოვალ ტელევიზიით, შენ ჩემ გვერდით იჯდები. მე ვიტყვი, რომ ესენი კაგებეს და კრემლის აგენტები არიან და შენ დამეთანხმები.

უარი ვუთხარი. ამას არ გავაკეთებდი, ყველა მართლაც აგენტი რომ ყოფილიყო. როცა არ არიან, როგორ დავაბრალო?!

— შენი სამსახური ამაზეა დამოკიდებული, — მითხრა მიუკიბავ-მოუკიბავად.

მეც პირდაპირ ვუპასუხე:

— ბატონო პრეზიდენტო, თუ ჩემი სამსახური ამაზეა დამოკიდებული, აქედან პირდაპირ მივდივარ სახლში.

— არა. ერთი კვირის ვადას გაძლევ. მოიფიქრე და ისე გადაწყვიტეო.

— იმავე ჭკუაზე დავრჩებიმეთქი.

— მაინც იფიქრეო.

წამოვედი. ერთი კვირის შემდეგ მირეკავს „ვეჩე" კავშირით:

— მე შენ მატყუებ! ესენი ყველანი კაგებეს აგენტები არიან! სამსახურიდან გაგაგდებ!

მაშინ ვეღარ მოვითმინე და პირდაპირ ვუთხარი:

— არწამსვლელის დედაც...

დავიხურე ქუდი და წავედი. ეს იყო 1991 წლის 2 დეკემბერს. 22 დეკემბერს რა მოვლენებიც განვითარდა, ყველას კარგად მოეხსენება.

**— ის სია თავისით არ გაჩნდებოდა...**

— იმ დროს ქვეყნის მოღალატედ შერაცხვა სახელმწიფო პოლიტიკის დონეზე იყო აყვანილი. **ყველა, ვინც ხელისუფლების კრიტიკით გამოდიოდა, ხალხის მტრად ცხადდებოდა, ერის მოღალატედ. ასეთი ხალხის გვარები იყო შეტანილი იმ სიაში.**

**— ხომ არ დაასახელებთ?**

— ახლა ამის დრო არ არის... **იმათ ყველანი ძალიან კარგად ვიცნობთ — ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან...**

**— მოდით, ამჟამად დამკვიდრებული კლიშეებით ვილაპარაკოთ: რუსეთის აგენტი მტერია. ამერიკის? ინგლისის? თურქეთის? ისე ხომ არ გამოდის, როგორც ნიკარაგუის პრეზიდენტის, დიქტატორ სომოსას შემთხვევაში, რომელზეც ამერიკელები ამბობდნენ, რომ არის საზიზღარი პიროვნება, „ძუკნისშვილი", მაგრამ „ჩვენი ძუკნისშვილიაო"?**

— დღეს ისეთი ვითარება ჩამოყალიბდა, რომ **საქართველო რუსეთთან საომარ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ამიტომ რუსეთის აგენტურა, რომელიც, ვთქვათ, საქართველოში მოქმედებს, აღქმულია, როგორც მტრის აგენტურა, მაგრამ ნურავის ჰგონია, რომ საქართველოში არ არის, არ მოქმედებს თურქეთის, ირანის, იმავე აშშ-ის აგენტურა!**



**საიდუმლო არ არის, რომ საქართველოს სპეცსამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან**

**— შეიცვალა წყობილება და საქართველო ერთპოლარულ სივრცეში აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, როგორ ფიქრობთ, ხომ არ შეიცვალა უშიშროების სამსახურის ორბიტაც? თუ საბჭოთა კავშირის დროს საკავშირო სუკის გარშემო ვტრიალებდით, დღეს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო ხომ არ ჩაენაცვლა მას? ორიენტაცია ახლა ამერიკის დაზვერვაზეა?**

— საქმე ისაა, რომ ყველა ქვეყანას თავისი სპეციფიკური სამსახური აქვს. **რაგინდ დამოკიდებული იყო სხვა ქვეყანაზე, არ უნდა აითქვიფო მის სპეცსამსახურში, არ დაკარგო საკუთარი სახე და დამოუკიდებლობა. საიდუმლო არ არის, რომ საქართველოს სპეცსამსახურები მჭიდროდ თანამშრომლობენ აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოსთან.**

— თუ ის, რაც თქვენ საქართველოს სპეცსამსახურების შესახებ თქვით, როგორც აუცილებელი პირობა — საკუთარი სახის შენარჩუნება, ეს სხვა ქვეყნების სპეცსამსახურებისთვისაც აუცილებელი უნდა იყოს. ამ შემთხვევაში, ალბათ, ლოგიკური იქნება, თუ ვიტყვით, რომ არც ამერიკელები გაგვიხსნიან ყველა კარტს და თავიანთი ქსელის საქმიანობის ნიუანსებს ხელის გულზე არ დაგვიდებენ.

— სავსებით ბუნებრივია, რომ — არა. ასეთია არა მარტო ლოგიკა, არამედ პრაქტიკაც.

**— დიპლომატიურ კორპუსში ხომ პრაქტიკულად გაშიფრულია, ვინ ასრულებს სპეცფუნქციებს?**

— საქმე ისაა, რომ პრაქტიკულად არ არის გაშიფრული, თუმცა **ყველა საელჩოში არის რეზიდენტურა, სადაც მუშაობენ ამ ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები.**

მათ დავალებული აქვთ, მოიპოვონ ინფორმაციის წყარო, გადაიბირონ ის პირები, ვინც ფლობს საინტერესო ინფორმაციას, მიაწვდიან მათ ამ ინფორმაციას და იმოქმედებენ ისე, როგორც შესაბამისი ქვეყნის ინტერესები მოითხოვს. საკითხთა-საკითხია, თუ სად უნდა ჰყავდეთ ასეთი აგენტურა? უნდა ჰყავდეთ იქ, სადაც პოლიტიკა იხარშება, ანუ პრეზიდენტის გარემოცვასა და მის კანცელარიაში, პრემიერ-მინისტრის გარემოცვასა და მის კანცელარიაში, პარლამენტში, თავდაცვის სამინისტროში, უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამსახურებში, ფინანსთა, ეკონომიკის, საგარეო საქმეთა სამინისტროებში და ასე შემდეგ.

ყველა სპეცსამსახური ცდილობს, რომ თავისი ინფორმატორები სწორედ ამ სტრუქტურებში ჩანერგოს.

**— პრეზიდენტის გარემოცვაშიც, ბატონო ანზორ?!**

— ნუ გიკვირთ: დიახ, **პრეზიდენტის გარემოცვაშიც.** გაიხსენეთ, ვინ და როდის განუდგა გამსახურდიას, შევარდნაძეს და დამეთანხმებით.

**— შეიძლება იგივე ითქვას ოპოზიციაზე, მთლიანად თუ არა, მის გარკვეულ ნაწილზე?**

— დიახ. თანაც, არა საერთოდ ოპოზიციის შემადგენლობაზე, არამედ **აქცენტირებულად ოპოზიციის ლიდერებზე. ისინი „მიმზიდველი ობიექტები" არიან დაზვერვისთვის და ამიტომ ცდილობენ, თავიანთ სამსახურში ჩაიყენონ.**

**— მით უფრო, ხელისუფლებიდან ოპოზიციაში გადასული და განაწყენებული ლიდერები?**

— დიახ.

**— კიდევ ერთ პრობლემაში გაგვარკვიეთ, თუ შეიძლება: საბჭოთა პერიოდის პარტიული ფუნქციონერები და აგენტურა. ახლა მაშინდელ პარტიულ მოღვაწეებს აგენტებთან აიგივებენ.**

— პარტიული ფუნქციონერების გადაბირება დირექტივით იყო აკრძალული. დაშვებული იყო მხოლოდ სახელმწიფოს დაზვერვის ინტერესების აუცილებლობის შემთხვევაში. პარტიული ფუნქციონერების აგენტებთან გაიგივება ისტორიულ რეალობას მოკლებულია.

უფრო მეტიც, **საქართველოდან უშიშროების არქივის მასალების სმოლენსკში გატანის შედეგად ქვეყანაში არ არის დოკუმენტაცია, რომლითაც შეიძლება ვინმეს აგენტობა დაუმტკიცონ,** ან — ძალიან ძნელი მოსაპოვებელია. სიის მიხედვით, ჩამონათვალში დასახელებული გვარით ადამიანს ვერ დაუმტკიცებ, რომ იგი უშიშროების სამსახურის თანამშრომელი იყო ან არის.

**— ირანთან უვიზო მიმოსვლის დაწესებას, უშიშროების სამსახურის თვალთახედვით, როგორ შეაფასებთ?**

— ცალსახა პასუხის გაცემა ამ შეკითხვაზე, ჩემი აზრით, შეუძლებელია, რადგან ეს საკითხი არც ისე მარტივია, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს.

ერთის მხრივ, ქვეყნებს შორის ადამიანების გადაადგილების გამარტივება, რა თქმა უნდა, პროგრესული მოვლენაა. კარგია ეს ეკონომიკური და, თუნდაც, პოლიტიკური ურთიერთობების აწყობის თვალსაზრისით. სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობამ ამით უნდა მოიგოს.

თუმცა ისიც ფაქტია, რომ ასეთ ვითარებაში გაურთულდებათ მუშაობა ქვეყნის სპეცსამსახურებს, თუნდაც ნარკოტრაფიკის კუთხით. არის სხვა მომენტებიც...

**— თუნდაც ისეთი, როგორიცაა ჩვენთვის გაუგებარი მიდგომა პრინციპული საკითხისადმი: ირანი ამერიკისთვის ნომერი პირველი მოწინააღმდეგეა, მტერიაო, რომ არ ვთქვათ. აშშ-ის ამ სახელმწიფოსთან დამოკიდებულებას შეიძლება იზოლაციონისტურიც კი ვუწოდოთ. საქართველოს ხელისუფლება კი იზოლაციის ამ რკალს არღვევს და ირანთან უვიზო რეჟიმს აწესებს. რაღაც „ვერ ჯდება" ლოგიკაში.**

— ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას რა რეაქცია ჰქონდა ამასთან დაკავშირებით?

**— მგონი არავითარი. ყოველ შემთხვევაში, ნეგატიური დამოკიდებულება არ გამოუხატავს. საჯაროდ მაინც.**

— ჰოდა, აქ ეძებეთ ლოგიკა. **ვერ გამოვრიცხავთ, რომ საქართველოსა და ირანს შორის უვიზო მიმოსვლა, ანუ ეს გახსნილი არხი ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეიძლება თავისი მიზნებისთვის გამოიყენოს.**

**— მათ შორის სადაზვერვო მიზნებსაც გულისხმობთ?**

— რა თქმა უნდა!

**— ამას, ალბათ, რომელიმე სხვა „ვიკილიქსის" ახალი პუბლიკაციებიდან შევიტყობთ... „ვიკილიქსის" მიერ საჯაროდ გამოტანილ ინფორმაციაზე ამდენი საუბარი რომ არის დღეს, ასიათასობით განსაიდუმლოებულ მასალებზე, ეს ნიშნავს, რომ სპეცსამსახურებმა საიდუმლოება ვერ დაიცვეს?**

— ის ინფორმაცია, რომელიც „ვიკილიქსმა" გაავრცელა, არ არის საიდუმლო, უფრო გასაგებად რომ ვთქვა, არის სამსახურებრივი სარგებლობის მასალები. **მითხარით, „ვიკილიქსის" პუბლიკაციებში ერთხელ მაინც თუ გამოჩნდა აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ან ინგლისის მი-6-ის, ან საფრანგეთის, ან რუსეთის დაზვერვის რომელიმე სამსახურის მასალები? არა. არ გამომზეურებულა არც ერთი ქვეყნის არც ერთი სპეცსამსახურის არც ერთი მასალა.** ვერც გამომზეურდება, რადგან ისეა დაშიფრული, რომ თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით ასი წლის მუშაობაა საჭირო, რომ გაიშიფროს. ასი წლის შემდეგ კი ვილას დასჭირდება ასეთი ინფორმაცია? ან რა ფასი ექნება ამ გაშიფრულ საიდუმლოს?

**— მაინც და მაინც ამერიკელების მწვავე რეაქცია ამ პუბლიკაციაზე ხომ არ ნიშნავს იმას, რომ სხვა სახელმწიფოს დაზვერვამ გაუმჟღავნა საიდუმლო?**

— არა მგონია, რადგან აქ სპეცსამსახურების დაპირისპირების არავითარი ნიშანი არ ჩანს. უფრო დიპლომატიურ ჩანაწერებს ეხება. რომელმა ელჩმა რომელიმე სახელმწიფოს მეთაურზე რა თქვა კოლეგასთან საუბრის დროს, სულაც არ არის სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალა. ღია ინფორმაციაა. არც ერთი სპეცსამსახური ამაზე არ მოცდება.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**



**ყველა საელჩოში არის რეზიდენტურა, სადაც მუშაობენ ამ ქვეყნის სპეცსამსახურების თანამშრომლები**

**P.S. ზოგიერთ მოაზროვნეს მიაჩნია, რომ აწმყო სულაც არ არის რეალობა, რადგან არავინ უწყის, როგორ და რა სახით ჩამოყალიბდება იგი.**

**აწმყო ისეთივე ეფემერულია, როგორც მომავალი. ერთის და მეორის გასაღები წარსულში დევს.**

**სწორია? არ არის სწორი? საკამათოა.**

**მხოლოდ წარსული იძლევა, ასე თუ ისე, სწორ პასუხს. ანზორ მაისურაძესთან საუბარმა, ეგებ, სწორედ ეს დაამტკიცა.**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@gewor



# ტოტალური თვალთვალი — პოლიციური რეჟიმის მორიგი მარწუხი

**საქართველოს მოსახლეობა კიდევ ერთხელ დაამცირეს ახალი, უმსგავსო „კანონით“, რომელიც ხალხის მუდმივ კონტროლზე აყვანასა და ტოტალურ თვალთვალს გულისხმობს საზოგადოებრივი თავშეყრის ნებისმიერ ადგილზე — ეს იქნება კაფე-ბარები, აფთიაქები, სასწავლებლები, საავადმყოფოები, სალონები თუ სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ ქუჩებსა და კაზინოებზე.**

**განვითარებულ ქვეყნებში პიროვნების უმიზეზო თვალთვალი დანაშაულად ითვლება. იქ ვიდეოკამერა ობიექტის მეპატრონის გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს ჩაურევლად არის დამონტაჟებული, და არა — იძულებით. ჩვენი ხელისუფლება კი პირიქით — მეპატრონეებს აიძულებს სათვალთვალო კამერების შეძენასა და დამონტაჟებას. 1 თებერვლიდან „უჩინარი“ ჯაშუშების მუდმივ სამიზნეებად ვიქცევით!**

უკვე იგეგმება ახალი სალარო აპარატების შემოტანაც, რომლებიც ძველი სალარო აპარატების მფლობელებს უფასოდ გადაეცემა. ვიდრე გაირკვეოდა, თუ რა განსხვავება იქნებოდა ძველსა და ახალ სალარო აპარატებს შორის, მეწარმეები ხელისუფლების „კეთილი ნებით“ აღფრთოვანებულები იყვნენ. მაგრამ სააკაშვილის გუნდს ამჯერადაც რაღაც მზაკვრობა ჰქონდა ჩაფიქრებული. საქმე ისაა, რომ **ახალ სალარო აპარატებში, როგორც მეწარმეებისთვის გახდა ცნობილი, ჩაამონტაჟეს ჩიპი და ვიდეოთვალი, რაც დააფიქსირებს შემოტანილი საქონლის რაოდენობას, აღრიცხვიანობას, მოგების ოდენობას და ა. შ.**

არც ისე შორეულ წარსულში, თუკი საქართველოში თვალთვალსა და მოსმენებს თანამდებობის პირები ეწირებოდნენ, დღეს ამ კანონს თვით პატიოსანი მოქალაქეების ღირსება შეეწირება. იმაზე დიდი შეურაცხყოფა რა უნდა იყოს ადამიანისთვის, როცა ვიღაც, უნდობლობის გამო, მუდმივად გითვალთვალებს. სად არის აქ ადამიანის პირადი უფლების ხელშეუხებლობა? კონსტიტუციით, თითოეული მოქალაქის

**ტოტალური თვალთვალით უკმაყოფილოთა რაოდენობა მართლაც პიკს აღწევს. „საქართველო და მსოფლიო“ პოლიტიკოსებისა და საზოგადოებისთვის ცნობილი სხვა ადამიანების მოსაზრებით დაინტერესდა. უნდა ითქვას, რომ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების აზრი იდენტურია.**

ზაზა გაბუნია, „ქრისტიან-დემოკრატი“, თბილისის საკრებულოს წევრი:

— მაღაზიასა და აფთიაქში რას ვყიდულობ, რა მერაბიშვილის საქმეა. ამ ყველაფრის მიზანი ტოტალური კონტროლია. „მადა ჭამაში მოდის“, ცხადია. აბა, პოლიციის პოპულარიზაციისკენ მიმართული ასეთი გავეშებული, გამალებული აქციები რისთვის არის საჭირო?

აფთიაქში, მაღაზიასა და სილამაზის სალონში, ისევე, როგორც სახლში (თუ ნებისმიერ სხვა ადგილას) ადამიანი თავისუფლად უნდა გრძნობდეს თავს. რას ყიდულობს, როგორ იქცევა ადამიანი, ნებისმიერ დროსა თუ ადგილას, თუკი იგი კანონს არ არღვევს, მაშინ ეს მხოლოდ მისი კომპეტენციის სივრცედ ითვლება. ამ გადაწყვეტილებით კი აუცილებლად შეიზღუდება აღნიშნული თავისუფლებები.

**კახა კუკავა, კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

— საქართველოში ტოტალურად ირღვევა ადამიანთა უფლებები როგორც პოლიტიკოსების, ასევე არაპოლიტიკოსების მიმართ. ჩვენ არაერთხელ გვინახავს ამის მაგალითები ტელე-ეთერშიც. მასობრივი თვალთვალი იკრძალება საქართველოს კონსტიტუციით. ასევე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მითითებულია, რომ თვალთვალი და მიყურადება დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარეობს საქმის ძიება. ანალოგიური პრინციპი მოქმედებს ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში. ეს არის ავტორიტარული ქვეყანა და მსგავსი რამ მხოლოდ ავტორიტარულ ქვეყნებშია მიღებული; მაგალითად, შუა აზიაში, ჩინეთში, ირანში და ა.შ.

**კახა ძაგანია, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

— ვიდეოკამერების ტოტალური მონტაჟი არა მხოლოდ პირად ცხოვრებაში უხეში ჩარევის მცდელობაა, ის, ასევე, სპეცსამსახურებისთვის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეზე შანტაჟისთვის ბინძური პროვოკაციული მასალის შესაგროვებელი საშუალებაცაა.

**დავით ზურაბიშვილი, რესპუბლიკური პარტიის წევრი:**

— თქვენ რა, აქამდე გეგონათ, რომ მართლა დამოუკიდებელ ქვეყანაში ცხოვრობდით? ამათგან აღარაფერი მიკვირს.

**რაც შეეხება საზოგადო მოღვაწეებს, მათ პოლიტიკოსებზე არანაკლებ კატეგორიული მოსაზრებები გამოთქვეს.**

**გია ბურჯანაძე, მსახიობი:**

— რატომ უნდა გვითვალთვალონ ყველგან? საზოგადოებაზე ეს მრავალმხრივ უარყოფითად აისახება. ჯერ ერთი, ამ მოწყობლობის დამონტაჟება იძულებითია, შესაბამისად, ხარჯიანიც. ამდენად, მათ უნდა აანაზღაურონ იგი და ამის გამო უნდა გააძვირონ პრეპარატები თუ სხვა ნაწარმი. გარდა ამისა, არანაირად არაა სასიამოვნო, როცა ადამიანი საუბრობ, თუნდაც პირადულზე და იცი, ვიღაცას ყური აქვს მოდებული. ეს არის ულირსი ქმედება. ნორმალურ ქვეყნებში ამაზე სასამართლოს გამოაქვს განაჩენი. აქ კი სადაა სასამართლო?

**გურანდა გაბუნია, მსახიობი:**

— ჯერ ერთი, რა თანხები დაჯდება ამ ვიდეოკამერების დამონტაჟება, უკვე წარმომიდგენია. ხალხი ისედაც მშიერია და ამაზეც ფული უნდა ხარჯოს? ადამიანს საკუთარი უფლება არ უნდა წაართვა. იტყვიან, თუ არ უნდა, ნუ შევაო, მაგრამ ეს ხომ უკვე უფლების წართმევაა?! აფთიაქში რას ვიყიდი, ეს ჩემი პირადი უფლებაა. მაგალითად, ამასწინათ 200 აფთიაქი მაინც მოვიარე, სანამ რაც მჭირდებოდა, იმ წამალს ვიშოვიდი, გამოდის, რომ ყველგან დავფიქსირდები?!

**თემურ წიკლაური, მომღერალი:**

— „ქურდს ქუდი ეწვისო,“ — ამბობენ. კი, ბატონო, თუ ასე უნდათ, მითვალთვალონ, რამდენიც უნდა, მაგრამ აქვე მინდა, დავსვა შეკითხვა: ხალხს სიკვდილისა და შიმშილის უფლება აქვს? მაგრამ, რას ვიზამთ, ასეთია ჩემი დედამიწა — ყველა ყველას უყურებს.

**ნონა გაფრინდაშვილი, მოჭადრაკე:**

— ეს არის საშინელება, სხვა შეფასება ამ საკითხთან დაკავშირებით არ არსებობს. ამაზე განსხვავებული აზრი მარტო „ხელისუფლებას“ თუ ექნება, არა მგონია, ნორმალურმა ადამიანმა სხვა შეფასება გააკეთოს.

**თუკი ჩვენი ხელისუფლება კიდევ იტყვის, რომ ვიდეოკამერებით თვალთვალი მხოლოდ იმათთვისაა მიუღებელი, ვისაც რაიმე აქვს დასამალი და პატიოსან ცხოვრებას არ ეწევაო, მაშინ „ვაღიაროთ“, რომ გამჭვირვალე, სუფთა ცხოვრება მხოლოდ ხელისუფლების წარმომადგენლებს ჰქონიათ, მთელი საზოგადოება კი, ზემოთ ჩამოთვლილ დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეებთან ერთად, კრიმინალი ყოფილა.**

**ეკა რობაქიძე**

# სააკაშვილი პოლიტბიუროსთვის ინჟინრებს ამზადებს

**საქართველოს მთავრობის დადგენილებით, მიმდინარე წლიდან სამართლის, ჯანდაცვის, ბიზნესის ადმინისტრირების (გარდა ტურიზმისა), მასობრივი კომუნიკაცია-ჟურნალისტიკის, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საჯარო მმართველობის მიმართულებებზე ჩაბარების მსურველი აბიტურიენტები მხოლოდ იმ შემთხვევაში დაფინანსდებიან სახელმწიფოს მიერ, თუკი ისინი 100%-იანი გრანტის მოპოვებას შეძლებენ. 70, 50 ან თუნდაც 30-პროცენტიანი გრანტის მიღების შემთხვევაში, მათ სრულად მოუწევთ სასწავლო თანხის გადახდა.**

სავარაუდოდ, მთავრობის აღნიშნული გადაწყვეტილება პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ შარშან გამოცხადებული განათლების სფეროთა პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების ნაწილია. ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში, განათლების სამინისტროში სტუმრობისას, პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოს მომავალი საინჟინრო დარგების განვითარებაზეა დამოკიდებული, ინოვაციაზე, საკუთარი პროდუქტის შექმნასა და მის ექსპორტირებაზე.

**„სინგაპურის განვითარების საფუძველიც ეს იყო და ასე განვითარდა ჩინეთიც. ჩინეთის პოლიტბიურო, ძირითადად, ინჟინრებით არის დაკომპლექტებული, რადგან მათ კარგად ესმით, თუ რას ნიშნავს ტექნიკური დარგების განვითარება“**, — აცხადებდა სააკაშვილი.

უნივერსიტეტებმა აღნიშნული დადგენილება უკვე მიიღეს. თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი **ნოდარ ბელქანია** ამბობს, რომ მისი ფაკულტეტის შემადგენლობაში არსებული მიმართულებიდან, აღნიშნული დადგენილება ჟურნალისტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებებს ეხება. მისი თქმით, იმ ადამიანებს, რომლებიც 100%-ზე ნაკლებ გრანტს მიიღებენ, თავად მოუწევთ სწავლის მთლიანი საფასურის გადახდა.

**„შესაძლოა, ამის საფუძველი იყოს ის, რომ ორივე მიმართულება მოთხოვნადია და პრიორიტეტი აღარაა სახელმწიფოსთვის. არიან სტუდენტები, რომლებიც 100%-იანი გრანტის მიღებაში დარწმუნებული არიან და კარგადაც ემზადებიან, ხოლო ის სტუდენტები, რომელთაც აქვთ საკმარისი ფინანსები, არასათანადოდ მოემზადებიან, რომ ფასიანზე მოხვდნენ და გააგრძელონ სწავლა“**, — ამბობს ბელქანია.

**პროფესორ ჯემალ მეზონიას** აზრით, ვაუჩერები უნდა იყოს დანამატი და უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს საბაზო დაფინანსება. **„არც ერთ ქვეყანაში არ ხდება ასეთი რამ, რომ მხოლოდ ვაუჩერებით განისაზღვრება უნივერსიტეტის დაფინანსება. ამათ თავის დროზე შეცდომა დაუშვეს, რომ ჩაკლეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ეს იყო არაკვალიფიციურობის გამოვლენა. როგორ შეიძლება ასე? 70-80 პროცენტით მაინც უნდა დააფინანსონ უნივერსიტეტი და დანარჩენი კი — ვაუჩერით. ის, რასაც ახლა აკეთებენ, უსამართლობაა“**, — ამბობს პროფესორი.



მერაბ ჯიბლაძე: **განათლება ბიზნესი არ არის, ამ სფეროში ფულის კეთება არ შეიძლება**

**მერაბ ჯიბლაძე, პროფესორი:**

— მე წინააღმდეგი ვარ ფასიანი სწავლის. მაშინაც წინააღმდეგი ვიყავი, როდესაც მინისტრის მოადგილე ვიყავი. **თუ გვინდა, რომ სწავლის დონე ავწიოთ, სახელმწიფომ მთლიანად უნდა დააფინანსოს განათლება.**

თუ ბავშვმა გადაიხადა ფული, მას აქვს ვაუჩერი, დარწმუნებულია, რომ დადებით ნიშანს დაუწერენ და თვითონ გამომცდელიც და რექტორატიც დაინტერესებულია, რომ ბავშვი შეინარჩუნოს. ამიტომ დადებითი ნიშანი გარანტირებული აქვს. ეს კი დაბლა წევს განათლების დონეს. **სწავლა უნდა იყოს სახელმწიფოს ხარჯზე. შეიძლება ამდენი სტუდენტი არ იყოს საჭირო, მაგრამ, თუ სწავლა უნდა მას, აუცილებლად უფასოდ უნდა ისწავლოს.** განათლება ბიზნესი არაა, არ შეიძლება ამ სფეროში ფულის კეთება.

**თემურ ქორიძე, ჟურნალ „ისტორიული მემკვიდრეობის“ რედაქტორი:**

— რამდენადაც მახსოვს, სააკაშვილმა ამას წინათ განაცხადა, რომ ის არ სწყალობს ფუნდამენტურ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს, რადგან არ სჭირდება ქართულ საზოგადოებას და არ დააფინანსებს სახელმწიფო, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება ერის, საზოგადოების ინტელექტუალური განვითარების ტენდენციას. **კაპრიზები, რომ თითქოს მხოლოდ მღებავები, ოფიციანტები, სასტუმროს თანამშრომლები გვჭირდება და ეს მოუტანს სახელმწიფოს წარმატებას საერთაშორისო ასპარეზზე, დიდი მკრეხელობა და უარყოფაა ჩვენი მომავლისა და წერტილის დასმაა ჩვენი პერსპექტივისთვის.**

კლასიკური მეცნიერებები, რომელთაც უდიდესი ტრადიცია აქვს მსოფლიო განათლების ყველა ეპოქაში, არ უნდა მოექცეს ჩრდილქვეშ და ის, რომ სააკაშვილს საერთოდ ჩვენი კულტურა არაფრად ადარდებს და საქართველოს ინტელექტუალური სწრაფვის პრობლემა არ აწუხებს, ჩვენთვის ცხადია. ალბათ, უნდა დაველოდოთ უკეთეს მომავალს, როდესაც ქვეყნის სათავეში არ იქნება ანტიქართული, ანტიინტელექტუალური, ანტიეროვნული რეჟიმი და დადგება ამ დარგების აღორძინებისა და განვითარების დრო. ამის გარეშე საზოგადოებისა და ქვეყნის წინსვლაზე საუბარი შეუძლებელია.



თემურ ქორიძე: **კაპრიზი, რომ მხოლოდ მღებავები, ოფიციანტები და სასტუმროს თანამშრომლები გვჭირდება, მკრეხელობაა!**

**ლილი მიროტაძე**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

**საქართველოს ხელისუფლებაში ძლიერი და სუსტი პოლიტიკოსების გვერდით მუდამ იყვნენ და კვლავაც იქნებიან ფსევდო-პოლიტიკოსები, რომლებიც მხოლოდ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე არიან მოტივირებული და არა ქვეყნის. სწორედ ამ კატეგორიას განეკუთვნებიან ჩვენი რუბრიკის — „როგორ იწრთობოდა „ნაცმოძრაობა“ — განხილვის შემდეგი ობიექტები: საქართველოს ელჩი იტალიაში კოტე გაბაშვილი და უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი გიორგი (გოკა) გაბაშვილი. მათი გვარი ხელისუფლებაში კომუნისტური წყობიდან ფიგურირებს. ისინი მტერს მუდამ პირველი ეგებებოდნენ ღიმილით და ნებისმიერ დამპყრობელს თავს აწონებდნენ, რისთვისაც გიდის როლს თავისებური ოსტატობით ასრულებდნენ. გაბაშვილების პოლიტიკურ სვლებს ჩვენი რუბრიკის ორი მუდმივი რესპონდენტი — „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძე და 1992 წლიდან საქართველოდან დევნილი პრემიერ-მინისტრი ბესარიონ გუგუშვილი შეაფასებენ.**

# ყველა დროის ქართველი «YES MEN»-ები — კოტე და გოკა გაბაშვილები

კოტე გაბაშვილი პოლიტიკაში პედაგოგიური ასპარეზიდან მოვიდა. 1987 წელს, ცკ-ის იდეოლოგიური მდივანი გურამ ენუქიძე განათლების მინისტრად დანიშნეს, რის შემდეგაც სამინისტროს მეტი პრივილეგია მიენიჭა. კოტე გაბაშვილი იმ დროს „გერმანული სკოლის“ დირექტორი იყო და გააფთრებით ებრძოდა „ცრურეფორმატორ“ შალვა ამონაშვილს.

გვიან კომუნისტურ ხანაში „ეროვნული იდეოლოგები“ პოპულარული გახდა. ამდენად, კოტე გაბაშვილიც ჩაერთო „ეროვნული სკოლის კონცეფციის“ შემუშავებაში და განათლების მინისტრის მოადგილეც გახდა, თუმცა მაშინ, მოადგილეობას კი არა, მინისტრობასაც აღარ ჰქონდა ძველებური წონა და გავლენა.

**კოტე გაბაშვილი 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ოპოზიციურ მიტინგებზეც ხშირად ჩნდებოდა და საბოლოოდ ერთ-ერთი ყველაზე მძვინვარე „ანტიზვიადისტი“ გახდა. ახალმა ხელისუფლებამ მას ეს დაუფასა კიდეც და 1992 წელს სამხედრო საბჭომ იგი განათლების მინისტრად დანიშნა. მაგრამ იმ დროს უკვე იმდენად გაძლიერდა, რომ არც ეს აკმარეს და თბილისის მერობაც არგუნეს. ეს კი სერიოზული ტრამპლინი იყო მისთვის, რომლის მეშვეობით გაბაშვილი გერმანიაში ელჩად დაინიშნა. თბილისის პოსტკომუნისტურ ბიუროკრატიას დიდად არ ეპიტნავა „ახალი კაცის“ შემოჭრა მის სამფლობელოში. ამდენად, შევარდნაძე იძულებული გახდა, გაბაშვილი „დიპლომატიურ გადასახლებაში“ გაეგზავნა.**

კოტე გაბაშვილმა განცვიფრებულმა აღიარა იმ კრიმინალური ხროვის უმწეობა, რომელმაც სამხედრო გადატრიალება მოახდინა ქვეყანაში. სოხუმში ყოფნისას მან ასეთი რამ წარმოთქვა: **„ზოგჯერ ის ხალხიც კი გარბის კურდღლივით სოხუმიდან, ვინც მეომარი და ვაჟკაცი მეგონა“.** ეს ფრაზა შემდგომში ყბადაღებულ გამოთქმად იქცა.

**„გაბაშვილები საკუთარი ინტერესების გამო ბევრ მთავრობას მოერგნენ. ისინი შევარდნაძეს მეორე ჩამოსვლის შემდეგ ძალების მოკრებასა და დამკვიდრებაში ეხმარებოდნენ. გაბაშვილები ამ გზით შეჩვეული ფუფუნებისა და სამომავლოდ პოლიტიკური კარიერის წინსვლას გეგმავდნენ. შევარდნაძის დროს კოტე გაბაშვილმა მოახერხა და განათლების მინისტრის, ქალაქის მერის, დეპუტატის, საზოგადოების მოძრაობის ხელმძღვანელის სავარძლები დაიკავა. ელჩიც კი გახდა, თუმცა იგი ყოველთვის ბოროტად იყენებდა ყველა მის თანამდებობრივ რესურს. მაგალითად, მისი ელჩად ყოფნისას იგი არათუ სახელმწიფოებრივი ინტერესების გამომხატველი იყო, არამედ პარტიის — „მოქალაქეთა კავშირის“ ინტერესების დამცველი.**

**როცა განათლების მინისტრად დაინიშნა და განათლების სისტემა რეფორმებს საჭიროებდა, გაბაშვილი აქაც პარტიულ რეფორმებს ატარებდა. ამას არ სჯერდებოდა და თანამდებობებზე მხოლოდ პარტიულ კადრებს ნიშნავდა“,** — აღნიშნავს მამუკა გიორგაძე.

მართლაც, მამის გავლენით თუ „პირადი შრომის“ შედეგად, შევარდნაძის დროს, 1997 წელს, გოკა გაბაშვილი განათლების სამინისტროში საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებაში იწყებს მუშაობას. მისი პოლიტიკურ ცხოვრების აღმავლობაც აქედან იწყება. 1998 წელს იგი გერმანიაში, ქ. ბონის გერმანიის საგარეო პოლიტიკის ინსტიტუტში მუშაობს. 1998-2002 წლებში მუშაობდა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოში“, იყო სასკოლო სახელმძღვანელოების, გამომცემლობათა, მთარგმნელობითი, მასმედიისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამების ხელმძღვანელი. მანამდე, 1991-1994 წლებში იგი გერმანიაში სწავლობდა, ზაარბრიუკენის უნივერსიტეტში გერმანისტიკისა და ფილოლოგიის ფაკულტეტზე. 1995 წელს კი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა. **თუ გადავხედავთ მისი და კოტე გაბაშვილის ბიოგრაფიებს, ისინი ანალოგიური გზებით მოვიდნენ პოლიტიკაში. როგორც ჩანს, მამა შვილის მისაბაძ მაგალითად იქცა.**

გოკა გაბაშვილი ჯერ კიდევ 2000-2002 წლებში საკუთარ კარიერას შევარდნაძის ფრთის ქვეშ ხედავდა და მას საავტორო ტელეპროექტ „აზრი“-ს მეშვეობით მითიურ ამბებსაც კი უძღვნიდა. ასევე გახდა პარტია „გაერთიანებული დემოკრატების“ გენერალური მდივანი; ხოლო **2003 წელიდან, შეატყო რა, რომ შევარდნაძის გემი უკვე იძირებოდა, გოკამ არც აცია, არც აცხელა, საკუთარი ტყავის გადასარჩენად განსხვავებულ პოზიციებზე გადავიდა და მოწინააღმდეგეთა ფლანგიდან შევარდნაძეს ტალახის სროლა დაუწყო. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროისთვის მამა — კოტე გაბაშვილი შევარდნაძის მხარეს იყო, შვილი — გოკა გაბაშვილი კი ჟვანია-სააკაშვილის რიგებში ჩაირიცხა. „კვიცი გვარზე ხტისო“. ჰოდა, გოკაც, კოტე გაბაშვილის მსგავსად, მოღალატე გამოდგა.**





**მამა — კოტე გაბაშვილი შევარდნაძის მხარეს იყო, შვილი — გოკა გაბაშვილი კი ჟვანია-სააკაშვილის რიგებში ჩაირიცხა. „კვიცი გვარზე ხტისო“. ჰოდა, გოკაც, კოტე გაბაშვილის მსგავსად, მოღალატე გამოდგა**



ცხადია, არც მამას და არც შვილს ქვეყნის ინტერესები კი არ ამოძრავებდათ, არამედ — გადარჩენის ინსტიქტი. მათ, უბრალოდ, თადარიგი დაიჭირეს, რომ ნებისმიერ გამარჯვებულ ფლანგში ადგილი წინდაწინ დაეკავებინათ.

ამ გზით მათ საშუალება მიეცათ, ახალ ხელისუფლებაშიც დამკვიდრებულიყვნენ. სულ რაღაც თვეების მანძილზე გოკა გაბაშვილმა გამარჯვებულთა რიგებში საპატიო ადგილი დაიკავა, 2004 წლის 17 თებერვალს სააკაშილმა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრად დანიშნა. თანამდებობითაც კარგად დატკბა და 2008 წლიდან საქართველოს პარლამენტის კომიტეტის თავმჯდომარის სავარძელშიც ჩაესვენა.

შევარდნაძის ელჩი გერმანიაში კოტე გაბაშვილი კი ჯერ საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ დაბრუნდა სამშობლოში, შემდეგ კი, რაკი ხალხი დასანახად ვერ იტანდა, სააკაშილმა იტალიაში ელჩად გაუშვა.

მამუკა გიორგაძეს კოტე და გოკა გაბაშვილების ზემოაღნიშნული „განსხვავებული“ პოზიციები გამაღიზიანებლად მიაჩნია.

**„მამა-შვილის ეს მეშჩანური ქმედება აბსოლუტურად უზნეო საქციელად მიმაჩნია როგორც ადამიანური თვალსაზრისით, ასევე — პოლიტიკური კუთხითაც. წააგო შენმა პარტიამ? წადი რა, ადამიანურად. ეს არის ნორმალური საქციელი. შიშის გამო კაცმა ღირსება არ უნდა დაკარგო. თუ იცოდა, რომ შევარდნაძე მართალი იყო, გვერდით უნდა დადგომოდა და, თუ გვერდით ედგა, ბოლომდე მდგარიყო. ეს უკვე ზნეობრივი განსაზღვრაა, თუმცა შევარდნაძისთვის ეს სვლა უცხო ნამდვილად არ იქნებოდა, ისიც ხომ მათსავით იქცეოდა. მანაც ზუსტად ასე დაარტყა წიხლი იმ ხალხს, ვინც მას ხელისუფლებაში მოსვლაში დაეხმარა. ეს არის მანკიერი ცხოვრების სტილი პოლიტიკაში. კოტე გაბაშვილი შევარდნაძის გუნდის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური წევრი გახლდათ, რომელიც მანკიერი მართვის დამკვიდრების თანამონაწილე იყო. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საქართველოში სახელმწიფო ჯერ კიდევ ვერ ავაშენეთ, რომ დღეს ქვეყანაში მაღალია დანაშაულებების მაჩვენებელი, კორუფციის ხარისხი და საძირკველშეურყეველია საბჭოური კლანური მმართველობა“,** — აღნიშნავს მამუკა გიორგაძე.

ბესარიონ გუგუშვილის თქმით, გაბაშვილები კომპრადორული ფსევდოელიტის ტიპური წარმომადგენლები არიან და ნებისმიერ დამპყრობელს ერგებიან. **„ესენი ანტიეროვნული მმართველი კლასის, კომპრადორიატის იმ ტიპის წარმომადგენლები გახლავან, მხოლოდ გვარი რომ აქვთ ქართული. სწორედ ამიტომ აფასებს მათ ნებისმიერი დამპყრობელი. თავის დროზე ისინი შევარდნაძის რიგითი ფეხისმლოკველები იყვნენ, კლასიკური მედროვეები, მაგრამ ასეთებისთვის ეს ცოდვად არ ითვლება და ერთმანეთს ბოლომდეც არ გაწირავენ. მაგალითად, გოგა ხაინდრავა, რაც უნდა აბურთაონ, მაინც ზედაპირზე იტივტივებს, გაბაშვილებიც. როგორი მთავრობაც უნდა მოვიდეს, მათ ტყავს მაინც არ დაგლეჯს და სალაფავ გობთან ვიწრო ადგილს მაინც მიუჩენს“.**

ბესარიონ გუგუშვილი გაბაშვილების ხელისუფლებაში პარპაშს ნათესაურ კავშირებს მიაწერს და არა მათ რაიმე მნიშვნელობის მისიას ან ღირებულებას: **„სხვათა შორის, გაბაშვილებს არავითარი განსაკუთრებული მისია არ ჰქონიათ, მათ მხოლოდ პატრონის ყურმოჭრილი მონობა ევალებოდათ. ძალზე მოხერხებული სუბიექტები არიან, პატრონის აბსოლუტური მონები თავიანთ მისიას თავს დღემდე მშვენივრად ართმევენ** (თუმცა ამაზე უღირსი და დამამცირებელი მისია რაღა უნდა არსებობდეს? — ავტ.).

**ამერიკული ინგლისურით ასეთებს „THE YES MEN“-ებს უწოდებენ, ყველა რეჟიმის „YES MEN“-ებს.**

**გადახედეთ რამდენი ძმები და ცოლ-ქმრებია და ა. შ. პოლიტიკასა და სხვა ელიტებში. ანტიეროვნული, ანტიხალხური რეჟიმებისთვის ასეთი კლანურობა ძალზე დამახასიათებელია.**

**მაგალითად, მიხეილ გორბაჩოვის ცოლი და მერაბ მამარდაშვილის ცოლი „დაქალები“ იყვნენ და სტუდენტობის მთელი 5 წელიწადი საერთო საცხოვრებლის ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. ამის მაგალითზე ადვილი მისახვედრია, თუ რატომ გადაიქცა ვინმე მერაბ მამარდაშვილი „პერესტროიკის“ „გამოჩენილ“ ფილოსოფოსად და იდეოლოგად. ამ შემთხვევაში მამა-შვილი მხოლოდ კონკრეტული შემთხვევაა. მათ უამრავი ნათესავ-მოყვარე ჰყავდათ ჯერ კიდევ კომუნისტურ ნომენკლატურაში“,** — აღნიშნა ბესარიონ გუგუშვილმა.

**გოკა გაბაშვილი, მისი და კოტე გაბაშვილის პოლიტიკური ბექგრაუნდის შემდეგ, საკუთარ თავს უფლებას აძლევს, მოღალატეობისთვის სხვა დაძრახოს და ხმამაღლა გააქილიკოს. ერთ დროს რუსეთის იდეოლოგიური „ფანი“, დღეს რუსეთთან დაახლოებულ პოლიტიკოსებს მოღალატეებად ურცხვად რაცხავს და თავი სააკაშვილის ხელისუფლების ქომაგად მოაქვს.** ამ ჭრილში საინტერესოა, განვიხილოთ ბურჯანაძისა და ნოღაიდელის შესახებ გაკეთებული შეფასება თავად გოკა გაბაშვილის მიერ.

**„ნოღაიდელი. დგას იმ ადამიანის გვერდით, რომელიც საქართველოს მტერია. ყოველთვის იყვნენ მოღალატეები და კვლავ იქნებიან, თუმცა ქართველი ხალხი პატრიოტ ადამიანებს სცემს პატივს და არა მოღალატეებს. ამიტომაც დიდი იმედი** ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ მაქვს, რომ ქართული საზოგადოება ნოღაიდელის ამ ქმედებებსაც ადეკვატურად შეაფასებს", — განუცხადა გაბაშვილმა თავის დროზე ერთ-ერთ სააგენტოს კორესპონდენტს.

**„ყოველთვის არსებობდნენ საქართველოში მოღალატეები, რომლებიც ოცნებობდნენ ხელისუფლებაში მოსვლაზე მტერთან პირის შეკვრით. ამ გზას აგრძელებს ქალბატონი ბურჯანაძეც. ბუნებრივია, ის საქართველოს ინტერესებისთვის მოსკოვში არ ჩასულა, არამედ — თავისი ინტერესებისთვის",** — აცხადებს გაბაშვილი. ამ ხრიკებში გაწვრთნილი გაბაშვილი თავისუფლად ხვდება სხვათა მოტივებსაც; გაბაშვილებიც ხომ სწორედ ამ გზით მოგვევლინენ ხელისუფლებაში.

ამაზეა ნათქვამი, მოღალატე სული მოღალატეს ადვილად შეიცნობსო. მსგავსი და უარესი ნაბიჯები ხომ არც ისე შორეულ წარსულში კოტე და გოკა გაბაშვილებმაც გადადგეს. ასე რომ, ნოღაიდელ-ბურჯანაძის „ღალატთან" ერთად, ქართველი ერი არც გაბაშვილების „პატრიოტობას" დაივიწყებს.

**„როგორ შეიძლება გაბაშვილებს ერმა აპატიოს სოხუმის ჩაბარების, სოხუმიდან სამხედრო ძალებისა და ტექნიკის გამოყვანის აქტიური მხარდაჭერა?!**

**გოკა გაბაშვილი ამ დროისთვის მამის კვალდაკვალ აქტიურობდა.**

**პირადად არანაირი პრობლემა კოტე გაბაშვილთან არ მქონია, თუმცა, უნდა გითხრათ, რომ იგი პოლიტიკურად პასუხისმგებელია საქართველოში დღეს მიმდინარე მოვლენებზე. თუკი ოდესმე ობიექტური პასუხისგების დრო დადგება, კოტე გაბაშვილი ერთ-ერთი პასუხისმგებელი პირი იქნება ჩადენილი პოლიტიკური დანაშაულებების გამო.**

**ადამიანური კუთხით, ყველა ის ქართველი მენანება, რომლებიც, ნებით თუ უნებლიეთ, სხვადასხვა მოტივით ბოროტებას ემსახურებიან. დასანანია იმიტომ, რომ თითოეულ მათგანს შეეძლო თავი და ნებისმიერი რესურსი ქართული პატრიოტული საქმისთვის გამოეყენებინა. მაგრამ ეს გზა აირჩიეს: ორივემ — მამამაც და შვილმაც ერთი და იგივე პოლიტიკური ცხოვრების გზა განვლეს",** — ამბობს მამუკა გიორგაძე.

რაც შეეხება კოტე გაბაშვილის კრიმინალურ წარსულს, ამის შესახებ იტალიაში, პოლიტიკურ თავშესაფარში მყოფი **ბექა გოგოსაშვილი** გვიამბობს, რომელიც კოტე გაბაშვილის მუქარის გამო გაიქცა საქართველოდან:

**„მე და ჩემი მეგობარი გიორგი გამცემლიძე არჩევნების წინ, 2007-ში, რამდენიმე „ნაციონალ" თანამდებობის პირს დავუკავშირდით, რომ მათთვის გარანტირებული ხმები მოგვეგროვებინა ჩვენი 2 ძებნილი მეგობრის საქართველოში დაბრუნებისა და 3 მეგობრის ციხიდან გათავისუფლების სანაცვლოდ. მაშინ კოტე გაბაშვილი არაოფიციალურად ვაკის შტაბის უფროსი იყო და თავად დაგვიკავშირდა არჩევნების წინ და გვითხრა, რომ „ნაციონალები", „სოდი" და ვანო მერაბიშვილი თანახმანი იყვნენ ჩვენს პირობაზე. ჩვენ ხმებზე მუშაობა დავიწყეთ და 8000 ხმა მოვაგროვეთ, თუმცა გარკვეული პერიოდის შემდეგ გვითხრეს, თქვენს ხალხს არაფერი ეშველებაო და უკვე ჩამოყვანილი კაცის დაჭერაზე დაიწყეს მუშაობა. გიორგიმ უთხრა, თუ ასეა, არც ჩვენ ვართ 8000 ხმის გარანტიო. ეს სიტყვები გიორგის ძვირად დაუჯინეს.**

**როცა 2008 წლის 8 მაისს ერთ-ერთი ძებნილი — ლევანი მანქანის საჭესთან იჯდა, ხოლო მის გვერდით — გიორგი გამცემლიძე, პატრული დაედევნათ. რა თქმა უნდა, მძღოლი პატრულს არ დაემორჩილა, რადგან ოფიციალურად ისევ ძებნაში იყო და პატრულმა მათ ცეცხლი გაუხსნა, თუმცა არა მძღოლის მხრიდან, არამედ გიორგის მხრიდან, ანუ ეს იყო შეკვეთილი მკვლელობა. როცა მანქანიდან გადმოვიდა და მიხვდა, მოკვლას უპირებდნენ, გაქცევა დააპირა. პატრულმაც დამიზნებულად პირდაპირ კეფაში ესროლა ზურგიდან და არა — ფეხებში. შემდეგ მანქანის ნახვა გვინდოდა იმის დასაზუსტებლად, ცეცხლი გიორგის გაუხსნეს თუ ძებნილ მძღოლს. ამაში დახმარება ჩვენთვის კოტეს შეეძლო, მაგრამ 3 დღე, ვიდრე მანქანა არ გააკეთეს, არ გვიჩვენეს. კოტე გაბაშვილი ამ მკვლელობის თანამონაწილეა, ეს მიმიკებზეც ეტყობოდა მას და ქმედებაზეც. მან გრიგალაშვილს დააფარა ხელი, ვისი ბრძანებითაც ეს მოხდა და რაშიც კოტეც იყო გასვრილი. მკვლელის ხელშემწყობი კი იგივე მკვლელია.**

**კოტე გაბაშვილი არსოშვილისა და კირკიტაძეების მფარველია რურუებთან ერთად. მან ის შაოსნების ბანდა დააკომპლექტა, რომელიც 7 ნოემბერს ხალხს არბევდა,"** — აცხადებს ბექა გოგოსაშვილი. **როგორც თავად განაცხადა, იგი ამჟამად იტალიაში სათვისტომოს შექმნას აპირებს, რომ საქართველოს საელჩო გააუქმონ და კოტე გაბაშვილი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ".**

მართალია, გაბაშვილები დღეს ასპარეზზე დიდად არ ჩანან, მაგრამ, ის, რომ ამ დანაშაულებრივ საქმეში ხელისუფლება უდგას გვერდით, მათი პოლიტიკური ბექგრაუნდიც რომ არ გავითვალისწინოთ, უკვე დანაშაულია. საინტერესოა, კიდევ რამდენ ხელისუფლებას და თანამდებობას გამოიცვლის მარადმწვანე მამა-შვილი...

**ეკა რობაქიძე**

## როგორი მთავრობაც უნდა მოვიდეს, გაბაშვილების ტყავს მაინც არ დაგლეჯს და სალაფავ გობთან ვიწრო ადგილს მაინც მიუჩენს

# სააკაშვილის რუხი კარდინალის ბიზნესცოდვები

**სააკაშვილის კარზე ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი ფიგურა იუსტიციის მინისტრი ზურაბ ადეიშვილი გახლავთ. რუხ კარდინალად წოდებული ადეიშვილი ზედმეტად თვალში არავის ეჩხირება, თუმცა სააკაშვილის კარზე გადაწყვეტილების მიმღები ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა.**

ზურაბ ადეიშვილი 1972 წლის 22 ივლისს ყვარლის რაიონის სოფელ მთისძირში დაიბადა. 1994 წელს დაამთავრა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და 1997 წელს ჩაირიცხა სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის ასპირანტურაში, 1998-1999 წლებში სწავლობდა ნიდერლანდებში, გრონინგენის სამეფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურაში. მისივე ოფიციალური ბიოგრაფიის მიხედვით, ამავე პერიოდში, 1996-99 წლებში, მუშაობდა საქართველოს პარლამენტში საკონსტიტუციო, იურიდიულ საკითხთა და კანონიერების კომიტეტის წამყვან სპეციალისტად, თუმცა მეტად საეჭვოა, როგორ ახერხებდა ორ სხვადასხვა ქვეყანაში მუშაობასა და სწავლას ერთსა და იმავე დროს.

1999 წლის ივნისიდან ნოემბრამდე მუშაობდა იურიდიულ ფირმაში „ოქრუაშვილი და პარტნიორები" იურისტად. შემდეგ ადეიშვილი მოღვაწეობას საქართველოს პარლამენტში აგრძელებს, ოღონდ ამჯერად პარლამენტის წევრია. „ვარდების რევოლუციის" შემდეგ კი იგი ჯერ იუსტიციის მინისტრი, შემდეგ გენერალური პროკურორი, იუსტიციის სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის გაერთიანების შემდეგ კი კვლავ იუსტიციის მინისტრი გახდა. მისი კანდიდატურა რამდენიმეჯერ განიხილებოდა პრემიერ-მინისტრის პოსტზეც, თუმცა ამ თანამდებობაზე ადეიშვილი არ დაუნიშნავთ. **იგი საზოგადოებაში სააკაშვილის უახლოეს გარემოცვას შორის ყველაზე ნაკლებად ჩანს, თუმცა ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობს და შიდა კლანურ დაპირისპირებაშიც ხშირად მოიაზრებენ, განსაკუთრებით კი სააკაშვილის მარჯვენა ხელთან — მერაბიშვილთან მიმართებაში.**

ადეიშვილის სახელს უკავშირდება პოლიტიკური ტერორებიც. ექს-პრემიერი ზურაბ ნოღაიდელი მას ადანაშაულებდა ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილზე ზეწოლაშიც, რის გამოც ჩხარტიშვილი იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა, რადგან, **ნოღაიდელის განცხადებით, ადეიშვილი და მერაბიშვილი ბიზნესმენს მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას აიძულებდნენ, თითქოსდა მან პრემიერ-მინისტრობის დროს ქრთამი აიღო.**

**ადეიშვილს ადანაშაულებდა ბიზნესმენი ქიბარ ხალვაშიც ტელეკომპანიების — „რუსთავი 2"-ისა და „მზის" საკუთრებაში არსებული წილების წართმევაში.** როგორც ხალვაშის ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებდა, ირაკლი ოქრუაშვილის მეგობარი ქიბარ ხალვაში „რუსთავი 2"-ის 78 %-იან წილს, ხოლო „მზის" 22 %-იან წილს ფლობდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც ოქრუაშვილმა თანამდებობა დატოვა, ხალვაშს ტელეკომპანიაში კუთვნილი წილები მთლიანად ჩამოართვეს. ეკა ბესელიას განცხადებით, **„2006 წლის 17 ნოემბერს, ანუ იმავე დღეს, როცა ოქრუაშვილმა თანამდებობა დატოვა, ხალვაში სახელმწიფო კანცელარიაში დაიბარეს და მისი წილი გადააფორმეს „საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფზე" და შპს „გეოტრანსზე", რომლის მფლობელიცაა ვინმე ბიძინა ნიჟარაძე. თუ ხალვაში ორივე ტელეკომპანიაში არსებულ წილებს არ დათმობდა, მას და მის ოჯახს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ".**



ადეიშვილის გარეშე არ ჩაუვლია საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას, 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის სასტიკ დარბევას. მაშინდელი სახალხო დამცველის — სოზარ სუბარის განცხადებით, **2007 წლის 4 ნოემბერს შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში შეიკრიბნენ მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, ზურაბ ადეიშვილი და დავით ახალაია და აქციის დაშლის მეთოდები ერთად შეიმუშავეს.**

## 2007 წლის 4 ნოემბერს შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილის კაბინეტში შეიკრიბნენ მაშინდელი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი, ზურაბ ადეიშვილი და დავით ახალაია და აქციის დაშლის მეთოდები ერთად შეიმუშავეს



როგორც ჩვენი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები, ზურაბ ადეიშვილიც სრულად დაეპატრონა თავის რაიონს, იქ სიტუაციას მამამისი განაგებს. **შალვა ადეიშვილს კახელები სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების, ჭალებისა და ტყეების მითვისებაში, სახნავ-სათესი მიწების, გაზგამანაწილებელი სადგურებისა და ღვინის ქარხნების გასხვისებაში ადანაშაულებენ.** ასევე აცხადებენ, რომ ის განკარგავს რაიონის ბენზინგასამართ ქსელს და სახელმწიფო ობიექტების გასხვისებას საეჭვო ფასად საეჭვო ვითარებაში ახორციელებს. ყვარლის სამუსიკო სკოლა, რომელიც 500 ათასად იყო შეფასებული 28 ათასად სწორედ მისი ძალისხმევით გაიყიდა. 300 დოლარად გაიყიდა ყვარლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, რომელიც (ისევე, როგორც სამუსიკო სკოლა), ადგილობრივების განცხადებით, ადეიშვილმა ვინმე კანიევს მიჰყიდა, ვის არსებობაშიც საზოგადოებას ეჭვი ეპარება და ფიქრობს, რომ ამ გვარის უკან შალვა ადეიშვილი იმალება. **ოპოზიციური პარტიების მტკიცებით, ახალგაზრდობის სახლში ადეიშვილმა სტრიპტიზ-კლუბი გახსნა.**

საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა მისი ძმა — დავით ადეიშვილიც. ადგილობრივი ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების განცხადებით, დავით ადეიშვილმა სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რაიონისთვის გადაცემული ტრაქტორები მიისაკუთრა.

მოკლედ, საქართველოში ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის ზურაბ ადეიშვილი, გავლენასთან ერთად, არაოფიციალურად ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ჩინოვნიკი გახლავთ. გადავავლოთ თვალი მის ოფიციალურ ქონებას, რომელსაც ადეიშვილი საკუთარ ქონებრივ დეკლარაციაში სხვადასხვა დროს უთითებდა. ესაა ბინა ცაგერის ქუჩაზე (80 კვ.მ.). სხვა ძვირფასი უძრავი თუ მოძრავი ქონება, დეკლარაციის მიხედვით, ადეიშვილს არ გააჩნია, მათ შორის — არც ავტომანქანა.

თუმცა გასაკვირი არ არის, რომ ადეიშვილს ფული ავტომანქანის საყიდლად რომ არ დაეხარჯა, რადგან ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთ მაღალი კლასის მანქანებით ბიუჯეტი უზრუნველყოფს. ადეიშვილი ფულად თანხას 6000 დოლარს უთითებს. მეტი, როგორც აღვნიშნეთ, 2010 წლის დეკლარაციაში არაფერი გააჩნია. ხელფასის სახით, იუსტიციის მინისტრობისას აუღია 42 480 ლარი.

საინტერესოა, რომ ასევე მშვენიერ ადგილას მოკალათებულ მის მეუღლეს, მაია მესხიშვილს, რომელიც საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის იურიდიულ საკითხთა დეპარტამენტის წამყვანი სპეციალისტია, ხელფასის სახით 35193 ლარი აუღია და მასაც არ გააჩნია საკუთარი ავტომანქანა და ძვირადღირებული ნივთი, რომლის შეტანაც დეკლარაციაში გახდებოდა საჭირო. **ადეიშვილი ხარჯვის ნაწილში საკუთარ დეკლარაციაში მხოლოდ მკურნალობის თანხებს უთითებს.**

ადეიშვილს მკურნალობა 6000 დოლარი, ხოლო მის მეუღლეს 3500 დოლარი დაუჯდათ. **საინტერესოა, რატომ არ სარგებლობენ დაზღვევით ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალნი.**

ჩვენ ზურაბ ადეიშვილის 2004 წლის დეკლარაციასაც გადავხედეთ. მაშინ მას 45 ათასი ლარის ღირებულების ბინა ჰქონდა, ფულადი თანხა — 9000 დოლარი და საკრედიტო ბარათიდან მოხსნილი 200 დოლარი; 12000-დოლარიანი ავტომობილი ჰყავდა. 2004 წლის შემდეგ ადეიშვილის ფინანსური მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ მას საკრედიტო ბარათის გამოყენება, ალბათ, დიდხანს აღარ დასჭირდება.

**სოფო ბელაშვილი**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# საქართველოს რკინიგზას გასაკოტრებლად და გასაყიდად ამზადებენ



**საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ეზუგბაიამ თავის ხუთ მოადგილეს 200-200-ათასიანი პრემიები გამოუწერა იმისთვის, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან „შეწერილი“ მილიონი გადაეხადა, — ამ განცხადებას „საქართველო და მსოფლიოსთან“ საუბარში ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი სოსო შატბერაშვილი აკეთებს. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ ლეიბორისტებს რკინიგზის თანამშრომლებმა მიაწოდეს. შატბერაშვილის განცხადებით, რკინიგზის ხელმძღვანელობა პრემიების გაცემის შესახებ ბრძანებას საგულდაგულოდ მალავს. ლეიბორისტული პარტია რკინიგზის დეპარტამენტში პროკურატურისა და კონტროლის პალატის შესვლას მოითხოვს, რათა შეისწავლონ საქართველოს რკინიგზაში მიმდინარე ფინანსური მაქინაციებისა და მისი ხელოვნური გაკოტრების საკითხი, რომელიც ამჟამად მიმდინარეობს.**

## «ირაკლი ეზუგბაიამ თავის ხუთ მოადგილეს 200-200 ათასი ლარი გამოუწერა პრემიის სახით, შემდეგ ეს ფული უკან გამოართვა და ხელისუფლებას მიართვა»



**სოსო შატბერაშვილი, ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:**

— საქართველოს რკინიგზა ფაქტობრივად ერთადერთი სტრატეგიული ობიექტია, რომელიც ჯერ კიდევ სახელმწიფოს საკუთრებაშია. ჩვენი ხელისუფლება კი ისე არ აპირებს წასვლას, რომ ეს ობიექტიც არ გაყიდოს. **საქართველოს რკინიგზა, რომელიც დღეს ჯერჯერობით ისევ რენტაბელურია და სახელმწიფოსთვის დიდი მოგება მოაქვს, გაკოტრების პირასაა. იგი გაკოტრებამდე მიჰყავს მის ხელმძღვანელობას, უპირველესად, ეზუგბაიას.** თუმცა აქვე უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ მნიშვნელოვან საქმეს უმზადებს ეზუგბაია ჩვენს ხალხს, ის მაინც აითვალწუნა ხელისუფლებამ. როგორც ჩანს, საკმარისი წილები არ მიაქვს ზემოთ. ამასწინათ მას მილიონი ლარის მიტანა მოსთხოვეს. თავისი ჯიბიდან ხომ არ ამოიღებდა და ასეთი მეთოდი გამოიყენა: **200-200 ათასი ლარი გამოუწერა პრემიის სახით თავის ხუთ მოადგილეს. საერთო ჯამში ამ თანხამ შეადგინა მილიონი ლარი. შემდეგ მათ გააკეთებინა ე.წ. ატკატი, ანუ ეს ფული უკან გამოართვა და მიიტანა იქ, სადაც მოსთხოვეს.** როდესაც ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ საქართველოში კორუფცია აღმოფხვრილიაო, ეს არის სრული სიცრუე. მართალია, 3 და 5 ლარს „გაიშნიკები“ აღარ იღებენ, მაგრამ, როგორც ხედავთ, მილიონიანი ქრთამი, მილიონიანი კორუფციის მაგალითი სახეზეა. პრემიების გაცემის ამ ბრძანებას საგულდაგულოდ მალავს რკინიგზის ხელმძღვანელობა.

**— თავადაც გამოიწერა პრემია ეზუგბაიამ?**

— არა. საერთოდ, მათ აქვთ უმაღლესი ხელფასები დანიშნული. **რკინიგზის ხელმძღვანელის ხელფასი ყოველთვიურად 17-დან 20 ათას ლარამდეა, ხოლო მოადგილეების — 15 ათასი ლარი. მაშინ, როცა რიგითი თანამშრომლების ხელფასი 300-400 ლარია. ეს არის ყველაზე დაბალი ხელფასი არამარტო პოსტსაბჭოთა სივრცეში, არამედ ევროპაშიც. ამავე დროს, ხელმძღვანელების ხელფასები ყველაზე მაღალია ევროპაში.** ისინი სისტემატიურად იღებენ მეცამეტე ხელფასს და პრემიებს, ბოლო პრემია კი საერთოდ უპრეცედენტო იყო — 200-200 ათასი ლარი. ეს რომ სახლში წაეღოთ, კიდევ რაღაც გამართლება შეიძლება ჰქონოდა, მაგრამ გააკეთეს „ატკატი“. **პრეზიდენტი კი აცხადებს, რომ ქვეყანაში კორუფცია არ არის, მაგრამ თუნდაც ეს ფაქტი ადასტურებს, რომ კორუმპირებულია თავიდან ბოლომდე თვითონაც და მთლიანად მისი მთავრობა.**

**— რკინიგზაში კადრების ოპტიმიზაცია განხორციელდა იმის გამო, რომ ბიუჯეტი დაზოგილიყო, თუმცა, როგორც ჩანს, თანხების ნაკლებობას რკინიგზა სულაც არ განიცდის.**

— მათი ბიუჯეტი იძლევა საშუალებას, არ დაეთხოვათ თანამშრომლები სამსახურიდან. მეტსაც გეტყვით, ბოლო დროს, 2010 წელს, რკინიგზაში გადაზიდვები 25 პროცენტით გაიზარდა, ხოლო მისი რენტაბელობა შემცირდა 20 პროცენტით. რა გამოდის? გადაზიდვები როცა იზრდება, ეკონომიკური კანონებით, რენტაბელობაც უნდა იზრდებოდეს, მაგრამ მცირდება 20 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ თანხების დატაცება ხდება ხელფასების, პრემიების სახით. ერთი მაგალითი მე თქვენ გითხარით, ეს გვაცნობეს რკინიგზელებმა, მაგრამ რამდენი ასეთი ფაქტია უცნობი, ვინ იცის. ამიტომ, რამდენიმე დღის წინ მოვითხოვეთ, რკინიგზაში შევიდეს პროკურატურა, დაინტერესდეს ჩვენი განცხადებით, შევიდეს კონტროლის პალატა, რომელსაც, სამი წელია, ფეხი არ შეუდგამს რკინიგზაში და განახორციელოს იქ აუდიტი.

**ეს ყველაფერი მიუთითებს იმაზე, რაც ინტერვიუს დასაწყისში გითხარით, რომ რკინიგზას ამზადებენ გასაკოტრებლად და განზრახული აქვთ მისი გაყიდვა ლონდონის ბირჟაზე.**

ექსპერტები ჩვენთან საუბარში აცხადებენ, რომ კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში, რკინიგზას შეუძლია სახელმწიფოს ყოველწლიურად მოუტანოს 600-700 მილიონი ლარის წმინდა მოგება, ეს კი საქართველოს ბიუჯეტის 10 პროცენტია. ეს არის უზარმაზარი წილი, რომელიც რკინიგზას შეიძლება ჰქონდეს ბიუჯეტში.

მოგეხსენებათ, ეზუგბაიას აქვს მხოლოდ რამდენიმეთვიანი მუშაობის პრაქტიკა „თელასის“ სისტემაში და ისე დაინიშნა რკინიგზის ხელმძღვანელად, რომ ლიანდაგი თვალითაც არ უნახავს. ეს ყველაფერი არის მიზანმიმართული ქმედება და ამიტომ ვითხოვთ, პროკურატურა დაინტერესდეს ამ საკითხით და აღკვეთოს ის ქმედებები, რომლებიც მიმართულია რკინიგზის გაკოტრებისკენ.

**— ცოტა ხნის წინათ ეზუგბაიასა და რკინიგზის ხელმძღვანელობისთვის შეიქმნა ძვირადღირებული ვაგონები, რომლებიც მაღალი კლასის სასტუმროს ნომრებს მოგვაგონებს. ამაზეც მილიონები დაიხარჯა მაშინ...**

— დიახ, მილიონები დაიხარჯა. მათ ლიტვის რესპუბლიკასთან დადეს ხელშეკრულება ვაგონების შეკეთების თაობაზე. ლიტვამ გაცილებით უფრო იაფად შეაკეთა ეს ვაგონები, ვიდრე მასშია გადახდილი, მილიონ-ნახევარი თუ 2 მილიონი ლარი, ზუსტად არ ვიცით და ამიტომ ვითხოვთ აუდიტს. ჩვენ ვეყრდნობით იმას, რასაც რკინიგზელები გვეუბნებიან, აქაც „მოტეხეს“ თანხები. ამავე დროს, მინდა გითხრათ, რომ **რკინიგზის მართვაში არანაირი გამოცდილება არ აქვს არც ეზუგბაიას და არც მის ხუთ მოადგილეს. ამაზე მეტყველებს გახშირებული კატასტროფები.** სხვათა შორის, ცოტა ხნის წინათ ბრიფინგი ჩავატარე და ვთქვი, რომ გახშირდა ავარიები რკინიგზაზე. იქიდან გამომეპასუხნენ, ასე არ არისო. მეორე დღეს კი, სამწუხაროდ, ლიანდაგიდან გადავიდა ბორჯომი-თბილისის სამგზავრო მატარებელი. საბედნიეროდ, უმსხვერპლოდ დასრულდა ეს, მაგრამ ზარალი საკმაოდ დიდი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ამ არაკომპეტენტურ ადამიანებს არათუ რკინიგზის მართვას, ბატების ფერმასაც არ ჩავაბარებდი.

**— თუკი შეუძლია რკინიგზას ამხელა მოგება მოუტანოს ქვეყანას, რატომ უნდა მისი გაყიდვა ხელისუფლებას?**

— რა გითხრათ, ჩვენი ხელისუფლება გახლავთ ანტიხალხური, ანტისახელმწიფოებრივი. ოქროს საბადო გაყიდა, ეს ის ოქროს საბადოა, რომელსაც არც დენი სჭირდება, არც გაზი, არც შენახვა და არც არაფერი, მხოლოდ და მხოლოდ მოგებაზე მუშაობს. ჯერ ავსტრიელებს მიჰყიდეს იგი, შემდეგ ნასყიდობის ხელშეკრულება გააუქმეს და რუსებს მიჰყიდეს, ვინმე გენერალოვს, რომელიც ამართლებს თავის გვარს, ის რუსეთის უშიშროების გენერალია. ასევე, გაყიდეს ფოთისა და ბათუმის პორტები, თბილისისა და ბათუმის აეროპორტები... კიდევ რომელი ერთი ჩამოგითვალოთ? ჟინვალჰესი, ენგურჰესი ხომ რუსეთს მიჰყიდეს ომის შემდეგ! ყველაფერს ყიდიან და რკინიგზა რა გამონაკლისია, რომ არ გაყიდონ? ყიდიან იმიტომ, რომ უზარმაზარი კორუფციაა ჩადებული ამაში.

**ეს ხელისუფლება ხომ არ არის ხალხისთვის მომართული, ეს ხელისუფლება ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ სააკაშვილმა თხილამურებზე ისრიალოს კარგად; იფრინოს თავისი ასმილიონიანი „ჩელენჯერით“. ამბობენ, ახლა „ბოინგ 747“ უნდა შეიძინოსო, და ურტყას მსოფლიოს წრეები, ტაშფანდურები გამართოს და ა.შ. თქვენც კარგად იცით მისი ბოჰემური ცხოვრების ამბავი და ამას რომ დიდი ფული სჭირდება. ასე იქცეოდა ლუდოვიკო XIV, რომელმაც საფრანგეთი პატარა ქვეყნიდან უზარმაზარ ქვეყნად აქცია, სააკაშვილმა კი ამ ტაშფანდურისთვის საქართველო გაამესამედა.**



## კარგი მენეჯმენტის შემთხვევაში, რკინიგზას შეუძლია სახელმწიფოს ყოველწლიურად მოუტანოს 600-700 მილიონი ლარის წმინდა მოგება, ეს კი საქართველოს ბიუჯეტის 10 პროცენტია

ესაუბრა
**სოფო გელაშვილი**

საქართველო
გსურთ, გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# HUMAN RIGHTS WATCH საააკაშვილის ხელისუფლებას დევნილთა დევნაში ადანაშაულებს

**საქართველოს ხელისუფლება მხოლოდ საერთაშორისო იმიჯზე ზრუნავს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მის პიარ კამპანიაზე მილიონები იხარჯება, საქართველოს საერთაშორისო იმიჯი მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. ქვეყანაში, რომლის „დემოკრატიის შუქურად“ წარმოჩენაც ხელისუფლებას სურს, რეალურად მძიმე სიტუაციაა და ამის შესახებ საქართველოს ფარგლებს გარეთაც კარგად უწყიან და ახლახან საერთაშორისო უფლებადამცველი ორგანიზაციის — „ჰუმან რაითს ვოთჩის“ მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშშიც გამოიკვეთა, რომელშიც საქართველოს საკმაოდ დიდი ადგილი დაეთმო. ანგარიშში ნათქვამია, რომ 2010 წელს ადამიანის უფლებათა მდგომარეობა საქართველოში არამყარია და საუბარია ადამიანის უფლებათა იმ დარღვევებზე, რომლებიც საქართველოს ხელისუფლებამ 2010 წელს ჩაიდინა.**



„ჰუმან რაითს ვოთჩი“ ვრცლად საუბრობს დევნილების გამოსახლების პრობლემაზე. ანგარიშში საუბარია, რომ ხელისუფლებამ ასობით დევნილი გამოასახლა სახელმწიფოს კუთვნილი დროებითი კოლექტიური ცენტრებიდან იმ ვარაუდით, რომ მტკიცედ გადაჭრიდა მათ საცხოვრებელ პრობლემებს, თუმცა მარცხი განიცადა გამოსახლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის საქმეში. **არ გაუმართავს გულწრფელი კონსულტაციები დევნილებთან, არ წარმოუდგენია მათთვის შეტყობინება გონივრულ ვადაში და არ მოუხდენია ადეკვატური ალტერნატიული საცხოვრებლით დევნილთა უზრუნველყოფა. ზოგ დევნილს საერთოდ არ მიუღია ალტერნატიული საცხოვრებელი ფართი, ზოგიერთი მათგანი კი შორეულ რეგიონებში გაგზავნეს სახურავდაზიანებულ სახლებში, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გარეშე.**

1990-იანი წლებისა და 2008 წლის შედეგად საქართველოში 346 ათასი დევნილია. მათი დაახლოებით 40% სახელმწიფო თუ კერძო კოლექტიურ ცენტრებში ცხოვრობს, რომელთაგან 515 თბილისშია. ივნისში ხელისუფლებამ დევნილებს გამოსახლებამდე 5-დღიანი წინასწარი გაფრთხილება მისცა. **2 აგვისტოს განხორციელებულმა ცვლილებებმა, შს სამინისტროს №747 დადგენილებით, ხუთდღიანი წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება გააუქმა. ასე რომ, ზოგიერთმა დევნილმა მხოლოდ რამდენიმესაათიანი გაფრთხილება მიიღო გამოსახლებამდე.**

**გამოსახლებებით დაირღვა დევნილთა შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც კრძალავს დევნილთა გამოსახლებას მათი წერილობითი თანხმობის გარეშე და მათ შესახლებას ისეთ საცხოვრებელში, რომელიც პირობებით ჩამოუვარდება არსებულ საცხოვრებელს.** ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს განცხადებით, აგვისტოში გამოსახლებულებს შესთავაზეს, არჩევანი გაეკეთებინა ფინანსურ კომპენსაციასა და რეგიონებში საცხოვრებელს შორის. ბევრმა დევნილმა უარი განაცხადა რეგიონებში გადასახლებაზე, სამუშაო ადგილების არარსებობის მიზეზით. თუმცა მათ არ მიუღიათ ფინანსური კომპენსაცია და დარჩნენ უსახლკაროდ.

**ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაცია საუბრობს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლების დევნაზეც. ანგარიშში საუბარია, რომ ხელისუფლებამ დააბრკოლა მშვიდობიანი შეკრება და მარცხი განიცადა კანონდამცველების მიერ გადამეტებული ძალის გამოყენების გამოძიების საქმეში.** საუბარია 14 აგვისტოს პოლიციის მიერ აქტივისტებისა და მწერლების: ირაკლი კაკაბაძის, შოთა გაგარინისა და ალექსი ჩიღვინაძის დაკავებაზე, როცა ისინი მშვიდობიან საპროტესტო აქციას მართავდნენ ჯორჯ ბუშის ქუჩაზე. მათ პოლიციელებისადმი დაუმორჩილებლობის ბრალდება წაუყენეს და შემდეგ გაათავისუფლეს. მომდევნო დღეს კი სასამართლომ თითოეული მათგანი 400 ლარით დააჯარიმა. **დახურულ მოსმენაზე მოსამართლემ მხოლოდ პოლიციის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები მიიღო და უარი განაცხადა იმ ვიდეოფირის ნახვაზე, რომელიც წარმოაჩენდა დაკავებული პირების თანამშრომლობის ფაქტს პოლიციასთან დაკავების მომენტში.** კაკაბაძის მტკიცებით, პოლიციამ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას პოლიციის მანქანაში. სახალხო დამცველის წარმომადგენელი შეხვდა კაკაბაძეს დაკავების საკანში და დაადასტურა მის მხარსა და ხელზე არსებული დაზიანებები.

2009 წლის 23 ნოემბერს პოლიციამ დააკავა დაჩი ცაგურია, ჯაბა ჯიშკარიანი და ირაკლი კორძაია — ახალგაზრდა ოპოზიციონერთა ჯუფის აქტივისტები. ამ დროს ისინი სამთავრობო პოლიტიკას აპროტესტებდნენ პარლამენტის წინ. **დაკავების მომენტში პოლიციამ აქტივისტებს განუცხადა, რომ მათ დაარღვიეს შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ კანონი, რომელიც კრძალავს აქციის ჩატარებას პარლამენტის შენობიდან 20 მეტრის რადიუსში, თუმცა დაკავების ოქმში აღნიშნული იყო, რომ აქციის მონაწილეები შენობიდან 30 მეტრის დაშორებით იდგნენ.** თბილისის საქალაქო სასამართლომ დამნაშავედ მიიჩნია ზემოაღნიშნული პირები საპროტესტო აქციის გამართვის წესების დარღვევასა და პოლიციისადმი წინააღმდეგობაში და 500 ლარით დააჯარიმა ისინი. **სასამართლომ არ მიიღო ჟურნალისტების მიერ წარმოდგენილი ვიდეოფირი, რომელიც ადასტურებდა, რომ აქტივისტებს არ შეუფერხებიათ ქვეითთა მოძრაობა და ემორჩილებოდნენ პოლიციის ბრძანებას დაკავების მომენტში.**

2010 წლის 9 აგვისტოს პოლიციამ დააკავა ორი ოპოზიციონერი აქტივისტი თითქოსდა პოლიციისადმი წინააღმდეგობის გამო პარლამენტის შენობის წინ, სადაც დევნილები და სხვები მშვიდობიანად აპროტესტებდნენ დევნილთა გამოსახლებას. **აქტივისტებმა წინასწარ გააფრთხილეს ქალაქის მუნიციპალიტეტი საპროტესტო აქციის გამართვის შესახებ და არ გადაუკეტავთ ქუჩა. თბილისის საქალაქო სასამართლომ თითოეული აქტივისტი 400 ლარით დააჯარიმა პოლიციისადმი წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით.**

**ანგარიშში კვლავ აქტუალურია 2007 წლის აქციების დარბევის თემა. მასში ნათქვამია, რომ მთავრობამ უარი განაცხადა 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების ყოველმხრივ გამოძიებაზე, როცა პოლიციამ გადამეტებული ძალა გამოიყენა საკმაოდ მშვიდობიან დემონსტრაციაზე თბილისში, რის შედეგადაც სულ მცირე 500 ადამიანი დაშავდა. ხელისუფლებამ, ასევე, მარცხი განიცადა, ჩაეტარებინა ეფექტური გამოძიება 2009 წლის 15 ივნისს, 50 ოპოზიციონერი აქტივისტის წინააღმდეგ პოლიცის მიერ განხორციელებულ შეტევაზე, სადაც, სულ მცირე, 17 დემონსტრანტი დაშავდა. მთავრობას სრულყოფილად არ გამოუძიებია არც 2006 წლის მარტის ოპერაცია, რომლის შედეგადაც 7 პატიმარი გარდაიცვალა და ბევრი დაშავდა.**

**„ჰუმან რაითს ვოთჩი“ საქართველოს ხელისუფლებას ომის დანაშაულებზე პასუხისმგებლობის ნაკლებობაშიც ადანაშაულებს.** ანგარიშში ნათქვამია, რომ **ქართულ-რუსული კონფლიქტიდან, ორ წელზე მეტი დრო გავიდა და საქართველოს ხელისუფლებას არ უზრუნველუყვია სრულყოფილი გამოძიების ჩატარება მათი ძალების მიერ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და ჰუმანიტარული სამართლის დარღვევებთან დაკავშირებით. ომის დროს ქართულმა სამხედროებმა გაურკვეველი ძალა გამოიყენეს, მათ შორის — მრავალჯერადი სარაკეტო დანადგარები, გაურკვეველი იარაღი, რომლის გამოყენება აკრძალულია სამოქალაქო ტერიტორიაზე, რომ სამხედროებმა, ასევე, გამოიყენეს კლასტერის მარაგი რუსული სამხედროების წინააღმდეგ, მათ შორის სამოქალაქო პირებით დასახლებულ სამხრეთ ოსეთის საზღვართან მომიჯნავე ქართულ ტერიტორიებზე.**

**რაც შეეხება მედიაგარემოს საქართველოში, „ჰუმან რაითს ვოთჩის“ აზრით, იგი შერეული სახისაა — მრავალფეროვანი ბეჭდვითი მედიით, მაგრამ შეზღუდული საერთოეროვნული ტელევიზიით სახელმწიფოს კუთვნილი „საზოგადოებრივი მაუწყებლის“, პროსამთავრობო არხების — „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ სახით. მედიამფლობელების საკუთრების გამჭვირვალობის საკითხი კი გაურკვეველია. რამდენიმე ჟურნალისტის მტკიცების თანახმად, მათ წინააღმდეგ განხორციელდა ზეწოლა და თავდასხმა. 25 ივნისს პოლიციამ შეურაცხყოფა მიაყენა „თრიალეთის“ ჟურნალისტ ლადო ბიჭიაშვილსა და ოპერატორ იმედა გოგოლაძეს, როცა ისინი გორში სტალინის ძეგლის გადაადგილებას იღებდნენ. დაახლოებით 8 პოლიციელმა სცემა და კამერა ჩამოართვა ჟურნალისტებს. პოლიციამ კამერა დააბრუნა მასზე აღბეჭდილი მასალის განადგურების შემდეგ.**

ივლისში ვახტანგ კომახიძემ, გამოცდილმა ქართველმა გამომძიებელმა და ჟურნალისტმა, თავშესაფარი მიიღო შვეიცარიაში, ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ განხორციელებული მუქარების საფუძვლით. მუქარები, მტკიცების თანახმად, გახშირდა მას შემდეგ, რაც კომახიძემ მუშაობა დაიწყო 2008 წლის აგვისტოს ომის საგამოძიებო ფილმზე. ოპოზიციური გაზეთის — „გურია ნიუსის“ მტკიცებით, თებერვალში ადგილობრივმა ხელისუფლებამ მუქარით დააშინა გაზეთების კერძო დისტრიბუტორები; 8 თებერვალს პოლიციამ მოკლე ხნით დააკავა „გურია ნიუსის“ კორესპონდენტი ირაკლი დოლიძე, მაშინ, როცა იგი იმ პოლიციელის ფოტოს იღებდა, რომელმაც ფოტოკამერა და მობილური ტელეფონი დროებით ჩამოართვა.

**2009 წლის 25 ნოემბერს, შსს-ს სპეციალური ოპერაციების დეპარტამენტმა გამოიძახა თედო ჯორბენაძე, ბათუმში დაფუძნებულ საკვირაო გაზეთ „ბათუმელების“ საგამოძიებო ერთეულის ხელმძღვანელი და დაემუქრა, თუ ის მათთან არ ითანამშრომლებდა, გამოაქვეყნებდა თითქმის შიშველი მამაკაცების სურათებს, რომელთაგან, მათი მტკიცებით, ერთ-ერთი ჯორბენაძე იყო.**

**ცხადია, ანგარიშში მოხვდა საქართველოში სისხლისსამართლებრივი სისტემის სისასტიკე და ციხეების თემაც.**

„ჰუმან რაითს ვოთჩი“ ანგარიშში წერს:

**ციხეების გადავსება კვლავ პრობლემაა და ცუდ პირობებს იწვევს; საპატიმროების გადავსების მთავარი ფაქტორი სასამართლოს მიერ გამართლებულთა მცირე რაოდენობაა.** სექტემბერში ევროპის საბჭოს წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა გამოაქვეყნა ანგარიში, საქართველოში თებერვალში სტუმრობის შემდეგ, რომელშიც მიუთითა რამდენიმე დადებით ცვლილებაზე, მაგრამ წუხილი გამოთქვა საქართველოს ციხეების გადავსების პრობლემაზე და პატიმართათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების ნაკლებობაზე. თებერვალში საქართველომ აღადგინა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წელი (მას შემდეგ, რაც 12 წლამდე შეამცირა იგი 2008 წელს) და შეუსაბამა იგი ქვეყნის საერთაშორისო ვალდებულებებს.

2009 წელს სახელმწიფომ გაწვრთნა 430 გამომძიებელი არასრულწლოვანთა დაკითხვის ტექნიკაში და სავალდებულო გახადა ადვოკატისა და მეურვის დასწრება დაკითხვისას. თუმცა რეალურად ეს ღონისძიებები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ქვეყნის ხელისუფლება საერაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციების კრიტიკის ქარცეცხლში არ მოყვეს, რადგან **ვითარება, რომელიც ქვეყანაში არსებობს, არამარტო ადგილობრივი უფლებადამცველი ორგანიზაციებისთვის, არამედ უცხოელებისთვისაც საგანგაშო და ნათელია.**

**სოფო გელაშვილი**



## საპატიმროების გადავსების მთავარი ფაქტორი სასამართლოს მიერ გამართლებულთა სიმცირეა

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# აშშ-ის აპოკალიფსური პერსპექტივა და საქართველო — აღმართში დაწეული ქვა

ჩვენმა ხელისუფლებამ საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების ხელისშემყურე ქვეყნად რომ აქცია, ამაზე ვწერდით.

მაგრამ ამერიკას თავისი გასჭირვებია.

ჩვენი ხელისუფლება რუსეთის წინააღმდეგ ომისთვის რომ ემზადება, ფაქტობრივად, დასტურდება. აქაც ამერიკის იმედზეა სააკაშვილის ხელისუფლება.

მაგრამ ამერიკას თავისი გასჭირვებია.

ჩვენ კი არც 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგებიდან გამოგვაქვს რეალისტური დასკვნები და არც იმ ეკონომიკური და ფინანსური კრიზისიდან, რომელსაც თვით ამერიკელი ექსპერტები აპოკალიფსურს უწოდებენ.

ჩვენმა ხელისუფლებამ საქართველო ომის პირას მიაგდო იმ დროს, როცა აშშ-მა ჩვენი ქვეყანა სტრატეგიული პარტნიორობიდან კლიენტ ქვეყანამდე ჩამოაქვეითა.

ვაშინგტონი საქართველოს ახალი კონფლიქტებისთვის აიარაღებს, — წერდა „საქართველო და მსოფლიო" წინა ნომერში უცხოელ ავტორებზე დაყრდნობით.

დღევანდელი პუბლიკაციები ამ პრობლემას, ასე ვთქვათ, მედლის მეორე მხრიდან წარმოგვიჩენს, იმ კუთხით, თუ როგორ აფასებენ თავიანთ ქვეყანაში ჩამოყალიბებულ ვითარებას თავად ამერიკელები: ამერიკელების განსაკუთრებულობის მითი დაიმსხვრა; ჩვენ აღარ გვაქვს უფლება, ვიყოთ მსოფლიო პოლიციელი; საკუთარი ქვეყნის დაცვის უნარს ვკარგავთ! ასეთია მსოფლიო პრესაში გამოქვეყნებული მასალების. ხშირ შემთხვევაში, ისტერიული პათოსი.





## ამერიკამ შეუბრუნებლობის წერტილს მიაღწია

**ომის, სამხედრო ხარჯების უზარმაზარი ტვირთის პრობლემას განიხილავს „The Raw story" (აშშ), რომელსაც რონალდ რეიგანის ადმინისტრაციის ადმინისტრაციულ-საბიუჯეტო სამმართველოს ყოფილმა დირექტორმა დევიდ სტოკმანმა ექსკლუზიურ ინტერვიუში ამასწინათ განუცხადა: „ობამას ადმინისტრაციის მიერ თავდაცვითი ხარჯების 78 მილიარდი დოლარით შემცირება სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ბეჰემოთისთვის ნემსის ჩხვლეტასავითაა".**

**„ცივი ომი, დიდი ხანია, დასრულდა,** — განაგრძო მან, — **საოკუპაციო ომები თითქმის დამთავრდა, მთლიანად ჩავარდა ავღანეთი და ერაყი. ამერიკის იმპერია ჩამოყალიბებულია. მსოფლიოში აღარ დარჩა სერიოზულად შეიარაღებული არც ერთი სერიოზული მტერი, ვისითაც შეგვეძლო გაგვემართლებინა 800 მილიარდიანი თავდაცვისა და უშიშროების ბიუჯეტი შიდა უსაფრთხოების ჩათვლით".**

მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **აშშ-მა „მიაღწია შეუბრუნებლობის წერტილს ხელოვნური სიმდიდრის შექმნის საქმეში, და ეკონომიკური ვარდნის წინაშე დგას".**

სამხედრო ხარჯების დღევანდელი დონე, რომელმაც ერთიანი შიდა პროდუქტის 5,4 პროცენტს მიაღწია, სტოკმანს აბსურდულად მიაჩნია და თვლის, რომ 2015 წლისთვის ეს ხარჯები ერთიანი შიდა პროდუქტის 3 პროცენტამდე უნდა შემცირდეს.

**ამერიკის სახელმწიფო ვალს, რომელიც უსწრაფესად იზრდება და 14 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის ხარჯების შემცირება დიდად არ დაეტყობა,** თანაც დაგვიანებულია.

ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, დავალიანების შემდგომი კრიზისი მუნიციპალური დავალიანების ბაზარზე მოხდება, სადაც ამჟამად 2 ტრილიონი დოლარის ოდენობის „ბუშტია" გაბერილი. ერთმა ანალიტიკოსმა, რომელმაც სწორედ იწინასწარმეტყველა citigroup-ის საკრედიტო კრიზისი, დაბეჯითებით განაცხადა, რომ **ამერიკის 100-ზე მეტმა ქალაქმა შეიძლება გამოაცხადოს დეფოლტი.**

სტოკმანი იმედგაცრუებულია იმით, რომ სერიოზულად არ განიხილავენ ცვლილებებს „ჩვენს იმპერიულ საგარეო პოლიტიკასა და სამხედრო ისტებლიშმენტში", და იმედი არ აქვს, რომ „საჭირო ზომებს განახორციელებენ მანამდე, ვიდრე დავალიანების მსოფლიო კრიზისი თავად არ გვაიძულებს. ეს კი ადრე თუ გვიან აუცილებლად მოხდება".

პოლიტიკური პირობებიდან გამომდინარე სახელმწიფო ვალების გლობალური კრიზისი გარდაუვალი იყო და, უთუოდ, შეუჩერებელია, — ასკვნის ბატონი სტოკმანი.

**The Raw story**

## ჩვენ ვეღარ მივცემთ საკუთარ თავს უფლებას, ვიყოთ მსოფლიო პოლიციელები

**ამ სათაურით გამოაქვეყნა ამერიკულმა „End of the American Dream"-მა წერილი, რომელიც აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტის ძირითად ასპექტებს ეხება და, უწინარეს ყოვლისა, თავისი კონკრეტიკით იქცევს ყურადღებას.**

ამერიკის შეიარაღებულ ძალებს, — ნათქვამია სტატიაში, — მსოფლიოს 130 ქვეყანაში 700-ზე მეტი სამხედრო ბაზა აქვს. სამხედრო ხარჯების ოდენობა დანარჩენი მსოფლიოს სამხედრო ხარჯების დონემდე აღწევს. ფედერალურ მთავრობას კი ვალები ახრჩობს.

გადაიჭრება ვალების პრობლემა, თუ მნიშვნელოვნად შემცირდება სამხედრო ხარჯები?

პუბლიკაცია ამ კითხვას კატეგორიულად უპასუხებს: რა თქმა უნდა, არა!

**პენტაგონი ჰაერზე ფანტავს უზარმაზარ თანხებს. თავდაცვის მინისტრმა დონალდ რამსფელდმა საჯაროდ აღიარა, რომ პენტაგონმა 2,3 ტრილიონი დოლარის კვალიც კი დაკარგა და ვერ ეუბნება ამერიკელ მოქალაქეებს, რაზე დახარჯა ეს ფული.**

ამერიკას, რა თქმა უნდა, სჭირდება ძლიერი შეიარაღებული ძალები. მაგრამ ამერიკის ჯარები ისე თხლადაა გათხაპნილი მთელ მსოფლიოში, რომ ისინი შესაბამის პასუხს ვერ გასცემენ მტერს, თუ რეალური მუქარის საფრთხე წარმოიქმნა. **მსოფლიოს პოლიციელად ყოფნა არა მარტო წარმოუდგენლად ძვირია, არამედ სტრატეგიული თვითმკვლელობაა.**

რით შეიძლება იმის დასაბუთება, რომ მსოფლიოს 130 ქვეყანაში ამერიკის ჯარებია დაბანაკებული?

რატომ უნდა ჰყავდეს ამერიკას გერმანიასა და იაპონიაში ჯარების უზარმაზარი კონტინგენტები?!

**სასაცილოა, როცა ლაპარაკობენ ავღანეთიდან ან ერაყიდან ჯარისკაცების გამოყვანაზე მაშინ, როცა მეორე მსოფლიო ომის დამთავრებიდან დღემდე არ გამოუყვანიათ ჯარები გერმანიიდან და იაპონიიდან.**

თუ ამერიკის ჯარები რომელიმე მიწაზე დაადგამენ ფეხს, შემდეგ იქიდან იშვიათად გამოდიან.

ამერიკა ერაყის ქუჩების პატრულირებასა და ავღანეთში თხების მწყემსების დაცვაზე ისეთი დიდი ოდენობის რესურსს ხარჯავს, რომ **„ვერ ვახერხებთ, მოვემზადოთ რეალურ საფრთხეთა თავიდან აცილებისთვის.** — ნათქვამია პუბლიკაციაში, — **სიმართლე ისაა, რომ ამერიკის სამხედრო ხარჯები მთლიანად არაკონტროლირებადია".**

სად მიდის ამერიკელი მოქალაქეებისგან აკრეფილი გადასახადები? ყველაზე თვალშისაცემია შემდეგი 12 ფაქტი:

**1. დღეს ამერიკას 700-ზე მეტი ბაზა გააჩნია (ზოგიერთების მტკიცებით, ფაქტობრივად, — 1000-ზე მეტი), რომლებიც მსოფლიოს 130 ქვეყანაშია განლაგებული. მიჩნეულია, რომ ამ ბაზების შენახვა წელიწადში დაახლოებით 100 მილიარდი დოლარი ჯდება;**

**2. 2010 წლის აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი 693 მილიარდი დოლარი იყო;**

**3. მაგრამ, თუ ამ რაოდენობას დავუმატებთ სხვადასხვა „ბიუჯეტგარეშე" თანხებს, მივიღებთ 1,01-1,35 ტრილიონ დოლარს, რაც 2010 წელს ეროვნულ თავდაცვაზე დაიხარჯა;**



**4. ამერიკის სამხედრო ხარჯები აღემატება ჩინეთის, რუსეთის, იაპონიის, ინდოეთისა და ნატოს ქვეყნების ხარჯებს;**

**5. ამერიკის სამხედრო ხარჯების საერთო ჯამი მთელი დედამიწის სამხედრო ხარჯების დაახლოებით 44 პროცენტს შეადგენს;**

**6. ამჟამად პენტაგონი ფედერალური მთავრობის ყველა კონტროლირებადი ხარჯის 56 პროცენტს ყლაპავს;**

**7. ერაყისა და ავღანეთის ომები ამერიკას წელიწადში 150 მილიარდ დოლარზე მეტი უჯდება;**

**8. მიაჩნიათ, რომ დღეისთვის ამერიკის მთავრობამ ავღანეთის ომისთვის 373 მილიარდი დოლარი დახარჯა;**

**9. ერაყში ომისთვის — 745 მილიარდ დოლარზე მეტი;**

**10. 2001 წლიდან ერაყისა და ავღანეთის ომები თითოეულ მამაკაცს, ქალსა თუ ბავშვს აშშ-ში 3644 დოლარი დაუჯდა;**

**11. F-22 ერთი ავიაგამანადგურებლის საერთო ღირებულება დაახლოებით 350 მილიონი დოლარია;**

**12. თავდაცვის მუდმივმა მიზნობრივმა ჯგუფმა წარადგინა მოხსენება, რომლის მიხედვით აშშ-ს თავისუფლად შეეძლო ტრილიონი დოლარის დაზოგვა მომდევნო 10 წლის სამხედრო ბიუჯეტიდან.**

წერილის დასკვნით ნაწილში პირდაპირ გოდებაა სამხედრო ხარჯებისა გამო:

„განა აშშ მსოფლიოში უმდიდრესი ქვეყანა არ არის?

განა ამერიკის მთავრობას არ შეუძლია, თავს უფლება მისცეს ამდენი სამხედრო ხარჯის გაწევის?

არა.

სიმართლე ისაა, რომ ამერიკის მთავრობამ ვალების მსოფლიოში უდიდესი ოდენობა დააგროვა.

**ამერიკის სამხედრო ვალი 13-ჯერ აღემატება 30 წლის წინანდელს... რაც უფრო შორეული მომავლის სიტუაციას განვჭვრეტთ, მით უფრო აპოკალიფსური ხდება საფინანსო პერსპექტივა...**

ბოლო წლებში ისე გავითავისეთ ვალების აღება, რომ ასობით მილიარდი დოლარი ვისესხეთ რუსეთისგან, ჩინეთისგან, სხვა სტრატეგიული მტრებისგან, რითაც დიდი საფრთხე შევუქმენით ჩვენს ეროვნულ უშიშროებას.

...ბიუჯეტის „ოფიციალური" ციფრები მნიშვნელოვნად ფალსიფიცირებულია... ჩვენ იმ წერტილს მივაღწიეთ, რომლის იქით ეკონომიკური კრახი გარდაუვალი ჩანს... როცა დრო დადგება, საკუთარი ქვეყნის დაცვის შესაძლებლობასაც მოკლებული ვიქნებით".



**fondsk.ru**

# FEMA მიცვალებულთა 140 მილიონი ტომრის ყიდვითაა დაინტერესებული

**FEMA — აშშ-ის განსაკუთრებული სიტუაციების ფედერალური სააგენტო, ამერიკელებს მიაჩნიათ ისეთ ორგანიზაციად, რომლის მეშვეობით მთავრობა მოქალაქეებს კატასტროფულ მოვლენებს უმზადებს, რის გამოც შეიძლება გამოცხადდეს საგანგებო ან საომარი მდგომარეობა, შეჩერდეს სამოქალაქო თავისუფლებანი და ა.შ. სხვა სიტყვებით, ამერიკას თავს მოახვიოს დიქტატურა, — ნათქვამია Mixedmews-ის ამასწინანდელ პუბლიკაციაში.**



ამჟამად FEMA დაინტერესებულია 140 მილიონი სასურსათო ულუფის შეძენით, რომლებიც აუცილებელი იქნება კატასტროფის შემთხვევაში, რისი მიზეზიც შეიძლება გახდეს მიწისძვრა ნიუ-მადრიდის სისტემის რღვევათა ხაზში (დიდი სეისმური აქტივობის ზონა აშშ-ში). ჩვეულებრივ ასეთი სახის ინფორმაცია დეზინფორმაციაა, ან — შიშის დანერგვის მცდელობა, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი მკაცრად დოკუმენტირებულია.

FEMA-ს განაცხადი ითვალისწინებს კატასტროფის ან მასობრივი უბედურების შედეგად გადარჩენილი 7 მილიონი მოქალაქის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფას 10 დღის განმავლობაში. ყოველდღიური რაციონი ითვალისწინებს საუზმეს, ანუ ხილის ასორტის, კანფეტებს, შოკოლადს, მიწის თხილის ზეთს, სასმელს და ჭურჭელს. ყველა რაციონს უნდა ჰქონდეს 36-თვიანი ვარგისიანობის ვადა მიწოდების მომენტიდან. შეფუთვა ეკოლოგიურად სუფთა უნდა იყოს.

საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი დაინტერესებულია იმავე მიზნისთვის შეიძინოს მილიონობით საბანი.

**ეს ყველაფერი ეჭვს ბადებს ამერიკელებში, რადგან ისინი ხშირად და, განსაკუთრებით, კალიფორნიაში ქარიშხალ კატრინას შედეგების ლიკვიდაციის პროცესში დარწმუნდნენ, როგორ ჩააგდო FEMA-მ ყველა პროგრამა და ამოცანა, რომლებიც დაკისრებული ჰქონდა.**

**საეჭვოა ისიც, თუ რატომ ქმნის ეს დეპარტამენტი, თანაც საიდუმლოდ, ათასობით ბანაკს მთელს ამერიკაში ხალხის გადასარჩენად.**

**რისთვის ემზადება ამერიკა?**

მიწისძვრა, რომელიც ზემოთ იყო ნახსენები, არ იქნება ისეთი დამანგრეველი და ისეთი მასშტაბური, რისთვისაც აშშ-ის საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი ასე განსაკუთრებულად ემზადება.

ილინოისის უნივერსიტეტის ანგარიშში ნათქვამია, რომ ასეთი კატასტროფის, ანუ შვიდბალიანი მიწისძვრის ალბათობა ძალიან მაღალია, მაგრამ:

**„თუ ამ დონის მიწისძვრა მოხდა, დაიღუპება სულ ცოტა 3,5 ათასი ადამიანი და 80 ათასზე მეტი დაიჭრება“**, — ამას Chicago Headlines Examiner-ი იტყობინება.

არის ასეთი შეფასებებიც: **დაზიანდება 715 ათასი შენობა, 7 მილიონი ადამიანი უსახლკაროდ დარჩება, 2,6 მილიონი სახლმფლობელობა საარსებო უზრუნველყოფის სისტემას მოწყდება, ეკონომიკური ზარალი 300 მილიარდ დოლარს მიაღწევს.**

როგორც პუბლიკაციიდან ირკვევა, სიტუაციის სერიოზულობასა და ეჭვს აძლიერებს ერთი „დეტალიც“: **ეროვნული უშიშროების სამინისტრო დაუკავშირდა ზოგიერთ მიმწოდებელს იმის დასაზუსტებლად, გააჩნიათ თუ არა წყალგაუმტარი ტომრები ცხედრებისთვის.**

დიქტატურის, მიწისძვრისა და კიდევ რაღაც მეგაკატასტროფის მოლოდინის, რომელიც ომისთვის სამზადისს ჰგავს, ეჭვი და შიში დაძრწის ამერიკის შეერთებულ შტატებში.

**Mixednews**

# ამერიკელების განსაკუთრებულობის მითი დაიმსხვრა

**„ამერიკული განსაკუთრებულობის“ ერთ-ერთი ასპექტთაგანი ყოველთვის იყო ეკონომიკა, — აღნიშნავს რიჩარდ ფოლფი Mixednews.ru-ში, — დროთა განმავლობაში ამერიკელი მუშები სულ უფრო მეტ ხელფასს იღებდნენ... მზარდი კონკურენციის პირობებში დამკვრელურ შრომას თავისი ნაყოფი მოჰქონდა — მდიდრები უფრო სწრაფად მდიდრდებოდნენ, ვიდრე საშუალო კლასი და ღარიბები, და თითქმის არავინ ღარიბდებოდა. თითქმის ყველა მოქალაქე თავს საშუალო კლასად გრძნობდა.**

ამერიკული კაპიტალიზმის მოგებას მუშახელი უზრუნველყოფდა. იზრდებოდა ხელფასები იმიგრანტების ტალღების მოსაზიდად და თანამშრომლების დასამაგრებლად. ასე გრძელდებოდა ქვეყანაში 70-იან წლებამდე.

შემდეგ ყველაფერი შეიცვალა.

ამერიკელმა კაპიტალისტებმა თავიანთი ინვესტიციები საზღვარგარეთ წარმართეს, ამერიკელი მუშახელი კომპიუტერთან დასვეს, ქალთა როლის ამაღლებამ საზოგადოებაში უბიძგა სუსტ სქესს, მოეპოვებინა ანაზღაურებადი სამუშაო — ამერიკულ კაპიტალიზმს სამუშაო ძალის ნაკლებობის პრობლემა მოეხსნა. შედეგად შეწყდა ხელფასების ზრდა. **უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში ამერიკელი მუშების უდიდესი უმრავლესობა გაღარიბდა. ეკონომიკური თვალსაზრისით, „ამერიკულმა განსაკუთრებულობამ“ კვდომა 1970-იანი წლებიდან დაიწყო.**

მაგრამ მდიდრებმა სწორედ ამ დროიდან დაიწყეს უფრო მეტად გამდიდრება.

ამერიკულმა ოჯახებმა (მასამ) სულ უფრო და უფრო მეტი ოჯახის წევრი მიავლინა სამუშაოდ, რათა მეტი და მეტი ანაზღაურებადი სამუშაო ჰქონოდათ მზარდი რაოდენობის კრედიტების, ვალების გასასტუმრებლად.

**ამერიკის მუშათა კლასი გარკვეულ პერიოდამდე აყოვნებდა „ამერიკული განსაკუთრებულობის“ დასასრულის დადგომას, მაგრამ 2007 წლის გლობალურმა კრიზისმა სამგლოვიარო ზარი შემოჰკრა. ამ მომენტისთვის მსყიდველობითი უნარი აღარ იზრდებოდა: უმუშევრობის ზრდა ხელფასებს დაბალ დონეზე ყინავდა. ამერიკულმა კაპიტალიზმმა, რომელიც აგებული იყო მასობრივი მოხმარების გაფართოებაზე, დაკარგა თავისი საყრდენი და საფუძველი.**

მაგრამ მდიდრების ფენამ კრიზისი გამოიყენა საიმისოდ, რათა კიდევ უფრო გაეღრმავებინა უფსკრული, რომელიც მას დანარჩენი ადამიანებისგან ჰყოფდა, რითაც საბოლოოდ დაასამარა „ამერიკული განსაკუთრებულობის“ მითი.

ნიშანდობლივია, რომ ისინი მაქსიმალურად იყენებენ აშშ-ის ორივე პარტიის დამოკიდებულებას მათ ფინანსურ დახმარებაზე, რათა არ ამოქმედდეს მუშახელის დაქირავების დიდი ფედერალური პროგრამა (რასაც რუზველტი 1934-1940 წლებში განახორციელებდა). ასეთი პროგრამის არარსებობა გარანტიაა იმისა, რომ არ გაიზარდოს ხელფასები, პირიქით — კიდევ უფრო შემცირდეს, რაც ხდება კიდეც ამჟამად. ეს ერთი.

მეორე. მდიდრებმა მოახერხეს, კრიზისის დაძლევის ღონისძიებები მთავრობას, უწინარესად, ბანკების, მსხვილი კორპორაციებისა და საფონდო ბაზრების დასახმარებლად წარემართათ.

მესამე. მთავრობის ძალისხმევა ბიუჯეტის შეკვეცის კუთხით, რაც ფოკუსირებულია 50 შტატსა და ათასობით მუნიციპალიტეტზე, აიძულებს ადამიანებს, გაზარდონ ხარჯები, რაც თავისთავად კრიზისზე მთავრობის უსამართლოდ დისბალანსირებული პასუხის შედეგია. **ტრილიონები, რომლებიც ბანკებისა და გამორჩეული კორპორაციების** (მაგალითად, ASG, GM, Fannie Mac, Freddie Mac და სხვ.) **გადასარჩენად დაიხარჯა, ნასესხები იყო, ძირითადად, იმიტომ, რომ მთავრობამ ვერ გაბედა, გადასახადები დაეკისრებინა მსხვილი კორპორაციებისთვის და უმდიდრესი ადამიანებისთვის, რათა შეეგროვებინა სახსრები სამაშველო ფონდებისთვის.** სინამდვილეში მთავრობის მიერ ნასესხები სახსრების დიდი ნაწილი იმ ფონდებისა იყო, რომლებიც მდიდრების ხელშია.

აშშ-ში კაპიტალიზმმა შეწყვიტა „საქონლის მიწოდება“, რითაც ასე დიდხანს ამაყობდა. ეკონომიკური დაყოფის გაღრმავების რეალობა 70-იანი წლების ხელფასების ზრდის ტენდენციას დაუპირისპირდა. **ამჟამად ამერიკის კაპიტალიზმი თავის მუშათა კლასს „უზრუნველყოფს“ დაკნინება-დაცემის ხანგრძლივი ტკივილით, სოციალური, კულტურული და პოლიტიკური დაძაბულობით: „ამერიკული განსაკუთრებულობის“ დასრულების ჟამი დადგა.**

მიმოხილვა მოამზადა **არმაზ სანებლიძემ**

## გამოხმაურებანი



**ირმა ინაშვილი,**
**„წინააღმდეგობის მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი:**

ჩვენ ევროპელი დიპლომატები გვეუბნებიან: არ არის ეფექტური თქვენი მუშაობა, ინფორმაცია ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ არ მოდის მომზადებული კომპეტენტურ დონეზე, რაც მოდის, ის არ არის ხარისხიანი. ამიტომ ევროკომისრები გვაძლევენ რეკომენდაციებს, რომ ჩვენ მივაწოდოთ არა მხატვრული ნაწარმოებები, არამედ მშრალი და შეჯერებული ინფორმაცია. არ გვაქვს ილუზია, რომ ასე დაემხობა სააკაშვილის რეჟიმი, მაგრამ ჩვენ ვართ ჟურნალისტები და, რაც შეგვიძლია, ვაკეთებთ იმას, ანუ გაგვაქვს ინფორმაცია. ჩვენი აზრით, ევროპაში უნდა შევცვალოთ ჩვენი ქვეყნისადმი მიდგომა, უნდა გავაგებინოთ, რა ხდება სინამდვილეში აქ.

*„ალია“*



**ეკა ტყეშელაშვილი,**
**საქართველოს სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში:**

ილუზია იმისა, რომ ხალხთა შორის ურთიერთობების განვითარებით კონფლიქტების მოგვარებაა შესაძლებელი, არავის აქვს, — ამით მხოლოდ პროცესის ხელშეწყობაა შესაძლებელი და ხალხთა შორის ურთიერთობების აღდგენა მთავარ გასაღებად ვერ იქნება მიჩნეული, სანამ ამ რეგიონების სამხედრო თვალსაზრისით დეოკუპაცია არ მოხდება.

*„პირველი“*



**გია ნოდია,**
**განათლების ექს-მინისტრი:**

(ტუნისის პრეზიდენტმა) ბენ ალიმ იმის გაკეთება შესძლო, რის გაკეთებასაც მისი ქართველი კოლეგა მხოლოდ ახლა ცდილობს: მან საკუთარი ქვეყანა ტურისტულ სამოთხედ და თავისი რეგიონის ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ გადააქცია და ყველაფერი მაინც რევოლუციით დასრულდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელობა არ აქვს, რამდენ ტურისტს მიიზიდავს სააკაშვილი აჭარაში ან სვანეთში, ეს მას ვერ უშველის.

*რადიო „თავისუფლება“*



**გია ხუხაშვილი,**
**ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში:**

მეწარმეთა უფლებებს პრემიერ-მინისტრის მიერ დანიშნული საგადასახადო ომბუდსმენი არ უნდა იცავდეს. ყველასთვის ცნობილია, ვინც ხელფასს იხდის, თამაშის წესებსაც ის კარნახობს. ასეთ ვითარებაში გაუგებარია, როგორ დაიცავს საგადასახადო ომბუდსმენი ბიზნესმენების ინტერესებს. ვერ წარმომიდგენია, რომ ადამიანი, რომელიც ხელფასს მთავრობიდან მიიღებს, გახდება წვრილი ან საშუალო ბიზნესისა და მეწარმეების ინტერესების დამცველი.

*„ინტერპრესნიუსი“*



**სოზარ სუბარი,**
**„ქართული პარტიის“ თავმჯდომარე:**

ე.წ. „ლიბერტარიანელები“ თავისუფლების ინსტიტუტის ყოფილი თუ ახლანდელი წევრები არიან: გიგა ბოკერიასთან დაახლოებული ადამიანები, კახა ბენდუქიძე, დავით კეზერაშვილი. მათი ლიბერტარიანობა ძალიან სასაცილოა. არაფერს ამბობენ უკანონო დაპატიმრებებზე, პოლიტიკურ დევნაზე, არ აწუხებთ დემოკრატია, სასამართლოს მიკერძოებულობა. მათი ლიბერტარიანიზმი მხოლოდ სექსუალური უმცირესობების დაცვაში გამოიხატება.

*„ტრიბუნა.ge“*



**მანანა ნიკოლაიშვილი,**
**„განათლების ლიგის“ პრეზიდენტი:**

დიმიტრი შაშკინის „ადვილი ტესტები“, რომელიც განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზეა გამოფენილი, იმ ტესტებისგან, რაც პრეტესტირებაზე იყო და ზაფხულში მეთორმეტეკლასელების საატესტაციო გამოცდებზე იქნება, სრულიად განსხვავდება. ეს სრულიად სხვადასხვა სიძლიერის ტესტებია და „ორიგინალი“ ტესტებით ჩატარებული გამოცდების შედეგები ერთობ სავალალო და ტრაგიკული იქნება მოსწავლეებისა და მათი ოჯახებისთვის.

*„ალია“*

2 — 8 თებერვალი, 2011 წელი. №03 (94)
www.geworld.net

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# ვინც ფულს იხდის, მუსიკას ვერ უკვეთავს?!




# რუსული სიმღერების შესრულება აიკრძალა

**თურმე ეს ასე არაა. თბილისის რესტორნებში, მაგალითად, ეს ხალხური სიბრძნე ახლახან ანაქრონიზმად იქცა. არა, თქვენ უწინდებურად შეგიძლიათ შეუკვეთოთ ნებისმიერი მუსიკა, მაგრამ... არა რუსული! თუმცა, თუ მაინცდამაინც „მოსკოვსკიე ვეჩერას“, „დენ პობედის“ ანდა ალა პუგაჩოვას რეპერტუარიდან რომელიმე სიმღერის მოსმენა გნებავთ, მაშინ კეთილი ინებეთ და 500 ლარი გადაიხადეთ. აბა, თქვენი ახირების გამო ფულს რესტორნის მფლობელს ხომ არ გადაახდევინებთ, რომელიც, ისევე, როგორც ყველა მისი კოლეგა, საქართველოს ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა წინასწარ გააფრთხილეს, რომ მისდამი დაქვემდებარებულ ობიექტზე მტრის ნაწარმოებების შესრულებისთვის გათვალისწინებულია ჯარიმა ხუთასი ლარის ოდენობით?! მერე რომ არ ეთქვათ, არ ვიცოდით, არც კი გაგვიგონია ამგვარი აკრძალვის შესახებო, ვერდიქტის ქვეშ ხელი მოაწერინეს არა მარტო იმ რესტორნების მფლობელებს, სადაც „ცოცხალი მუსიკა“ ჟღერს, არამედ თავად მუსიკოსებსაც და მომღერლებსაც.**



ძნელი სათქმელია, კონკრეტულად ვინ მოახდინა „დემოკრატიის შუქურა“ ქვეყანაში რუსული მუსიკის მავნე ხასიათის სანქცირება, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ ეს... ფინანსური პოლიციისგან არ უნდა მომდინარეობდეს. იდეა სადღაც ზემოთ იშვა. ცნობილია მეორე, რბილად რომ ვთქვათ, **ბოდვითი იდეის ავტორის სახელი, რომლის მიხედვითაც ქართული რესტორნების „მენიუში“ უნდა მიეთითოს, რომ ქვეყნის 20 პროცენტი ოკუპირებულია. ეს დეპუტატი შოთა მალაშხია გახლავთ და მისი ინიციატივა განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საპარლამენტო კომიტეტმაც მოიწონა!**

ქვეყნის თუნდაც ნაწილობრივი ოკუპაცია ნებისმიერი ნორმალური მოქალაქისთვის ტკივილია, რომელმაც გულის სიღრმემდე შეძრა და მას, მოქალაქეს, არ სურს, რომ ეს ტკივილი პოლიტიკურ თამაშებში გაცვლით მონეტად იქცეს, რომ ის შერყვნას ლხინის სუფრით დაპროგრამებულმა, რესტორნის სტუმართა გულგრილმა და წამიერმა მზერამ, ვისი ყურადღებაც გარკვეული ხნის განმავლობაში მხოლოდ კერძების ჩამონათვალსა და მათ ფასებზეა მიპყრობილი და არა ბოლო სტრიქონზე ოკუპაციის შესახებ.

მაგრამ **რა გაეწყობა! საქართველოში რუსულ ენაზე გლობალური შეტევა ხორციელდება, რაც აზრებით დაიწყო – ყველა რუსული წარწერა ერთდროულად მოშალეს. შემდეგ მკვეთრად შემცირდა რუსული სკოლების რაოდენობა და რუსული ენის სწავლების საათები ბოლოს ფაკულტატიურ მეცადინეობამდე დავიდა, ხოლო ინგლისური ენა სავალდებულო საგნად იქცა. ცვლილებები შეიტანეს „კინემატოგრაფიის შესახებ კანონშიც“, რომლის თანახმადაც, საქართველოს კინოთეატრებში აკრძალულია უცხოური ფილმების ჩვენება რუსული თარგმანით.**

და არავის ანაღვლებს, რომ რუსულ ენას ჩვენთვის ყველაზე მეტად აქვს კომუნიკაციური დატვირთვა, რომ **თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე 400 ათასი სომეხი, 300 ათასი აზერბაიჯანელი, 60 ათასი რუსი და სხვა ეროვნების წარმომადგენელი ცხოვრობს და მათი საურთიერთო ენა, ძირითადად, უწინდებურად რუსულია. რა ენაზე ვაპირებთ კონტაქტების დამყარებას ჩვენს ყოფილ ავტონომიებთან — აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან?** ქართული იქ უკვე დაავიწყდათ, ხოლო ინგლისური მასობრივად ჯერ არ შეუსწავლიათ.

ჩვენს ქვეყანაში რუსული ენის ამჟამინდელ სტატუსზე პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის იმ სიტყვებითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომელიც მან ოკეანისგაღმიდან ჩამოსულ ინგლისურენოვან მასწავლებლებთან შეხვედრაზე წარმოთქვა. მისი თქმით, მას შემდეგ, რაც მოსწავლეები ინგლისურად ალაპარაკდებიან, ისინი ჩინურის, არაბულის, თურქულისა და რუსულის სწავლასაც შეუდგებიან... ასე რომ, ჯერ ყველაფერი არაა დაკარგული – რუსულ ენას მომავალი აქვს, მართალია, შორეული, მაგრამ მაინც...

ჯერჯერობით კი, ჩვენთვის დამახასიათებელი მიზანმიმართულობით, აწმყოდან განვდევნით ენასაც და ყველაფერ დანარჩენსაც, რაც ჩრდილოელ მეზობელს უკავშირდება, რათა ღმერთი არ გაგვიწყრეს და იმ დროის ნოსტალგიამ არ შემოგვიტიოს, როცა ერთმანეთს იოლად ვსტუმრობდით, ვმეგობრობდით, ერთობლივ ფილმებს ვიღებდით, ოჯახები ვნათესავდებოდით. **ამოვძირკვავთ ფესვებს და ამით მორჩება!** ძნელია, მაგრამ — შესაძლებელი.

ამ **ნინო ჭავჭავაძესაც** რა ღმერთი გაუწყრა, რომ რუსი პოეტი შეუყვარდა და მის ძეგლზე წააწერა კიდეც: **„Ум и дела твои бессмертны в памяти русской, но для чего пережила тебя любовь моя“**, ხოლო კვარცხლბეკის კიდეზე – **„Незабвенному его Нина“!..** მაგრამ გამოსავალს აქაც მოვძებნით: გულდასმით შევნიღბავთ ამ ეპიტაფიას და მის ნაცვლად მოკლედ წავაწერთ: **„ა. ს. გრიბოედოვი, იმპერიის კარის პოეტი“.** თანაგრძნობით გამსჭვალულებმა შეგვიძლია მის ნეშტს სამუდამო განსასვენებელიც ვუსურვოთ.



მაგრამ რა მოვუხერხოთ სახელოვან წინაპრებს, ერის შვილებს, რომლებმაც სიფრთხილე ვერ გამოიჩინეს და რუსეთისადმი სიმპათიები აშკარად გამოხატეს, რითაც თავიანთი შთამომავლები, მასში მტერს რომ ხედავენ, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს? ერთის მხრივ, როგორ არ ვერწმუნოთ ქართველი ხალხის მოძღვრებსა და წინამძღვრებს, ადამიანებს, რომლებსაც მარტოდენ ეროვნული ინტერესები ამოძრავებდათ, ერთა შორის ურთიერთობებში კი მუდამ ჰუმანიზმის, სიკეთისა და სამართლიანობის სადარაჯოზე იდგნენ; მეორეს მხრივ — თანამედროვე პოლიტიკოსთა მოსაზრებები, რომლებიც, ასევე, ინტერესებზე ზრუნავენ...

# საქართველოში რუსულ ენაზე გლობალური შეტევა ხორციელდება

ავიღოთ, თუნდაც, **ილია ჭავჭავაძის** სიტყვები, რომ **მძიმე განსაცდელის ჟამს ქართული დროშა არაერთგზის აფრიალებულა ბრძოლის ველზე რუსული ბაირაღის გვერდით და მისი წინამძღვრობით, ბაგეზე მისი სახელით არაერთხელ დაუღვრიათ ქართველებს სისხლი რუსებთან ერთად...**

**რაც შეეხება რუსული ენის ცოდნას, ილიას მისი შესწავლა აუცილებლად მიაჩნდა. მისი აზრით, რუსული ლიტერატურა იმდენად ძლიერია, განათლებული კაცის სულიერი წყურვილის დაოკების უნარი შესწევს. ყოველი ჩვენგანი აღზრდილია რუსულ ლიტერატურაზე, რომელიც ჩვენი მსოფლმხედველობის, რწმენისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის საფუძველსა და ძალას წარმოადგენს არა მარტო ცოდნის გასამრავლებლად, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ბრძოლისთვისაცო, — აღნიშნავს დიდი ილია.**

დღეს ეს ძალიან არააქტუალურად ჟღერს, უფრო მეტიც – მავნებელია მოზარდი თაობისთვის. რა ვიღონოთ, როგორ დავაღწიოთ თავი უხერხულ სიტუაციას? **ამაზე მარტივი რა უნდა იყოს: ამოვიღოთ ეს სტრიქონები!** ამოცანის გასამარტივებლად გიკარნახებთ: ციტატა აღებულია ილია ჭავჭავაძის 1957 წელს გამოცემული თხზულებებიდან (გვ. 490–500).

ასევე უნდა მოვექცეთ **გრიგოლ ორბელიანს,** რომელმაც ერთხელ ბრძანა: **„ღმერთო, ნუ მიიყვან რუსებს ისეთ სასოწარკვეთილებამდე, რომ იძულებული შეიქნენ, საქართველო დატოვონ, რომელიც უმალ არეულობის, ურთიერთშუღლისა და დაუძინებელი მტრების თავდასხმის მსხვერპლი გახდება!“.**

**ნიკოლოზ ბარათაშვილის** პოეტურ კრებულში შავი საღებავი დაუნანებლად უნდა გადავუსვათ შემდეგ სტრიქონებს: **„აწ განთქმულია რუსთა სახელი, ხელმწიფე უვისთ ბრძენი და ქველი, დიდი ხანია, გვაქვს ჩვენ ერთობა, მტკიცე კავშირი, — სარწმუნოება...“**

რუს ხალხთან ძმობასა და მეგობრობას დიდად აფასებდა აკაკიც და აღნიშნავდა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მათ შორის არცთუ ცოტა არიან ადამიანები, რომლებსაც არ სურთ ასეთი ძმური კავშირის აღიარება; არსებობს ახალგაზრდა რუსეთიც, რომელთანაც ხელიხელჩაკიდებულს გვსურს სიარული არა მხოლოდ ეროვნული, არამედ ზოგადსაკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, რასაც ძმობა, თანასწორობა და ერთიანობა ჰქვია, — ნუ ირწმუნებთ და გავარვარებული რკინით ამოშანთეთ!

ნურც **იაკობ გოგებაშვილს** დაუწყებთ ცერემონიებს. მერე რა, რომ დიდი პედაგოგი, მწერალი და „დედაენის“ ავტორია — პირველი წიგნის, რომლის საშუალებითაც, უკვე მრავალი ათწლეულია, ყველა მსურველი ქართულ ენას სწავლობს?! დაუფიქრდით, რამხელა ,,მკრეხელობაა” მის ნათქვამში, როცა ამბობს, **თვალსაჩინოა, რომ რუსული ენის ცოდნა დიდი სიკეთეა ყველა კავკასიელისთვის, რადგან ის საშუალებას გვაძლევს, დიადი სახელმწიფოს სრულუფლებიანი მოქალაქეები ვიყოთ, ვეზიაროთ რუსული ლიტერატურის საგანძურს და მის თვალუწვდენელ ველებზე, მთელი დედამიწის ერთ მეექვსედზე რომ გადაჭიმულა, თავი ისე ვიგრძნოთ, როგორც საკუთარ სახლში.** ერთადერთი, რასაც მისი გამართლება შეუძლია, შემდეგი სტრიქონებია: **„თუმცა აქსიომაა ისიც, რომ ამ უძვირფასესი ცოდნის შესაძენად ყველაზე მიზანშეწონილი საშუალება მშობლიური ენა და წერა-კითხვაა...“**

თავი **ვაჟა ფშაველასაც** გამოუჩენია: **„ვფიქრობ, ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში ტურგენევზე დიდი დამსახურება არავის მიუძღვის...“** მოდი მივუტევოთ, მან ხომ არ იცოდა, რომ დადგებოდა დრო, როცა ახალგაზრდობის საუკეთესო მოძღვრებად, სკოლების დირექტორებად ბოქაულები – „მანდატურები“ იქცეოდნენ...

ნურც **ივანე ჯავახიშვილს** დავინდობთ! კარგად უნდა დაფიქრებულიყო, სანამ ხმამაღლა და კატეგორიულად განაცხადებდა: **,,საქართველოს მოწინავე წრეებისთვის ნათელი იყო, რომ მძლავრი მოკავშირის დახმარებითა და მფარველობით ჩვენს ქვეყანას საშუალება მიეცა, გაძლიერებულიყო, გარეშე მტერი მოეგერიებინა და მშვიდობიანი ცხოვრების პირობებში მტკიცე ნაბიჯით ევლო წარმატებისა და აღორძინების გზაზე!“.**

არ ვიცი, რას ფიქრობდნენ მაშინდელი მოწინავე წრეები, მაგრამ ახლა ჩვენთან დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრისანი არიან. ასე რომ, იმ ავტორიტეტებს აინუნშიც არ ვაგდებთ. „თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოს“!

**და როცა ბოლომდე ლაფში ამოვსვრით ჩვენს წარსულს, გავუსწორდებით კლასიკოსებს, მათ შორის, ჩვენსაც და მით უფრო – სხვისას, ჩავკიდოთ ერთმანეთს ხელი, მოქალაქეებო, და სიმღერით გავწიოთ წინ – ვარძიისკენ! კლდეში ნაკვეთ ქალაქში თავშესაფარსაც გამოვძებნით. ამბობენ, იქ 20 ათასამდე კაცი ეტევაო. თუ ყველანი არ დავეტევით, ნაწილი შეიძლება მოშორებით, ვანის ქვაბებში, დავაბინაოთ. განა ცოტაა ჩვენში გამოქვაბული?! ოღონდ კოცონის დასანთებად ცივილიზებული სამყაროდან ასანთი უნდა გავიყოლოთ და კიდევ — პუშკინის თხზულებათა სრული კრებული... არა, წასაკითხად კი არა, — ცეცხლში შესაკეთებლად!**

**საქინფორმი**



რესტორნებში დამკვრელებს კლიენტებისგან იცავენ, რუსული სიმღერა რომ არ შეუკვეთონ

## დეკანოზი თეოდორე გიგნაძე:

# ვინც პატრიარქს შეურაცხყოფს, მოსაკვეთია საზოგადოებისგან

**ჯვართამაღლების ტაძრის წინამძღვარი, დეკანოზი თეოდორე გიგნაძე თანამედროვე მართლმადიდებელი ეკლესიის ერთ-ერთი გულმხურვალე მზრუნველი მამაა, — განათლებული მოძღვარი, რომლის ქადაგებებით ბევრს გაიგებ და მიხვდები. გთავაზობთ მამა თეოდორეს სატელევიზიო ინტერვიუს არაქრისტიანულ გადაცემებთან დაკავშირებით.**



**— მამა თეოდორე, სწორია თუ არა სასულიერო პირებისგან სხვადასხვა არაქრისტიანული გადაცემების წინააღმდეგ გამოსვლა? არის თუ არა ეს შედეგის მომცემი?**

— ერთი რამ ვიცი: როდესაც საზოგადოებას სულში აფურთხებენ, ვიღაც ნანუკები, შორენები და მათ უკან მდგომი ულირსი ადამიანები, ჩვენი საზოგადოება ამაზე დუმს. ზრდასრულ ადამიანებს რა გვენაღვლება, მაგრამ **ჩვენი შვილები რომ ირყვნებიან და ამაზე ვდუმვართ, ესე იგი ულირსი საზოგადოება ვართ!**

ულირსობა ბევრ რამეში გამოვავლინეთ: **პატრიარქს გვილანძღავდნენ, ხმა არ ამოვიღეთ, ახლა ჩვენს შვილებს რყვნიან, ხმას არ ვიღებთ. ჩვენ ღირსება აღარ გვაქვს, დიდი ხანია!** დამერწმუნეთ, შეგნებულად იციან, რომ თუ ჩვენი საზოგადოება გადაიქცევა უზნეო ბიოლოგიური არსებების ფარად, რასაც უნდა, იმას უზამენ. **არ გეგონოთ, ამერიკაში ან ევროპაში მსგავსი გადაცემები არსებობდეს. ეს მხოლოდ აქ ხდება!**

არა მგონია, ჩვენზე ულირსი ერი ახლა სადმე იყოს. შეიძლება ვინმემ მკითხოს, აბა, შენ რას აკეთებო, მაგრამ მე, სადაც შემიძლია, ყველგან ვაკეთებ ჩემს საქმეს. ახლაც ვამბობ: ეს ორი მეძავი საცოდავია, ისინი არაფრით არ არიან უკეთესები იმათზე, ხიდებთან და ცირკთან რომ დგანან. მაგრამ მათ უკან ვინც დგას, ეშმაკს სულმიყიდული ხალხია და, მე რომ ძალაუფლება მქონდეს, საქვეყნოდ შევაჩვენებდი და ანათემას გადავცემდი. **იმ ტელევიზიის მუშაკნი, მესვეურნი, ვინც ამას აკეთებს, ვისი ხელდასმითაც ეს ხდება, ყველას მიყიდული აქვს ეშმაკისთვის სული, მაგრამ ყველანი პასუხს აგებენ ღვთის წინაშე, დღეს იქნება თუ ხვალ.** შედარებით ნაკლებად ეს მეძავები დაისჯებიან, ყველაზე მეტად კი — ისინი, ვინც ამის ორგანიზებას აკეთებს.

**— ეკლესია საჯაროდ რატომ არ გამოდის მათ წინააღმდეგ?**

— თუ ეკლესია თავის მძლავრ იარაღს — შეჩვენებასა და განკვეთას არ იყენებს, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ღვთისგან შეჩვენებული უკვე არ არიან. უფლის სიტყვებია: ერთი პატარა ბავშვიც რომ აცდუნო, ამას გერჩივნა, წისქვილის ქვა მოიბა და ზღვაში ჩავარდეო. ასეთ ადამიანებზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. **ადამიანებს, რომლებიც პატრიარქს, თამარ მეფეს შეურაცხყოფენ, მოსაკვეთი არიან საზოგადოებისგან.** ისეთი ადამიანები, რომლებმაც სტუდენტებს აფურთხებია ერთმანეთზე (გახსოვთ თქვენ ეს ფაქტი), მეუბნებიან, მამაო, ამ თემებს ნუ ეხებითო. ყველგან ვიყვირებ, სადაც საშუალება მომეცემა, იმიტომ, რომ მე შეიძლება ამ საღამოს ცოცხალი აღარ ვიყო და ეს სიტყვები კი უნდა დარჩეს. როგორ, კაცო, პატარა შვილიშვილი მეზრდება, შვილები მყავს და იმის უნდა მეშინოდეს, რომ იმ ბინძური ხალხის აზრმა ჩემი შვილიც არ გარყვნას?!

**არსებობს უმანკოება, ქალწულობა — ეს მარტო ფიზიკური მდგომარეობა კი არ არის, ესაა სულის მდგომარეობაც.** ის ბავშვები, რომლებიც ჩემ თვალწინ გაიზარდნენ ეკლესიაში, უმანკოებას ინარჩუნებენ გათხოვების მერეც. შვილი უნდა ეყოლოს ჩემს სულიერ შვილს და ისეთი აღსარებები აქვს, როგორც ბავშვობაში. სულელი კი არ არის, შინაგანი უმანკოება აქვს შენარჩუნებული; იმიტომ, რომ სულის ქალწულობა კიდევ სულ სხვა ფენომენია. ახლა კი ოჯახში შეიძლება გეზრდებოდეს 10-12 წლის ბავშვი, ფიზიკურად უმანკო, მაგრამ ამ ტელევიზიების გამო სული უკვე ჰქონდეს გახრწნილი. ვიღაცისთვის შეიძლება ეს არაფერს ნიშნავს, ეს მათი პრობლემაა, **ჩემთვის კი, ადამიანისთვის, რომელმაც ვიცი, რომ ღვთის ხატი ვარ და პასუხს ვაგებ ჩემი პიროვნების რეალიზებიდან გამომდინარე, როდესაც ვიცი, რომ ჩემში ღმერთია და პასუხს მომთხოვს უფალი, როდესაც გარდავიცვლები, ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.**

ჩემი იარაღი სიტყვაა! მე არ ვიცი, ვინ, როგორ, მაგრამ ყველამ თქვენ-თქვენი საშუალება მონახეთ. და როდესაც პოლიტიკური ვნებათაღელვებია ხოლმე, თუ გახსოვთ, სადმე ეს პრობლემა სერიოზულად დასმულიყოს? – არსად! **მეძავისთვის საქართველო არსებობს? ნარკომანისთვის სამშობლოს ცნება არის? ვიღაცას ეს დუმილი ხელს აძლევს, პირველი დამნაშავე კი ამ საქმეში ჩვენ ვართ — სამღვდელოება, ხმას რომ არ ვიღებთ.** როდესაც უმცირესობის (გეების) პარადის გაკეთება უნდოდათ, ძალიან მტკიცედ აღსდგა ამის წინააღმდეგ სამღვდელოება. ეს რომ მომხდარიყო, მე და ჩემი სულიერი შვილები ვაპირებდით გარეთ გასვლას და ჩვენი ხორცის ფასად არ გავატარებდით მათ. უკან დაიხიეს, მაგრამ ახლა სხვა საშუალება მონახეს, ტელევიზიებში შეძვრნენ და ოჯახებში ისე შემოგვივარდნენ. ცოტა ხანში ჰომოსექსუალობის ქადაგებაც დაიწყება ტელევიზიებით.



**ვიღაცას ეს დუმილი ხელს აძლევს, პირველი დამნაშავე კი ამ საქმეში ჩვენ ვართ — სამღვდელოება, ხმას რომ არ ვიღებთ**

## საეკლესიო ტერმინების განმარტებები

**აკოლოთია** — ლოცვათა კრებული, ზიარების წინ შესასრულებელი კანონი.

**წარწყმედა** — ადამიანისთვის მეორედ სიკვდილი, როდესაც ჩადენილი ცოდვების გამო სული ხვდება სამუდამო ჯოჯოხეთში.

**ცელიბატი** — ქრისტიან სასულიერო პირთა დაუქორწინებლობა. კათოლიკურ ეკლესიაში მღვდლობის აუცილებელი პირობაა.

**ფსკვნილი** — თოკისგან მოქსოვილი კრიალოსანი, რომელზეც კვანძები (ფსკვნილები) შესრულებული ლოცვის ან მეტანიის რაოდენობას აღნიშნავს.

**სქიმმონაზონი** — განსაკუთრებული ასკეტიზმით მცხოვრები, სქემაშემოსილი ბერ-მონაზონი.

**რენეგატი** — ადამიანი, რომელმაც უღალატა თავისი წინაპრების რწმენას, მაგალითად, ქრისტიანობიდან მაჰმადიანობაში გადასვლისას.

**ნათლია, მიმრქმელი** — მოწმე; თავმდები მოსანათლის რწმენაზე, რომელიც ვალდებულია ნათლულის ქრისტიანულ აღზრდაზე. ნათლიმამა — ნათლულის მამა. ნათლიდედა — ნათლულის დედა.

**კანონიკა** — საეკლესიო სასულიერო მწერლობის დარგი, მოიცავს საეკლესიო იურიდიულ ლიტერატურას, რომელიც უმაღლესი საეკლესიო ორგანოების მიერ ნებადართულია იურიდიულ საკითხებში პრაქტიკული ხელმძღვანელობისთვის.

**იადგარი** — ძველ ქართულ მწერლობაში ჰიმნებისა და საგალობლების კრებული.

**ეგზეგეტიკა** — ღვთისმეტყველების დარგი, რომლის მიზანია საღმრთო წერილის — ბიბლიის ახსნა-განმარტება.

**გულანი** — საეკლესიო წიგნების კრებული. მასში თავმოყრილია საღვთისმსახურო წიგნები: სახარება, საქმე მოციქულთა, მოციქულთა ეპისტოლენი, თორმეტივე თვის საგალობლები, მარხვანი, ზატიკი, საწინასწარმეტყველო, ფსალმუნნი, ჟამნი, სვინაქსი, ტიპიკონი, მოკლე ჰაგიოგრაფიული საკითხავები და სხვა. გულანი ორიგინალური ქართული კრებულია და არც ერთ სხვა ეკლესიას არ აქვს.

## წმინდა მამათა აზრი...

**გთავაზობთ წმინდა მამათა შეხედულებებსა და ნააზრევს ამა თუ იმ საკითხზე, რომელთა უკეთ გააზრება დაგვეხმარება, ვიცხოვროთ ეკლესიური წესების დაცვით.**

### ცოდვებსა და სათნოებაზე

მკვლელი სულს და სხეულს აშორებს ერთმანეთს, ცოდვა კი სხეულსაც ღუპავს და სულსაც. ცოდვა სულს მშვიდობას უკარგავს, გონებას — ნათელს, სხეულს — უხრწნელობას, მიწას — კურთხევას, ყოველგვარ ქმნილებას — სიკეთეს. ის იწყებს იმით, რომ ადამიანში ჯოჯოხეთს ასახლებს, ხოლო ამთავრებს იმით, რომ ადამიანს ასახლებს ჯოჯოხეთში.

**მოსკოვის მიტროპოლიტი ფილარეტი**

### ამპარტავნებაზე

დაიმდაბლე შენი ამპარტავნული გულისთქმა, სანამ ამპარტავნება ვნებად გადაგექცეოდეს და დაგიმორჩილებდეს. ქვე დაამხე შენი ქედმაღლობა და ზესთამჩინეობა — მაღალი შეხედულება საკუთარ თავზე, სანამ ბილწი ავხორცობა დაგეუფლებოდეს და შეგმუსრავდეს.

**წმ. ეფრემ ასური**

### სიმდიდრესა და სიგლახაკეზე

თავისუფალია ის ადამიანი, ვინც ხორციელ სიტკბოებასა და გრძნობისმიერ სიამოვნებას კი არ ემონება, არამედ ბატონობს თავის სხეულზე გონიერი განსჯისა და კეთილკრძალულების გზით. მადლიერია და კმაყოფილია იმით, რასაც ღმერთი აძლევს, თუნდაც ძალზე მცირე იყოს. როგორც ზომაზე მეტად გრძელი სამოსი უშლის მოგზაურს ხელს სიარულში, ასევე ზედმეტი ქონების შეძენის სურვილი არ აძლევს ნებას ადამიანს, სულის ხსნისათვის იღვწოდეს და საუკუნო ცხოვრება დაიმკვიდროს.

**წმ. ანტონ დიდი**

### პატრიოტიზმზე

სამშობლო ადამიანის სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია. უსამშობლო ადამიანი სულით ღატაკია და საცოდავი. სამშობლოს სიყვარულით მწიფდება და ყალიბდება ადამიანის სულიერი სამყარო, მისი მისწრაფებანი და ფილოსოფიური შეხედულებანი, მისი გულწრფელობა და სიყვარული სხვა ერებისადმი, ვისაც არ უყვარს თავისი თავი, ის ხომ ვერც სხვას შეიყვარებს... და, ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, ის როგორ იგრძნობს ცარიელ გულში სხვათა სამშობლოს სიყვარულს?! ამიტომ ბრძანა რაფიელ ერისთავმა: „სამშობლო — დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა... როგორც უფალი, სამშობლოც, ერთია ქვეყანაზედა...“

**ილია II, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი**

### ვერცხლისმოყვარეობაზე (ანგარებაზე)

ვერცხლისმოყვარე ადამიანი ყველაზე უსამართლოა. მას არაფერი მოუტანია თან დაბადებისას და იმდენს ზრუნავს მიწიერ საუნჯეზე, თითქოს ყველაფერს თან წაიღებს აღსასრულისას. ყველა ცოდვის დასაწყისი ამპარტავნებაა, ხოლო ყველა ბოროტების ფესვი — ვერცხლისმოყვარეობა. პირველი ადამიანს ღმერთს აშორებს, მეორე კი ცხოველებთან აახლოებს. ვერცხლისმოყვარე ღმრთისაგან განდგომილია, რადგან ვერცხლისმოყვარეობა კერპთაყვანისმცემლობაა.

**მღვდელი ნ. სოკოლოვი**

### ოჯახზე

არც მამაკაცს და, მით უმეტეს, არც ქალს არ აქვს ქორწინებაში ერთმანეთზე აბსოლუტური ძალაუფლება. ერთის ნების მეორეზე ზეწოლას, თუნდაც სიყვარულის სახელით, მივყავართ სიყვარულის სიკვდილამდე. და აი, ჩნდება კითხვა: უნდა დავემორჩილო ასეთი ძალადობის ზეწოლას, როცა არის საშიშროება ყველაფერი ძვირფასის განადგურებისა? უბედურ ქორწინებათა უსასრულო რაოდენობა სწორედ იმითაა გამოწვეული, რომ თითოეული მხარე თვლის თავს იმის მესაკუთრედ, ვინც უყვარს. თითქმის ყველა სირთულე ქორწინებისა აქედან მოდის. ქორწინების უდიდესი სიბრძნეა, მისცე თავისუფლება მას, ვინც გიყვარს. ჩვენი მიწიერი ქორწინება ზეციურის მსგავსია, იქ კი სრული თავისუფლებაა.

**მღვდელი ალექსანდრე ელჩანინოვი**

### მოწყალებაზე

როგორადაც ძალგიძს, ისე შეეწიე მოყვასს. თუკი სასწაულმოქმედი სიტყვით არ შეგიძლია ადამიანთა უძლურება განკურნო, კეთილი სიტყვით გაამხნევე და ანუგეშე შეჭირვებული! და, თუკი მოყვასს დაეხმარები, მაშინ, ჰოი, საკვირველებავ, თვით უფალი ჩვენი იესო ქრისტე დაგიდგება მსახურად... ოდეს მოყვასს შეეწევი და მეოხ-ექმნები, თავად დაეუფლები საღმრთო საგანძურს, ქრისტეს სამეუფოს; მოყვასის შემმოსველი და დამპურებელი თავად იგემებ უკვდავებას და სამეფო ძოწეულით შეიმოსები...

**წმ. გრიგოლ პალამა**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# გულიკო ჩაფიძე გირჩევთ

## ნაწილი II

**პირველი საუბარი ქალბატონ გულიკოსთან ისე განვითარდა, რომ მივადექით გულ-სისხლძარღვთა დაავადების კრიტიკულ მიჯნას — ინფარქტს. ამ თემით აგრძელებს საუბარს ქალბატონი გულიკო ჩაფიძე.**





**პაციენტის მთავარი მკურნალი თვით პაციენტია იმ გაგებით, რომ, უწინარეს ყოვლისა, მან უნდა უშველოს თავის თავს. ამისთვის იგი გარკვეული უნდა იყოს, რაც ჭირს**

— გულის იშემიური დაავადება ყველაზე მეტად გავრცელებული დაავადებაა გულ-სისხლძარღვთა სისტემის არეალში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დაავადების მკურნალობაში დიდი მიღწევებია — კეთდება ოპერაციები — შუნტირება, კორონალური პლასტიკა, სტენტირება, რამაც სერიოზულად შეამცირა დაავადების სიმძიმე, მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ავადმყოფის სიცოცხლის ხარისხი, გაზარდა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ ყველაფრის მიუხედავად, ამ დაავადებას ჯერჯერობით მაინც პირველი ადგილი უკავია.

იშემიური დაავადების დროს ადამიანის ამა თუ იმ ორგანოსა და მიწოდებულ სისხლს შორის ჟანგბადის დიდი დეფიციტი ვითარდება, რაც ამ ორგანოს დაზიანებას იწვევს. ეს, ძირითადად, ეხება თავის ტვინსა და გულს.

მე, რასაკვირველია, გულის პათოლოგიაზე ვილაპარაკებ. **გულის იშემიური დაავადების ერთ-ერთი გამოვლინება არის სტენოკარდია, რომელიც შეიძლება იყოს სტაბილურიც და არასტაბილურიც.**

სიტყვა **სტენოკარდია** ნიშნავს ტკივილს და სხვას არაფერს. ის **გულისხმობს ჟანგბადის დეფიციტს გულის კუნთში, რაც შემდგომ დაავადების გართულებას და ზოგჯერ საკმაოდ ცუდ შედეგსაც იწვევს.**

**გულის ტკივილის შემთხვევებისთვის დამახასიათებელია ტკივილი მკერდის ძვლის უკან. შეიძლება იგრძნოთ ტკივილი მხარშიც, ქვედა ყბაში, ხელებში, შეიძლება კუჭის არეშიც.** პირველ საუბარში მე უკვე ვთქვი, რომ პაციენტი ამ დროს უნდა მივიდეს პოლიკლინიკის თერაპევტთან ან კარდიოლოგთან, რომლებიც დააკვალიანებენ, სად და ვისთან იმკურნალონ.

ეს, რაც სტაბილურ სტენოკარდიას შეეხება.

**არასტაბილური სტენოკარდიის დროს ტკივილები უფრო ხშირია, იშემიური დაავადების გართულებული შემთხვევაა. ამას უფრო სერიოზული და მკაცრი მკურნალობა სჭირდება, არაიშვიათად — სტაციონარული გამოკვლევა, რათა დაადგინდეს, მედიკამენტური მკურნალობა უნდა ჩატარდეს თუ ჩარევითი.**

არსებობს ინვაზიური და არაინვაზიური გამოკვლევები. პირველის დროს აქტიური ჩარევა ხდება ორგანოში, არაინვაზიური ჩარევის გარეშე — გამოკვლევაა: ჩვეულებრივი ელექტროკარდიოგრამა, რომელიც, რასაკვირველია, ასი პროცენტით ვერ ასახავს პაციენტის მდგომარეობას, არსებობს დატვირთვის ტესტები, რომლებიც უნდა ჩატარდეს ამ შემთხვევაში. შემდეგი ეტაპი კორონოგრაფიაა, რაც ნათელს ჰფენს პაციენტის გულის მკვებავი სისხლძარღვების მდგომარეობას, შედეგად შესაძლებელი ხდება უფრო რადიკალური მკურნალობის ჩატარება.

**— კორონოგრაფია რას გულისხმობს?**

— ამ დროს სისხლძარღვში შეჰყავთ კონტრასტი, რომელიც გამოსახავს გულის მკვებავი სისხლძარღვის ანატომიურ მდგომარეობას. დაავადების დროს სისხლძარღვის შიდა გარსში წარმოიქმნება ათეროსკლეროზული ფოლაქები, რომლებიც ავიწროებს და, არცთუ იშვიათად, მთლიანად ახშობს სისხლძარღვს. ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ვითარდება მიოკარდიუმის ინფარქტი. აი, ამიტომაა აუცილებელი ექიმთან დროულად მისვლა, დიაგნოზის დაზუსტება და კონკრეტული, მიზანმიმართული მკურნალობის ჩატარება.

**— შეიძლება, უფრო დაწვრილებით აუხსნათ ჩვენს მკითხველებს ინფარქტის რაობა?**

— იშემიური დაავადება, როგორც წესი, პაციენტთა 80-90 პროცენტში ვითარდება გულის მკვებავი სისხლძარღვების სანათურის შევიწროების შედეგად. ამ დროს იგი ველარ ატარებს იმ რაოდენობის სისხლს, რომელიც გულის კუნთს სჭირდება ნორმალური მუშაობისთვის, ვითარდება დეფიციტი მოხმარებასა და მიწოდებას შორის. ამის გამომწვევ მიზეზებზე უკვე ვილაპარაკეთ. მაგრამ **10-15 პროცენტში მიზეზი შეიძლება იყოს კორონალური სისხლძარღვების ანთება, რომელიც იწვევს შეშუპებას, სანათური ვიწროვდება და სისხლის მიწოდება მცირდება.**

**მიზეზი შეიძლება იყოს ინტოქსიკაციაც — მედიკამენტოზური, ალკოჰოლური.**

სისხლძარღვების შევიწროებას იწვევს ნიკოტინი, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. ერთი სიგარეტის მოწევა ადამიანის ორგანიზმს უფრო მეტ ზიანს აყენებს, ვიდრე ავტომანქანის გამონაბოლქვის ჩასუნთქვა.

რამდენიმე ათეული წლის წინათ, როცა არ არსებობდა დატვირთვის ტესტები, პაციენტს სინჯის სახით აწევინებდნენ ერთ სიგარეტს. ერთი სიგარეტის მოწევა საკმარისი იყო იმისთვის, რომ ხელოვნურად გამოეწვიათ ზემოთ აღნიშნული დეფიციტი.

ახლა წარმოიდგინეთ, რა ემართება იმ ადამიანის ორგანიზმს, რომელიც წლების განმავლობაში ეწევა და დღეში თითო კოლოფი სიგარეტიც არ ჰყოფნის! **მოწევა სისხლძარღვების სპაზმს იწვევს და ხელს უწყობს მკვებავ სისხლის ძარღვებში ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას.**

**ამ დაავადების გაახალგაზრდავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ ბავშვები სიგარეტის მოწევას იწყებენ სკოლის ასაკიდან.** სამწუხაროდ, ჩვენ ამის სტატისტიკა არ გვაქვს. მაგრამ ევროპის ქვეყნების, ამერიკის სტატისტიკით, ამ ასაკის ბავშვების 20-25 პროცენტი უკვე ეწევა სიგარეტს. ამით ისინი ქმნიან ათეროსკლეროზული პროცესის დაწყების, განვითარებისა და იშემიური დაავადების განვითარების საფუძველს, რაც, შეიძლება ითქვას, შემდგომში გულის კუნთის ინფარქტის განვითარების ეტაპია.

**— ქალბატონო გულიკო, ჩვენს საზოგადოებაში გავრცელებულია აზრი, რომ, თუ ადამიანი, ასე ვთქვათ, „პროფესიული მწეველია", უმჯობესია, არ შეწყვიტოს მოწევა, რადგან სიგარეტისთვის თავის დანებება საზიანო იქნება მისი ორგანიზმისთვის, რომელიც მიჩვეულია ნიკოტინს.**

— ეს ძალიან მცდარი აზრია! მე ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ამ ხმებს და ამ „თეორიას" ავრცელებენ ის ადამიანები, რომლებიც ეწევიან და არ შეუძლიათ თავის დანებება.

არიან ისეთები, ვისაც ერთბაშად არ შეუძლიათ სიგარეტისთვის თავის დანებება. მაშინ ექიმები და, მათ შორის, მეც, იძულებული ვართ, ვურჩიოთ ასეთ პაციენტებს, რომ დღეის ამას იქით მოწიონ იმის ნახევარი, რასაც აქამდე ეწეოდნენ და შემდეგ, ოთხ-ხუთ დღეში ერთხელ თითო-თითო ღერით შეამცირონ. შემდეგ სიგარეტი ბოლომდე კი არ მოსწიონ, არამედ — ნახევარი. ამას იმიტომ კი არ ვთავაზობთ, რომ საშიშია სიგარეტისთვის ერთბაშად თავის დანებება, არამედ იმიტომ, ეგებ, თანდათანობით მოერიოს საკუთარ თავს და გადაეჩვიოს.

**— ერთი ამბავი მახსენდება, ქალბატონო გულიკო. ერთ პაციენტს ოპერაციის წინ თურმე უკითხავს, თქვენთვის ოპერაციის შემდეგ ლუდის დალევის ნებას თუ დამრთავთო და თქვენც დათანხმებიხართ.**

— (*ეღიმება*). მთლად ასე არ იყო. ეს მოხდა ოპერაციის მეორე დღეს, როცა მოვინახულე პაციენტი და, ჩვეულებისამებრ, ვკითხე, როგორ გრძნობდა თავს. მიპასუხა, რომ კარგად, მაგრამ ძალიან უნდოდა ერთი ჭიქა ლუდის დალევა, რადგან ზაფხული იყო და ძალიან ცხელოდა. მოვატანინე ჩვენს ექიმებს და დავალევინე ის ერთი ჭიქა ლუდი. ერთი ჭიქა ლუდი არანაირ ზიანს არ მიაყენებს პაციენტს, მაგრამ დიდი რაოდენობით ლუდის დალევა დაუშვებელია, რადგან არსებობს გულ-სისხლძარღვთა დაავადება, რომელიც ლუდით არის გამოწვეული და რომელიც გასაგები მიზეზების გამო გერმანიაშია განსაკუთრებით გავრცელებული.

**— ღვინო?**

— ხშირად მეკითხებიან ღვინოზე. იმ რაოდენობით ღვინის სმა, როგორც საქართველოშია მიღებული, კატეგორიულად დაუშვებელია. ღვინოს რომ დალევს პაციენტი, იმ მომენტში თავს კარგად იგრძნობს. უთქვამთ კიდეც ჩემთვის — ღვინოს რომ დავლევ, ისე კარგად ვარ, რომ ტკივილები მეხსნება, ტკივილები მეორე-მესამე დღეს მეწყებაო.

სუბიექტური შეგრძნება მართლაც ასეთია. ალკოჰოლური გაბრუების შემთხვევაში პაციენტი ტკივილს ვერ გრძნობს. ეს ერთი. მეორე, პირველ საათებში ალკოჰოლი კი იწვევს სისხლძარღვების გაფართოებას, მაგრამ ეს ხანმოკლე „შვებაა", რადგან შემდეგ ამას მოჰყვება ძალიან დიდი სპაზმი, სისხლძარღვების შევიწროვება, სისხლის მიწოდების დეფიციტი უფრო საგრძნობი ხდება, რაც იწვევს სტენოკარდიის გართულებას და ინფარქტის განვითარებას.

**ყველა კარდიოლოგმა იცის, რომ დიდი უქმეების შემდეგ, განსაკუთრებით ახალი წლებისა და აღდგომის შემდეგ პერიოდში ავადმყოფების რაოდენობა მატულობს. მატულობს, როგორც ახლადაღმოცენებული სტენოკარდიისა და მისი გართულების, ასევე არსებული დაავადების გართულების შემთხვევები. ეს ხდება იმიტომ, რომ ადამიანები ჭარბი რაოდენობით იღებენ ალკოჰოლსა და საკვებს.**

ერთი ჭიქა ნატურალური ღვინო, და არა ფალსიფიცირებული, ადამიანმა სადილის დროს რომ დალიოს, სავსებით დასაშვებია.

**— კონიაკი, ქალბატონო გულიკო?**

— ეს კითხვაც ხშირია. კონიაკის, ზოგიერთი ვისკის ამჯობინებს, დალევა, შეიძლება. მაგრამ მცირე რაოდენობით. იყო დიდი მკურნალი, ექიმი ბოტკინი, რომელიც თავის ავადმყოფებს ურჩევდა ერთი უნცია არაყის — „унция водки" (უნცია 25 გრამს უდრის) დალევას. ხშირად არა, მაგრამ მეც მითქვამს პაციენტისთვის: თუ იგრძენით ტკივილი გულის არეში და იმ მომენტში ხელთ არ გაქვთ საჭირო პრეპარატი, ძირითადად, ნიტროგლიცერინი, არაყი ან კონიაკი 20-30 გრამი დაიგუბეთ პირში, რამდენიმე წუთი გააჩერეთ და შემდეგ ან გადმოღვარეთ, ან დალიეთ. ალკოჰოლის ეს მცირე დოზა დაახლოებით ისეთსავე როლს ითამაშებს, როგორსაც ნიტროგლიცერინი.

**— ნიტროგლიცერინი ზოგიერთს თავს რომ ტკენს? მე ეს გამომიცდია.**

— ამაზე შემიძლია გიპასუხოთ, რომ ექიმი ვალდებულია, ნელ-ნელა შეაჩვიოს პაციენტები, რომლებსაც სტენოკარდიული ტკივილები აქვთ, ნიტრატების მიღებას. ყველა პაციენტს შეიძლება შევურჩიოთ ისეთი დოზა, რომლის თანდათანობით გაზრდით მივაღწიოთ იმ დოზამდე, რომელიც ავადმყოფს ესაჭიროება. თავის ტკივილების ნიველირება სხვადასხვა პრეპარატებითაც შეიძლება. ავადმყოფისთვის პირველი და სასწრაფო დახმარება ნიტროგლიცერინია.

ნიტროგლიცერინი სახანძრო მანქანასავითაა, რომელიც ყოველთვის მზად უნდა იყოს გამოძახებისთვის და ხანძრის ჩასაქრობად.

დაბოლოს, მინდა გითხრათ, რომ **პაციენტის მთავარი მკურნალი თვით პაციენტია იმ გაგებით, რომ, უწინარეს ყოვლისა, მან უნდა უშველოს თავის თავს. ამისთვის იგი გარკვეული უნდა იყოს, რაც ჭირს.** ხელოვნური ოპტიმიზმი, რითაც ექიმი ზოგჯერ ამშვიდებს ავადმყოფს — იცით, რა, მართალია, ტკივილები გაქვთ, მაგრამ გიმკურნალებთ და ყველაფერი კარგად იქნება, ყალბია და რეალურად არაფერს იძლევა.

ერთიც მინდა დავუმატო, რასაც არა მარტო პაციენტები, არამედ, სამწუხაროდ, ექიმებიც არ აქცევენ სათანადო ყურადღებას. პაციენტების ერთ ნაწილს აქვს ტაჰიკარდია, ე.ი. პულსის აჩქარება. პაციენტები ხშირად ამბობენ, რომ ეს ბავშვობიდან, ახალგაზრდობიდან აქვთ.

ჯერ ერთი, ახალგაზრდობაში ადამიანს ჯანმრთელი სისხლძარღვები აქვს, ორგანიზმის კონდენსატორული უნარი ძალიან ძლიერია და ჩარევა საჭირო არ არის. იშემიური დაავადების მქონე პაციენტის მკურნალობის დროს ექიმი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება მიზანდასახულად იმოქმედოს რიტმის სიხშირეზე. სასურველია, წუთში იყოს საშუალოდ 60, პლიუს-მინუს ორი. **რაც უფრო გაიშვიათებულია გულის რიტმი, მით უფრო ნაკლები ჟანგბადი სჭირდება გულის კუნთს, რადგან ამ დროს იგი უფრო ეკონომიურად მუშაობს.** ექიმმა პაციენტს ბეკაბლოკატორების დიდი ჯგუფიდან უნდა შეურჩიოს რომელიმე წამალი. მაგრამ, ჯერ ერთი, არსებობს ამ პრეპარატების მიღების ზღვარი და, მეორე, ყველა პრეპარატს აქვს გვერდითი მოვლენები, უკუჩვენება. არსებობს სხვა ჯგუფის პრეპარატები, რომლებიც არ იწვევს იმ გვერდით მოვლენებს, რომლებსაც ბეტაბლოკატორები. აქ უნდა მოხდეს მათი შეუღლება და ექიმმა მონდომებით და პროფესიულად უნდა იმუშაოს ავადმყოფთან.

**ავადმყოფს უნდა ჰქონდეს დიდი მოთმინება და მოუსმინოს ექიმს, ბევრად უფრო დიდი მოთმინების უნარი უნდა ჰქონდეს ექიმს, რათა ავადმყოფს კარგად აუხსნას, რატომ უნიშნავს ამა თუ იმ პრეპარატს და რა შედეგს ელოდება ამ დანიშვნისგან.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**მოწევა სისხლძარღვების სპაზმს იწვევს და ხელს უწყობს მკვებავ სისხლის ძარღვებში ათეროსკლეროზული ფოლაქების წარმოქმნას. ამ დაავადების გაახალგაზრდავების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი არის ის, რომ ბავშვები სიგარეტის მოწევას იწყებენ სკოლის ასაკიდან**

**P.S.** ხოლო ჩვენ, ვინც გულის მკურნალობის ყველა რკალი გავიარეთ და სიცოცხლის უნარი დაგვიბრუნა ქალბატონმა გულიკო ჩაფიძემ, ავწიოთ სასმისები ღვინის ან კონიაკის იმ დოზით, რისი ნებაც მან დაგვრთო, ვუთხრათ მადლობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვოთ მკურნალს.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რომის პაპი ქრისტიანების მკვლელობაზე ალაპარაკდა

**10 იანვარს წმინდა ტახტთან არსებული დიპლომატიური კორპუსისთვის გამართულ აუდიენციაზე რომის პაპმა მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას მიმართა საფრთხის ქვეშ მყოფი რელიგიური უმცირესობების გაბედულად დაცვის მოწოდებით. ეს სიტყვა უკვე მზად იყო, მაგრამ ალექსანდრიაში ქრისტიანების მორიგი მკვლელობის შემდგომ, პაპმა ბენედიქტე XVI-მ, სახელმწიფო მდივან ტარჩიზიო ბერტონესთან ერთად, მისი გადახედვა მოიწადინა.**



წმინდა ტახტმა უყურადღებოდ დატოვა Wikileaks-ის პუბლიკაციები, სადაც მას სუსტ მომზადებასა და ზედაპირულობაში ადანაშაულებდნენ და დიპლომატიური კონტრშეტევა წამოიწყო რელიგიური თავისუფლების ფრონტზე. ვატიკანის ახალი მეთვალყურე, არქიეპისკოპოსი ფრენსის ასიზი ჩულიკატი უკვე შეუდგა მუშაობას, რომ დაუყოვნებლივ მიეპყრო გაეროს უშიშროების საბჭოსა და გენერალური ასამბლეის ყურადღება ქრისტიანული უმცირესობების წინააღმდეგ განხორციელებული შეტევისთვის. ჩულიკატი 4 წლის განმავლობაში სამოციქულო ნუნციუსი იყო ერაყსა და იორდანიაში. პაპის მიერ მისი წარმომადგენლად არჩევა გაეროში თვალსაჩინოდ მიუთითებს საერთაშორისო არენაზე სამოციქულო სასახლის პრიორიტეტზე: რელიგიური თავისუფლება და ახლო აღმოსავლეთი.

მაგრამ **ქრისტიანების დაცვა ევროპის საბჭომაც უნდა განახორციელოს. წმინდა ტახტის მუდმივი მეთვალყურე სტრასბურგში, მონსენიორი ალდო ჯორდანო ორ ფრონტზე იბრძვის. ერთის მხრივ, იგი ქრისტიანი უმცირესობების დასაცავად იბრძვის წევრ-ქვეყნებში, უპირველესად, თურქეთში; მეორე მხრივ, ქრისტიანულ სიმბოლოებს ელიტური შეტევებისგან იცავს. ვატიკანში მოუთმენლად ელიან ევროსასამართლოს გადაწყვეტილებას იტალიურ სკოლათა კლასებიდან ჯვარცმის გატანის შესახებ დადგენილების ხელახალი გადახედვის თაობაზე.**

ჯორდანომ დიდი მუშაობა ჩაატარა იმ ქვეყნების სიის გასაფართოებლად, რომლებმაც მხარი დაუჭირეს იტალიის მთავრობის პოზიციას; მათ შორისაა **რუსეთი, საბერძნეთი, ბულგარეთი და რუმინეთი.**

ზოგიერთი ევროპელი დეპუტატის ჩარევის წყალობით, ვატიკანის დიპლომატიის თხოვნა ქრისტიანების დაცვის შესახებ ევროკავშირში გაიგზავნა. **საგარეო საქმეთა მინისტრმა ფრანკო ფარატინიმ ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრთა საბჭოს, რომელიც 31 იანვარს უნდა შეიკრიბოს, რელიგიური ძალადობის თემის განხილვა შესთავაზა.** ფარატინი, დიდი ხანია, ზეწოლას ახორციელებს ევროკავშირზე, ამ პრობლემით დაკავებასა და მსოფლიოს ყველა ქვეყანაში რელიგიური თავისუფლების დაცვაზე მუდმივი მონიტორინგის დაწესებას სთავაზობს.

**თუმცა ეს საკმარისი არაა. პაპის დიპლომატია ქრისტიანების დასაცავად თავისი მოქმედებების გაფართოებას ისახავს მიზნად ორმხრივ დონეზე.**

ბუნდოვანია ალ-აზნარის უნივერსიტეტის (კაირო) იმამის აჰმედ ალ-თაიების განცხადებასთან დაკავშირებული საკითხი, რომელმაც ბენედიქტე XVI ეგვიპტის საქმეებში ჩარევაში დაადანაშაულა. სინამდვილეში ამ მტკიცების კვალი ალ-აზნარის უნივერსიტეტის ოფიციალურ განცხადებებში არ შეინიშნება. უფრო მეტიც, **იმამი დალუპულების ნათესავებს თანაგრძნობას უცხადებს და ორმხრივი ინსტიტუტის – 14-წარმომადგენლიანი (7 ქრისტიანი და 7 მუსლიმანი) ეგვიპტის სახლის შექმნას სთავაზობს მულტირელიგიური თანაცხოვრების პრობლემების გადასაწყვეტად.** თითქოსდა იმამმა ტერორისტული აქტის მეორე დღეს, კოპტების მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღვართან, პაპ შენუდა III-სთან ერთობლივი პრესკონფერენციის მიმდინარეობისას გააკრიტიკა პაპი ბენედიქტე XVI. თუმცა ალ-თაიების განცხადების ციტირება მხოლოდ სახელმწიფო პრეს-საგენტო „Mena“-მ მოახდინა, ხოლო შემდგომ სააგენტო „France Presse“-მა გადათარგმნა „Mena“-ს განცხადება და მთელ მსოფლიოში გაავრცელა.

**ვატიკანში სვამენ კითხვას: ხომ არ დგას ამ პოლემიკის უკან ეგვიპტის მთავრობა, რომელმაც ალ-თაიების განცხადების გამოკვეთა იმისთვის მოისურვა, რომ ამ გზით ეპასუხა ბრალდებებისთვის, თითქოსდა მან სათანადოდ ვერ შეძლო ქრისტიანული ეკლესიების დაცვა?**

გაურკვეველია, აგრეთვე, სად არიან ვაფა კონსტანტინა და კამელია შეჰათა, კოპტი მღვდლების მეუღლეები, რომელთა ხვედრმაც ეგვიპტის მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის ტერორისტულ აქტში გადაზრდილი შუღლი ჩამოაგდო. მუსლიმანი ფუნდამენტალისტების პროპაგანდის თანახმად, ქალებმა ქმრები მიატოვეს და ისლამი მიიღეს. ამის გამო კი ისინი თითქოსდა მოიტაცეს კოპტების ეკლესიის წინამძღვრის განკარგულებით და მონასტერში გამოკეტეს. **კოპტების მართლმადიდებლური იერარქიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღიარა, რომ ამ ქალებს ოჯახური პრობლემები ჰქონდათ, თუმცა მონასტერში იმიტომ გაგზავნეს, რომ ისლამური მოძრაობის მხრიდან სავარაუდო მოტაცებისგან დაეცვათ.**

ამ რთულსა და ჩახლართულ სცენარში წმინდა ტახტის დიპლომატიამ საბოლოოდ რაციონალურ მარცვალს მიაგნო. მიუხედავად ამისა, **პაპის სასახლეში მკაფიოდ იკვეთება ორი, ისლამის მიმართ მკაცრი და შედარებით შემწყნარებლური, დამოკიდებულების ხაზი.**

**ქრისტიანთა სისუსტე, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში, განპირობებულია არა მარტო გარე იერიშებით, არამედ ღრმა შიდა დაქსაქსულობითაც**



2011 წლის 1 იანვრის ღამეს ალექსანდრიის ეკლესიასთან ტერაქტი განხორციელდა

სავარაუდოდ, პაპიც ხან ერთის, ხანაც მეორის ზეგავლენის ქვეშ ექცევა. ექვსი თვის წინათ თურქეთის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის მეთაურის, მონსენიორ ლუიჯი პადოვეზეს მკვლელობიდან 24 საათის შემდეგ, რომელიც გასული წლის 3 ივნისს მოხდა, **კვიპროსზე ვიზიტად ჩასული პაპი კატეგორიულად უგულებელყოფდა პადოვეზეს მკვლელობის რელიგიურ ფუნდამენტალისტურ სარჩულს.** პადოვეზე რელიგიათაშორის დიალოგებში გამოჩენილი მოღვაწე და ქრისტიანთა თავგამოდებული დამცველი გახლდათ. სავარაუდოდ, ამგვარი განცხადების გაკეთება პაპ ბენედიქტეს რბილი ხაზის მომხრემ, წმინდა ტახტის სახელმწიფო მდივნის მოადგილემ, ფერნანდო ფილონიმ, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ერაყსა და იორდანიაში ნუნციუსი იყო, უკარნახა იმისთვის, რომ რისკის ქვეშ არ დაეყენებინა თურქეთთან ურთიერთობა და პაპის ვიზიტი კვიპროსზე.

რამდენიმე თვის შემდეგ, როცა პაპი გასული წლის 20 დეკემბერს რომის კურიაში სიტყვას წარმოთქვამდა, მან თითქოსდა დაივიწყა ყველა დელიკატური პოლიტიკური და დიპლომატიური მოსაზრება. **იმ ხუთი წლის განმავლობაში პირველად, რაც ტახტზე იჯდა, ქრისტიანებზე განხორციელებული იერიშების აღწერისას ბენედიქტე XVI-მ ტერმინი „ქრისტიანოფობია“ გამოიყენა.** იოზეფ რატცინგერს ეს ფორმულა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საქმეში წმინდა ტახტის სახელმწიფო სამდივნოს მდივანმა, მონსენიორ დომინიკ მამბერტიმ უკარნახა, რომელიც მკაცრი ხაზის მომხრეთა რიგებშია. იგი, დიდი ხანია, დიპლომატიურ სარბიელზე მოღვაწეობს. მანამ, სანამ წმინდა ტახტის „საგარეო საქმეთა მინისტრი“ გახდებოდა, იგი ალჟირში, ლიბანში, სუდანსა და სომალიში იყო. ამიტომ კარგად იცის, რას ნიშნავს ქრისტიანოფობია. საჯაროდაც სწორედ მან განაცხადა ქრისტიანოფობიის შესახებ 2008 წლის იანვრის კონფერენციაზე. **მაშინ ითქვა, რომ ეს ტერმინი „პოლიტიკურად არაკორექტულია“, დღეს კი მისი აქტუალობა ტრაგიკულად დამტკიცდა.**

მათ შორის, ვინც ვატიკანში უკან არ დაიხევს ქრისტიანთა უფლებების დაცვის საქმეში, ადმინისტრაციული უწყების სხვადასხვა ავტორიტეტული მეთაურიცაა; მაგალითად, კონგრეგაციის პრეფექტი აღმოსავლეთის ეკლესიების საქმეში, კარდინალი ლეონარდო სანდრი, ახალი ევანგელიზაციის ხელშეწყობის საქმეში პაპის საბჭოს თავმჯდომარე, მონსენიორ რინო ფიზიკელა და ვატიკანის სხვა მთავარი მრჩევლები; ისეთები, როგორიცაა ბეირუთში წმინდა იოსების სახელობის დოცენტი, იეზუიტი სამირ ჰალილ სამირი და საგარეო მისიებში პაპის ინსტიტუტის მისიონერი, მამა ბერნარდო ჩარველა.

შემწყნარებლური ხაზის მომხრეთა შორისა კარდინალი ჟან-ლუი ტორანი, რომელმაც არ გაიზიარა პაპის გადაწყვეტილება, ქრისტიანად მოქცეული ჟურნალისტის მაჰდი ალ-ლამის მონათვლის შესახებ წმინდა პეტრეს ტაძარში 2008 წლის 22 მარტს, სააღდგომო ცერემონიის მიმდინარეობისას, და მასში მონაწილეობაც არ მიუღია.

რბილი ხაზის გატარების მომხრეა მონსენიორ მიხაელ ლუი ფიცჯერალდიც, რომელიც რატცინგერმა რელიგიათაშორისი დიალოგის საკითხებში პაპის საბჭოს თავმჯდომარის პოსტიდან გადააყენა, როცა ამ უწყების გაერთიანება კულტურის საკითხებში პაპის საბჭოსთან განიზრახა. მიიჩნეოდა, რომ ფიცჯერალდი მეტისმეტად რბილად აწარმოებდა დიალოგს ისლამთან. იგი ეგვიპტეში ნუნციუსად გაგზავნეს და ახლა, ბედის ირონიით, მან რთული ურთიერთობები უნდა დაარეგულიროს ეგვიპტის მთავრობასა და ეგვიპტის მუსლიმანურ თანამეგობრობასთან. ისიც დაუყოვნებლივ გამოვიდა ქრისტიანთა და მუსლიმანთა ნაციონალური ერთიანობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის დაცვის მოწოდებით.

დიალოგის საკითხებს უაღრესად ყურადღებით ეკიდება პაპის პრესმდივანი, მამა ფედერიკო ლომბარდი. ბევრს მიაჩნია, რომ ვატიკანის სახელმწიფო მდივანი ტარჩიზიო ბერტონე მუსლიმანურ სამყაროსთან დიალოგისადმი აწონილ-დაწონილი მიდგომის მტკიცე მომხრეა.

**ისლამისადმი დიპლომატიურ სტრატეგიაზე ზეგავლენას ახდენს შოკი, რომელიც პაპმა ბენედიქტემ 2006 წლის სექტემბერში რეჰენსბურგში სიტყვით გამოსვლის მეორე დღეს მიიღო.** მისი **სიტყვების სხვაგვარ განმარტებასა და ისლამური სამყაროს მრისხანე რეაქციას 2006 წლის 17 სექტემბერს მოგადიშში ფანატიკოსი მუსლიმანების მიერ მონაზონ ლეონელა სგორბატის მკვლელობა მოჰყვა. პაპი იმდენად შეაძრწუნა ამ ძალადობამ, რომ მას შემდეგ დიდი სიფრთხილითა და ყურადღებით იქცევა მუსლიმანებთან მიმართებაში.**

მართალია, რომის კურიაში განსხვავებული მოსაზრებებია, მაგრამ ერთ რამეში სრული თანხმობაა: **ქრისტიანთა სისუსტე, კერძოდ, ახლო აღმოსავლეთში, განპირობებულია არა მარტო გარე იერიშებით, არამედ ღრმა შიდა დაქსაქსულობითაც.**

20 მილიონი ქრისტიანი, რომლებიც ამ ზონაში ცხოვრობენ (მთლიანი მოსახლეობის 5,6 პროცენტი), **სულ მცირე, დუჟინამდე სხვადასხვა კულტსა და კონფესიას განეკუთვნებიან** (კათოლიკები და მართლმადიდებლები, თავის მხრივ, კოპტურ, სირიულ, მელქისტურ, მარონისტულ, ქალდეურ, სომხურ შტოებად იყოფიან...). **ხშირად მათ შორის განხეთქილებას აქვს ადგილი, რაც თვალსაჩინო შეიქნა იერუსალიმში მაცხოვრის საფლავთან ბერებს შორის მომხდარი სკანდალური ჩხუბის არაერთგზის ჩვენების შედეგად.**

განსხვავებული ქრისტიანული კონფესიების გაერთიანებისთვის ხელის შეწყობის მიზნით პაპმა გასული წლის 10-24 ოქტომბერს ეპისკოპოსთა სინოდის საგანგებო ასამბლეა მოიწვია, რომელიც სწორედ ახლო აღმოსავლეთს მიეძღვნა. ამ შეკრებაზე **დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქრისტიანული კათოლიკური ეკლესიების 185 ეპისკოპოსმა და პატრიარქმა დაადასტურეს თავიანთი განზრახვა, არ დატოვონ მიწა, სადაც იესო ქრისტე და ძველი აღთქმის წმინდა მამამთავრები იშვნენ და ხელი შეუწყონ თანხმობის მიღწევას სხვადასხვა კონფესიას შორის.** სინოდის შემდეგ აღმოსავლეთის ეკლესიები უფრო გაბედულად და შეთანხმებულად ამოქმედდნენ, რაც ძალიან არ მოსწონთ ისლამისტ ფუნდამენტალისტებს.

**„PANORAMA“, იტალია**

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# აშშ-რუსეთის თანამშრომლობა ღრმავდება



**ბრიუსელში, ნატოს შტაბ-ბინაში, აშშ-ის შტაბების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის თავმჯდომარემ, ადმირალმა მაიკ მალენმა და რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, არმიის გენერალმა ნიკოლაი მაკაროვმა ხელი მოაწერეს 2011 წლის აშშ-რუსეთის სამხედრო თანამშრომლობის გეგმას.** ,,გეგმა მოიცავს გაცვლით პროგრამებს, წვთნებს და სხვა ღონისძიებებს, რომელსაც ორი ზესახელმწიფო განახორციელებს", — ნათქვამია აშშ-ს ევროპული სარდლობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ რელიზში.

# ავღანეთში ძალადობა მატულობს



ავღანური არასამთავრო კოალიცია **"ANSO-სა და ევროკავშირის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, 2010 წელს წინა წელთან შედარებით თალიბების თავდასხმების რაოდენობა 64%-ით გაიზარდა; დღეში საშუალოდ 33 თავდასხმა ხდებოდა.** დეკემბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 47%-ით მეტი თავდასხმა მოხდა; მათ შორის, ყანდაგარში — 20%-ით მეტი, ჰელმანდში კი — 124%-ით. განსაკუთრებით სიტუაცია გართულდა აქამდე მშვიდ ჩრდილოეთის პროვინციებში, მაგალითად, სარი-პულის პროვინციაში 2009 წელთან შედარებით სამჯერ მეტი თავდასხმა მოხდა.

# ყველაზე ძვირადღირებული ჯართი



**ბრიტანულმა კომპანიამ „BAE Systems"-მა „Nimrod MRA4" ტიპის თვითმფრინავების უტილიზაცია დაიწყო, რომელთა შექმნაზე 5,7 მილიარდი დოლარი დაიხარჯა.** პროგრამა ცხრა „Nimrod MRA4-ის აწყობას ითვალისწინებდა; მათ ამოცანას სანაპირო ზოლის პატრულირება და სუბმარინებთან ბრძოლა წარმოადგენდა. სამხედრო ბიუჯეტის შეკვეცის გამო პროგრამა დაიხურა, თვითმფრინავები პირდაპირ ქარხნიდან ჯართში ჩააბარეს. ბრიტანულმა პრესამ მათ ,,მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ჯართი" უწოდა. მარტში კი ჩამოიწერება ძველი „Nimrod R1"-ები და ბრიტანეთის საჰაერო ძალებს საზღვაო დაზვერვისა და პატრულირების თვითმფრინავები აღარ დარჩება.

# სუბმარინები უჩინარი გახდება?



**ილინოისის უნივერსიტეტის მეცნიერებმა შექმნეს საფარი, რომელიც სუბმარინებს სონარებისთვის და სხვა ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყოების**თვის უჩინარს ხდის. ის 16 კონცენტრიული რგოლისგან შედგება, რომლებიც აკუსტიკურ ჯაჭვებს ქმნის და 40-იდან 80 კილოჰერცამდე სიხშირის ბგერებს ახშობს. მართალია, თანამედროვე სონარები 1-დან 500 კილოჰერცამდე დიაპაზონში მუშაობს, მაგრამ მეცნიერები დარწმუნებული არიან, რომ საფარის გაუმჯობესებას შეძლებენ. ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ 40-80 კილოჰერცის დიაპაზონში ობიექტი სონარებისთვის მართლაც **„გაუჩინარდა"**.

# «გველგესლა» ავღანეთში მიემგზავრება

**დეკემბერში აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსმა ვერტმფრენების პარკის განახლების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება მიიღო. „AH-1W SuperCobra"-ს „AH-1Z Viper"-ი შეცვლის (58 ახალი, ხოლო 131 „SuperCobra"-ს მოდერნიზაციის შედეგად მიღებული), ასამდე მრავალმიზნობრივი „UH-1N"-ს ადგილს კი „UH-1Y Venom"-ები დაიკავებენ. რამ განაპირობა ასეთი გადაწყვეტილების მიღება?**



პირველი კითხვა, რომელიც ამ ინფორმაციასთან დაკავშირებით შეიძლება გაჩნდეს, ალბათ, შემდეგი იქნება: რაღა დროს „AH-1 Cobra"-ს მოდერნიზებაა, ეს ვერტმფრენი, დამსახურებული წარსულის მიუხედავად, ხომ უკვე 43 წლისაა? მისი ახალი მოდიფიკაციის „AH-1Z Viper"-ის შექმნა სამმა ძირითადმა ფაქტორმა განაპირობა, როგორიცაა ფინანსების მზარდი ნაკლებობა, დროის ნაკლებობა და უშუალო საცეცხლე მხარდაჭერის ნაკლებობა, რომლის წინაშე საზღვაო ქვეითთა კორპუსი უახლოეს პერსპექტივაში დადგება.

**პრობლემის ერთ-ერთი სათავე აშშ-ის სამხედრო ავიაციის კრიზისია, თვითმფრინავების საერთო რაოდენობა 2000-ზე ნაკლები გახდა. ამ მიჯნას კი ამერიკელი გენერლები კრიტიკულ ზღვარად მიიჩნევდნენ, რომლის ქვემოთ თავდაცვისუნარიანობის დაქვეითება იწყება. ამასთანავე, შეფერხდა ძველი თვითმფრინავების შეცვლა ახლით და ჩვეულებრივი გახდა მდგომარეობა, როდესაც თვითმფრინავი პილოტზე უფრო ასაკოვანია.** მაგალითად, იგივე საზღვაო ქვეითთა კორპუსი აპირებდა „AV-8B Harrier II" მოიერიშეების შეცვლას ახალი მრავალმიზნობრივი გამანადგურებლებით — „F-35 Lightning", მაგრამ ამ თვითმფრინავის შექმნა გაჭიანურდა, ხოლო მისმა ღირებულებამ თანდათან ასტრონომიულ მაჩვენებელს მიაღწია; **შეიქმნა კრიზისული მდგომარეობა, რომლის დაძლევამდე საცეცხლე მხარდაჭერის ვერტმფრენებზე დამატებითი დატვირთვა თანდათან გაიზრდება. აუცილებელი იყო ამ გამოწვევაზე „სწრაფი და იაფი" რეაგირება; ამ თვალსაზრისით, „AH-1Z VIPER"-ი არა მხოლოდ საცეცხლე მხარდაჭერის ვერტმფრენების მორიგი მოდერნიზაციაა, არამედ პალიატიური გამოსავალი ჩიხური მდგომარეობიდან.**

„Viper"-ის („გველგესლა"; მეტსახელი საზღვაო ქვეითთა კორპუსში „Zulu Cobra") შექმნაზე მუშაობა ჯერ კიდევ 1996 წელს და- ▶

# XX საუკუნის საუკეთესო ტანკები

**ტელეარხმა „Military Channel"-მა XX საუკუნის საუკეთესო ტანკების რეიტინგი გამოაქვეყნა. სხვადასხვა თაობის ტანკების შედარება საკმაოდ რთულია, თუმცა ამერიკელმა და ბრიტანელმა ექსპერტებმა ისინი ხუთი კრიტერიუმით შეაფასეს: საცეცხლე ძალა, დაცულობა, მობილურობა, წარმოების სიმარტივე და ფსიქოლოგიური ეფექტი, რომელსაც ტანკი მოწინააღმდეგეზე ახდენს; შემდეგ კი ქულები შეაჯამეს.**



**X ადგილი** 1942 წელს გამოშვებულმა ამერიკულმა „Sherman"-მა დაიკავა (მაქსიმალური სიჩქარე — 35 კმ/სთ, სვლის მარაგი — 160 კმ, ჯავშნის სისქე — 62 მმ., ქვემეხის კალიბრი — 75 მმ.). ამ ტანკმა ,,საცეცხლე ძალისა" და ,,ჯავშნის" ნომინაციებში ცოტა ქულა დააგროვა, თუმცა ტოპ-ათეულში მისი მოხვედრა წარმოების სიმარტივემ და ,,ფორდის" რვაცილინდრიანი ძრავის მიერ უზრუნველყოფილმა მობილურობამ განაპირობა.



**IX ადგილი** 1977 წელს ისრაელში გამოშვებულ „Merkava"-ს მიაკუთვნეს (მაქსიმალური სიჩქარე — 55 კმ/სთ, სვლის მარაგი — 500 კმ., ქვემეხის კალიბრი — 120 მმ., ჯავშნის სისქე — გასაიდუმლოებულია). 2006 წელს, ლიბანში შექმნილი პრობლემების მიუხედავად, ამ ტანკმა ,,დაცულობის" ნომინაციაში უმაღლესი ქულები დააგროვა, თუმცა აღინიშნა, რომ ჯავშნის სიჭარბე მას ნაკლებად მობილურს ხდის, მისი წარმოება კი ძალზე ძვირია.



**VIII ადგილი** 1948 წელს საბჭოთა კავშირში გამოშვებულმა „T-54/55"-მა დაიკავა (მაქსიმალური სიჩქარე — 50 კმ/სთ, სვლის მარაგი — 50 კმ/სთ, ჯავშნის სისქე — 203 მმ., ქვემეხის კალიბრი — 100 მმ.). ამ ტანკმა მიიღო საშუალო ქულები „საცეცხლე ძალაში", „მობილურობასა" და ,,დაცულობაში" და უმაღლესი „წარმოების სიმარტივეში".



**VII ადგილი** 1982 წელს ბრიტანეთში გამოშვებულ „Challenger"-მა ერგო (მაქსიმალური სიჩქარე — 60 კმ/სთ, სვლის მარაგი — 550 კმ, 120 მმ. კუთხვილიანი ქვემეხი, ჯავშნის სისქე გასაიდუმლოებულია). მაღალი ქულები ამ ტანკმა მაღალი დაცულობისთვის და შთამბეჭდავი საცეცხლე ძალისთვის მიიღო.



**VI ადგილი** 1937 წელს გერმანიაში გამოშვებულ „Panzer IV-ს მიაკუთვნეს (მაქსიმალური სიჩქარე — 40 კმ/სთ, სვლის მარაგი — 208 კმ., ჯავშნის სისქე — 50 მმ., ქვემეხის კალიბრი — 50 მმ.). მან მიიღო საშუალო ქულები ,,მობილურობაში", ხოლო მაღალი — ,,დაცულობასა" და ,,საცეცხლე ძალაში", თუმცა მას, როგორც ყველა გერმანულ ტანკს, მასობრივ წარმოებასთან პრობლემები ჰქონდა. ამასთანავე, ამ ტანკმა „მოწინააღმდეგეზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების" ნომინაციაში ძალიან კარგი შედეგი აჩვენა. ეს გასაკვირიც არაა, რადგან მეორე მსოფლიო ომის „პანცეროფობია" სწორედ მისი დამსახურებაა. ▶

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ იწყო, პირველად ის 2000-ში აფრინდა. შემდეგ, 10 წლის განმავლობაში, მისი თანდათან სრულყოფა მიმდინარეობდა, რასაც მთელი რიგი შეფერხებები ახლდა თან.

ვერტმფრენის მასა 6690-დან 8390 კილოგრამამდე გაიზარდა. ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა უარის თქმა „Huey“-ს ოჯახისთვის ტრადიციულ ორფრთიან ხრახნზე, რომელიც ოთხფრთიანმა კომპოზიტურმა ხრახნმა შეცვალა. მთლიანად გამოიცვალა ავიონიკა, „SuperCobra-ების ანალოგური აპარატურა შეიცვალა მართვის თანამედროვე ინტეგრირებული კომპლექსით, თხევადკრისტალური დისპლეებით.

**ტაქტიკური შესაძლებლობების თვალსაზრისით, „Viper“-ს „SuperCobra-სგან სამჯერ გაზრდილი საბრძოლო რადიუსი** (200-ზე მეტი კილომეტრი 70-ის ნაცვლად) **განასხვავებს. შეიარაღება არ შეცვლილა, ისევ იგივეა** („Hellfire, „Sidewinder და „

Hპილოტები ჩიოდნენ, რომ „Hellfire-ის გაშვებისთვის მათ 50-მდე ტუმბლერის გადართვა სჭირდებოდათ. ამასთანავე, დამიზნების ახალი სისტემა სამიზნეების სელექციის შესაძლებლობას რაკეტების მოქმედების რადიუსზე უფრო დიდ მანძილზე იძლევა.

„Viper“-ზე დააყენეს წინა ნახევარსფეროს დაკვირვების ინფრაწითელი სისტემა „FLIR“, მსგავსი იმისა, რომლითაც აღჭურვილია „AH-64 Apache. კორპუსის, საბორტო სისტემებისა და ძრავის დეტალების 84%-ით თავსებადია ზემოთ ნახსენებ „UH-1Y-სთან, რაც მწყობრში „Viper“-ის პარალელურად დგება და ტექნიკურ მომსახურებას აიოლებს.

**თუმცა, ყველა ხილული პლიუსის მიუხედავად, „AH-1Z Viper“-ი მაინც გასული საუკუნის ვერტმფრენია, ნებისმიერ, თუნდაც ძალზე გააზრებულ, მოდერნიზებას აქვს ზღვარი, რომლის მიღმა კონსტრუქტორები ჩიხში შედიან. აშშ-ის სახმელეთო ძალები უარს ამბობენ „AH-1 COBRA-ს მოდერნიზებულ ვარიანტებზე უფრო ტექნოლოგიური „AH-64 APACHE“-ს სასარგებლოდ, საზღვაო ქვეითებს კი ისინი „გადასაყრელად არ ემეტება“.** რა თქმა უნდა, ავღანეთის პირობებში ან რომელიმე სხვა კონტრ-პარტიზანულ ომში ეს ვერტმფრენები არსებული გამოწვევების ადეკვატური იქნება, მაგრამ, თუ მომავალი ათწლეულის განმავლობაში („Viper“-ების პროგრამა 2021 წლამდეა გაწერილი; მისი ღირებულება 12 მილიარდი დოლარია, ამ ციფრის მოჩვენებითმა სიდიდემ არ უნდა დაგვაბნიოს, რადგან რეალურად ეს ძალზე მოკრძალებული და ეკონომიური ბიუჯეტია) აშშ-ის შეიარაღებულ ძალებს დაპირისპირება რომელიმე სხვა, უკეთ შეიარაღებულ, სამხედრო-ტექნოლოგიური ევოლუციის უფრო მაღალ საფეხურზე მდგომ მოწინააღმდეგესთან მოუწევს, ამ ვერტმფრენის საბრძოლო ღირებულება ეჭვქვეშ შეიძლება სერიოზულად დადგეს.



**აქამდე ანდაზა: „ბებერი ხარის რქანიც ხნავენო“ მხოლოდ ორ საფრენ აპარატს მიესადაგებოდა, თუმცა ორივე მათგანი სტრატეგიული ბომბდამშენია, „ცივი ომის“ ლეგენდარული რელიქტები „B-52“ და „Ту-95“, რომლებიც, ნახევარ საუკუნეზე მეტია, შეუცვლელია. „AH-1 COBRA“ პირველი ვერტმფრენია, რომელსაც შესაძლებლობა მიეცა, მოდერნიზებული სახით ნახევარსაუკუნოვანი იუბილე პენსიაზე გაუსვლელად აღნიშნოს.**

რამდენად წარმატებული იქნება „AH-1Z Viper“-ის სრულფასოვანი დებიუტი ავღანეთში (პროტოტიპები იქ, დაუზუსტებელი ინფორმაციით, 2009-ში გამოსცადეს), უახლოესი მომავალი გვიჩვენებს.



**V ადგილი** ბრიტანეთში 1945 წელს გამოშვებულმა „Centurion A41“-მა დაიკავა (მაქსიმალური სიჩქარე — 35 კმ/სთ, სვლის მარაგი — 200კმ,. ჯავშნის სისქე — 17/152 მმ, ქვემეხის კალიბრი — 105 მმ.). ეს ტანკი შეფასდა როგორც კარგად დაცული და დამაჯერებელი საცეცხლე ძალის მქონე, მან საკმაოდ ბევრი ქულა დააგროვა ,,წარმოების სიმარტივეში“, რაც დასავლური ტანკისთვის იშვიათია. „მობილურობის“ ნომინაციაში ტანკმა საშუალო ქულები დაიმსახურა.



**IV ადგილი** ასევე ბრიტანეთში 1916 წელს გამოშვებულ „Mark I“-ს ერგო (მაქსიმალური სიჩქარე — 6,5 კმ/სთ, სვლის მარაგი — 35 კმ., ჯავშნის სისქე — 6-12 მმ., 2X57 მმ. ქვემეხი). ამ ტანკის ჯავშანი დღეს ძალიან არადამაჯერებლად გამოიყურება, თუმცა პირველ მსოფლიო ომში ის ერთადერთი დაჯავშნული საბრძოლო საშუალება იყო. ამასთან, მოწინააღმდეგეზე უძლიერეს ზემოქმედებას ახდენდა, რადგან მსგავსი რამ ადრე არავის უნახავს.






**III ადგილი** გერმანიაში 1942 წელს გამოშვებულმა „Tiger“-მა დაიკავა (მაქსიმალური სიჩქარე — 37 კმ/სთ, სვლის მარაგი — 200 კმ, ჯავშნის სისქე — 100 მმ,. ქვემეხის კალიბრი — 88 მმ.). საცეცხლე ძალის ნომინაციაში მან უმაღლესი ქულა მიიღო, რადგან 88 მმ. ქვემეხი II მსოფლიო ომში ძალზე დამაჯერებლად გამოიყურებოდა. სიმძიმის მიუხედავად, ამ ტანკის სიჩქარემ შესაძლებლობა მისცა ,,მობილურობაში“ საშუალო ქულები მიეღო. მისი ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე შეფასდა როგორც ძალიან მაღალი; თუმცა „წარმოების სიმარტივეში“ „Tiger“-ის შედეგი ნულთან მიახლოებულია.



**II ადგილი** ბრიტანელმა და ამერიკელმა ექსპერტებმა 1983 წელს გამოშვებულ „M-1 Abrams“-ს მიაკუთვნეს (მაქსიმალური სიჩქარე — 70 კმ/სთ, სვლის მარაგი — 475 კმ., ქვემეხის კალიბრი — 120 მმ., ჯავშნის სისქე გასაიდუმლოებულია). უმაღლესი ქულები მან ,,საცეცხლე ძალაში“ და ,,დაცულობაში“ მიიღო, თუმცა დაფიქსირდა, რომ მისი წარმოება რთულია და დიდ ხარჯებს უკავშირდება. აგრეთვე, აღინიშნა, რომ ის მოწინააღმდეგეზე განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ახდენს. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, გარკვეული როლი ექსპერტების სიმპათიებმა შეასრულეს, რომლის კვალი, გარკვეულწილად მთელ რეიტინგს ეტყობა. ასე, მაგალითად: მაღალ პოზიციებზე მოხვდა ყველა რამდენადმე ღირებული ბრიტანული ტანკი. მაგრამ ამ სიმპათიებმა ხელი არ შეუშალა ექსპერტებს, ელიარებინათ, რომ ყველა დროის საუკეთესო ტანკი არც ბრიტანულია და არც ამერიკული.

**I ადგილი** 1940 წელს საბჭოთა კავშირში გამოშვებულმა „T-34-მა დაიკავა (მაქსიმალური სიჩქარე — 54 კმ/სთ, სვლის მარაგი — 430 კმ., ჯავშნის სისქე — 65 მმ., ქვემეხის კალიბრი — 76,2 მმ.). ამ ტანკმა უმაღლესი შეფასება მიიღო საცეცხლე ძალაში, დაცულობაში, მობილურობაში, წარმოების სიმარტივეში, აგრეთვე, ფსიქოლოგიურ ეფექტში, რომელსაც მოწინააღმდეგეზე ახდენდა და ყველა კონკურენტი უკან ჩამოიტოვა.

მოამზადა **გიორგი გიგიბერიამ**

## გაფრაზებული



**დიმიტრი მედვედევი,**
**რფ-ის პრეზიდენტი:**

რუსეთს დემოკრატიის ნაკლებობასა და სამართლებრივი სისტემის სისუსტეს საყვედურობენ. ჩვენ ისეთები ვართ, როგორებიც ვართ. დიახ, ჩვენ გვაქვს ნაკლოვანებები. რუსეთი ექსტრემიზმისა და ტერორიზმის გამოწვევას დაუპირისპირდა და შეცდომებისგან დაზღვეული არ არის... არ არის საჭირო ჩვენთვის ჭკუის სწავლება. საჭიროა ერთად მუშაობა.

*newsru.com*



**ვიქტორ იანუკოვიჩი,**
**უკრაინის პრეზიდენტი:**

რუსეთთან ურთიერთობა უკრაინისთვის კვლავაც სტრატეგიული იქნება, მიუხედავად კიევის კურსისა ევროინტეგრაციისკენ. რუსეთთან ურთიერთობა აბსოლუტურად ბუნებრივია, ის ყოველთვის სტრატეგიული იყო და ასეთად დარჩება, იმიტომ, რომ ჩვენ ვართ დიდი ხნის, ძველი პარტნიორები, რომელთაც მჭიდრო კავშირები აქვთ. უკრაინა ის სახელმწიფოა, რომელიც ევროპის კონტინენტზე ურთიერთობებში სტაბილიზების როლს ასრულებს. ჩვენ ამას ვაცნობიერებთ და კარგად გვესმის ჩვენი პასუხისმგებლობა.

*rian.ru*



**ჰოსნი მუბარაკი,**
**ეგვიპტის პრეზიდენტი:**

მთავრობა ასრულებდა ჩემს ბრძანებას, არ გამოეყენებინათ ძალა პროტესტის გამომხატველთა წინააღმდეგ. მე მუდამ გავითვალისწინებ ნების გამოხატვის უფლებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონის ფარგლებში ხდება, მაგრამ თავისუფლებასა და ქაოსს შორის ძალზე მყიფე ზღვარია. მიზანს უნდა მივაღწიოთ არა ძალადობით, არამედ მხოლოდ ნაციონალური დიალოგით. დარწმუნებული ვარ, განვაგრძობთ ეკონომიკურ და სოციალურ რეფორმებს ხალხის სასიკეთოდ. სხვა გზა არ გაგვაჩნია, ჩვენ უარს არ ვიტყვით რეფორმების გზაზე, მაგრამ ამ გზაზე ახლებურად ვივლით.

*vesti.ru*



**ალექსანდრე ლუკაშენკო,**
**ბელარუსის პრეზიდენტი:**

სანქციებით და სავიზო შეზღუდვებით მაშინებთ? ღმერთი თქვენსკენ, მე, უკვე ათეულობით წელია, სავიზო შეზღუდვებით ვცხოვრობ. არაა საჭირო ჩვენი შეშინება. არ მინდა ქვეყანაში სასაკლაო დავუშვა. თქვენ არ მოგწონთ, რომ ლუკაშენკომ გაიმარჯვა და არა მარიონეტებმა, რომელთაც დასავლეთი უჭერდა მხარს. ჩვენ მზად ვართ დასავლელ პოლიტიკოსებთან ღია დიალოგისთვის, მაგრამ არ მივიღებთ ულტიმატუმებსა და ორმაგ სტანდარტებს. ევროპის წინაშე მუხლებზე ხოხვა ჩვენი გზა არაა.

*kommersant.ru*



**ვლადიმერ პუტინი,**
**რფ-ის პრემიერ-მინისტრი:**

რუსეთი ტერორისტებთან მოლაპარაკებას არ აპირებს. არც ერთი საკუთარი თავის პატივისმცემელი ქვეყანა არ მიდის ამ გზით. ტერორიზმსა და ექსტრემიზმთან დაუნდობელი ბრძოლაა საჭირო. ნებისმიერი ჯანსაღი საზოგადოება საფრთხის არსებობის პირობებში ერთიანდება და ერთობლივ წინააღმდეგობას უწევს ბანდიტებსა და ექსტრემისტებს. დარწმუნებული ვარ, რომ რუსეთშიც ასე იქნება.

*itar-tass.com*



**დიმიტრი როგოზინი,**
**ნატოში რფ-ის მუდმივი წარმომადგენელი:**

ჩვენ ვთვლით, რომ რუსეთის გარეშე ევროპის რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა ვერ იქმნება, ეს იქნება ბროკური სისტემა, რომელიც მხოლოდ ხელს შეუწყობს ევროპაში შეიარაღებისთვის შეჯიბრს... ჩვენ არ დავუშვებთ რუსეთის გამოყენებას იმ პროცესებში ჩასართველად, რომელთაც საბოლოო მიზნად არ ვთვლით, მით უფრო არ დავუშვებთ ჩვენს გამოყენებას პროპაგანდისტული მიზნებისთვის, რომელთა შედეგიც ჩრდილოეთის ზღვებში სტრატეგიული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის ელემენტების გაჩენას განაპირობებს, რაც ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია.

*rian.ru*

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

# უბისა მარგვეთი



უბისის კომპლექსი, IX-XVI სს.

**წინაპართა ნაკვალევზე დამდგარი მოგზაური ვახუშტი ბატონიშვილის ნაწარმოების („აღწერა სამეფოსა საქართველოსა“) გარეშე წარმოუდგენელიც კია. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენი გეოგრაფიის მამა არაფერს გვეუბნება უბისის მონასტრის შესახებ, ხოლო თვით მის მიერ შექმნილ რუკაზეც „უბისა“ ისეთი პირობითი ნიშნითაა აღნიშნული, რომელიც მხოლოდ აზნაურის საცხოვრისის გამომხატველია. სანაცვლოდ, უბისის მონასტერი „უბეის“ გამოთქმით კარგად არის ცნობილი გიორგი მერჩულისათვის.**



საამშენებლო წარწერები

„გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან“ ვიცით, რომ მის დაუკითხავად ხანძთიდან დასავლეთ საქართველოში სამოღვაწეოდ წასული ორი მოწაფის თევდორესა და ქრისტეფორეს საძებნელად თავად მასწავლებელი გამოეშურა. სანამ მასწავლებელი მოწაფეებს მიაგნებდა, ამ უკანასკნელებმა გზად, სამცხეში, რამდენიმე ეკლესია ააგეს, მათ შორის **„კვირიკეწმინდა“**, **„ნეძვი“** და, მგონი, **„ტაძრისიც“** (დღევანდელი ბორჯომის რ-ნი). ამიტომ იყო, რომ დასავლეთ საქართველოში ჩასულ დიდ განმანათლებელს აფხაზეთის მეფემ დემეტრე მეორემ სთხოვა, რომ ერთი მონასტერი თავად მასწავლებელსაც დაეტოვებინა. **„მაშინ მამამან გრიგოლ, სარწმუნოებისაებრ მეფისა აღაშენა მონასტერი და უწოდა სახელი უბეი“.** გრიგოლმა მონასტრის წინამძღვრად დაადგინა თევდორესა და ქრისტეფორესთან ერთად მყოფი **მამა ილარიონი**, ხანდაზმული და ფრიად განათლებული მღვდელმსახური, რომელსაც მრავალი საინტერესო საღვთო წიგნი ჰქონდა. გარდა ამისა, ხანძთელმა ახალ მონასტერს თავადაც გადასცა სხვა წიგნები.

აი, სწორედ ეს „უბეი“ გახლავთ უბისის ცნობილი ტაძარი, რომელშიც უნდა შევიდეთ ახლა.

უბისის მთავარ ნაგებობაზე — წმინდა გიორგის დარბაზულ საყდარზე ორგვარი მოსაზრებაა: ცნობილ მკვლევართა ერთი ნაწილი (ე. თაყაიშვილი, შ. ამირანაშვილი) მიიჩნევს, რომ იგი XII საუკუნეშია აგებული მესვეტის კოშკთან ერთად; მეორე ნაწილის მტკიცებით ეს ეკლესია სწორედ გრიგოლ ხანძთელის დროინდელია და IX საუკუნეს განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით საყურადღებო მოსაზრებები გამოთქვა თავის დროზე ცნობილმა ხელოვნებათმცოდნემ რენე შმერლინგმა. აღსანიშნავია, რომ მან უბისის ტაძრის გეგმარებას პარალელი მოუძებნა სწორედ გრიგოლ ხანძთელის მოწაფეების მიერ აგებულ ნეძვის ტაძართან და IX საუკუნის კიდევ ერთ ეკლესიასთან — ყაზბეგის რაიონის გარბანის „ოქროს ბებრის წმ. გიორგისთან“ (იხ. „საქართველო და მსოფლიო“ 2010 წ. №34). ყურადსაღებია ისიც, რომ შირიმის ვეება კვადრებით ტაძრებს უმეტესად სწორედ ამ ეპოქაში აგებენ.

რენე შმერლინგი ამასთანავე ყურადღებას ამახვილებს უბისის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადზე შემორჩენილ წარწერებზე და პალეოგრაფიული თვალსაზრისით მათაც IX საუკუნეს მიაკუთვნებს. მოჩუქურთმებული პატარა ქვის წარწერაში ნათქვამია: **„ბერძნისა წმიდაი გიორგისაი შემოოსაწირავი კეთილი. შემოსწირა სტეფანე და მე. დღეი უბოძე წმიდაისა სტეფანესი. ვინცა მამასახლისი ბრძანდებოდეთ, გარდაიხდიდეთ, თუ არა ღმერთმან მოგხადოს. ამენ!“** ლომის რელიეფთან წერია: **„ესე მე შამავწირე სამოელ... ეს ქვაი მე მოვიგე. ვინცა იკითხოთ, ლოცვა ყავთა“.**

წარწერებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ყველაზე მსხვილი ასომთავრული და ნუსხური გრაფემებით ამოკვეთილი ორი სიტყვა: **„მავრიკ მშენებელი“...** ეს უთუოდ ტაძრის ხუროთმოძღვარია.

4-სართულიან საყუდარ კოშკზე არსებული ორი ლაპიდარული წარწერიდან ძალზე საინტერესოა და უმთავრესიცაა სამხრეთის კედელზე არსებული ხატოვანი სტრიქონები: **„მე საწყალობელსა სულითა სიმონ ჭყონდიდელსა მომემადლა ღვთისაგან აღშენებად მონასტრისა ესე და სუეტისა ესე მეფობასა ღვთის მიერ გვირგვინოსნისა დიმიტრი მეფეთა მეფისა ძისა დიდისა მეფისა დავითისა. ქორონიკონი იყო 361. ზედა წელი სარკინოზთა 535“** თანამედროვე გამოთვლით ეს 1141 წელია. დემეტრე მეფე დემეტრე პირველია, ხოლო დიდი მეფე დავითი — მამამისი, დავით აღმაშენებელი. წინადადებაში ნახმარი სიტყვა „აღშენება“ როგორც ხშირად გამოიყენებოდა ადრე, აქაც აღდგენას, აღშენებას უნდა გულისხმობდეს უფრო. კოშკის დასავლეთ კედელზე მეორე წარწერაა: **„მეუფეო ქრისტე ღმერთო, წყალობით მოიხსენე შენი მიქელ მთავარეპისკოპოზი“.**

ჯალალედინისა და მერე მონღოლების შემოსვლის შედეგად, რასაც ლანგთემურის შემოსევებიც მოჰყვა, ერთხანს ტაძარი და მონასტერი მივიწყებულ და ოხერ იქმნა და მისთვის განსაკუთრებული ყურადღება XVI სუკუნეში მიუქცევიათ აბაშიძეებს. ამ დროს არის აგებული სამრეკლო, დასავლეთის ეკლესია და მინაშენი. ამის დასტურია ახალი ეკლესია-ეკვდერის პორტალის წარწერა, რომელშიც ნათქვამია: **„მე საწყალობელმან სულითა აბაშიძემან ევსტრატი აღვაშენე სასაფლაო ჩემთვის და თანამეცხედრისა ჩემისა, პატრონისა ნარიობისა. ამა სოფლით ამის მეტი არა წამყვა რა. თქვენის ღვთისათვის, ნურვინ გახსნით ამა საფლავსა“.** ერთ-ერთ წარწერაში ნახსენებია კალატოზიც: **„კალატოზსა იმედას შეუნდოსა ღმერთმან“.** ეკვდერის სამხრეთ კედელში არის კიდევ ერთი 5-სტრიქონიანი, მხატვრული გრაფემებით შესრულებული წარწერა, რომელიც, ალბათ, ამავე ევსტრატი აბაშიძეს ეკუთვნის: **„სახელითა ღმრთისაითა, მე სულითა საყუარელმა, ესტატე აღვაშენე საფლავნი ძმისა ჩემისა დემეტრესი და ჩემი. თქვენის ქრისტე სიყუარულისა, ნუ შეეხებით ამას, ძმანო“.**



„იოსები და მწყემსი“



ფრაგმენტი „საიდუმლო სერობიდან“

სანიმუშოა „უბისა“ თავისი ისტორიით და ხუროთმოძღვრული შტრიხებით, დიდია მისი წვლილი მარგვეთის და საერთოდ საქართველოს ქრისტიანულ ცხოვრებაში, მაგრამ რაც ყველაზე მეტად გამოარჩევს მას თავისი კულტურული მემკვიდრეობით, ეს მისი მხატვრობაა. თითქოსდა წარმოუდგენელია, მაგრამ ფაქტია, რომ XIV საუკუნეში — საქართველოს სოციალური, პოლიტიკური და კულტურული რეგრესის დასაწყისში, დიდოსტატმა დამიანემ და მისმა მოწაფემ გერასიმემ მონუმენტური კედლის მხატვრობის ისეთი ნიმუშები შექმნეს, რომელიც ოქროს ხანასაც კი შეშურდებოდა. ჩვენ აქ მოვიყვანთ აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის ვრცელ ციტატას: **„წმინდანთა სახეების გადაწყვეტაში იკონოგრაფიული კანონი ადგილს უთმობს უფრო ცხოვრებისეულ მანერას. ახლა უფრო თამამი, თავისუფალი რაკურსებით გამოისახება პროპორციული, მწყობრი ფიგურები, ღრმავდება და რთულდება არქიტექტურული პეიზაჟი, რომელიც ზოგჯერ რეალური ფორმებითაც გადმოიცემა. მთები და ხეები სულ უფრო მეტად ემსგავსება ნამდვილს, მდიდრდება მხატვრის პალიტრა... თავისი ჩანაფიქრით უბისის ძირითადი მოხატულობა საკმაოდ თავისებური მაგალითია იმისა თუ როგორ შეეწყო დარბაზული ტიპის ეკლესიას გუმბათური მოხატულობის სქემა...“**

უბისის მხატვრობა, რომ დამიანესა და გერასიმეს ეკუთვნით, ამას ორი წარწერა მოწმობს. „საიდუმლო სერობის“ ქვეშ ვკითხულობთ: **„მამანო წმიდანო და მღუდელნო, ყავთ წყალობა ვითარცა ქრისტემან დედაკაცსა ზედან და ითხოვეთ შენდობა დამიანესათვის, რათა თქვენცა სასუფეველი“.** მეორე წარწერა სატრიუმფო თაღზეა: **„სახელითა ღვთისაითა მოიხატა მონასტერი ესე ხელითა ცოდვილისა დამიანეს გაზრდილისა გერასიმესითა“.** სავარაუდოა, რომ ის, რაც დამიანეს არ დასცალდა ბოლომდე, მისმა მოწაფემ გაასრულა.

ფრესკათა შორის ვხვდებით ისეთ გამოსახულებასაც, რომელიც ტაძრის აგების დათარიღებაშიც გვშველის. ეს არის ძირითადი დარბაზის სამხრეთ კარის ტიმპანში ხელგაშლილი სასულიერო მოღვაწის პორტრეტი, რომელსაც მიწერილი აქვს ასომთავრულით — **„ილარიონ ქართველი“.** შესაძლოა მხატვარმა უბისის მონასტრის პირველი წინამძღვარი (ხანძთელის მოწაფე ილარიონი) შეცდომით იმავე პერიოდის უდიდეს ქართველ საეკლესიო განმანათლებელთან ილარიონ ქართველთან გააიგივა, მაგრამ ფაქტია, რომ მან ამით ტაძრის აგების თარიღი — IX საუკუნე შეგვახსენა. ე.ი. XIV საუკუნის მხატვარმა იცოდა, რომ ტაძარი სწორედ ხანძთელისა და ილარიონ ქართველის მოღვაწეობის ჟამს იყო აგებული.

ღვთის წყალობით, უბისის „წმინდა გიორგი“ დღეს არა მარტო მოქმედი სავანეა, არამედ მარგვეთის საეპარქიო ცენტრი და საკათედრო ტაძარია.

ვემშვიდობებით უბისას და მისი ზარების რეკვაში 12 საუკუნის წინანდელი საქართველო და გრიგოლ ხანძთელის მისამართით ნათქვამი სიტყვები ცოცხლდება: **„წმიდაო მამაო, აჰა იქმნა წადიერება ნებისა შენისაი“.**



XII საუკუნის კოშკი



ევსტრატი აბაშიძის მიერ XVI ს. აგებული ეკლესია



„წმ.გიორგი დიოკლეტიანის წინაშე“

**გელა ქოქიაშვილი**

ავტორის ფოტოები

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# რუსეთ-ოსმალეთის ომი

## ბაიაზეთის საფაშოს დაპყრობა

დასასრული. დასაწყისი იხ. №41-48 (2010 წ.) - №1-2

**სანამ ცხენოსნები გაქცეულებით იყვნენ დაკავებულნი, ქვეითთა ჯარმა ქალაქი აიღო. ქალაქის უკანასკნელი დამცველები კი ან გარბოდნენ, ან გულში დაფარული ზიზღით ხვდებოდნენ დაუპატიჟებელ სტუმრებს. ერთ საათში ქალაქში განგაში ატყდა. გულამოვარდნილი მოვარდა ერთი სომეხი მხედარი, ალაშკერტიდან თხუთმეტი ვერსის მოშორებით ნაგი-ხანი თავისი ფაფახიანებით დაეცა სოფელ ჩილკანსო. უბედური სომხების დახმარების არანაირი შანსი არ იყო — მხედრიონი ჯერ არ დაბრუნებულიყო, ხოლო დაღლილი ქვეითების გაგზავნა თხუთმეტი ვერსის იქით უაზრობა იყო. მხოლოდ საღამოსთვის, როცა კავალერია შეიკრიბა, შესაძლებელი გახდა მონადირეებისგან „მფრინავი რაზმის“ შექმნა. წასვლაზე თანხმობა ქურთთა მთელმა ასეულმა განაცხადა. მათ დაემატა ასი კაზაკი, სომეხი და თათარი, რომელთაც სათავეში ეპიფანოვი ჩაუდგა. ისინი გამოედევნენ ველურებს.**



შტურმი ახალციხის ციხესიმაგრეზე (1828 წლის 15 აგვისტო) — ა.სუხოდოლსკი

**ამასობაში ქვეითთა ჯარმა ქალაქი აიღო. გულამოვარდნილი მოვარდა ერთი სომეხი მხედარი, ალაშკერტიდან თხუთმეტი ვერსის მოშორებით ნაგი-ხანი თავისი ფაფახიანებით დაეცა სოფელ ჩილკანსო. უბედური სომხების დახმარების არანაირი შანსი არ იყო — მხედრიონი ჯერ არ დაბრუნებულიყო, ხოლო დაღლილი ქვეითების გაგზავნა თხუთმეტი ვერსის იქით უაზრობა იყო. მხოლოდ საღამოსთვის, როცა კავალერია შეიკრიბა, შესაძლებელი გახდა მონადირეებისაგან „მფრინავი რაზმის“ შექმნა. წასვლაზე თანხმობა ქურთთა მთელმა ასეულმა განაცხადა. მათ დაემატა ასი კაზაკი, სომეხი და თათარი, რომელთაც სათავეში ეპიფანოვი ჩაუდგა. ისინი გამოედევნენ ველურებს.**

ჩილკანი უკან მოიტოვეს, მრავალრიცხოვან სოფელში ცოცხალი არსების ჭაჭანება არ იყო, მხოლოდ ცეცხლწაკიდებული კედლები მიანიშნებდა იმ საშინელებაზე, რამაც ამ დღეში ჩააყენა სოფელი. მდევრების ბედად, ღამით წვიმა წამოვიდა და ტალახში გარკვევით გამოიკვეთა მოწინაალმდეგის ცხენთა ნაკვალევი. ეპიფანოვი მთელი ღამე კვალში ედგა მოწინააღმდეგეს. და გამთენიის ხანს შორს, მთებთან თვალიც მიაწვდინა მათ. ნაძარცვი ქონებით დამძიმებული ცხენებით, ტყვეებით კარაფაფახიანებმა ვერ გადაწყვიტეს ღია ბრძოლაში ჩაბმა. მათ მიატოვეს გატაცებული პირუტყვი და პირველსავე ხეობაში ჩასაფრდნენ. წინ გაჭრილი ჰასან-ალას ქურთები მოწინაალმდეგის ცხენოსნებს შეეჯახნენ და თავად ნაგი-ხანი დაჭრეს, მაგრამ ხეობაში შესვლა ვერ შეძლეს და მათგან სათოფე მანძილზე გაჩერდნენ. მოვიდა ეპიფანოვი და, რაკი დარწმუნდა ამ ადგილის მიუდგომელობაში, უკან გამობრუნება გადაწყვიტა. თან წამოასხეს მიტოვებული პირუტყვი, შეტევაზე გადასვლა თუნდაც იმიტომ არ ღირდა, რომ ფაფახიანები თავდასხმის შემთხვევაში ტყვეების დახოცვით იმუქრებოდნენ. ამ დღეს ქურთები პირველად ებრძოდნენ თავიანთ ერთმორწმუნეებს, შედეგად ორი დაიღუპა, ერთი დაიჭრა.

ასე დასრულდა ბაიაზეთის საფაშოს დაპყრობა. ამის თაობაზე პასკევიჩი ხელმწიფეს ატყობინებდა, რომ **„მთელი ბაიაზეთის საფაშო სრულიად გაწმენდილია მოწინააღმდეგისაგან და თქვენი უდიდებულესობის დროშები ევფრატის მწვერვალებზე ფრიალებს“.**

ახლა უკვე რუსულ რაზმს თავისუფლად შეეძლო გადასულიყო მეორე მნიშვნელოვანი ამოცანის განხორციელებაზე — მხარეში სურსათის მარაგის შექმნაზე. ისარგებლა რა თოპრახ-კალეს მიუდგომლობით, თავადმა ჭავჭავაძემ იქ სევასტოპოლის პოლკის მხოლოდ ორი ასეული დატოვა, სხვებთან ერთად კი ცენტრალური პოზიცია დაიკავა დიადინთან. გაიგეს, რომ პურის საკმაოდ დიდი მარაგი სოფელ სოფიქენტში იყო, რომელიც მუშის საფაშოს საზღვრებში მდებარეობდა, ასე ვთქვათ, ჩვენი სამფლობელოების გარეთ. ამ გარემოებამ ვერ შეაჩერა თავადი ჭავჭავაძე. მან ნაშებურგის ქვეითთა პოლკი სამი ქვემეხითა და კაზაკთა ორი ასეულით ბასოვის მეთაურობით გაგზავნა მუშის საფაშოში.

ასეთი ძლიერი შემადგენლობის რაზმს, ცხადია, არაფრის ეშინოდა და 20 სექტემბერს ბასოვმა სოფიქენტი აიღო; პურის უზარმაზარი მარაგი რუსებს ერთი გასროლის გარეშე ჩაუვარდათ ხელში.

ქურთებმა, რომლებიც თავიანთი ოჯახების უსაფრთხოებაზე ზრუნვითა და მათი საზღვრებს გარეთ გაყვანით იყვნენ დაკავებულნი, მართლაც გაატარეს რუსთა რაზმი, მაგრამ ეს როდი ნიშნავდა, რომ ყველაფერი მოგვარდა. იმავე დღეს მოწინაალმდეგის სამიათასიანმა მხედრიონმა შეუტია სოფიქენტის ბანაკს. თავდასხმა მოიგერიეს, მაგრამ რუსულ ბანაკში კარგად იცოდნენ, რომ საქმე ამით არ დასრულდებოდა, ამიტომ ჩქარობდნენ — გადაზიდვა იმავე ღამეს სამი ნაშებურგის ასეულისა და ერთი ქვემეხის თანხლებით დაიწყეს. ქურთებმა გათვალეს, რომ ნელა მოძრავი ტრანსპორტი მათ ვერ გაუსხლტებოდა ხელიდან, ამიტომ მთელი ძალებით 21 სექტემბერს, განთიადისას, კვლავ სოფიქენტის ბანაკს დაეხსნენ თავს. ამასობაში კი, სანამ გაააფთრებული ჩეხვა მიმდინარეობდა, გვამებით გაივსო ბრძოლის ველი, მოწინაალმდეგე სულ ტყუილად კარგავდა ძალასა და დროს. ტრანსპორტმა უკვე გადაიარა მთები. გადააბარეს რა ისინი ტოპრახკალედან შესახვედრად წამოსულ ასეულებს, უკან გამობრუნდნენ. ბანაკიდან ოთხი ვერსის მოშორებით თავიანთი წარუმატებლობით გაბოროტებული ქურთები თავს დაესხნენ ნაშებურგელებს. გასროლის ხმაზე ბანაკიდან მთელი რაზმი გამოვიდა. ორცეცხლშუა მოქცეულმა მოწინააღმდეგემ ახალი მარცხი განიცადა. ქურთთა დანაკარგები იმდენად დიდი იყო და ისე შეირყა მათი გაბედულებაც, რომ ერთი დღის შემდეგ, როცა რაზმი სოფიქენტიდან რუსეთის საზღვრებში ბრუნდებოდა, მოწინააღმდეგე საერთოდ არ გამოჩენილა. **ბასოვის ამოცანა ბრწყინვალედ შესრულდა: მარტო რუსის ხსენება შიშის ზარს სცემდა ყველას მუშის საფაშოს გარეთაც. ჯარებმა დიდი მარაგი გამოიტანეს, გადმოასახლეს ორასამდე სომხური ოჯახი და ერევნის ოლქიდან გაქცეული ქურთები აიძულეს, სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ.**

**„ჩვენი ჭავჭავაძე ყოჩაღია, — ერთმანეთში ლაპარაკობდნენ ჯარისკაცები, — თუ მიუშვებ, ერთი პოლკით არზრუმამდე ჩავა — განა ასე ადვილია, ათასი კაცით ორი საფაშო აიღო?!“.**

ევფრატის ნაპირზე რუსული დროშების გამოჩენამ, არზრუმიდან სულ რაღაც 90 ვერსის მოშორებით, და მამაცურმა თავდასხმამ მუშის საფაშოზე, თურქების უმოქმედობას წერტილი დაუსვა. არზრუმის შემოგარენში არსებული ყველა რეგულარული ჯარი გაემართა ტოპრახ-კალესკენ, რათა გამოედევნათ იქიდან რუსები და გაერეკათ ბაიაზეთისკენ. მოწინაალმდეგემ დელიბაბიდან გეზი მუშისკენ აიღო.

თავადი ჭავჭავაძე ბაიაზეთში იმყოფებოდა, როცა იქ შავი ჭირი გაჩნდა. საჭირო გახდა მის აღსაკვეთად სასწრაფო ზომების მიღება.

**ბრწყინვალედ იცნობდა რა ადგილობრივი მოსახლეობის ხასიათს, ჭავჭავაძემ, უპირველეს ყოვლისა, სცადა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოეხდინა ხალხზე. მისი ბრძანებით მოიტანეს წმ. შუბი, რომელიც ეჩმიაძინში ინახებოდა. თანამედროვენი ამბობენ, რომ იქ, სადაც ის გამოჩნდებოდა — ჰოსპიტლებში, ლაზარეთებში, სახლებში, ქალაქის დაჭირიანებულ უბნებში — ჭირი ყველგან წყვეტდა თავის დამღუპველ მოქმედებას. ხალხს ღრმად სწამდა ამ სიწმინდის სასწაულმოქმედებისა და ეს რწმენა შველოდა განკურნებაში.**

ამ საგანგაშო დროს მოვიდა ცნობა თურქთა თავდასხმის შესახებ. ჭავჭავაძემ უკვე მისუსტებულ შავ ჭირთან ბრძოლის საქმე კომენდანტს გადააბარა და გაემართა დადიანისკენ მცირე რაზმით.

15 ოქტომბერს რუსულმა ჯარებმა პათნოსი დაიკავეს. აქ შეაგროვეს ინფორმაცია, რომ ძლიერი თურქული რაზმი არტილერიასთან ერთად მილიზგირდში ჩავიდა. თვლიდა რა, რომ ინფორმაცია თურქთა რიცხოვნების შესახებ გაბუქული იყო და ებრძოდა ბასოვი, ჭავჭავაძე ქვეითთა ერთი ბატალიონით, ოთხი ქვემეხით და სომხურ-თათრული მხედრიონით, ინფორმაციის გადამოწმება დააპირა. მაგრამ, სანამ ჭავჭავაძე მილიზგირზისკენ მიდიოდა, თურქები უკვე უტევდნენ რუსთა ბანაკს. მოწინაალმდეგეები პათნოსიდან ათი ვერსის მოშორებით შეხდნენ ერთმანეთს. მოწინაალმდეგის განლაგებიდან თუ ვიმსჯელებთ, რომლებსაც ძლიერი პოზიციები ეკავა, სავარაუდო იყო, რომ აქ ხუთიდან ექვსი ათასამდე ქვეითი და მხედარი იყო, მათ შორის, თვითონ მუშის ფაშაც და აბდულა-რიზახბეგი, იყვნენ ქურთთა ბელადები — ჰუსეინი და სულეიმანაღა, ქურთისტანში განთქმულნი თავიანთი საქმიანობით.

**ასეთ სიტუაციაში ერთი ბატალიონის წინსვლა ძალიან სარისკო იყო. თავადმა ჭავჭავაძემ რამდენიმეჯერ საპასუხოდ გაისროლა, დაიწყო პათნოსისკენ დახევა. სამწუხაროდ კაზაკები ძალიან ცოტანი იყვნენ, სომეხ-თათართა მხედრიონმა კი ვერ გაბედა, ქვეითებს მოშორებოდა და ბრძოლის ველზე გასულიყო.**

ამასთან, ზარბაზნების ყრუ გასროლის ხმები პათნოსის მხრიდანაც ისმოდა, რაც იმის ნიშანი იყო, რომ მოწინაალმდეგე ერთდროულად რუსულ ბანაკსაც უტევდა. ჭავჭავაძემ თადარიგი დაიჭირა, რომ თურქებს არ დაეკავებინათ პათნოსიდან ერთი ვერსით მოშორებული სოფელი გრაკოვი, და რუსთა ბანაკთან ახლოს არ მოეკიდებინათ ფეხი. და აი, როგორც კი დაბნელდა, ბრძოლაც მიწყნარდა, ჭავჭავაძემ თავისი ბატალიონიდან გამოყო ორი ასეული რეზანუილოვის მეთაურობით და უბრძანა, რაც შეიძლებოდა მალე დაეკავებინათ გრაკოვი. ღამე ბნელი იყო, მაგრამ ეგერებმა მოახერხეს იქ თურქებზე ადრე მისვლა და რამდენადაც შესაძლებელი იყო, გაამაგრეს სოფელი.

თურქებმა გრაკოვში ექვსასამდე გვამი დატოვეს, რუსებმა შვიდი ოფიცერი და ასამდე დაბალჩინოსანი დაკარგეს.

ღამით, 28 ოქტომბერს, რაზმი რუსეთის საზღვრისკენ გაეშურა ხორბლის მარაგითა და ას სამოცამდე პათნოსელი სომეხის ოჯახთან ერთად, რომლებიც იძულებული იყვნენ, დაეტოვებინათ მშობლიური მხარე. 31 ოქტომბერს დაიკავეს სოფელი ყარა-ყილისი.

ამით დასრულდა მოწინაალმდეგის მცდელობა, ბაიაზეთიდან რუსები განედევნა. 11 ნოემბერს ბაიაზეთში გენერალ-მაიორი პანკრატევი ჩავიდა და ჭავჭავაძისგან გადაიბარა ხელმძღვანელობა. თავადი ჭავჭავაძე კი თავის ძველ თანამდებობას — სომხეთის ოლქის სამხედრო გუბერნატორობას დაუბრუნდა.

**თხრობა ბაიაზეთის საფაშოს აღებაზე მინდა დავასრულო იმით, რომ თავად ჭავჭავაძის სახელი, შესისხლხორცებული რუსი ჯარისკაცის სახელთან, ყოველთვის ღირსეულად დაამშვენებს რუსული სამხედრო მატიანის ყველაზე ნათელ ფურცლებს.**

**ვასილი პოტო**

**ხუთტომეული ნაშრომიდან „კავკასიის ომი“**



გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» მეთოთხმეტე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაცია — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიულ დოკუმენტთა კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტების მანიპულირების მარად და საშიშ ტენდენციას, გასაგები გახდება წიგნთა სერიის დიდი მნიშვნელობა და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 34-32-95.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

## დააბრუნეთ «ტოიოტა»



**მანქანების მწარმოებელმა იაპონურმა კომპანია „ტოიოტამ“ ავტომანქანების საწვავის მიწოდების მილებთან დაკავშირებული პრობლემები, რაც საწვავის გაჟონვას იწვევს, მხოლოდ მილიონზე მეტი ავტომობილის გაყიდვის შემდეგ აღმოაჩინა. ახლა „ტოიოტა“ ამ ავტომანქანების უკან გაწვევას აპირებს.**

კომპანია დაახლოებით 1,2 მილიონ მანქანას თავად იაპონიიდან გამოითხოვს, ხოლო 421 ათასს — საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, მილების პრობლემის გამო ჯერ უბედური შემთხვევა არ დაფიქსირებულა, თუმცა მათ არსებული დაზიანების შეკეთების თხოვნით უკვე 400-მა კლიენტმა მიმართა.

## ნეფერტიტი გერმანიაში რჩება



**პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდს ეგვიპტის სიძველეების უმაღლესი საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზაჰი ჰავასმა მიმართა მოთხოვნით, ეგვიპტეში დაებრუნებინათ ნეფერტიტის ბიუსტი, მაგრამ თხოვნაზე უარი მიიღო. საქმე ისაა, რომ ფონდმა მოთხოვნა ოფიციალურად არ მიიჩნია — მასზე ეგვიპტის პრემიერ-მინისტრის — ახმედ ნაზიფის ხელმოწერა არ იყო.** პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი ხელმძღვანელობს ბერლინის ახალ მუზეუმს, სადაც ამჟამად ნეფერტიტის ბიუსტი ინახება. მუზეუმის წარმომადგენლის თქმით, ბიუსტი გერმანიაში კანონიერად ჩაიტანეს. ზაჰი ჰავასი კი ამ მოსაზრებას არ იზიარებს და ამბობს, რომ გერმანელმა არქეოლოგმა ლუდვიგ ბორჰარდტმა ბიუსტი ეგვიპტიდან მოტყუებით გაიტანა, რაც მისი დღიურისა და წერილის საშუალებით მტკიცდება. წერილში ნათქვამია, რომ ბორჰარდტმა ძველი ეგვიპტის არქეოლოგიის მთავარი ინსპექტორი გუსტავ ლეფევრი შეცდომაში შეიყვანა — ბიუსტის შეუხედავი ფოტო აჩვენა და უთხრა, რომ ის თაბაშირისგანაა დამზადებული და არა კირქვისგან. ეგვიპტე უკვე დიდი ხანია ამაოდ ცდილობს ბიუსტის უკან დაბრუნებას.

## ჯერ — სახლი, შემდეგ — ქორწინება



**ამიერიდან უცხოეთის მოქალაქე ტაჯიკელთან ქორწინებას მხოლოდ ხელისუფლების მიერ შემოღებული პირობების შესრულების შემდეგ შეძლებს.**

პარლამენტის მიერ დაწესებული შეზღუდვების თანახმად, ამისთვის ტაჯიკეთში მინიმუმ ერთი წლის განმავლობაში ცხოვრებაა აუცილებელი. ქორწინების რეგისტრაციისას მხარეებმა საქორწინო შეთანხმება უნდა გააფორმონ. და, რაც მთავარია, უცხოელმა ქალმაც და კაცმაც ტაჯიკელ რჩეულს ტაჯიკეთში საცხოვრებელი სახლი უნდა უყიდოს.

# ხაფანგი 22

## დადასტურებულია: აშშ კატასტროფის ზღვარზე იმყოფება!



**აშშ-ის ფინანსთა მინისტრმა ბრძანა, რომ, თუ კიდევ ერთ ტრილიონს ან მასთან მიახლოებულ თანხას მიმდინარე წლის მარტამდე არ მივიღებთ, ქვეყანა სავალე ვალდებულებებთან დაკავშირებით დეფოლტს გამოაცხადებს. ეს უსერიოზულესი განცხადებაა და უნდა გვესმოდეს, რას ნიშნავს. ჩვენ ეკონომიკური კატასტროფის ზღვარზე ვიმყოფებით ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით.**

მას შემდეგ, რაც 2007 წელს გლობალური ეკონომიკური კრიზისი საყოველთაოდ თვალნათელი გახდა, ათას სხვადასხვა რამეს გვეუბნებოდნენ. იმავე წლის მარტში ფედერალური სარეზერვო სისტემის თავმჯდომარემ ბენ ბერნანკემ განაცხადა: **„პრობლემის ზემოქმედება სუბსტანდარტულ ბაზრებზე გაცილებით ფართო ეკონომიკებსა და ფინანსურ ბაზრებზე, როგორც ჩანს, შეზღუდული იყო“.** ცხადია, ბატონი ბერნანკეს შეფასება არასწორი აღმოჩნდა, უძრავი ქონების ბაზრის პრობლემა კი — გაცილებით ფართო, სისტემური პრობლემის მხოლოდ ერთი ნაწილი.

**ჩვენი ეკონომიკის ფუნდამენტალური პრობლემები მთავარ სიახლეებად იქცა 2008 წლის ბოლო კვარტალში, როდესაც საფონდო ბაზრები მთელ მსოფლიოში თავისუფალი ვარდნის მდგომარეობაში გადავიდა და მთავარი ფინანსური დაწესებულებების უმეტესობა გაკოტრების ზღვარზე აღმოჩნდა. პასუხად ჩვენმა ხელისუფლებამ, კონგრესის სრული თანხმობითა და მხარდაჭერით, გადადგა უპრეცედენტო ნაბიჯები, რათა სისტემა გადაერჩინა და ჯერ მილიარდობით, შემდეგ კი ტრილიონობით დოლარი დახარჯა კომპანიების გადასარჩენად, ფასების სტაბილიზებისა და ეკონომიკის სტიმულირებისთვის.**

ფინანსთა მინისტრმა ჰენრი პოლსონმა კრიზისზე დაწერა წიგნი, რომელსაც აბსოლუტურად ზუსტად შეურჩია სათაური — „On the Brink“ („ზღვარზე“). მაგრამ რამდენად ახლოს ვიყავით ზღვართან? თუ კონგრესმენ ბრედ შერმანს დავუჯერებთ, — **საკმაოდ ახლოს, იმდენად ახლოს, რომ კონგრესმენებს, ფაქტობრივად, გამოუცხადეს (შერმანის მტკიცებით), თუ კონგრესი დოტაციებს მხარს არ დაუჭერდა, კრახი იმდენად სერიოზული იქნებოდა, რომ ხელისუფლება იძულებული გახდებოდა, ქვეყანაში საომარი მდგომარეობა გამოეცხადებინა, მარტივად რომ ვთქვათ — ქუჩებში ტანკები ივლიდნენ.**

ახლა უნდა ვიფიქროთ, რომ კონგრესის, პრეზიდენტის, ფინანსთა სამინისტროსა და ფედერალური სარეზერვო ფონდის მიერ გატარებულმა ზომებმა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ძირითადი პრობლემები გადაჭრა?

**ადამიანთა იმ 17%-ს, რომელიც მიიჩნევს, რომ ეკონომიკა აღდგენის სტადიაშია და იმ 33%-ს, რომელიც თვლის, რომ ეს მალე მოხდება, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსთა მინისტრის — ტიმოთი გაიტნერის იმ წერილს გთავაზობთ, რომელიც 2011 წლის 6 იანვარს კონგრესს გაუგზავნა და რომელიც სიტუაციის სერიოზულობას ზოგადი მონახაზით ასახავს.**

# აშშ-ის ფინანსთა მინისტრის წერილი კონგრესმენებისადმი

**პატივცემულ გარი რეიდს, აშშ-ის სენატის საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერს**

**პატივცემულო ბატონო ლიდერო:**

მე ვწერ თქვენი იმ მოთხოვნის პასუხად, რომლის თანახმადაც ფინანსთა სამინისტროს უნდა შეეფასებინა კანონით დადგენილი სავალე ზღვარის მიღწევისა და დეფოლტის შედეგები შეერთებული შტატებისთვის.

ჩვენი ისტორიის მანძილზე, როდესაც ამის გაკეთება საჭირო იყო, კონგრესს ვალების ლიმიტის გაზრდაზე უარი არასდროს უთქვამს. **ლიმიტის გაზრდაზე უარის თქმა ამერიკის შეერთებული შტატების დეფოლტს ნიშნავს. დეფოლტი კი, თავის მხრივ, ნიშნავს მნიშვნელოვანი და ხანგრძლივი გადასახადის დაწესებას აშშ-ის უკლებლივ ყველა მოქალაქისა და მთელი ამერიკული ბიზნესისთვის, მილიონობით სამუშაო ადგილის დაკარგვას. თვით ხანმოკლე ან შეზღუდული დეფოლტიც კი მომავალი ათწლეულების მანძილზე კატასტროფულ ეკონომიკურ შედეგებს განაპირობებდა. ვალების ლიმიტის გაზრდაზე უარის თქმა აბსოლუტურად უპასუხისმგებლო ქმედება იქნებოდა.** ამ მიზეზთა გამო, წლის დასაწყისში, დიდი ხნით ადრე, ვიდრე დეფოლტის საფრთხე შეუქცევადი გახდებოდა, კონგრესს ლიმიტის გაზრდა ვთხოვე.

**როგორც იცით, 2010 წლის თებერვალში კონგრესმა მიიღო კანონი ვალების ზედა ზღვრის 14,29 ტრილიონ დოლარამდე გაზრდის თაობაზე. ამ წერილის წერის მომენტში გადაუხდელი ვალი 13,95 ტრილიონ დოლარს აღწევს, რაც დაახლოებით 335 მილიარდით ნაკლებია მიმდინარე ზღვართან შედარებით.** ახლა შეუძლებელია ზუსტი თარიღის დასახელება, თუ როდის მივაღწევთ ვალების ზედა ზღვარს, მაგრამ, ფინანსთა სამინისტროს შეფასებით, ეს 2011 წლის 16-დან 31 მარტამდე მოხდება. თარიღი დამოკიდებული იქნება ეკონომიკის მდგომარეობაზე სახელისუფლო შემოსავლებსა და სხვა ფაქტორებზე. ეს კი, თავის მხრივ, ნიშნავს იმას, რომ კონგრესმა ვალების ლიმიტის გაზრდის თაობაზე კანონი 2011 წლის პირველი კვარტლის დასრულებამდე უნდა მიიღოს.



ტიმოთი ფ. გაიტნერი

**გასულ წლებში ფინანსთა სამინისტრომ რამდენიმეჯერ მიმართა ექსტრაორდინალურ ზომებს, რათა ზღვრამდე მიღწევის მომენტი გადაევადებინა და კონგრესისთვის მისი კორექტირებისთვის დამატებითი დრო მიეცა.** ეს ექსტრაორდინალური ზომები მოიცავდა: სახელმწიფო ხაზინისა და ადგილობრივი მთავრობების ფასიანი ქაღალდების გაყიდვის შეჩერებას, სახელმწიფო-საინვესტიციო ფონდის, სტაბილიზაციის გაცვლითი ფონდის ფასიანი ქაღალდების რეინვესტირების შეჩერებას და გადაწყვეტილებას „სავალე ვალდებულებების გამოშვების შეჩერების პერიოდის“ შესახებ, რომელიც სახელმწიფო სამსახურის საპენსიო და საავადმყოფო ფონდის არსებული ინვესტიციების გამოსყიდვისა და ახლის გამოშვების შეჩერების უფლებას იძლეოდა. **ფინანსთა სამინისტროს სურს, ამ ექსტრაორდინალური ზომებიდან (სახელმწიფო სავალო ვალდებულებებისა და სახელმწიფო კაპიტალდაბანდების სახსრების გამოშვების შეჩერება) არც ერთს აღარ მიმართოს. თუ ჩვენ იძულებული ვიქნებით, კიდევ ერთხელ გავაკეთოთ ეს, აღნიშნული ზომების წყალობით ლიმიტის ზღვრამდე მიღწევა მხოლოდ რამდენიმე კვირით გადაიდება. როგორც კი ეს ნაბიჯები გადაიდგმება, აღარ დარჩება არანაირი იურიდიული და გონივრული საშუალება იმისთვის, რომ შეიქმნას დამატებითი სივრცე ვალების ზედა ზღვრამდე და ამერიკის შეერთებული შტატები იძულებული გახდება, ვალდებულებებთან დაკავშირებით დეფოლტი გამოაცხადოს.**

ვალების ლიმიტის გაზრდა აუცილებელია, რათა ხაზინას საშუალება მიეცეს, შეასრულოს აშშ-ის ის მოვალეობები, რომლებიც დადგე- ▶

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

◀ ნილი, მოწონებული და ნებადართული იქნა კონგრესის მიერ. მნიშვნელოვანია, ხაზი გაესვას, რომ სავალე ზღვრის ცვლილება არ ცვლის და არ ზრდის ვალდებულებებს, რომლებიც ჩვენ, როგორც ქვეყანას, გვაქვს. ის მხოლოდ უფლებას აძლევს ხაზინას, დააფინანსოს ის ვალდებულებები, რომლებიც კონგრესმა უკვე დაადგინა.

**ფაქტობრივად, კონგრესმა დაუყოვნებლივაც რომ განახორციელოს კონტროლირებადი ხარჯების, კონგრესის ზოგიერთი წევრის მიერ შემოთავაზებული სიდიდეებით (როგორიცაა 2008 წლის ბიუჯეტის დანახარჯების დონეზე დაბრუნება), შემცირება, სავალო ზღვრის გაზრდის აუცილებლობა გადავადდებოდა არა უმეტეს ორი კვირით. ზღვარი, ასე თუ ისე, კიდევ უნდა აიწიოს, რათა ხელისუფლებას მიეცეს საშუალება, თავიდან აიცილოს დეფოლტი და შეასრულოს კონგრესის მიერ დადგენილი სხვა ვალდებულებები.**

სახელმწიფო ვალი არის იმ ფულის საერთო რაოდენობა, რომელიც წინა კონგრესებისა და პრეზიდენტების მიერ განსაზღვრული ვალდებულებების მოთხოვნათა შესასრულებლადაა ნასესხები. ეს არის შეერთებული შტატების კანონების შესაბამისად აღებული იურიდიული ვალდებულებები. იმ პერიოდში ხელისუფლებას დემოკრატებიც აკონტროლებდნენ და რესპუბლიკელებიც. ამიტომ ვალის წარმოქმნაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ორივე პარტიას და სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულებაზეც ორივე პარტიას უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა.

**მინდა ხაზი გავუსვა, რომ პრეზიდენტი ობამა აბსოლუტურად დარწმუნებულია ჩვენი ფინანსური მდგომარეობის დაბალანსების აუცილებლობაში და მუშაობს ორივე პარტიასთან, რათა ფინანსური კუთხით საიმედო გზაზე გაიყვანოს ქვეყანა. იმისათვის, რომ შემცირდეს სხვაობა ჩვენს ვალდებულებებსა და რესურსებს შორის, კომპლექსური მიდგომა და რთული გადაწყვეტილებები იქნება საჭირო. საჭირო იქნება, რომ ხელისუფლებამ ხარჯოს ნაკლები და ხარჯოს გაცილებით გონივრულად.** პრეზიდენტმა უკვე გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ხელმისაწვდომ მომსახურებაზე კანონში ცვლილებების შეტანის, „შემოსავლებისგან“ ბიუჯეტის შედგენის აღდენის, უსაფრთხოებასთან კავშირის არმქონე ხარჯების სამი წლით გაყინვის ვალდებულების სახით. პრეზიდენტის წინადადებები დეფიციტის განახევრების გზაზე გაგვიყვანდა საშუალო ხანგრძლივობის პერიოდში და მნიშვნელოვნად შეამცირებდა ჯანდაცვაზე ფედერალური დანახარჯების ზრდის ტემპებს გრძელვადიან პერსპექტივაში. პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ 112-ე კონგრესის წევრებთან ერთად იმუშავებს დამატებით ზომებზე, რომლებიც ჩვენი საშუალოვადიანი და გრძელვადიანი ფინანსური პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება.

**იმაზე დაყრდნობით, რომ კონგრესი მუდამ ზრდიდა ვალების ლიმიტს, როდესაც ეს აუცილებელი იყო და რომ ამაზე უარის თქმა ყოველი ამერიკელის ინტერესებისთვის დამღუპველია, დარწმუნებული ვარ, კონგრესი იმოქმედებს დროულად, რათა გაზარდოს ლიმიტი წელს. იმისთვის, რომ კონგრესის წევრებსა და საზოგადოებას არ შეექმნას გაუგებრობის განცდა წარმომადგენელთა პალატასა და სენატში ამ საკითხის განხილვისას, მინდა ნათლად განვმარტო დეფოლტი.**

**სავალო ზღვრის მიღწევა ნიშნავს, რომ, კანონის შესაბამისად, ხაზინას აღარ შეეძლება ფულის სესხება იმ ვალდებულებების ასანაზღაურებლად, რომლებიც სახელმწიფომ, კანონის თანახმად, უნდა აანაზღაუროს. ეს ამერიკის ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევა იქნება.** უნდა გვესმოდეს, რით განსხვავდება დეფოლტი სახელისუფლო გადახდების შეჩერებისგან, რაც ასიგნების შესახებ კანონპროექტის მიღებაზე უარის თქმას მოჰყვა 1995 წლის დასასრულსა და 1996-ის დასაწყისში. იმ არაკეთილგონივრული და დამანგრეველი სახელმწიფო გადახდების შეჩერებას ამერიკის კრედიტუნარიანობაზე ისეთი ხანგრძლივი ნეგატიური გავლენა არ მოუხდენია, როგორსაც დეფოლტი მოახდენს, იმიტომ, რომ მაშინ ვალსა და სავალე ზღვარს შორის სივრცე იყო.

**დარწმუნებული ვარ, დამეთანხმებით, რომ ჩვენს ნაციონალურ ინტერესებშია, კონგრესმა იმოქმედოს მანამ, ვიდრე სავალე ზღვარს მივაღწევთ. მაგრამ, თუ კონგრესი უარს განაცხადებს მოქმედებაზე, ეს განაპირობებს შემდეგ მდგომარეობას:**

**ხაზინა იძულებული იქნება, აღარ შეასრულოს თავისი ვალდებულებები აშშ-ის იურიდიული ვალდებულებების შესაბამისად** და ეკონომიკას მიაყენებს კატასტროფულ ზიანს, პოტენციურად გაცილებით დიდს, ვიდრე 2008-2009 წლების ფინანსური კრიზისის ეფექტები იყო.

**დეფოლტი მნიშვნელოვან გადასახადს დააკისრებს ყველა ამერიკელს. რამდენადაც ხაზინა ადგენს სესხის საწყის პროცენტს ყველა სხვა სექტორისთვის, დეფოლტი ყველა ვალთან დაკავშირებულ დანახარჯებს გაზრდის.** პროცენტული განაკვეთები რეგიონული მთავრობების, ადგილობრივი ორგანოების, კორპორაციებისა და მომხმარებლებისთვის, იპოთეკის ჩათვლით, მკვეთრად გაიზრდება. აქციების კურსი და სახლების ფასები დაეცემა, რაც გაანადგურებს საპენსიო დანაზოგებს და ზიანს მიაყენებს უკლებლივ ყველა ამერიკელის ეკონომიკურ უსაფრთხოებას. ეს განაპირობებს დანახარჯებისა და ინვესტიციების შემცირებას, რაც გამოიწვევს სამუშაო ადგილების განადგურებას და გაკოტრებებს მნიშვნელოვანი მასშტაბით.



**დეფოლტი, განაპირობებს რა საპროცენტო განაკვეთების შემდგომ ზრდას და, როგორც აქ, ისევე მთელ მსოფლიოში, აშშ-ში კაპიტალდაბანდების შემცირებას, შორს მიმავალ უარყოფით შედეგებს წარმოშობს ხაზინის, როგორც უსაფრთხოების ზონის სტატუსისა და საერთაშორისო ფინანსურ სისტემაში დოლარის დომინირებული როლისთვისაც.**

შეწყდება, შეიზღუდება ან უარყოფითი გავლენის ქვეშ მოექცევა სახელმწიფო დახმარებებისა და ვალდებულებების ფართო დიაპაზონი, რომელიც მოიცავს სამხედროების, გადამდგარი სამხედროების, სოციალურ, სამედიცინო და ვეტერანთა დახმარებებს, შემწეობებსა და კომპენსაციებს, სახელმწიფო მოსამსახურეთა ხელფასებსა და პენსიებს, შტატებისთვის უმუშევრობის დახმარებებს, თავდაცვის შეკვეთების ანაზღაურებებს, სახაზინო ობლიგაციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდებისთვის პროცენტების გადახდებს, სტუდენტურ სესხებს, შტატების მიერ ფედერალური პროგრამით უმწეოთა სამედიცინო დახმარებებს და სახელმწიფო დაწესებულებათა შენახვისთვის აუცილებელ ანაზღაურებებს.

**ამ მიზეზთა გამო ნებისმიერი დეფოლტი აშშ-ის იურიდიულ სავალო ვალდებულებებთან დაკავშირებით აბსოლუტურად გამორიცხულია და თავიდან უნდა იქნეს აცილებული. კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ვალის ლიმიტთან დაკავშირებული კონგრესის საკანონმდებლო აქტი მიღებულ იქნეს ისე, რომ აშშ-ის კრედიტუნარიანობა და მისდამი ნდობა ეჭვქვეშ არ დადგეს.**

**მოქალაქეებისა და ინვესტორების რწმენა აქ და მთელ მსოფლიოში, რომ აშშ სრულად აგებს პასუხს თავის იურიდიულ ვალდებულებებზე, უნიკალური ნაციონალური აქტივია.**

**ჩვენს ისტორიაში ყოველთვის ეს ნდობა აყენებდა ამერიკულ სახელმწიფო ობლიგაციებს შესაძლო ინვესტიციებს შორის საუკეთესოთა და ყველაზე უსაფრთხოთა შორის, ჩვენ კი საშუალებას გვაძლევდა, სესხები ძალიან დაბალი პროცენტით აგვეღო.**

სავალე ზღვარის დროულად გაზრდაზე უარის თქმა საფრთხეს უქმნის ამ მდგომარეობას და ამერიკის კრედიტუნარიანობას მთელი მსოფლიოს თვალში. ამ პერიოდში ყველა ფინანსთა მინისტრი, მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა, მკაცრად იზიარებს ამ თვალსაზრისს. იმ პრობლემების სერიოზულობის გათვალისწინებით, რომელთა წინაშეც დგას აშშ და მსოფლიო ეკონომიკა, ჩვენი კრედიტუნარიანობისადმი რწმენა მსოფლიოში დღეს უფრო მნიშვნელოვანია.

ვიმედოვნებ, ეს ინფორმაცია სრულად პასუხობს თქვენს კითხვას და სასარგებლო იქნება, რამდენადაც კონგრესი ამ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტს განიხილავს.

პატივისცემით
**ტიმოთი ფ. გაიტნერი**

ყველაზე დიდი საშინელება ისაა, რომ ბატონი გაიტნერისა და სავალე მაქსიმუმის გაზრდის მომხრეთა უმეტესობის თანახმად, სულ უფრო და უფრო დიდი თანხების სესხება საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი საშუალებაა.

**თუმცა არსებობს საწინააღმდეგო თვალსაზრისიც, რომლის თანახმადაც სავალე მაქსიმუმის გაზრდას საბოლოო ჯამში ზუსტად იგივე შედეგები მოჰყვება, რაც გაზრდაზე უარის თქმას. კარლ დენინგერი „Market Ticker“-იდან ამბობდა: „თუ სავალე ზღვარს გაზრდით და ამით ამ რანგის დეფიციტს საშუალებას მისცემთ, კიდევ ერთი, მაქსიმუმ ორი წლის განმავლობაში იარსებოს, ამით ნაციას პირში უდებთ პისტოლეტის ლულას და ხელს აჭერთ სასხლეტს. გასროლისთანავე ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემა კედლებს შეესხმება“.**

ეს არის „ხაფანგი 22“ და ამ ხაფანგიდან გამოსავალი არ არსებობს.

დეფოლტი ან ვალის შემდგომი გაზრდა ერთადერთი სიცოცხლისუნარიანი გადაწყვეტილებებია და ორივე მიდის ერთსა და იმავე დასასრულამდე — ცხოვრების იმ წესის სრულ და საბოლოო კრახამდე, რომლითაც აქამდე ცხოვრობდნენ ამერიკელები.

მინისტრი გაიტნერი ზუსტად ისევე ლაპარაკობს ახლა, როგორც ჰენრი პოლსონი, პრეზიდენტი ბუში და სხვები ლაპარაკობდნენ 2008 წელს, როდესაც ქვეყანას მოსალოდნელი ეკონომიკური კრახისა და დეპრესიის შესახებ აფრთხილებდნენ. **დახარჯული ტრილიონები, მიღებული კანონები, გლობალურ ბაზრებზე მანიპულაციები და სხვა ყველაფერი წყალშია გადაყრილი. მათ ვერ შეძლეს დახმარება იმ ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრის საქმეში, რომელთაც ჯერ კიდევ კრიზისამდე შევეჯახეთ.**

ახლა ის დროა, თითოეული ამერიკელი სახელმწიფო დეფოლტისა და ამერიკული დოლარის სრული გაუფასურებისთვის მოემზადოს. მალე ჩვენ ან ვეღარ შევძლებთ ჩვენი სავალე ვალდებულებების შესრულებას, ან კრედიტორები დაასრულებენ ჩვენი სესხების დაუსრულებელ პროცესს. და როდესაც ისინი ამას გააკეთებენ, ძალზე დიდია ალბათობა, რომ ჩვენ ჰიპერინფლაციურ ფულად-საკრედიტო კრახს განვიცდით, რაც სავაჭრო ნაკადების სრულ ნგრევას, სურსათის სიმცირესა და ფასების უკონტროლობას განაპირობებს. ერთადერთი ხსნა იმის გაგება იქნება, თუ რა მოუვა ფულს სისტემური კრახის პირობებში და რომ საჭიროა დღეიდანვე დავიწყოთ ამისთვის მზადება. ხელისუფლება ემზადება, თითოეულმა ამერიკელმა იგივე უნდა გააკეთოს.

**ეს, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, მსოფლიოს აღსასრული იქნება, იმ მსოფლიოსი, რომელსაც აქამდე ვიცნობდით და ამის შეჩერება უკვე შეუძლებელია.**

*SHTF Plan*

# რენუარი და კაიბოტი — ფსონად



**ამერიკის ორი მუზეუმის დირექტორი დანაძლევდა, თუ ვინ მოიპოვებდა ნაციონალური საფეხბურთო ლიგის ჩემპიონის ტიტულს. ამ ორიდან ერთ-ერთმა თავისი გუნდის მოგებაზე ფსონად არც მეტი, არც ნაკლები, რენუარის ნახატი დადო, მეორემ კი — გუსტავ კაიბოტის ტილო. პირობის თანახმად, წაგებულმა თავისი ნახატი მოგებულს უნდა გადასცეს იჯარით.** მატჩი 6 თებერვალს გაიმართება. როგორც მილუოკის გამომგონებლური ხელოვნების მუზეუმის დირექტორი დენიელ კიგანი აცხადებს, იგი თავისი გუნდის გამარჯვებაში დარწმუნებულია და დიდი მოუთმენლობით ელის მომენტს, როდესაც თავის მუზეუმის კედელზე რენუარის შედევრს გამოფენს. მეორე — პიტსბურგის მუზეუმის დირექტორი ლინ ზელევენსკი კი კიგანის აღფრთოვანებას ჯერჯერობით დუმილით პასუხობს. ნაძლევის ინიციატორი არტ-კრიტიკოსი ტაილერ გრინია და მსგავსი ფსონები მისთვის სიახლეს არ წარმოადგენს.

# საუნა-ტრამვაი



**მილანის ცენტრში ძველი ტრამვაის სალონში საუნა მოაწყვეს. ტრამვაი, ცხადია, გაარემონტეს, მოაწესრიგეს, ადგილობრივმა დიზაინერებმა გაალამაზეს და ამჟამად უკვე უმოქმედო, დეკორაციად შემორჩენილ ლიანდაგებზე დადგეს.**

იდეის ავტორთა განცხადებით, საუნა ტრამვაიში მხოლოდ ორიგინალურობის გამო არ განუთავსებიათ; ამით სურდათ ადგილობრივი მცხოვრებლებისთვისაც და ტურისტებისთვისაც დაემტკიცებინათ, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ყოფნა ყოველთვის უსიამოვნებებთან არ არის დაკავშირებული. ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანში შეძლებენ მილანელები და ქალაქის სტუმრები ტრამვაი-საუნაში ასვლას. გაურკვეველია ისიც, თუ რა დაუჯდებათ მათ საზოგადოებრივ ტრანსპორტში სიამოვნება. უნდა აღინიშნოს, რომ მილანში მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი — 160 კილომეტრზე მეტი სიგრძის ტრამვაის ლიანდაგია.

# მონარქობა სახიფათოა სიცოცხლისთვის



**ძალადობრივი სიკვდილიანობის ალბათობა მონარქების შემთხვევაში ოთხჯერ უფრო მეტია, ვიდრე აქტიური საბრძოლო მოქმედებების ზონაში მომსახურე ჯარისკაცებისა. ამგვარი დასკვნა გააკეთა ბრიტანელმა მეცნიერმა, რომელმაც ათას ხუთასზე მეტი ევროპელი მეფის ცხოვრება და გარდაცვალება შეისწავლა.**

600-დან 1800 წლამდე მცხოვრები 1513 მონარქის მონაცემებზე დაყრდნობით დადგინდა, რომ მონარქების მეხუთედს სიცოცხლე მოუსწრაფეს. ევროპელ მონარქებთან შედარებით, მკვლელობების ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლის მქონე მექსიკური ქალაქის სიუდად-ჰუარესის მოსახლეობას ბუნებრივი გარდაცვალების 200-ჯერ მეტი შანსი აქვთ.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# მედესანტე

**„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომისდროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მაყურებელს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.**


მარინა ჩუბკინა

1973 წლის იანვარი. საჰაერო-სადესანტო ჯარების მეთაური ვასილი მარგელოვი თავის ერთ–ერთ ოფიცერთან ერთად გვიანობამდე თამაშობდა ბილიარდს. მეორე დღეს ახალი სადესანტო კომპლექსის — „კენტავრის“ ტესტირება უნდა ჩაეტარებინათ. სწორედ ამაზე იყო დამოკიდებული ქვეყნის მთავარი მედესანტის მთელი სიცოცხლე. უფრო მეტიც, ეს ჭეშმარიტების მომენტი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის საჰაერო-სადესანტო ჯარის მთელი შემადგენლობისთვის და პირადად მისთვის.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №2

მტრის მომზადების დონე ნამდვილად იმსახურებდა აღიარებას. განსაკუთრებით აღსანიშნავი ფინელი სნაიპერების ინდივიდუალური პროფესიონალიზმი იყო. საბჭოთა ჯარებს ფინელებთან შედარებით გაცილებით დიდი დანაკარგები ჰქონდათ და მაინც, დივიზია, რომელშიც მარგელოვი მსახურობდა, სერიოზულ დანაკარგებს გადაურჩა.


გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი 1996-2003 წლებში:

— ფინეთის ომზე ლაპარაკი მას არ უყვარდა. ხშირად იმეორებდა, რომ ამ ომმა ძალზე ბევრი მწუხარება და უბედურება მოუტანა რუს ხალხს.

მარგელოვს ფინეთის ომისთვის ჯილდოები არ მიუღია — კინაღამ ტრიბუნალის წინაშე აღმოჩნდა. სამაგიეროდ, პირადად მისივე თქმით, მან შვედეთის ნეიტრალიტეტის შენარჩუნება შეძლო. შვედეთის ჯარი ომში ჩართვის პირას იდგა და ცხადია, თავისი ყოფილი კოლონიის — ფინეთის მხარეს იბრძოლებდა.



ფინელები შვედურ სამხედრო ტექნიკას იყენებდნენ. მათ რიგებში საკმაოდ ბევრი იყო შვედი მოხალისე. შვედეთის საექსპედიციო კორპუსი ბოლშევიკებთან ბრძოლისთვის მზად იყო. კარლ მეთორმეტეს შთამომავლებს არ ასცდებოდათ მეორე პოლტავა, რომ არა მარგელოვის მოთხილამურეები. ჯარისკაცების ამ ხუმრობაში სიმართლის წილიცაა.



**ერთხელ მარგელოვის მზვერავები სათხილამურო კვალს გაჰყვნენ და მოწინააღმდეგის რაზმს გადააწყდნენ. ხანმოკლე, მაგრამ დაუნდობელი ბრძოლა გაჩაღდა. ამასთან, მარგელოვმა ყურადღება მიაქცია ფინელთა უცნაურ ჩაცმულობას, მაგრამ ძველ პრინციპს არ უღალატა — ჯერ სცემე და შემდეგ გვარი ჰკითხე. რამდენიმე წუთის შემდეგ მოთხილამურეებმა მოწინააღმდეგის გაკოჭილი ოფიცრები შტაბში საკუთარი ზურგით წამოიყვანეს. დახოცილი მეგობრების გვამების ზურგში გადატანა ვერ მოხერხდა — საშინელ ყინვაში ცოცხლების გამოყვანა და გადარჩენაც არ იყო იოლი საქმე.**

**ტყვეები შვედეთის გენერალური შტაბის ოფიცრები აღმოჩნდნენ. იმაში, რასაც ნეიტრალური მხარის წარმომადგენლები ფრონტზე აკეთებდნენ, დიპლომატები უნდა გარკვეულიყვნენ. მაგრამ შვედი ემისრების კონფუზმა სტოკჰოლმში ნამდვილი შოკი გამოიწვია. საზოგადოებას არ სურდა, ომში ჩათრეული აღმოჩენილიყო და პრესა მას მხარს უჭერდა. შვედეთმა ნეიტრალიტეტი შეინარჩუნა. მაგრამ ამ გმირობისთვის მარგელოვს კარგად არ წაუვიდა საქმე — ვინმეს ხომ უნდა ეგო პასუხი დიპლომატიური მარცხისთვის.**

ვასილი მარგელოვს მტრის ზურგში დახოცილი მეგობრების გვამების დატოვებას ედავებოდნენ. სინამდვილეში ეს ნიშნავდა, რომ მან მოუგო არა მას, ვისაც საჭირო იყო. მარგელოვის წინააღმდეგ გამოძიება დაიწყო. იმ პერიოდში შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატთან შეხვედრა, შესაძლოა, ნებისმიერი შედეგით დასრულებულიყო, თუნდაც დახვრეტით. მაგრამ მარგელოვს გაუმართლა, მას მეთაური გამოესარჩლა და საქმე ჩაფარცხეს.



**ფინური კამპანია მარგელოვისთვის პირველი ომი არ იყო.** პირველად ძია ვასიამ დენთის სუნი ჯერ კიდევ 1939 წელს იყნოსა — დასავლეთ ბელორუსიის საბჭოთა კავშირთან შეერთებისას. ეს ბრესტში გერმანული და საბჭოთა ჯარების ერთობლივ აღლუმამდე ცოტა ხნით ადრე მოხდა. პოლონეთი ახალი მოკავშირეების — გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ ორ მხარედ იყო გაყოფილი. საბჭოთა მეთაურები და მებრძოლები დიდ სიმპათიებს არ განიცდიდნენ სამოქალაქო ომის დროინდელი თავიანთი მოწინააღმდეგის — პოლონეთის მიმართ. საბჭოთა პროპაგანდა მუდმივად ირწმუნებოდა პოლონელი თეთრების მიერ საზღვარზე პროვოკაციების, პილსუცკის რეჟიმის მიერ პოლონელი მშრომელების ჩაგვრისა და მოძმე უკრაინელი და ბელორუსი ხალხების გენოციდის შესახებ.

**რუსეთის ყოფილი დასავლეთ გუბერნიების გათავისუფლება საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალურ მოვალეობად ითვლებოდა. გერმანიასთან სამხედრო თანამშრომლობა კი სულ სხვა საქმე იყო. გერმანელები ხომ სულ ცოტა ხნის წინ იბრძოდნენ ჩვენი მფრინავების წინააღმდეგ ესპანეთში.** გარდა ამისა, ნაციზმის არაადამიანურ იდეებს ქადაგებენ, თუმცა სუფრასთან არც თუ ისე ცუდი ბიჭების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ — ზუსტად ისეთივე ჯარისკაცები იყვნენ, როგორებიც ჩვენები.

მოკავშირეები ერთად მღეროდნენ „კატიუშას“, „ლილი მარლენს“, ერთმანეთს სუვენირებს ჩუქნიდნენ.



**გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი 1996-2003 წლებში:**

—ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა მარგელოვს დაუსახა ამოცანა, ნებისმიერი მეთოდით მოეპოვებინა გერმანული საიდუმლო აირწინაღი. ჩვენებმა იცოდნენ, რომ **გერმანელები მომწამლავი ნივთიერებების უდიდეს მარაგს ფლობდნენ. ამიტომ საბჭოთა კავშირს აინტერესებდა, როგორ დაეცვა თავი ამ მომწამლავი აირებისგან. ის ხომ ჯერ კიდევ იმ დროიდან ემზადებოდა გერმანელებთან ომისთვის.**



მარგელოვმა ამ ამოცანას ბრწყინვალედ გაართვა თავი. მარგელოვი ოფიცერთა ჯგუფთან ერთად იჯდა სუფრასთან გერმანელი ოფიცრების კამპანიაში. მარგელოვმა დაინახა, რომ სუფრასთან იჯდა ორი ჯარისკაცი, რომელთაც აირწინაღი თან ჰქონდათ. მან ყველას მთვრალად მოაჩვენა თავი, გავიდა ეზოში, ორივე გერმანელი ჯარისკაცი მოკლა, აართვა მათ აირწინაღები და გვამები გადამალა. ამრიგად, საბჭოთა ხელმძღვანელობამ სუპერთანამედროვე აირწინაღების ნიმუშები ჩაიგდო ხელთ.

ისღა დარჩა, რომ ღირებული მონაგარი შტაბში მიეტანათ. მაგრამ უკან დაბრუნებისას წარმატება ვასილ მარგელოვის მხარეს აღარ იყო. ხიდზე ნაღმს გადაუარა და აფეთქებამ ჰაერში აისროლა. მარგელოვის გარდა, მისი ყველა მგზავრი ადგილზევე გარდაიცვალა. როდესაც ხიდის ქვეშ დაგდებული გონს მოვიდა, ჯერ კიდევ არ იცოდა, რა დაემართა. თვალებში სისხლი ჰქონდა მოწოლილი, ტყიდან მისი მიმართულებით რამდენიმე კავალერისტი მოაჭენებდა ცხენს. ესენი პოლონელები იყვნენ. მაუზერიდან რამდენიმე გასროლის შემდეგ წინ მიმავალი მხედარი დაეცა, დანარჩენები შეჩერდნენ და ბჭობა დაიწყეს — მოეკლათ ჯიუტი რუსი თუ ცოცხლად შეეპყროთ. ნებისმიერ შემთხვევაში მარგელოვის შანსი ნულს უახლოვდებოდა. და სწორედ ამ დროს გზის მხარეს ტყვიამფრქვევის ხმა გაისმა. მხსნელად გერმანელმა მოტოციკლეტისტებმა მოუსწრეს.

**გერმანულ ჰოსპიტალში მარგელოვს ოპერაცია გაუკეთეს. ქირურგმა ვირტუოზულად იმუშავა და რუსი ოფიცრის გარეგნობა წესრიგში მოიყვანა, მაგრამ სახეზე ღრმა ნაიარევი სამუდამოდ დარჩა. მოკავშირეებმა დაჭრილი მარგელოვი მისი მსახურების ადგილზეც**



**კი მიიყვანეს, მაგრამ მათი ეს გულისხმიერება ძია ვასიას ლამის სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ჩეკისტებმა მეთაურის დაკითხვა დაიწყეს. მათ აუცილებლად სჭირდებოდათ პასუხები კითხვებზე, როგორ მოხვდა გერმანელებთან, საიდან მოიყვანეს, სად დატოვა თავისი მეგობრები და ასე შემდეგ.**

გამოძიება სრული სვლით მიდიოდა, მაგრამ ყველამ კეთილსინდისიერად იმუშავა — მარგელოვის მიერ აირწინაღების მოსაპოვებლად მოკლული და გადამალული გერმანელების გვამები ამოთხარეს და აფეთქებული ხიდის სიახლოვეს ნაპოვნი პოლონელი კავალერისტის ცხედრიდანაც კი ამოიღეს ტყვია, რათა დარწმუნებულიყვნენ, რომ მას ნამდვილად მარგელოვმა ესროლა. ამ ყველაფრის შემდეგ კი მარგელოვი დისციპლინარული ბატალიონის მეთაურად დანიშნეს. ეს საჯარიმო ბატალიონი არ იყო, საჯარიმო ბატალიონები კი წითელ არმიაში ძალიან მალე გაჩნდებიან. დიდ სამამულო ომამდე ნახევარ წელიწადზე ოდნავ მეტი დრო რჩებოდა.



**დისციპლინარულ ბატალიონში ძალოვნებისგან არაფრით განსხვავდებოდნენ. იქ მხოლოდ ძალას აღიარებდნენ და მხოლოდ ჯოგის უფროსს ემორჩილებოდნენ. მეთაურის რომბები კი იქ არავის აღელვებდა. საბრალო იყო ის ოფიცერი, რომელიც გამოცდას ვერ გაუძლებდა გაცნობისას; დიდი შანსი ჰქონდა, საკუთარი ქვეშევრდომების მოახლე გამხდარიყო. როდესაც მარგელოვი დისციპლინარული ბატალიონის ყაზარმაში პირველად გამოჩნდა, მის წინაშე მოწყობა ბატალიონის წევრებს აზრადაც არ მოსვლიათ. თამბაქოს კვამლით გაჯერებულ ოთახებში მებრძოლები ბანქოს თამაშით ირთობდნენ თავს, მაგიდაზე კი ახლადგამოხდილი ჩეფირი იდგა. ოფიცრის მისალმებაზე ერთ-ერთმა კითხვით უპასუხა — შენ ვინ ხარ? ახლავე აგიხსნით, — უპასუხა მარგელოვმა. ხანმოკლე, მაგრამ დამაჯერებელი ახსნა-განმარტების შემდეგ თავხედი ჯარისკაცი გონდაკარგული ეგდო მაგიდის ქვეშ.**

მოასულიერეს და ორი წუთის შემდეგ ყაზარმაში დარბოდა და ყვიროდა: ძმებო, მოეწყვეთ, ახალი უფროსი მოვიდაო.


ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:

— საჯარიმო ბატალიონში ხვდებოდნენ ლამის დანაშაულებრივი ქმედებებისთვის და ცხადია, მის წევრებთან განსაკუთრებული მიდგომა იყო საჭირო. ისინი ნებისმიერ მეთაურს არ ღებულობდნენ, შესაბამისი ხასიათი უნდა ჰქონოდა, ტანზე პერანგის შემოხევისთვისაც მზად უნდა ყოფილიყო. მარგელოვმაც სწორედ ამის დემონსტრირება მოახდინა და ძალიან დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. ▶

# ძია ვასია

◀ აი, ამ საქმოსთან ერთად შეხვდა მაიორი მარგელოვი დიდი სამამულო ომის დასაწყისს. ძალიან მალე დისციპლინარული ბატალიონის საფუძველზე ჩვეულებრივი მსროლელთა პოლკი ჩამოაყალიბეს. **ერთ-ერთი დაბომბვის დროს სწორედ იმ ყოჩმა, რომელსაც თავის დროზე მარგელოვი მუშტით გაუსწორდა, მეთაური საკუთარი სხეულით დაიცვა ნამსხვრევებისგან.**



**ომის პირველ თვეებში ქვეითების სიცოცხლე პირველივე შეტევას ეწირებოდა. ოფიცრები არ კმაროდა და მარგელოვის თანამდებობა მის მოკრძალებულ წოდებებს უსწრებდა.**

**ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:**

— იგი ისევე, როგორც ნებისმიერი მეომარი, ნებისმიერი ოფიცერი, ნაბიჯ-ნაბიჯ გადიოდა ყველა საფეხურს თანამდებობრივ კიბეზე, მაგრამ დიდმა სამამულო ომმა მისი განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინა.

1941 წლის ნოემბერში მარგელოვი, როგორც პროფესიონალი მოთხილამურე, მოთხილამურე მეზღვაურთა პოლკის მეთაურად დანიშნეს. მიუხედავად მათთვის უჩვეულო თხილამურებისა, ეს ადამიანები მეზღვაურებად რჩებოდნენ თავიანთი ტრადიციებითა და სიამაყით. მათ შორის ავტორიტეტის მოპოვება დისციპლინარულ ბატალიონზე იოლი საქმე არ იყო.



**გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი 1996-2003 წლებში:**

— თავად იცით, მეზღვაურებს არ უყვართ, როდესაც მათ სახმელეთო ოფიცერი ან გენერალი მეთაურობს და მათ ძალზე მძიმედ მიიღეს პოლკის მეთაურად სახმელეთო მაიორის დანიშვნა. მაგრამ **მარგელოვი ყველანაირი, ყველაზე უცნაური სიტუაციიდანაც კი პოულობდა გამოსავალს. როდესაც მოადგილემ მოახსენა, რომ პოლკი მოწყობილია, ჩვეულებრივი მისალმების „გამარჯობა, ამხანაგებო" ნაცვლად, მან თქვა: „გამარჯობა, კლოშნიკებო"** (ასე უწოდებდნენ მეზღვაურებს თავიანთი კლოშის ფართო ქუდების გამო). **ყველას გაეღიმა. ამრიგად, მან ნაცნობობის პირველივე წუთებიდან მოიპოვა პოლკის კეთილგანწყობა და მეზღვაურთა მხრიდან სასურველი დამოკიდებულება მოიპოვა.**



ასე გაგრძელდა ბოლომდე. მეზღვაურებს ძალიან უყვარდა თავიანთი მეთაური და საბრძოლო მოქმედებების პირველი დღეებიდან მამილოს ეძახდნენ.

ეს ახლაა, რომ ცისფერზოლიანი სამოსი ისეთივე განუყოფელია მედესანტის იერისთვის, როგორც ცისფერი ჩაფხუტი. მაგრამ 60-იან წლებში, როდესაც გენერალი მარგელოვი იგონებდა და ქმნიდა ახალ ფორმას თავისი ფრთოსანი ქვეითებისთვის, სახმელეთო ჯარის ჯარისკაცთა ფორმები გაურკვევლობას იწვევდა. ძია ვასიას იმაშიც კი ადანაშაულებდნენ, რომ მან ფორმა საზღვაო ქვეითებს მოჰპარა. ყველაფერი, რაც ზღვას უკავშირდება, მარგელოვს იმ დროიდან, 1941 წლიდან, შეუყვარდა. მაშინ მისი შავი დემონები გერმანულ ტყვიამფრქვევებს სანახევროდ აღჭურვილები უპირისპირდებოდნენ.

**ვიაჩესლავ სივკო, საჰაერო-სადესანტო ჯარების პოლკოვნიკი, რუსეთის გმირი:**

— გერმანელები მათ შავ სიკვდილს უწოდებდნენ. როდესაც შეტევაზე მიდიოდნენ, ხშირად თავზე ჩაჩქანსაც არ იხურავდნენ. აბსოლუტურად უშიშარი ადამიანები იყვნენ. როგორც ჩანს, მარგელოვი ჩვენი შეიარაღებული ძალების განვითარებას სწორედ ამგვარი მებრძოლების არსებობაში ხედავდა.



ლენინგრადის დაცვისთვის ჯილდო მესამე რანგის კაპიტან მარგელოვს არ მიუღია. სამაგიეროდ, მედესანტეებმა მიიღეს მეზღვაურთა ზოლიანი ფორმები. **თავად საჰაერო-სადესანტო ჯარების მეთაურს განსაკუთრებული აქცენტით უყვარდა ამ სიტყვების წარმოთქმა „სამხედრო-საზღვაო ფლოტი" და არავის აძლევდა ნებას, შეესწორებინათ. მას თავად მიჰყავდა ეს ბიჭები შეტევაზე და ყველაზე კარგად იცოდა, რა და როგორ უნდა გამოეთქვა.**

ომის ბოლო დღეებში გერმანელთა ცალკეული ნაწილები ჯერ კიდევ ინარჩუნებდნენ ბრძოლის უნარს. მაგრამ გერმანელი ჯარისკაცების უმეტესობისთვის ერთი პრობლემა რჩებოდა — ვის დანებებოდნენ. ყველაზე დიდი საშინელება იუგოსლავიელი პარტიზანების ან წითელი არმიის ჯარისკაცების ხელში ჩავარდნა იყო. თითქმის ნებისმიერ მათგანს მტერთან პირადი ანგარიში ჰქონდა გასასწორებელი.



**მთელი კაცობრიობისთვის ომი დასრულდა. კაპიტულაციის აქტი ხელმოწერილი ჰქონდა. ახლა ჯარისკაცები აღარ მარჩიელობენ, ვინ დაბრუნდება ხვალ ფრონტის ხაზიდან ცოცხალი, არამედ იმას ფიქრობენ, ვის როდის გაუშვებენ სახლში. ამ დროს ავსტრიისა და ჩეხეთის საზღვარზე, მთებში, საიდანღაც გაჩნდა ათი ათასობით გერმანელი მებრძოლი სრული შეიარაღებით. ეს იყო ესეს-ის სამი დივიზია — „პოლიციური", „დიადი გერმანია" და „მკვდარი თავი".** იქვე იყვნენ ჯარის დაშლილი და გაფანტული ნაწილების გადარჩენილი მებრძოლები და გენერალ ვლასოვის არმიის ნარჩენები.

**გიორგი შპაკი, გენერალ-პოლკოვნიკი, საჰაერო-სადესანტო ჯარების სარდალი 1996-2003 წლებში:**

— მაშინ ესეს-ის სამი დივიზია ნაჩქარევად მიიწევდა ამერიკულ ჯართან შესაერთებლად, რათა მათ ჩაბარებოდა ტყვედ, მაგრამ მარგელოვს დაუსახეს ამოცანა, ნებისმიერი მეთოდით აღეკვეთა ეს შეერთება. ისიც სულ რაღაც ერთი საარტილერიო ბატარეის დაცვით, რამდენიმე ოფიცრის თანხლებით, **თავხედურად გამოცხადდა ესეს-ის დივიზიის შტაბში და შესთავაზა, ტყვედ ჩაბარებოდნენ. უცებ, მისდა სასიხარულოდ, გამოვიდა დივიზიის მეთაური და უთხრა: ვიღებთ თქვენს წინადადებას, ვაცხადებთ კაპიტულაციას და გნებდებით.**



ამ დაჯგუფების შემადგენლობაში იყო ორი გენერალი, ათასამდე ოფიცერი, 32 ათასი ჯარისკაცი, ტექნიკის უდიდესი რაოდენობა, ოთხი ორთქლმავალი და 50-მდე ვაგონი მატერიალური ქონებით.

გენერალი მარგელოვი ჩერნიგოვის საჰაერო-სადესანტო დივიზიის მეთაური 1948 წელს გახდა, მაგრამ ყველას ეჩვენებოდა, რომ იგი მედესანტედ დაიბადა. ვერავინ იჯერებდა, რომ საბჭოთა კავშირის გმირი 40 წლის ასაკში სიცოცხლეში პირველად გადმოხტა პარაშუტით. სადესანტო დივიზიის მეთაურს პარაშუტით გადახტომა სულაც არ ევალებოდა, მისგან ამას არავინ მოითხოვდა და არავინ დაადანაშაულებდა დივიზიის ხმელეთიდან მეთაურობის გამო. მაგრამ იგი მაინც გადმოხტა პარაშუტით და ფეხი მოიტეხა. ამის შემდეგ მარგელოვი კიდევ 63-ჯერ გადმოხტება პარაშუტით. მის დივიზიაში პარაშუტით ხტომა იცოდა ყველამ — პოლიტმუშაკებმა, შტაბის თანამშრომლებმა, ექიმებმა.



**ერთხელ, სწავლებებისას, პარაშუტებიდან მუსიკის ხმა გაისმა. ასეთი ფანტასტიური კონცერტი მანამდე არასდროს და არსად ყოფილა. ძია ვასიამ (როგორც მას უკვე ეძახდნენ) სადესანტო ჯარში თავისი დივიზიის ორკესტრს უბრძანა, პარაშუტებით გადამხტარიყვნენ და ფრენისას პოლკა „პეპელა" შეესრულებინათ.**

სხვაგვარად რა მედესანტეები იქნებოდნენ?!



**ალექსანდრე მაკეევი, საჰაერო-სადესანტო ჯარების მაიორი, ფონდის — „საჰაერო-სადესანტო ჯარი — საბრძოლო საძმოს" გენერალური დირექტორი:**

— მასზე უამრავი ლეგენდა დადის. როგორც მსმენია, ამერიკულ არმიას მარგელოვითა და მედესანტეებით აშინებენ. მედესანტეების მიმართ დამოკიდებულებაც, რა თქმა უნდა, მისი გავლენით ჩამოყალიბდა. **ჩვენი ბიჭების მიმართ პატივისცემით გამსჭვალული დამოკიდებულება ვნახე კოსოვოშიც, ბოსნიაშიც. ეს ყველაფერი მისგან მოდის და მისი დამსახურებაა, მისი მომზადების, საქმისადმი მისი დამოკიდებულების დამსახურება.**

მარგელოვს რა დამოკიდებულებაც ჰქონდა საქმისადმი, იმავეს ითხოვდა სხვებისგანაც.

საეჭვოა, 1948 წლის ფრთოსანი ქვეითები ახლანდელი მედესანტეებისთვის რამით მიგვემსგავსებინა. განსაკუთრებული ფორმები მათ არ ეცვათ. ისინი ჩვეულებრივი ქვეითები იყვნენ ჩაფხუტებითა და იარაღით, როგორც დიდი სამამულო ომის პერიოდის ყველა ჯარისკაცი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში




## გლობალური შემცირება BBC-ში

**„BBC"-ს მსოფლიო სამსახურის გადაწყვეტილებით, სამსახურიდან დაახლოებით 650 თანამშრომელი გათავისუფლდება და დაიხურება 5 ბიურო: ალბანური, მაკედონიური, სერბული, კარიბის რეგიონის ინგლისურენოვანი და აფრიკის პორტუგალიურენოვანი სამსახურები.**

ამ ყველაფრის მიზეზად ბრიტანული სამაუწყებლო კორპორაცია სახელმწიფო გრანტის შემცირებას ასახელებს. პროფკავშირები შემცირებას აპროტესტებენ და აქციის გამართვას ლონდონში, „BBC"-ის მსოფლიო სამსახურის შენობის წინ აპირებენ. ამ განცხადებამდე ორიოდე დღით ადრე კორპორაციამ 200 ინტერნეტგვერდის დახურვისა და ამ საიტების 360 თანამშრომლის დათხოვნის შესახებ ინფორმაცია უკვე გაავრცელა.



## რუსეთმა ოთხი «მისტრალი» იყიდა

**რუსეთმა საფრანგეთისგან „მისტრალის" კლასის ოთხი ვერტმფრენმზიდი სადესანტო გემი იყიდა.**

კონტრაქტს 25 იანვარს რუსეთის ვიცე-პრეზიდენტმა იგორ სეჩინმა და საფრანგეთის თავდაცვის მინისტრმა ალენ ჟიუპემ მოაწერეს ხელი. გარიგების ღირებულება არ კონკრეტდება. იმის შესახებ, რომ რუსეთი „მისტრალის" ტიპის ოთხ გემს იყიდიდა, ადრევე იყო ცნობილი. ამ ოთხიდან ორი თავად საფრანგეთში 1,37 მილიარდ ევროდ უნდა აგებულიყო. დანარჩენი ორი კი ლიცენზიით რუსეთში უნდა აშენდეს. სადესანტო ვერტმფრენმზიდი „მისტრალი" ბორტზე 450-მდე ადამიანს და 16 მძიმე ვერტმფრენს იტევს. მას ერთდროულად 60 ერთეული ჯავშანტექნიკისა და 8 მფრინავი აპარატის ტრანსპორტირება შეუძლია.

## კანონმდებლობა დაგვიწუნეს

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ დაასახელა ათი ქვეყანა, სადაც ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ირღვევა.** ასამბლეის მიერ მიღებულ რეზოლუციაში საუბარია „სისტემატურ დარღვევებზე", რომლებიც რუსეთში, ბულგარეთში, საბერძნეთში, იტალიაში, მოლდოვაში, პოლონეთში, რუმინეთში, თურქეთსა და უკრაინაში ფიქსირდება და რომელთა შედეგადაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ვერდიქტები არ სრულდება ან მათი შესრულება ძალიან ჭიანურდება. სხვა ქვეყნებს შორის, რომელთა შიდა კანონმდებლობაც კონვენციასთან მნიშვნელოვნად შეუსაბამოა, დასახელდა ალბანეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბოსნია და ჰერცოგოვინა, საქართველო და სერბეთი. დოკუმენტის ტექსტში ცალკე თავი ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებს ეხება ჩეჩნეთსა და მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში.

გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net
საქართველო

# უჩვეულო წიგნები





## «გვირაბის წიგნი»

**ნებისმიერ ადამიანს, რომელიც კომპიუტერთან მუშაობს, შეიძლება „გვირაბის სინდრომი“ განუვითარდეს.** სწორედ ასეთმა ადამიანმა შექმნა წიგნი Tunnel Vision-ი, რომელშიც აღწერილია ნიუ იორკისა და ნიუ ჯერსის დამაკავშირებელი გვირაბი, მისი ისტორია და თანამედროვე სახე.

## თვითმკვლელობის წიგნი




**შვეიცარიელმა დიზაინერმა პიერ მენდელმა გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე გამოაქვეყნა პატარა წიგნი, სადაც თავის მიღწევებს აღწერდა. ნაამბობის დასასრულს კი ავტორს საკუთარი გარდაცვალების თარიღი ჰქონდა მითითებული.** ეს უბრალოდ სიუჟეტის მხატვრულ მხარედ ჩაითვლებოდა, წიგნის ავტორი ზუსტად მითითებულ დღეს რომ არ გარდაცვლილიყო. წიგნს აქვს ისეთივე ჯვრის ფორმა, როგორიც შვეიცარიის სახელმწიფო დროშაზეა გამოსახული.

## 3D ანბანი

**როგორც მეცნიერებმა გაარკვიეს, საუკეთესო გზა ანბანის შესასწავლად მისი სამგანზომილებიანი მოდელის გამოყენებაა.** ამ მოდელზე დაყრდნობით შესაბამისი სახელმძღვანელო მართლაც მიმზიდველი აღმოჩნდა მოსწავლეებისთვის.







## ქაღალდის ვიკიპედია

**დიზაინერმა რობ მეტიუსმა შექმნა 5000-გვერდიანი წიგნი, რომელშიც შესულია 10 ათასამდე ყველაზე პოპულარული სტატია ვებსაიტ „ვიკიპედიის“ ინგლისური განყოფილებიდან.**

## სამგანზომილებიანი წიგნი

**ფრანგი მხატვარ-ილუსტრატორი ბენჟამინ ლაკომბი სამგანზომილებიან წიგნებს ქმნის. მან უკვე დაამუშავა დიზაინი ისეთი ცნობილი ნაწარმოებებისთვის, როგორიცაა „პინოქიო“ და „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“.**



## „შესაწვავი წიგნი“

**ხორვატმა გამომცემლებმა შექმნეს სპეციალური წიგნი კულინარებისთვის სახელწოდებით „Well Done“.** იმისთვის, რომ მის სუფთა ფურცლებზე რაიმეს ამოკითხვა შეძლოს, მომხმარებელი ნამდვილი კულინარი უნდა იყოს. წიგნი ფოლგის ქაღალდში უნდა გაახვიოს და ღუმელში „გამოაცხოს“. მხოლოდ ამის შემდეგ გამოჩნდება მის ფურცლებზე კულინარული რეცეპტები.









# პირველად მსოფლიოში...

**ეს ის ნივთებია, რომლებიც დღეს ფართოდ გამოიყენება და მათ გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელიც კი გახდა.
ყველაფერი კი ასე დაიწყო:**



**პირველი ვიდეო-კამერა** „კოდაკის“ ინჟინერმა სტივ სესონმა 1974 წლს შექმნა.



**რენტგენის პირველი სურათი** 1895 წელს გადაიღო ვილჰემ კონრად რენტგენმა. სურათზე ასახულია მისი მეუღლის ხელი. X-სხივების აღმოჩენისთვის 1901 წელს რენტგენმა ნობელის პრემია მიიღო ფიზიკის დარგში.



**კომპიუტერის პირველი მაუსი** დუგლას ენგელბარტმა 1964 წელს შექმნა.




**მუსიკალური ალბომის პირველი ყდა** 1938 წლით თარიღდება და ჯგუფ „როჯერ და ჰარტს“ ეკუთვნის.




**პირველი მოტელი** კალიფორნიაში 1925 წელს გაიხსნა.



**პირველი ნოველა** – „განჯის ამბავი“ 1007 წელს დაიწერა. სპეციალისტები მის ავტორად იაპონელ მწერალ ქალს — მურასაკი შიკიბუს მიიჩნევენ.



**პირველი MP3 ფლეერი,** რომლის მეხსიერება 32 MB იყო, 1998 წელს შეიქმნა.



**პირველი მიკრო-პროცესორი** – Intel 4004 1971 წელს შეიქმნა.



**პირველი მოტოციკლეტი** – 1885 წელს შტუდგარდში შექმნეს გერმანელმა ინჟინრებმა გოტლიბ დაიმლერმა და ვილჰელმ მეიბახმა. ასევე, ეს მოტოციკლეტი იყო პირველი მექანიზმი, რომელიც ბენზინზე მუშაობდა.

FUN'S Word-Cross Puzzle.




FILL in the small squares with words which agree with the following definitions:

2-3. What bargain hunters enjoy.
4-5. A written acknowledgement.
6-7. Such and nothing more.
10-11. A bird.
14-15. Opposed to less
18-19. What this puzzle is
22-23. An animal of prey.
26-27. The close of a day.
28-29. To elude.
30-31. The plural of is.
8-9. To cultivate.
12-13. A bar of wood or iron.
16-17. What artists learn to do.
20-21. Fastened.
24-25. Found on the seashore.
10-18. The fibre of the gomuti palm.
6-22. What we all should be
4-26. A day dream.
2-11. A talon.
19-28. A pigeon
F-7. Part of your head.
23-30. A river in Russia
1-32. To govern.
33-34. An aromatic plant.
N-8. A fist.
24-31. To agree with.
3-12. Part of a ship.
20-29. One.
5-27. Exchanging.
9-25. Sunk in mud.
13-21. A boy.

**პირველი კროსვორდი** 1913 წელს არტურ ვინსმა გაზეთი „ნიუ იორკის სიტყვისთვის“ გასართობი გვერდის მზადებისას სრულიად შემთხვევით შექმნა.



**პირველი ცათამბჯენი,** სადაზღვევო კომპანიის ცენტრალური ოფისი, ილინოისში 1885 წელს აღიმართა.

საქართველო
გსურთ, გაგვიზიაროთ თქვენი მოსაზრებები? დაგვირეკეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

# ყველაზე ძვირადღირებული სასტუმროს ნომრები

**მართალია, რიგითი მოგზაურებისთვის ზოგჯერ უცხო ქალაქში ღამის გასათევად მინიმალური კომფორტიც საკმარისია, მაგრამ არიან ადამიანები, რომელთაც სასტუმროებისადმი განსაკუთრებული მოთხოვნები აქვთ. მსოფლიოში სასტუმროების ინდუსტრია იმდენად განვითარებულია, რომ ნებისმიერი, თვით ყველაზე პრეტენზიული და ექსტრავაგანტული სტუმრის მოთხოვნების დაკმაყოფილებაც კი არ წარმოადგენს სირთულეს, მაგრამ კომფორტი ძვირი სიამოვნებაა, თანაც — ძალიან ძვირი.**

## Ambassadors Bure at Wakaya Club & Spa (ფიჯი)



**ერთი ღამის ღირებულება — 4900 დოლარი**

**თუ თქვენთვის ფუფუნება კუნძულზე განმარტოებაა, მარტოობის სავანე — დასასვენებელი სახლი, რომელიც მხოლოდ 10 კოტეჯს მოიცავს, თქვენს განკარგულებაშია.**

ყველაზე ძვირადღირებულ ნომერს, გარდა იმისა, რომ ყველაზე დიდია და 419 კვადრატულ მეტრამდე ფართს მოიცავს, დასვენებისთვის სრული აღჭურვილობა აქვს. პირადი სპა, საცურაო აუზი, გემბანი, ჰამაკი და კერძო გასასვლელი წყნარი ოკეანის სანაპიროზე სტუმრის განკარგულებაშია.

## Presidential Suite at the Ritz-Carlton (ტოკიო)



**ერთი ღამის ღირებულება — 25000 დოლარი**

**ტოკიოს უმაღლეს შენობაში ცხოვრება ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ ეს არცაა გასაკვირი, რადგან, Business Week-ის მიხედვით, ტოკიო მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქალაქია.**

25 ათას დოლარად აქ სტუმრებს საოცარი ხედით, მარმარილოს სააბაზანოთი, 40-ინჩიანი პლაზმური ტელევიზორითა და კონსიერჟის პირადი მომსახურებით ანებივრებენ.

## Hugh Hefner Sky Villa at the Palms Casino & Resort (ლას-ვეგასი)



**ერთი ღამის ღირებულება — 30 000 დოლარი**

**ლას-ვეგასში 30 000 დოლარის დახარჯვა ბლექჯექის მაგიდამდე მიუსვლელადაც შეიძლება; უფრო მეტიც, სასტუმროდან გაუსვლელადაც.** ამისთვის საკმარისია, ნომერი ამ სასტუმროში შეუკვეთოთ. თუმცა სანაცვლოდ იმავე აპარტამენტებში იცხოვრებთ, სადაც კენი ვესტი ცხოვრობდა 2007 წელს. სავსე ბარი, ფლეიბოის აუზი, სოლარიუმი, პლაზმური ტელევიზორები, მეფური საწოლი და ლას-ვეგასის პანორამული ხედი ამ ოთახის აღჭურვილობაა.

## Imperial Suite at Park Hyatt Vendome (პარიზი)



**ერთი ღამის ღირებულება — 19 000 დოლარი**

მას, ვინც ერთ ღამეში 19 ათას დოლარს გადაიხდის, სთავაზობენ უზარმაზარ, მაღალჭერიან სასტუმრო, სასადილო და სამუშაო ოთახებს, სპას (მასაჟის მაგიდით), 24-საათიან მომსახურეობას და საკუთარ დაცვას.

## Bridge Suites, Royal Towers at Atlantis (ბაჰამა)



**ერთი ღამის ღირებულება — 25 000 დოლარი**

**გარდა მე-16 სართულიდან გადაშლილი უმშვენიერესი ხედისა და უზარმაზარი აივნისა, სტუმრები აღფრთოვანებულები რჩებიან 7-კაციანი კერძო პერსონალის მომსახურებით.** ფუფუნების საგნები, როგორიცაა 22-კარატიანი ოქროს ჭაღი სასადილო ოთახში და უზარმაზარი როიალი სასტუმრო ოთახში, სასტუმროს ამ ნომერს ბაჰამური ექსტრავაგანტიზმის უნიკალურ ნიმუშად აქცევს.

## Ty Warner Penthouse at the Four Seasons (ნიუ იორკი)



**ერთი ღამის ღირებულება — 40 000 დოლარი**

**ამ სასტუმროს მინებიანი აივნებიდან მანჰეტენის ულამაზესი ხედი იშლება.** სტუმრები აღტაცებული რჩებიან იმ დიზაინერების კრეატიულობით, რომლებმაც დეტალურად დაგეგმეს ყველაფერი — 7,62 მეტრი სიმაღლის ჭერიდან, დაჭრილი მინის ჭაღამდე. ნომრის სტუმრები უზრუნველყოფილი არიან პირადი მსახურთუხუცესით, მწვრთნელითა და მძღოლით.

## Royal Penthouse Suite at the President Wilson Hotel (ჟენევა)



**ერთი ღამის ღირებულება — 65 000 დოლარი**

**ამ დაუჯერებელ ფასად სტუმარს შეუძლია ისიამოვნოს 1679 კვადრატული მეტრი ფართობის აპარტამენტითა და ჟენევის ტბის უმშვენიერესი ხედით.** აბაზანებში შესულს Acqua di Parma-ს უნიკალური პროდუქცია დაგხვდებათ. ოთახის მომსახურება 24-საათიანია. ნომერს აქვს უნიკალური დაცვის სისტემა, რადგან, თუ ასეთ სასტუმროში ისვენებთ, ლოგიკურია, თან საკმაოდ ძვირადღირებული ნივთებიც გქონდეთ.

## The Royal Suite at Burj Al Arab (დუბაი)



**ერთი ღამის ღირებულება — 22 900 დოლარი**

**25-ე სართულზე განთავსებული ეს ორსაწოლიანი ნომერი პირდაპირი განმარტებაა ბურჯ-ალ-არაბის სუპერ-ფუფუნების პრივილეგიისა.** მას შემდეგ, რაც სტუმარს მის მიერ შერჩეული „როლს-როისით“ ქალაქის გარშემო ასეირნებენ, პირადი ლიფტით ააბრძანებენ 25-ე სართულზე და მარმარილოს, ოქროს, წითელი ხისა და ლეოპარდის დეკორაციების ნომერში შეაბრძანებენ. კედელ-ცვალებადი საწოლი ოთახი, კერძო კინოთეატრი, ბიბლიოთეკა და, ყოველი შემთხვევისთვის, თუ სტუმარს გასეირნება მოუნდა, პირადი ვერტმფრენი მის განკარგულებაშია.

## Royal Plaza Suite at the Plaza Hotel (ნიუ იორკი)



**ერთი ღამის ღირებულება — 30 000 დოლარი**

**დიზაინერების შთაგონების წყარო ლუი XV-ის სამეფო ოთახი გახდა. ოთახი საკმაოდ დიდია ქალაქისთვის, რომელსაც არასდროს სძინავს.** აქ სტუმრებს სთავაზობენ თანამედროვე სამზარეულოს (პირადი მზარეულებითურთ, რა თქმა უნდა), სასადილო ოთახს — 12-კაციანი მაგიდით, ბიბლიოთეკას — უნიკალური წიგნებითა და საოცარ ხედს — მეხუთე ავენიუზე. ნომრის სამივე სააბაზანოში 24-კარატიანი ონკანებია, ყველაფერი დანარჩენი კი — ამ სტანდარტის შესაბამისი.

## Royal Villa at the Grand Resort Lagonissi (ათენი)



**ერთი ღამის ღირებულება — 45 000 დოლარი**

**რამდენიმე ბუხარი, მარმარილოს სააბაზანოები, გადახურული და ღია აუზები ყველაზე ცოტაა, რაც ამ ნომერზე შეიძლება ითქვას.** სტუმრის პირად საკუთრებაში არის 4-კაციანი მომსახურე პერსონალი — მწვრთნელი, მასაჟისტი, მოსამსახურე, ლიმუზინის მძღოლი. თუ გაგიმართლათ, იქნებ ექსკლუზიური საჰაერო ხომალდის მომსახურებითაც ისიამოვნოთ.

# რომელი ხალხის დამცველი ხართ, ბატონო სახალხო დამცველო?

**მას შემდეგ, რაც ქვეყანაში ხელისუფლება არბევს ვეტერანთა აქციებს, ასახლებს დევნილებს, ფიზიკურად უსწორდება ქალებსა და მოხუცებს, ლახავს ჟურნალისტთა უფლებებს, რაც HUMAN RIGHT WATCH-ის 2010 წლის ანგარიშშიც აისახა, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმი“ დაინტერესდა — ИЦАВС ТУ АРА ВИНМЕ МОКАЛАКЕЕБИС УПЛЕБЕБС САКАРТВЕЛОШИ ДА РАС АКЕТЕБС АМ ДРОС САХАЛХО ДАМЦВЕЛИ ГИОРГИ ТУГУШИ.**



ამასთან დაკავშირებით „საქინფორმის“ კორესპონდენტი ომბუდსმენის ოფისს დაუკავშირდა, სადაც მას პრესსამსახურის უფროსმა **ნინო ერემაშვილმა** ნამდვილი დაკითხვა მოუწყო, გულდასმით გამოიკითხა, **რაზე სურდა სახალხო დამცველთან საუბარი.** როდესაც პასუხად მიიღო, რომ ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ბატონი ტუღუშის საქმიანობა გვაინტერესებსო, სრული სერიოზულობით იკითხა: **„და რა ხდება საქართველოში?“.**

**იმასთან დაკავშირებით, რომ სახალხო დამცველის ოფისში არ იციან, თუ რა ხდება საქართველოში, საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო „საქინფორმს“ სურს, ბატონ გიორგი ტუღუშს 5 შეკითხვა დაუსვას, რომლებზეც პასუხი არა მარტო ჩვენს ჟურნალისტებს, არამედ მთელ ქართველ ხალხს აინტერესებს.**

**აი, ეს კითხვებიც:**

1) ბატონო გიორგი, როგორც სახალხო დამცველსა და მოქალაქეს, რა რეაქცია გქონდათ საქართველოში ბოლოხანს განვითარებულ მოვლენებზე: რატომ შემოიფარგლეთ ფორმალური განცხადებებით და არ მოაწყვეთ ამასთან დაკავშირებით ბრიფინგი, არ გამოხვედით ტელევიზიით და საჯაროდ არ გააკიცხეთ ხელისუფლების უკანონო ქმედებები, **რატომ არც ერთხელ პირადად არ გამოცხადდით ადამიანთა უფლებების დასაცავად სხვადასხვა საპროტესტო აქციის დაშლისა და ლტოლვილების გამოსახლებისას; დაუყოვნებლივ რატომ არ მიმართეთ საერთაშორისო უფლებადამცველ ორგანიზაციებსა და საქართველოში აკრედიტებულ უცხო ქვეყნების ელჩებს?**

2) ბატონო გიორგი, როგორ მიგაჩნიათ: **გაქვთ თუ არა დამოუკიდებლად რაიმე გადაწყვეტილების მიღების უფლება თუ ომბუდსმენის ინსტიტუტი საქართველოში მესამეხარისხოვანი ბუტაფორიული წარმონაქმნია, რომელიც დასავლეთის თვალში საქართველოში სახალხო დამცველისა და დემოკრატიის არსებობის მოჩვენებითობას ხაზს უსვამს, და რომ სინამდვილეში იგი სახელისუფლო სტრუქტურების განუყოფელი ნაწილია? ТУ ТКВЕН ДАМОУКИДЕБЕЛИ ДА ОБИЕКТУРИ БРДЗАНДЕБИТ, РАТОМ АР ЧАНС ТКВЕНИ САКМИАНОБИС КОНКРЕТУЛИ ШЕДЕГЕБИ? ХОЛО ТУ АР ХАРТ ДАМОУКИДЕБЕЛИ, РАТОМ АР ГАНАЦХАДЕБТ АМИС ШЕСАХЕБ САДЖАРОД, АР ГАДАДГЕБИТ ДА АР ШЕУЕРТДЕБИТ ХАЛХС, РОМЛИС ДАЦВИС МОВАЛЕЦ ХАРТ, РАЦ ДИДИ ДАГВИАНЕБИТ МОИМОКМЕДА ТКВЕНМА ЦИНАМОРБЕДМА СОЗАР СУБАРМА?** ერთი მაგალითი მაინც დაგვისახელეთ იმისა, როგორ გამოიღო თქვენმა მხარდაჭერამ კონკრეტული შედეგი და ვისი უფლებები დაიცავით ხელისუფლების თვითნებობისგან: ვეტერანების, ლტოლვილების, ობლების, პენსიონერების, მეწარმეების, უმუშევრების ანდა სხვა კატეგორიის მოქალაქეების?

3) ბატონო გიორგი! თქვენ და თქვენი არც თუ მრავალრიცხოვანი აპარატი ყოველთვიურად ხელფასს იღებთ საქართველოს ბიუჯეტიდან, ანუ თქვენ ქართველი ხალხი გინახავთ, რომელსაც ვერ იცავთ დევნის, დამცირების, შიმშილისა და სიღატაკისგან; **ან, ეგებ, ფულს რომელიმე საზღვარგარეთული ქვეყნიდან იღებთ, რომლის ბიუჯეტსაც სეკვესტრი არ ემუქრება; მაგალითად, აშშ-დან, ევროპიდან ანდა, სულაც, სოროსის ფონდიდან** (საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტო „საქინფორმს“ ასეთი ინფორმაციაც აქვს)? მაშინ, ცხადია, იმათი ინტერესები უნდა დაიცვათ, ვინც ფულს გიხდით. **მაშ, რომელ ხალხს იცავთ, ბატონო სახალხო დამცველო?!**

4) ბატონო გიორგი, საინფორმაციო-ანალიტიკური სააგენტო „საქინფორმისთვის“ ცნობილი გახდა, რომ თქვენ ხშირად იმყოფებით მივლინებებში უცხოეთში, ძირითადად – ევროპის ქვეყნებში. ბოლოს იქ მაშინ იმყოფებოდით, როცა თბილისში გმირთა მოედანზე პოლიციამ ვეტერანთა აქცია დაშალა და, როგორც თქვენი აპარატიდან წყარომ გვაცნობა, მალე ისევ იქ გაემგზავრებით. **რით არის გამოწვეული თქვენი ასეთი ხშირი საზღვარგარეთული ვოიაჟები? რა თანხაა გამოყოფილი ომბუდსმენის მივლინებებზე? რატომაა, რომ, თქვენი იმ ქვეყნებში ხშირი სტუმრობის მიუხედავად, სადაც ადამიანთა უფლებები საიმედოდაა დაცული, მათი გამოცდილება სრულებით არ გადმოგიღიათ? АН, ЕГЕБ, САХЕЛМЦИПО САХСРЕБИС ГАМОЦЕНЕБИТ ХШИР САЗГВАРГАРЕТУЛ МИВЛИНЕБЕБШИ ПИРАД, ОДЖАХУР САКМЕЕБЗЕ ДАДИХАРТ, ДРОСТАРЕБИСА ДА ДАСВЕНЕБИС МИЗНИТ, РОГОРЦ АМАС САКАРТВЕЛОС АМЖАМИНДЕЛ ХЕЛИСУПЛЕБАШИ БЕВРИ АКЕТЕБС?** (როგორც ხვდებით, ეს კითხვა უბრალო ცნობისმოყვარეობას კი არაა, საინფორმაციო-ანალიტიკურ სააგენტოში მიღებულ ინფორმაციას ეფუძნება, რომელიც სხვა წყაროებით გადავამოწმეთ და ახლა პასუხს თქვენგანაც ველით).

5) ბატონო გიორგი! როცა ქვეყანაში ილახება ჟურნალისტის უფლებები, რაც ამასწინანდელ განცხადებაში თავად ამერიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში, ჯონ ბასმაც აღნიშნა ტელეკომპანია „თრიალეთთან“ დაკავშირებით, თქვენ, როგორც ომბუდსმენი, რატომ არ დაინტერესდით ამ საკითხით და არ იცავთ ჟურნალისტთა უფლებებს საქართველოში? **განა ჟურნალისტები იმ ხალხის წარმომადგენლები არ არიან, რომელთა უფლებების დაცვაც მთელ ცივილიზებულ სამყაროში თავისუფლებისა და დემოკრატიის დონის მაჩვენებელია სახელმწიფოში?**

როგორც ხედავთ, ძვირფასო მკითხველო, ბატონი ტუღუშისთვის სულ ხუთი კონკრეტული შეკითხვის დასმა გვსურდა, მაგრამ მისი პრესსამსახურის უფროსმა მოგვიგო, რომ **არ იცის, შეძლებს თუ არა სახალხო დამცველი ჩვენთან გასაუბრებას, თუმცა შეგვპირდა, რომ პასუხს აუცილებლად შეგვატყობინებდა,** რაც, როგორც უკვე მიხვდით, არ გაუკეთებია, ჩვენი ხელისუფლების საუკეთესო ტრადიციებისამებრ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ახლა „საქინფორმი“ მკითხველს არა წინამდებარე პუბლიკაციას, არამედ საქართველოს სახალხო დამცველთან ინტერვიუს შემოგთავაზებდათ.

**ASE УПАСУХЕС „МЕОТХЕ ХЕЛИСУПЛЕБАС“ САКАРТВЕЛОС САХАЛХО ДАМЦВЕЛИС ОПИСШИ! ТУ РА ПАСУХИТ ГАМОИСТУМРЕБЕН ОМБУДСМЕНИС ОПИСШИ САКУТАРИ ГАСАЧИРИТ МИСУЛ МОКАЛАКЕС, МКИТХВЕЛМА ТАВАД ГАНСАДЖОС...**

თუ ამ პუბლიკაციის შემდეგ ბატონ ტუღუშს ჩვენს შეკითხვებზე პასუხის გაცემის სურვილი გაუჩნდება, მის პასუხებს, ოღონდ წერილობითი ფორმით, სიამოვნებით მივიღებთ და აუცილებლად გამოვაქვეყნებთ სააგენტოს ვებსაიტზე www.saqinform.ge

**საინფორმაციო—
ანალიტიკური სააგენტო
„საქინფორმი“**

საქინფორმი
www.saqinform.ge


# უნივერსალური წყალი „ისიდა“



## მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მოზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულიარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შედედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მოზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას.

საერთო მინერალიზაცია შეადგენს 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამიზნულია ოჯახური მოხმარებისთვის, ისხმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

**მსურველებმა დარეკეთ თბილისში: 899-16-30-21.
890-26-15-15 (ოფისი); რუსთავში: 890-11-50-99; 895-91-24-14.**


## საყურადღებო ნაშრომი ქართულ-რუსული ურთიერთობების უახლესი ოცი წლის ისტორიის შესახებ

პოლიტოლოგები: გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა თავიანთ ბროშურაში დაწვრილებით აანალიზებენ საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან რუსეთთან ურთიერთობებში დაშვებულ უხეშ შეცდომებსა და განზრახულ პროვოკაციებს. ბროშურა ილუსტრირებულია. თბილისში მისი შეძენა შეიძლება „მაცნესა“ და „პლანეტა-ფორტეს“ საგაზეთო ჯიხურებში, ისევე, როგორც „პარნასის“ წიგნის მაღაზიათა ქსელსა და პეკინის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში. ბათუმსა და ქუთაისში ევრაზიის ინსტიტუტის აღნიშნული გამოკვლევა „პრეს-ექსპრესის“ სტენდებზე იყიდება. ბროშურის ფასი 50 თეთრია.




საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.net

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები:
არმაზ სანებლიძე, ბონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლევან ზანგურაშვილი
ვებრედაქტორი გოჩა ხავთასი
რეალიზაციის მენეჯერი დავით ბუაძე, ოფისმენეჯერი თათია ვაშაკიძე,
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail:info@geworld.net